სახელმწიფო
ინსპექტორის
სამსახური

2021

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის

საქმიანობის ანგარიში

2021

ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union

UNITED NATIONS
HUMAN RIGHTS
OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER

ანგარიში შექმნილია ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის და სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის შეხედულებებს

სარჩევი

სახელმწიფო ინსპექტორის მიმართვა . . . 7

I. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მისია და ღირებულებები . . . 10

II. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატი . . . 13

III. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი . . . 16

1. შესავალი . . . 20

2. ზოგადი სტატისტიკური მონაცემები . . . 23

3. არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დაცვა . . . 33

4. ვიდეო-აუდიომონიტორინგის გზით პერსონალური მონაცემების დამუშავება . . . 46

5. პერსონალური მონაცემების დამუშავება შრომით ურთიერთობებში . . . 58

6. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ჯანდაცვის სექტორში . . . 76

7. პერსონალური მონაცემების დამუშავება საარჩევნო პროცესში . . . 88

8. სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემების დამუშავება . . . 98

9. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით . . . 115

10. საჯარო ან სხვა აღმატებული ინტერესის დაცვის მიზნით პერსონალური მონაცემების გასაჯაროება . . . 126

11. მონაცემთა სუბიექტის უფლებები . . . 138

12. მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა . . . 148

13. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული საკანონმდებლო გამოწვევები . . . 152

14. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების კვლევა 156
15. დასკვნები 158

IV. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება 160

1. შესავალი 166
2. შეტყობინების შემოსვლიდან შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე პროცესის აღწერა 170
3. გატარებული ღონისძიებები 175
4. მიღებული შეტყობინებები 196
5. გამოძიების დაწყება 208
6. სავარაუდო მსხვერპლები 220
7. შესაძლო დანაშაულის გარემოებები 224
8. ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები 229
9. საპროკურორო საქმიანობა სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე 241
10. სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულები და მათ გამოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევები 261
11. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულები და მათ გამოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევები 271
12. დასკვნები 283

V. ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი 287

1. შესავალი 289
2. 2021 წელს ფარული ჩანაწერების გასაჯაროება 291
3. სტატისტიკური მონაცემები 294
4. სამსახურის მიერ შეჩერების მექანიზმის გამოყენება 299
5. სამსახურის მიერ შესწავლილი პროცესები 302

6. დასკვნები 305

VI. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სტრუქტურა, ადამიანური რესურსები და ინსტიტუციური განვითარება 308

1. ორგანიზაციული მოწყობა 310
2. სამსახურის სტრუქტურა 313
3. ადამიანური რესურსები 315
4. ადამიანური რესურსების განვითარება 319
5. ინსტიტუციურ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები 324
6. ტექნოლოგიური, ინფრასტრუქტურული და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება 327

VII. თანამშრომლობა 329

1. საჯარო და კერძო დაწესებულებებთან თანამშრომლობა 331
2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა და ახალგაზრდული პროექტების განვითარება 335
3. სახალხო დამცველთან თანამშრომლობა 338
4. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა 340

VIII. საერთაშორისო ურთიერთობები 342

1. საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან თანამშრომლობა 344
2. სამსახურის მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებში 347
3. კოლეგა უწყებებთან თანამშრომლობა 351
4. საერთაშორისო შეთანხმებების ექსპერტიზა 353
5. საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებში/კონფერენციებში მონაწილეობა 355
6. საერთაშორისო ვიზიტები და გამოცდილების გაზიარება 358
7. საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა 360

IX. მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა 361
1. ახალი ბრენდბუქისა და ვებგვერდის შექმნა 364
2. აქტივობები სოციალურ მედიაში 366
3. პანდემიით განპირობებული საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის ცვლილება 368
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების კვლევა 370
X. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ბიუჯეტი და მისი შესრულება 371
1. განხორციელებული შესყიდვები 374
2. გაცემული სარგო, დანამატები და ფულადი ჯილდოები 376
3. სატრანსპორტო საშუალებები 378
4. სამსახურის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება 380
5. სხვა ხარჯები 382
6. დონორი ორგანიზაციების მიერ გაწეული ფინანსური დახმარება 384
XI. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება 387
1. მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები 389
2. საერთაშორისო გამოხმაურებები 393

სახელმწიფო ინსპექტორის მიმართვა

2019 წლის 10 მაისს, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. სახელმწიფომ ჩამოაყალიბა ინსტიტუტი, რომელსაც მისი სიტყვა უნდა ეთქვა და აემაღლებინა ხმა სახელმწიფო მოხელეების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე. ცხადია, ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გუნდი აკეთებდა ყველაფერს იმისათვის, რომ ერთი მხრივ, უზრუნველყო ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტის ამაღლება და მეორე მხრივ, დაემკვიდრებინა მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ევროპული სტანდარტები. არაერთი საკანონმდებლო თუ პრაქტიკული დაბრკოლების მიუხედავად, სამსახურმა მცირე დროში შეძლო საზოგადოების ნდობის ამაღლება მისი საქმიანობის მიმართ. მაშინ, როცა სამსახური გადადიოდა განვითარების შემდგომ ეტაპზე და საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო ცვლილებები ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, საერთაშორისო საზოგადოებისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობის გარეშე ოთხ დღეში გააუქმა დამოუკიდებელი უწყება და უწყების ხელმძღვანელის არჩევითი თანამდებობა.

საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების გადაწყვეტილება მიღებული იქნა ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების სახელით, მაშინ როცა ამ კანონს, მისი მიღების ფორმას და მეთოდებს, არაფერი აქვს საერთო ევროპულ ღირებულებებთან. კანონი მიღებული იქნა ევროპული ღირებულებების სახელით, მაშინ როცა კანონის მიღებისა და აღსრულების შეჩერება მოითხოვა ევროკავშირმა, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა, გაერომ, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა, ევროპარლამენტარებმა, ამერიკის ელჩმა, ეუთომ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესახებ კანონი მიღებული იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტის ამაღლების სახელით, მაშინ როცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ევროპული კანონპროექტი პარლამენტში ორ წელზე მეტია რაც განუხილველია და მისი არც ერთი დებულება ამ ახალ კანონში იმპლემენტირებული არ არის. კანონი მიღებული იქნა სამოხელეო დანაშაულების საგამოძიებო სამსახურის გაძლიერების სახელით, მაშინ როცა ახალ საგამოძიებო სამსახურს არ დაემატა არც ერთი ქმედითი

მექანიზმი სამოხელეო დანაშაულების გამოსაძიებლად და არ იქნა გათვალისწინებული არც ერთი ის გამოწვევა, რომლებზეც მითითებულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ანგარიშებში. კანონი მიღებული იქნა საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფუნქციების შეუთავსებლობის მოტივით, თუმცა სამსახურისთვის არავის უკითხავს თავსდებოდა თუ არა ეს ორი ფუნქცია ერთმანეთთან ან რა გამოწვევები იყო უწყების მიერ ამ ორი ფუნქციის განხორციელების პროცესში.

დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტის დაშლა ასეთი მეთოდებით - დაჩქარებული წესით, გაუმჭვირვალედ, არჩევითი თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტით - უპრეცედენტოა. ასეთი რეფორმები ყველა განვითარებულ ქვეყანაში ხორციელდება ფრთხილად, თანამდებობის პირების მიმართ მსგავსი მსუსხავი ეფექტის თავიდან არიდების გზით, ფართო დისკუსიებზე და ღია, ღრმა განხილვებზე დაყრდნობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებს და ძირს უთხრის ინსტიტუტების დამოუკიდებლობას.

საზედამხედველო უწყებებს ქვეყნები არ ქმნიან იმისთვის რომ უპირობოდ დაეთანხმონ ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილებას. საზედამხედველო უწყებებს განვითარებულ ქვეყნებში ქმნიან იმისთვის, რომ თავისი სათქმელი თქვას, როცა სახელმწიფო უწყებები არღვევენ ადამიანის უფლებებს. ამის საპირისპიროდ, საქართველოს პარლამენტმა გააუქმა დამოუკიდებელი უწყება, რომელიც: არასოდეს უთანხმებდა მის გადაწყვეტილებებს არავის და მოქმედებდა მხოლოდ კანონის დაცვით; სხვის პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევისა და სხვისი მონაცემების უკანონო გამოყენებისთვის, პასუხისმგებლობას თამამად აკისრებდა საჯარო დაწესებულებებს; შეზღუდული საკანონმდებლო, ადამიანური, ფინანსური რესურსებით აკეთებდა მაქსიმუმს რომ გამოეძიებინა სამართალდამცავთა მხრიდან განხორციელებული ძალადობის ფაქტები; მუდმივად იბრძოდა იმისთვის, რომ დასჯილიყვნენ დანაშაულის ჩამდენი მოძალადე მოხელეები; ბედავდა და ხმამაღლა ამბობდა რომ მას უქმნიდნენ პრობლემებს და დაბრკოლებებს მტკიცებულებების მოპოვების პროცესში და არ აწვდიდნენ მტკიცებულებებს - დოკუმენტებს, ვიდეოჩანაწერებს, რომლებიც აუცილებელი იყო მოძალადე მოხელეთა დასასჯელად; ნამდვილად ადგა ევროპულ გზას და ამკვიდრებდა ახალ, ევროპულ სტანდარტებს; ბედავდა და თამამად გამოხატავდა მის კრიტიკულ მოსაზრებას, მაშინ როცა საკანონმდებლო რეფორმები იყო ფასადური.

დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ტრიბუნა პარლამენტია. სამწუხაროდ, მე მხოლოდ ერთხელ მომეცა შესაძლებლობა პირადად წარვმდარიყავი საქართველოს პარლამენტის წინაშე. ვაფიქსირებ რა საქართველოს პარლამენტის ინსტიტუტისადმი უდიდეს პატივისცემას, სამსახურის გაუქმების მიუხედავად, საქართველოს პარლამენტს წარვუდგენ 2021 წლის საქმიანობის ანგარიშს, სადაც დეტალურადაა განხილული სამსახურის მიღწევები და სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციების შესრულების პროცესში არსებული გამოწვევები. იმედი მაქვს, საქართველოს პარლამენტი აღნიშნული გამოწვევების დაძლევაში დაეხმარება აწ უკვე ახლად შექმნილ ორ სამსახურს.

მინდა მადლობა გადავუხადო საერთაშორისო საზოგადოებას, დიპლომატიურ კორპუსს, არასამთავრობო სექტორს, სახალხო დამცველის აპარატს და ყველა იმ პირს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განვითარებაში და სამსახურის გაუქმების პროცესში გამოხატეს უპრეცედენტო მხარდაჭერა სამსახურის მიმართ.
მინდა მადლობა გადავუხადო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პროფესიონალ თანამშრომლებს კეთილსინდისიერი და ღირსეული მუშაობისთვის.

მინდა მადლობა გადავუხადო სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილეებს - გიორგი გამეზარდაშვილს, სოფიო ჯიაძეს და სალომე ბახსოლიანს ამ სამსახურის შექმნისთვის და ღირსეული და გაბედული გადაწყვეტილებებისთვის.

სახელმწიფო ინსპექტორი

ლონდა თოლორაია

I. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მისია და ღირებულებები

I. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მისია და ღირებულებები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მისიაა საზოგადოებაში პირადი ცხოვრების პატივისცემის კულტურის დამკვიდრება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეფექტიანი ზედამხედველობა, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის, ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი ცალკეული დანაშაულების მიუკერძოებელი, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური საქმიანობს შემდეგი ღირებულებებისა და პრინციპების დაცვით:

ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა - სამსახურის უპირველესი ღირებულებაა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებების პატივისცემა. სამსახურის თითოეული გადაწყვეტილება ორიენტირებულია ადამიანის უფლებების დაცვაზე;

დამოუკიდებლობა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტი - სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. გადაწყვეტილებების მიღების დროს იგი არ ექვემდებარება არცერთ ორგანოს, თანამდებობის პირს ან/და პოლიტიკურ ძალას;

კანონიერება - სამსახური საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით. სამსახურის ყველა გადაწყვეტილება ეფუძნება კანონს;

მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და სამართლიანობა - სამსახური საქმიანობს მიუკერძოებლად, ობიექტურად და სამართლიანად;

განმცხადებლისა და მსხვერპლის ჩართულობა - სამსახური უზრუნველყოფს განმცხადებლისა და სავარაუდო მსხვერპლის/დაზარალებულის ჩართულობას საქმისწარმოების პროცესში, ისმენს მის პოზიციას/მოსაზრებას და იცავს მის ინტერესებს;

სწრაფი და სრულყოფილი რეაგირება - სამსახური, შეზღუდული ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსების მიუხედავად, თითოეულ საქმეს მაქსიმალურად სწრაფად და გონივრულ ვადაში წარმართავს;

გამჭვირვალობა და ღიაობა - სამსახური საქმიანობას წარმართავს გამჭვირვალედ, ღიაა ყველა სექტორთან თანამშრომლობისთვის, ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე და პროაქტიულად ავრცელებს ინფორმაციას თავის საქმიანობაზე;

პროფესიონალიზმი - სამსახური დაკომპლექტებულია გამჭვირვალე, რამდენიმე ეტაპიანი კონკურსის საფუძველზე შერჩეული კვალიფიციური და პროფესიონალი კადრებით. საქმიანობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, სამსახური მუდმივად ზრუნავს კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და მოქმედი თანამშრომლების გაძლიერებაზე;

განვითარებაზე ორიენტირებულობა - სამსახური პერიოდულად აფასებს საკუთარ საქმიანობას, აიდენტიფიცირებს და აღიარებს გამოწვევებს, ორიენტირებულია მათ დროულ გადაჭრასა და განვითარებაზე;

ინოვაციურობა - სამსახური საქმიანობაში იყენებს და ნერგავს თანამედროვე მიდგომებსა და ტექნოლოგიებს;

გუნდურობა - სამსახურის სტრუქტურულ ერთეულებს/თანამშრომლებს აქვთ ერთიანი ხედვა და ერთობლივად მუშაობენ უწყების წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად.

II. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატი

II. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური 2019 წლის 10 მაისს შეიქმნა, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის უფლებამონაცვლე, ეს უკანასკნელი კი, საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას 2013 წლიდან აკონტროლებდა.

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უწყება საქმიანობს სამი მიმართულებით:

- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი (2013 წლიდან);
- ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი (2015 წლიდან);
- სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი ცალკეული დანაშაულების მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება (2019 წლიდან).

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს და რეაგირებს საჯარო თუ კერძო დაწესებულებების მიერ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების ფაქტებზე. უწყება მონაცემთა დაცვის საკითხებზე კონსულტაციას უწევს დაინტერესებულ პირებს, ზრუნავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, განიხილავს მოქალაქეთა განცხადებებს და ინსპექტირების გზით ამოწმებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას.

ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობათა მონიტორინგის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური 24 საათის განმავლობაში იღებს დოკუმენტებს სასამართლოდან, პროკურატურიდან და სხვა სამართალდამცავი ორგანოებიდან ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე, ხოლო ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიებიდან - სამართალდამცავი ორგანოებისთვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა გადაცემაზე. მიწოდებულ დოკუმენტებს სამსახური ადარებს ელექტრონულ სისტემებში ასახულ ინფორმაციასთან და ელექტრონული სისტემით აკონტროლებს მონაცემთა ცენტრალურ ბანკს. ზედამხედველობის მიზნით, სამსახური ატარებს ზემოაღნიშნული ორგანოების ადგილზე შემოწმებასაც (ინსპექტირება).

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური იძიებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის, ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ 2019 წლის 1 ნოემბრიდან ჩადენილ შემდეგ დანაშაულებს:

- წამება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლი;
- წამების მუქარა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144² მუხლი;
- დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლი;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლების მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები;
- განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლი;
- პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით; აგრეთვე, მსჯავრდებულის იძულება, მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი;
- სხვა დანაშაული, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში, ან/და ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ან/და აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია, ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე სრული მოცულობით ჩაატაროს გამოძიება და განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა.

III. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი

III. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი

ამ თავში განხილულია საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის მიზნით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა.

2021 წლის ძირითადი სიახლეები

- პერსონალურ მონაცემთა შესაძლო დარღვევის მაღალრისკიანი სფეროების იდენტიფიცირების კრიტერიუმების საფუძველზე პირველად გაიწერა ჩასატარებელი შემოწმებების წლიური გეგმა
- შეიქმნა საჯარო უწყებებში მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირების ქსელი, რომლებთანაც განხილულ იქნა საჯარო სექტორში მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები
- შემუშავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დანერგვისა და აღსრულების მოდელური მაგალითები სამი საჯარო დაწესებულებისთვის
- დაინერგა სამსახურის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების პერიოდული გამოქვეყნების პრაქტიკა
- მომზადდა რეკომენდაცია და ვიდეო-ლექცია ვიდეო თვალთვალის განხორცილების წესთან დაკავშირებით
- მომზადდა რეკომენდაცია დისტანციური სწავლების პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ
- მომზადდა რეკომენდაცია ონლაინ ვაჭრობის პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ
- მომზადდა სახელმძღვანელო საჯარო დაწესებულებებში დაცული პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ
- მომზადდა სახელმძღვანელო ფინანსურ სექტორში ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების შესახებ
- მომზადდა სახელმძღვანელო ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მონაცემთა დამუშავების შესახებ
- მომზადდა სახელმძღვანელო ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემების დამუშავების ევროპული სტანდარტების შესახებ
- მომზადდა სამსახურის გადაწყვეტილებების ორი კრებული - შრომით ურთიერთობებში და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემების დამუშავების შესახებ

- ბავშვებისთვის დაიწერა ზღაპრები პერსონალური მონაცემების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით
- მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ათი გადაწყვეტილების კრებული
- მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტი ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისა და უსინათლო პირებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე
- დაინერგა დისტანციური საგანმანათლებლო პლატფორმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე
- ჩატარდა საზაფხულო სკოლა სტუდენტებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით
- შემუშავდა მოქალაქეთა განცხადებების განხილვისა და მონაცემთა დამმუშავებლების შემოწმების გზით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის ახალი წესი
- შემუშავდა სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია
- შემუშავდა ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის დონის შეფასების მეთოდოლოგია
- ჩატარდა კვლევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით მოსახლეობის ცნობიერების თაობაზე
- სამსახური გაწევრიანდა გლობალურ ტრანსსასაზღვრო აღსრულების შეთანხმებაში (GCBECA)
- სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანოების გაერთიანების (CEEDPA) 21-ე სხდომაში
- სამსახურმა გამოცდილება გაუზიარა სხვა ქვეყნებს - ყაზახეთსა და უკრაინას

2020 წლის ძირითადი სიახლეები

- შეიქმნა სამი დამოუკიდებელი დეპარტამენტი (საჯარო სექტორზე, კერძო სექტორზე და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტები), რომლებიც მონაცემთა დაცვის საკითხებს განიხილავენ სექტორულად
- შემუშავდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოტენციურად მაღალრისკიანი სფეროების იდენტიფიცირების კრიტერიუმები
- შემუშავდა თვითშეფასების კითხვარი, რომელიც საჯარო და კერძო დაწესებულებებს აძლევს საკუთარ ორგანიზაციაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობას
- დაიწყო სტუდენტური პროექტი - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩები“
- მომზადდა და საქართველოს 14 ქალაქში მდებარე იუსტიციის სახლში განთავსდა საინფორმაციო ბროშურები პირადობის მოწმობასა და ბავშვის რეგისტრაციასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების თაობაზე

- შვიდ რეგიონში ჩატარდა შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან
- მომზადდა და გამოიცა ორი კრებული, რომლებშიც თავმოყრილია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილებები არასრულწლოვანთა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების კანონიერების მონიტორინგის შედეგების შესახებ
- შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია პანდემიის პირობებში სხვადასხვა სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ
- შემუშავდა საინფორმაციო დოკუმენტი საარჩევნო პროცესის დროს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ამომრჩეველთა უფლებების შესახებ
- შემუშავდა ორი რეკომენდაცია - „როგორ დავიცვათ თავი კიბერ ბულინგისაგან“ და „აპლიკაცია TIK TOK-თან დაკავშირებული რისკების შესახებ“
- შემუშავდა სახელმძღვანელო ელექტრონული სისტემებისა და აპლიკაციების შემქმნელებისთვის
- მომზადდა ორი ვიდეო-ლექცია - ჯანდაცვის სექტორში მონაცემთა დამუშავებისა და ინტერნეტ სივრცეში პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების საკითხებზე
- გაფორმდა მემორანდუმი უკრაინის პერსონალურ მონაცემთა საზედამხედველო ორგანოსთან

2019 წლის ძირითადი სიახლეები

- სამსახურმა საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“
- საქართველომ პირველად უმასპინძლა ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების საგაზაფხულო კონფერენციას
- შემუშავდა რეკომენდაცია კომერციული ბანკების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ
- ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო
- ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა მედიასივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები
- ევროპის საბჭოს დისტანციური სწავლების პლატფორმის (HELP) ფარგლებში, საქართველოში პირველად დაინერგა ელექტრონული კურსი პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თემაზე
- საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა ახალი ვებგვერდი
- დაინერგა გაცემული კონსულტაციების, შემოსული განცხადებების/შეტყობინებებისა და ჩატარებული შემოწმებების მართვის ელექტრონული სისტემა

01

შესავალი

1. შესავალი

2021 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის პრიორიტეტი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და პრევენციაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ამ წელსაც სრულად ეპიდემიოლოგიური ვითარების ფონზე იარსება, მონაცემთა დაცვის სტანდარტის გაუმჯობესების მიზნით სამსახურმა ცნობიერების ასამაღლებლად ბევრი მასშტაბური პროექტი განახორციელა, რომლებმაც მოიცვა საქართველოს ყველა კუთხე: საქართველოს ყველა რეგიონში შერჩეულმა სტუდენტებმა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩებმა“ ათობით კამპანია დაგეგმეს; ჩატარდა არაერთი სტუდენტური ფორუმი და კონფერენცია; დაორგანიზდა კონკურსები სკოლის მოსწავლეებისთვის; საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრები; შემუშავდა რეკომენდაციები სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისთვის; გამოიცა სახელმწიფო ინსპექტორის მიერ გამოტანილი თემატური გადაწყვეტილებების კრებულები; დაინერგა დისტანციური სწავლების კურსი ყველა დაინტერესებული პირისთვის; ჩატარდა ათეულობით ტრენინგი საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის და ა.შ. ასევე, შეიქმნა ინსტრუმენტი, რომლითაც ყოველ წელს უნდა გაიზომოს საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაუმჯობესების მდგომარეობა და ამის საფუძველზე დაიგეგმოს ყოველი მომდევნო წელი.

2021 წელს, ცნობიერების ამაღლების პარალელურად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური აქტიურად აწარმოებდა საჯარო და კერძო სექტორში მონაცემთა დამუშავების კანონიერების მონიტორინგს, როგორც მოქალაქეთა განცხადებებისა და შეტყობინებების საფუძველზე, ასევე, საკუთარი ინიციატივით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დიდი მოცულობით მონაცემთა დამმუშავებელ ორგანიზაციებზე და მონაცემთა დამუშავების ახლად დანერგილ პროცესებზე.

საქართველოში მონაცემთა დაცვის სფეროში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის მთავარ გამოწვევად ჯერ კიდევ მონაცემთა დაცვის ფუნდამენტური პრინციპების დაცვა რჩება. სამწუხაროდ, 2021 მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით გამოწვევებით სავსე წელი იყო: გავრცელდა ათასობით ფაილი, რომელიც სავარაუდოდ სხვისი პირადი კომუნიკაციის ამსახველ ინფორმაციას შეიცავდა; ადამიანების დისკრედიტაციის მიზნით არაკანონიერად გასაჯაროვდა პერსონალური მონაცემები; სოციალურ ქსელებსა და მედიაში გავრცელდა დოკუმენტები და მონაცემები, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო მხოლოდ საჯარო ან კერძო დაწესებულებებისთვის და ა. შ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ძალისხმევის მიუხედავად, დღემდე არ არის მიღებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც უზრუნველყოფდა საჯარო და კერძო სექტორის პასუხისმგებლობის გაზრდას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში. ასევე, ჩვენი ქვეყნის მიერ არ არის ხელმოწერილი პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ 108+ კონვენცია, რომელიც ხელს შეუწყობდა საქართველოში მონაცემთა დაცვის უფრო მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების რეალიზებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. საჭიროა: ძალთა გაერთიანება ამ სფეროში; გამართული და ქმედითი კანონმდებლობა; მკაფიოდ გაცხადებული პოლიტიკა მონაცემთა დაცვის პრიორიტეტულობის შესახებ; საჯარო და კერძო სექტორის პასუხისმგებლობის გაზრდა; საზოგადოების ცნობიერების კიდევ უფრო ამაღლება; პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფრო მაღალი კულტურის არსებობა, რომელიც სხვისი პირადი ცხოვრების პატივისცემასა და მონაცემთა დაცვაზე, ასევე, მონაცემთა არაკანონიერი გამოყენების (გავრცელების) მძიმე შედეგებზე დააფიქრებს საზოგადოებას, არა მხოლოდ მაშინ, როცა ის ინდივიდს პირადად ეხება, არამედ მაშინაც როდესაც სხვისი უფლებების დაცვას უკავშირდება - განურჩევლად სქესისა, წარმოშობისა, ეთნიკური კუთვნილებისა, რელიგიისა, პოლიტიკური შეხედულებებისა თუ სხვა ნიშნისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძლიერი და დამოუკიდებელი საზედამხედველო ინსტიტუტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ქმედითი საკანონმდებლო ბერკეტებით და ისარგებლებს ხელშეუხებლობის მყარი გარანტიებით.

02

ზოგადი
სტატისტიკური მონაცემები

2. ზოგადი სტატისტიკური მონაცემები

02

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით პირველად იმუშავა სექტორულ მიდგომაზე დაფუძნებული პრინციპით. სამი დამოუკიდებელი დეპარტამენტი (საჯარო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტი, კერძო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტი და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტი) მონაცემთა დაცვას ზედამხედველობდა სექტორულად.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ძალისხმევა, მონაცემთა დამუშავების პროცესების შემოწმების პარალელურად, მიმართული იყო პრევენციაზე - საზოგადოებისა და მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართულ პირთა ცნობიერების ამაღლებასა და მათთვის კონსულტაციების გაცემაზე.

პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების პრევენციის მიზნით, სამსახური გასცემს კონსულტაციებს როგორც კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების, ასევე მოქალაქეების მომართვის საფუძველზე. კონსულტაციები გაიცემა ზეპირად (სატელეფონო კომუნიკაციის ან პირადი შეხვედრის გზით) და წერილობით.

სამსახურის მიერ 2021 წელს გაცემული კონსულტაციების რაოდენობა

3 444

ასევე, ეროვნულ კანონმდებლობაში მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დანერგვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, საჯარო დაწესებულებების მომართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის შეფასების გზით. სამსახურის მიერ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი შეფასება ხელს უწყობს პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების პრევენციას. 2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა განახორციელა 40 სამართლებრივი აქტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის შეფასება.

სამართლებრივი აქტების სახეები, რომლებზეც სამსახურმა განახორციელა სამარლებრივი ექსპერტიზა



შემუშავებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს 2021 წელს მომართა თოთხმეტმა საჯარო დაწესებულებამ, კერძოდ:

უწყებები, რომლებმაც მომართეს სამსახურს სამართლებრივი ექსპერტიზის თხოვნით



საჯარო დაწესებულებების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო აქტები ხშირ შემთხვევაში არ არის განჭვრეტადი და მონაცემთა სუბიექტს არ უქმნის ნათელ წარმოდგენას მონაცემთა დამუშავების პროცესზე და ამ პროცესში მის უფლებებზე. საკანონმდებლო აქტებში ძირითადად იკვეთება შემდეგი სახის ხარვეზები: არ არის განსაზღვრული დასამუშავებელი პერსონალური მონაცემების სახეები, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კონკრეტული და მკაფიო მიზნები; არ არის გათვალისწინებული მონაცემთა შენახვის ვადები ან გათვალისწინებულია მიზნის შეუსაბამო ვადები; არ არის გაწერილი მონაცემთა დამუშავების პროცესის დოკუმენტირების წესი და მონაცემთა უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები; არ არის განსაზღვრული მონაცემებზე დაშვების მქონე პირები; არ არის დაწესებული მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული მოქმედებების აღრიცხვის ვალდებულება.

ზემოაღნიშნული გამოწვევების პარალელურად, სამწუხაროდ საჯარო დაწესებულებები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს სამართლებრივი ექსპერტიზისთვის არ წარუდგენენ ან დაგვიანებით აწვდიან (როცა უკვე შექმნილია სამართლებრივი აქტით რეგულირებული მონაცემთა დამუშავების ტექნიკური შესაძლებლობები - ელექტრონული პროგრამა, რომელშიც ცვლილების შეტანა შეუძლებელია დამატებით საჭირო ფინანსური რესურსების გამო) ყველა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომლებიც ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას. შესაბამისად, კანონმდებლობის შემუშავებისა და მიღების პროცესში მნიშვნელოვანია მონაცემთა დაცვაზე საზედამხედველო ორგანოსთვის დროული მიმართვა (პროცესების დაგეგმვის ეტაპზე) და ამ ორგანოს მოსაზრების გათვალისწინება.

კონსულტაციის პარალელურად, სამსახურს აქტიურად მომართავენ მოქალაქეები მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების შესაძლო ფაქტებზე. 2020 წელს, პანდემიით შექმნილი ვითარების გამო, შემცირდა სამსახურისთვის მოქალაქეთა მომართვიანობა, თუმცა 2021 წელს ეს მაჩვენებელი (წინა წელთან შედარებით) გაიზარდა.

მოქალაქეთა მომართვიანობა



2021 წელს მოქალაქეთა მომართვების 56% შეეხებოდა კერძო სექტორში, 21% - სამართალდამცავ ორგანოებში, ხოლო 23% - სხვა საჯარო უწყებებში მონაცემთა დამუშავებას. აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით, შემცირებულია კერძო დაწესებულებების წინააღმდეგ შემოსული განცხადებების წილი, ხოლო გაზრდილია სამართალდამცავი ორგანოებისა და საჯარო უწყებების მიმართ შემოსული განცხადებების პროცენტული მაჩვენებელი.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური საჯარო და კერძო დაწესებულებებს ამოწმებს როგორც მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს შენარჩუნდა კორონავირუსით შექმნილი ვითარება (დაწესებულებებში დისტანციური მუშაობის რეჟიმი, რაც ართულებდა საჯარო და კერძო დაწესებულებებთან კოორდინაციას), სამსახურმა შეძლო შემოწმებების რაოდენობის გაზრდა.

ჩატარებული შემოწმებები



2021 წელს შემოწმებების (ინსპექტირებების) 69% ჩატარდა მოქალაქეთა განცხადებებისა და შეტყობინებების საფუძველზე, ხოლო 31% - სამსახურის ინიციატივით.

სამსახურმა საკუთარი ინიციატივით შესამოწმებელი დაწესებულებები შეარჩია, 2020 წელს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შემუშავებული, კრიტერიუმების საფუძველზე (ასეთ კრიტერიუმებს განეკუთვნებოდა: დიდი მოცულობით მონაცემების დამუშავება, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება, მოწყვლადი ჯგუფების (მათ შორის, შშმ პირების) და არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დამუშავება, მონაცემთა დამმუშავებელ ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთა დიდი რაოდენობა, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება და სხვა). შესაბამისად, დაიდენტიფიცირდა ის კერძო და საჯარო უწყებები, სადაც მაღალი იყო პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების დარღვევის ალბათობა.

ინსპექტორის სამსახურის ინიციატივით ჩატარებული შემოწმებების (ინსპექტირებები) 31% შეეხებოდა საჯარო დაწესებულებებში, 46% - კერძო ორგანიზაციებში, ხოლო 23% - სამართალდამცავ ორგანოებში პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმებას.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების 168 ფაქტი. სამსახურის მიერ გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 59% შეეხებოდა კერძო სექტორში, 24% - საჯარო სექტორში, ხოლო 17% - სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემთა არაკანონიერ დამუშავებას.

გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები



2021 წელს სამსახურის მიერ გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების უმეტესი ნაწილი შეეხებოდა მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევას და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნათა შეუსრულებლობას. კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დეტალური სურათი შემდეგნაირად გამოიყურება:

- 50 (30%) - მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა (,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლი);
- 36 (22%) - მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნათა შეუსრულებლობა (46-ე მუხლი);
- 23 (14%) - მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევა (50-ე მუხლი);
- 19 (11%) - მონაცემთა დამუშავება კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე (43-ე მუხლი);
- 10 (7%) - ვიდეოთვალთვალის წესების დარღვევა (48-ე მუხლი);
- 9 (5%) - მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის გამოყენება წესების დარღვევით (47-ე მუხლი);
- 9 (5%) - უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავება კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევით (52-ე მუხლი);
- 4 (2%) - განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე (45-ე მუხლი);
- 4 (2%) - საჯარო და კერძო დაწესებულებათა შენობაში შესვლისა და შენობიდან გამოსვლის შესახებ მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევა (49-ე მუხლი);
- 2 (1%) - მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მონაცემთა დამუშავების უფლებამოსილი პირისთვის დავალება წესების დარღვევით (51-ე მუხლი);
- 2 (1%) - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მოთხოვნის შეუსრულებლობა (53-ე მუხლი).

გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 55%-ზე ადმინისტრაციული სახდელის სახით გამოყენებული იქნა ჯარიმა, ხოლო 45%-ზე - გაფრთხილება.

გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელები



ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა 59% შემთხვევაში დაეკისრა კერძო დაწესებულებას, 25% შემთხვევაში - საჯარო დაწესებულებას, ხოლო 16% შემთხვევაში - სამართალდამცავ ორგანოს.

პირები რომლებსაც დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ორიენტირებული იყო არა მხოლოდ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაზე, არამედ დაწესებულებებში აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაზეც. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორი, გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად, თავისი გადაწყვეტილებებით გასცემდა შესასრულებლად სავალდებულო დავალებებს და ასევე, რეკომენდაციებს. 2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გასცა 325 დავალება და რეკომენდაცია, რომელთაგან 48% მიემართებოდა კერძო დაწესებულებებს, 29% - საჯარო დაწესებულებებს, ხოლო 23% - სამართალდამცავ ორგანოებს.

სამსახურის მიერ გაცემული დავალებები და რეკომენდაციები



რაც შეეხება სამსახურის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობას, ამ დროისათვის შესრულებულია მათი 57%.

სამსახურის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა



აღსანიშნავია, რომ გაცემული დავალებების შესრულების მაჩვენებელი უფრო მაღალია კერძო დაწესებულებებში, ვიდრე საჯარო უწყებებში. კერძოდ, კერძო დაწესებულებების მიერ შესრულებულია მათზე გაცემული დავალებების 75%, საჯარო დაწესებულებების მიერ - 33%, ხოლო სამართალდამცავი ორგანოების მიერ - 28%.

რაც შეეხება სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრებას, 2021 წელს მიღებული 267 შემაჯამებელი გადაწყვეტილებიდან ამ დროისათვის გასაჩივრებულია 29 გადაწყვეტილება (ანუ, გადაწყვეტილებათა 11%). 29 საქმიდან, სასამართლომ განიხილა მხოლოდ 2 მათგანი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ სამსახურის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების კანონიერების საკითხი). სასამართლომ გააუქმა სამსახურის ორივე გადაწყვეტილება. სხვა 27 საქმეზე, ჯერ კიდევ მიმდინარეობს საქმისწარმოება.

სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრების მაჩვენებელი



2021 წელს სასამართლომ ასევე განიხილა შვიდი საქმე, რომლებიც უკავშირდებოდა სახელმწიფო ინსპექტორის/პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ წინა წლებში მიღებულ გადაწყვეტილებებს (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის ერთ გადაწყვეტილებას, სახელმწიფო ინსპექტორის 2018 წლის ერთ, 2019 წლის სამ და 2020 წლის ორ გადაწყვეტილებას). სასამართლომ, ძალაში დატოვა სახელმწიფო ინსპექტორის ხუთი და გააუქმა ერთი გადაწყვეტილება, ხოლო ერთი სააპელაციო სასამართლოს მიერ ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა საქალაქო სასამართლოს.

03

არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დაცვა

3. არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დაცვა

03

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია და 2019 წელს მიღებული ბავშვის უფლებათა კოდექსი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას - ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბავშვთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების ხელყოფის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია არასრულწლოვანთა პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევა და მათი პერსონალური მონაცემების კანონდარღვევით დამუშავება. აღსანიშნავია, რომ პანდემიამ გაზარდა ბავშვის პერსონალური მონაცემების კანონდარღვევით დამუშავების რისკები, ვინაიდან ისინი უფრო მეტი სიხშირით იყენებენ ინტერნეტს (მომსახურებათა ნაწილი, მათ შორის, განათლების მიღების პროცესი, დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა).

არასრულწლოვნები, როგორც წესი, მწირ ინფორმაციას ფლობენ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების მავნე შედეგების შესახებ და ნაკლებად აცნობიერებენ საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობას. ამასთან, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების კანონდარღვევით გამჟღავნებამ ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენებამ, შესაძლოა გამოიწვიოს ბავშვის ღირსების შელახვა, მისი სტიგმატიზაცია, ბულინგი, დისკრიმინაცია ან/და სხვა სახის ნეგატიური გავლენა იქონიოს არასრულწლოვნის ემოციურ მდგომარეობასა და მის შემდგომ განვითარებაზე. შესაბამისად, არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების კანონიერების მონიტორინგი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მუდმივი პრიორიტეტი იყო.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა 2021 წელსაც აქტიურად გააგრძელა მუშაობა არასრულწლოვანთა მონაცემების დაცვის მიზნით: ჩაატარა ბავშვების მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირების ცნობიერების ამაღლებაზე და ბავშვთა უფლების დარღვევის პრევენციაზე ორიენტირებული არაერთი ღონისძიება, ასევე, შეისწავლა არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავების სხვადასხვა შემთხვევა.

ცნობიერების ამაღლება და განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები

03

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ბავშვების პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით გატარებული ღონისძიებები მიზნად ისახავდა ერთი მხრივ მონაცემთა დამუშავების პროცესების დახვეწას დაწესებულებებში, ხოლო მეორე მხრივ, თავად არასრულწლოვნებისა და მათი მშობლების ცნობიერების ამაღლებას, კერძოდ:

- 2021 წელს სამსახურმა წარმატებით გააგრძელა 2020 წელს დაწყებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩების“ პროექტი, რომლის ფარგლებშიც კონკურსის საფუძველზე, საქართველოს ყველა რეგიონიდან შერჩეულმა პერსონალურ მონაცემთა დაცვით დაინტერესებულმა და მოტივირებულმა სტუდენტებმა, სხვადასხვა რეგიონში (სამცხე- ჯავახეთი, იმერეთი, კახეთი, სამეგრელო) ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები არასრულწლოვნებთან, არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების პროცესში ჩართულ მასწავლებლებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვა თანამშრომლებთან;

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებმა, არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე, ტრენინგი ჩაუტარეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 60-ზე მეტ თანამშრომელს (არასრულწლოვანთა სამმართველოს გამომძიებლებს და არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირებს), 65 მუნიციპალიტეტის 155-ზე მეტ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების 150-ზე მეტ წარმომადგენელს (პედაგოგს და დირექტორს). პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების შესახებ შეხვედრები და ტრენინგები ჩატარდა ასევე 90-ზე მეტ მოსწავლესთან და სტუდენტთან;

- საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარების პარალელურად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ძალისხმევა მიმართული იყო მონაცემთა დაცვის სტანდარტის ამაღლებაზე იმ დაწესებულებებში, რომლებიც ამუშავებენ დიდი რაოდენობით ინფორმაციას არასრულწლოვნებთან დაკავშირებით.. სწორედ ამ მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მმართველობის რეფორმის ფონდის (GRF) პროექტის „საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალ საფეხურზე აყვანა“ მხარდაჭერითა და ა(ა)იპ - ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის (IRC) ჩართულობით, განახორციელა მონაცემთა დამუშავების პროცესების აღწერა და მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის შეფასება ერთ-ერთ (სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51) საჯარო სკოლაში და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში.

სკოლაში აღიწერა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით შეფასდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავების შემდეგი პროცესები: პირველკლასელთა რეგისტრაცია, სასკოლო ჟურნალის წარმოება, დისტანციური სწავლების დროს და კოლეგიური ორგანოების (მათ შორის, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო) მიერ მონაცემების დამუშავება, ვიდეომონიტორინგი, განათლების ელექტრონულ სისტემებში და ბაზებში, მათ შორის - EFLOW-ში, E-SCHOOL WWW.EMIS.GE-ში - სკოლის მიერ მონაცემების დამუშავების პროცესები.

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში აღიწერა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით შეფასდა მონაცემთა დამუშავების პროცესები სხვადასხვა ქვეპროგრამის ფარგლებში. კერძოდ, სოციალური რეაბილიტაციის, ბავშვზე ზრუნვის, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის, განვითარების მძიმე და ღრმა შეზღუდვის მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამები. ასევე შეფასდა შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის (მათ შორის, საერთაშორისო შვილად აყვანის) დროს მონაცემთა დამუშავების პროცესები; თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში და თავშესაფრებში მონაცემთა დამუშავების პროცესები.

შეფასების შედეგების მხედველობაში მიღებით მომზადდა რეკომენდაციები მონაცემთა დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, რაც გულისხმობს შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტების შექმნასა და დასაქმებულთათვის ტრეინინგების ჩატარებას.

ზემოაღნიშნული პროექტის მიზანი იყო ერთი მხრივ, პროექტში მონაწილე დაწესებულების პრაქტიკის მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, ხოლო მეორე მხრივ, სახელმძღვანელო/როლური მაგალითების/მოდელების შექმნა მსგავსი ტიპის დაწესებულებებისთვის.

- დისტანციური სწავლების პროცესში მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შემუშავდა 2 თემატური რეკომენდაცია (საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და მოსწავლეებისთვის/სტუდენტებისთვის) COVID-19 პანდემიის დროს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ. აღნიშნული რეკომენდაციები მომზადდა, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების წერილობითი გამოკითხვისა და ინტერვიუების შედეგების საფუძველზე, USAID-ის მხარდაჭერითა და საკონსულტაციო კომპანია - შპს „იუაი“-ს ჩართულობით;

- პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე ბავშვების ცნობიერების ამაღლებისა და მონაცემთა დაცვის პროცესში მათი ჩართულობის წახალისების მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ჩაატარა ფოტოკონკურსი „ჩემი პერსონალური მონაცემები ჩემია“. კონკურსში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 100-მდე სკოლის მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, ხოლო საუკეთესო თემატური ფოტოს ხუთი ავტორი დაჯილდოვდა.

შესწავლილი პროცესები

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების 15 შემთხვევა, რომელთაგან შვიდი განხორციელდა მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე, ხოლო რვა - სამსახურის ინიციატივით. სამსახურში შემოსული განცხადებები ძირითადად შეეხებოდა ინფორმირების წესების დარღვევას (სამართალდამცავ ორგანოში არასრულწლოვნის მიმართ მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის, ასევე, სამედიცინო დაწესებულებაში არასრულწლოვნის შესახებ დაცული მონაცემების არასრულწლოვნისთვის/მისი კანონიერი წარმომადგენლისთვის მიუწოდებლობას), არასრულწლოვნის მონაცემების კანონდარღვევით მოპოვებასა და სოციალურ ქსელებში გასაჯაროებას.

სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა შვიდ პირს 11 სამართალდარღვევისთვის. სანქციის სახით ოთხი პირის მიმართ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო სამი პირის მიმართ - ჯარიმა. ადმინისტრაციული სახდელების პარალელურად, საჯარო და კერძო დაწესებულებებში, მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა ხუთი რეკომენდაცია და შესასრულებლად სავალდებულო 18 დავალება.

არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება



2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინიციატივით არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესები შესწავლილ იქნა ისეთ ორგანიზაციებში, რომლებიც ყოველდღიურად დიდი მოცულობით ან/და სენსიტიურ მონაცემებს ამუშავებენ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით. ყურადღება გამახვილდა მონაცემების ელექტრონული ფორმით დამუშავებაზე. ასევე, გათვალისწინებული იქნა რეგიონული დაფარვა. სამსახურმა შეისწავლა/შეამოწმა:

- ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“. შესწავლა განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან სააგენტო (რომელიც არის თბილისის მასშტაბით სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების - ბაგა-ბაღების ადმინისტრატორი) ამუშავებს ბავშვების შესახებ დიდი მოცულობის ინფორმაციას. შემოწმება მოიცავდა სააგენტოს მიერ საჯარო ბაგა-ბაღის აღსაზრდელების რეგისტრაციის პროცესში მონაცემების მოპოვებისა და შენახვის კანონიერებას. აღსაზრდელების საჯარო ბაგა-ბაღებში ელექტრონული რეგისტრაცია, 2011 წლიდან, სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის მეშვეობით ხორციელდება. ამ პერიოდიდან შემოწმების განხორციელებამდე, სააგენტოს ვებგვერდის მეშვეობით დამუშავდა 53 436 ბავშვის, ასევე, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები.

სააგენტოში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ სააგენტოს ვებგვერდის მეშვეობით იმ საჯარო ბაგა-ბაღის ნომრის, სახელწოდებისა და მისამართის მოძიებაა შესაძლებელი, სადაც რეგისტრირებულია კონკრეტული ბავშვი. ამ ინფორმაციის მოპოვებისთვის არ იყო საჭირო მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვერიფიკაცია ან ავტორიზაცია, საკმარისი იყო მხოლოდ ბავშვის პირადი ნომრის ვებგვერდის შესაბამის ველში მითითება. შესაბამისად, ბავშვის ბაგა-ბაღისა და მისი ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება შეეძლო ნებისმიერ პირს, რომელმაც იცოდა ბავშვის პირადი ნომერი. ბავშვის მონაცემების საჯაროდ ხელმისაწვდომობის რისკების (მისი მოწყვლადი ხასიათის, მისი მსხვერპლად გახდომის სიმარტივის) გათვალისწინებით, სამსახურის მიერ კანონდარღვევად იქნა მიჩნეული ბავშვის პერსონალური მონაცემების ამ ფორმით დამუშავება. ამასთან, შემოწმების პროცესში გამოვლინდა, რომ სააგენტოს არ ჰქონდა განსაზღვრული რეგისტრაციის პროცესში დამუშავებული მონაცემების შენახვის ვადა და მონაცემთა შენახვა ხდებოდა განუსაზღვრელი ვადით.

სამსახურის გადაწყვეტილება: სააგენტოს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 46-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა). ამავდროულად, დაევალა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მონაცემების ვებგვერდზე ხელმისაწვდომობის მოდიფიცირების უზრუნველყოფა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქ. ნინოწმინდის წმიდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი. პანსიონის ხელმძღვანელმა თავის პირად „FACEBOOK“ გვერდზე საჯაროდ განათავსა რამდენიმე აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, რომლებიც სრულად იძლეოდა ამავე ჩანაწერებში ასახული არასრულწლოვნების იდენტიფიცირების საშუალებას, ხელმისაწვდომს ხდიდა მათ ვინაობას, ვიზუალურ გამოსახულებას, ხმას, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას და სხვა. აღნიშნულ ვიდეოჩანაწერებს განთავსებიდან რამდენიმე საათში ჰქონდა ასეულობით „გაზიარება“ და „ნახვა“, ხოლო გასაჯაროებიდან რამდენიმე კვირაში - ათი ათასობით „ნახვა“, მათზე გამოხატული იყო ათასობით „რეაქცია“ და ასეულობით „კომენტარი“ სოციალური ქსელის სხვადასხვა მომხმარებლის მხრიდან. არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელებისთანავე, სახელმწიფო ინსპექტორმა მყისიერად დაიწყო პანსიონის შემოწმება. შემოწმება მოიცავდა პანსიონის მიერ არასრულწლოვანი ბენეფიციარების ამსახველი აუდიო-ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების კანონიერების შესწავლას.

პანსიონატში მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ 2021 წლის მაისი-ივნისის თვეებში პანსიონატის გარშემო განვითარებული მოვლენებისა (არსებობდა პანსიონატში ბავშვთა მიმართ ძალადობის განხორციელების ეჭვი) და იქ მცხოვრები ბენეფიციარების უფლებრივი მდგომარეობის მიმართ საზოგადოების დიდი ინტერესის მიუხედავად, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების გასაჯაროებისას განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა იყო საჭირო. ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა სხვა დანარჩენ ინტერესებთან შედარებით, აღიარებულია როგორც ეროვნული, ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობით. შესაბამისად, პანსიონატის ხელმძღვანელს, რომლის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენდა ბავშვების უფლებების დაცვა და განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა არასრულწლოვანთა საუბრებისა და პირადი შეხვედრების კონფიდენციალობის დაცვაში, უნდა შეეფასებინა ზემოაღნიშნული საფრთხეები და არ უნდა მოეხდინა მონაცემების აღნიშნული ფორმითა და მოცულობით გასაჯაროება. აღსანიშნავია, რომ პანსიონატმა შემოწმების პროცესში, 2021 წლის პირველი ივლისიდან 2021 წლის 12 ივლისის პერიოდში წაშალა სოციალურ ქსელში გასაჯაროებული ვიდეოჩანაწერები.

სამსახურის გადაწყვეტილება: პანსიონატს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა).

- ქ. ბათუმის მუნიციპალურ ტრანსპორტში მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის შეღავათიანი ტარიფით მგზავრობისთვის საჭირო ბარათების დამზადება. შესწავლა განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან მუნიციპალურ ტრანსპორტში მოსწავლეების/სტუდენტების შეღავათიანი ტარიფით მგზავრობის მიზნით მრავალი პირის შესახებ მონაცემები მუშავდება და ამ პროცესში ადგილი აქვს არასრულწლოვნების მონაცემების დამუშავებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2021 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით დამუშავდა 11 988 მოსწავლისა და 8 493 სტუდენტის მონაცემები.

მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ ბათუმის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე, ქ. ბათუმის ბიუჯეტით გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობისთვის საჭირო ბარათების დამზადების მიზნით მოსწავლეებისა და სტუდენტების მონაცემების დამუშავების პროცესში ჩართულნი არიან როგორც საჯარო, ასევე კერძო ორგანიზაციები (მათ შორის, ქ. ბათუმის მერია - შეღავათიანი მგზავრობისთვის საჭირო ფინანსების გამოყოფის მიზნით და ბანკი - სამგზავრო ბარათების გაცემის მიზნით). შესწავლის ფარგლებში, მოსწავლეებისა და სტუდენტების მონაცემების დამუშავების პროცესში ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ დადგინდა. თუმცა გამოვლინდა საკანონმდებლო ხარვეზი - საკითხის მარეგულირებელი ქ. ბათუმის საკრებულოს დადგენილება სრულყოფილად არ იყო მორგებული მოქმედ პრაქტიკასა და საჭიროებებზე. კერძოდ, საკრებულოს დადგენილება ითვალისწინებდა მოსწავლეების მხოლოდ გარკვეული ნაწილის მონაცემების დამუშავებას, ხოლო მონაცემთა ნაწილის დამუშავება ხორციელდებოდა მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე.

სამსახურის გადაწყვეტილება: მონაცემთა დამუშავების პროცესის განჭვრეტადობის უზრუნველსაყოფად, ქ. ბათუმის საკრებულოზე გაიცა ზემოაღნიშნული ხარვეზის გამოსწორების რეკომენდაცია.

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შესწავლა განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან უნივერსიტეტები ამუშავებდნენ მრავალი პირის შესახებ დიდი მოცულობის პერსონალურ მონაცემებს. შემოწმების ფარგლებში შესწავლილ იქნა უნივერსიტეტების მიერ ელექტრონული პორტალების მეშვეობით სტუდენტების მონაცემების დამუშავების კანონიერება. შემოწმების პროცესში დადგინდა, რომ ერთ-ერთ პორტალს ასევე აქვს დასაქმების ფუნქციაც, რომლის მეშვეობით, რიგ შემთხვევებში, პოტენციური დამსაქმებლებისთვის ხელმისაწვდომი ხდება სტუდენტების მონაცემები. აღნიშნული პორტალების მეშვეობით უნივერსიტეტები ამუშავებენ 118 000-ზე მეტი სტუდენტის/კურსდამთავრებულის (მათ შორის, არასრულწლოვანი სტუდენტების) მონაცემებს.

უნივერსიტეტებში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ ელექტრონული პორტალების მეშვეობით სტუდენტების მონაცემების დამუშავებისას უნივერსიტეტები სრულად არ აღრიცხავდნენ სტუდენტების მონაცემების მიმართ შესრულებულ ქმედებებს. მაგალითად, არ აღირიცხებოდა დასაქმებული პირების (ადმინისტრაციული ან აკადემიური პერსონალის) მიერ სტუდენტების რა მონაცემების დათვალიერება/ჩამოტვირთვა ხდებოდა, რაც მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირების ფართო წრის გათვალისწინებით, ქმნიდა მონაცემთა კანონდარღვევით დამუშავებისა და მათი არასამსახურებრივი მიზნით გამოყენების რისკებს. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, ამავე პორტალების მეშვეობით, სტუდენტებისგან მოიპოვებოდა ან/და პოტენციური დამსაქმებლებისთვის ხელმისაწვდომი ხდებოდა სტუდენტების ისეთი მონაცემები, რომელთა მოპოვების/გაზიარების საჭიროება არ არსებობდა. მაგალითად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პორტალზე სტუდენტებს სავალდებულოდ უნდა შეევსოთ ისეთი ველები, რომლებიც შეეხებოდა სტუდენტის ოჯახურ მდგომარეობას, ხოლო სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, პოტენციურ დამსაქმებელს უზიარებდა პორტალზე სტუდენტის ბოლო ვიზიტის თარიღს და IP მისამართს.

სამსახურის გადაწყვეტილება: უნივერსიტეტებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 46-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობა) და ამავდროულად, დაევალათ შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

- სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო. ვინაიდან სააგენტო წარმოადგენდა მონაცემთა მსხვილ დამმუშავებელს, შემოწმება განხორციელდა სამსახურის ინიციატივით და მოიცავდა სააგენტოს მიერ მსჯავრდებულთა, მათ შორის, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას. 2021 წლის მარტის თვის მდგომარეობით, სააგენტო ამუშავებდა დაახლოებით 14 000 მსჯავრდებულის ბიომეტრულ მონაცემს (თითის ანაბეჭდს).

სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ მსჯავრდებულების ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა მიმართ განხორციელებული გარკვეული ქმედებები არ აღირიცხებოდა - არ აღირიცხებოდა ადმინისტრატორების/დეველოპერების (რომელთა სამსახურებრივი მოვალეობებს წარმოადგენს ბაზის ადმინისტრირება, ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა, ცვლილებების შეტანა) მიერ განხორციელებული ქმედებები.

სამსახურის გადაწყვეტილება: მონაცემთა კანონდარღვევით დამუშავების საფრთხეების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, სააგენტოს მიეცა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის დავალება.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

- გარდა ზემოაღნიშნულისა, არასრულწლოვნების, მათი კანონიერი წარმომადგენლების ან/და მათი წარმომადგენელი არასამთავრობო (ძირითადად, ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“) ორგანიზაციის განცხადებების საფუძველზე სამსახურმა შეისწავლა სხვადასხვა საჯარო (მათ შორის, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს) და კერძო ორგანიზაციების მიერ არასრულწლოვნების/მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირების (მათთვის არასრულწლოვნებთან დაკავშირებული ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მიწოდების) კანონიერება.

სხვადასხვა დაწესებულებაში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლისას გამოვლინდა შემთხვევები, როცა არასრულწლოვნებს ან/და მათ კანონიერ წარმომადგენლებს კანონით დადგენილი წესით (დროულად და შემჭიდროებულ ვადებში) არ მიეწოდებათ ან საერთოდ არ გადაეცემათ მათი მონაცემების შემცველი დოკუმენტები ან/და ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს არასრულწლოვანისთვის და შეაფერხოს მისი სხვა უფლებების რეალიზება.

სამსახურის გადაწყვეტილებები: მონაცემთა დამმუშავებლებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევა). ასევე, შესაბამის ორგანიზაციებს, მონაცემთა სუბიექტების დროული და ჯეროვანი ინფორმირების მიზნით, დაევალათ ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ბავშვის პერსონალური მონაცემების დამუშავება ექვემდებარება უფრო მაღალ სტანდარტებს, საჭიროებს უფრო მეტ დაცვას და ორგანიზაციებს აკისრებს ვალდებულებას იმოქმედონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ამ სფეროში არსებული მკაცრი რეგულაციების მიუხედავად, სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეები და განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ სხვადასხვა საჯარო და კერძო დაწესებულებების მიერ არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების პროცესში ფიქსირდება გარკვეული დარღვევები და ნაკლოვანებები, კერძოდ:

- ორგანიზაციების უმეტესობას არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების თითოეულ პროცესთან მიმართებით ჯეროვნად არ აქვს შეფასებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების ხელყოფის რისკები (მაგალითად, ბავშვის ბაგა-ბაღის შესახებ ინფორმაციის მარტივად ხელმისაწვდომი ფორმით განთავსება). ასეთი შეფასების გარეშე, ბავშვის პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის შერჩეული საშუალებები და ფორმები ხშირად ქმნის არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაზიანების ისეთ საფრთხეებს, რამაც შესაძლოა წარუშლელი კვალი დატოვოს ბავშვის ფსიქიკაზე და მის განვითარებაზე;

- ორგანიზაციების უმეტესობას არ აქვს მიღებული ადეკვატური და ეფექტური ზომები მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად. მაგალითად, მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციები არ აღრიცხავენ ელექტრონულ სისტემებში არსებული არასრულწლოვნების მონაცემების მიმართ შესრულებულ ყველა მოქმედებას (მაგალითად, მონაცემების დათვალიერების, გადმოწერის, რედაქტირების ფაქტებს). მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის გარეშე კი, ორგანიზაცია ვერ განახორციელებს ჯეროვან მონიტორინგს - ვის, როდის, რა მიზნითა და რა მოცულობით ჰქონდა წვდომა არასრულწლოვანთა მონაცემებზე. ასევე, კონკრეტული შემთხვევის - მაგალითად, არასრულწლოვნის მონაცემების კანონდარღვევით გამჟღავნების ფაქტის დადგომისას - რთულდება ან შეუძლებელი ხდება მონაცემების კანონდარღვევით გამჟღავნებაზე პასუხისმგებელი პირის გამოვლენა;

- ცალკეულ შემთხვევაში, ორგანიზაციებს არ აქვთ განსაზღვრული არასრულწლოვანთა მონაცემების შენახვის ვადები და განუსაზღვრელი ვადით ინახავენ პერსონალურ მონაცემებს. გარკვეული მონაცემები, დროის გასვლასთან ერთად, ძველდება, კარგავს აქტუალობას და აღარ არსებობს მათი შენახვის საჭიროება. ასეთი ინფორმაციის განუსაზღვრელი ვადით შენახვა შეიძლება განსაკუთრებით საზიანო იყოს არასრულწლოვანი პირებისთვის, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისა და განვითარების მნიშვნელობიდან გამომდინარე;

- გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციები მონაცემთა სუბიექტ ბავშვებს ან/და მათ კანონიერ წარმომადგენლებს, მოთხოვნის მიუხედავად, სათანადოდ არ აწვდიდნენ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მათი მონაცემების შემცველ ინფორმაციას/დოკუმენტებს ან/და მათი მიწოდება ხდებოდა არაგონივრულ (გაჭიანურებულ) ვადებში. მაშინ როცა, არასრულწლოვნებისთვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის დროული გადაცემა ხშირ შემთხვევებში უშუალო კავშირშია მათი საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი უფლებების რეალიზებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეული ორგანიზაცია ჯეროვანი პასუხისმგებლობით მოეკიდოს არასრულწლოვნის/მისი კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნას, ბავშვის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის/დოკუმენტაციის გადაცემაზე და გონივრულ ვადებში უზრუნველყოს მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების სტანდარტის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია, რომ იმ ორგანიზაციებმა, რომელთა საქმიანობაც არასრულწლოვნებს უკავშირდება, მეტად გაამახვილონ ყურადღება ამ მიმართულებით ბავშვთა უფლებების დაცვაზე. ამ მიზნით, ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც არასრულწლოვანთათვის გასაგები, მარტივი ენით იქნება აღწერილი მონაცემთა დამუშავების პროცესები და ამ პროცესების მიმდინარეობისას მათი უფლებები. ასევე, მნიშვნელოვანია ორგანიზაციებმა პერიოდულად იზრუნონ არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დამუშავებაში ჩართული პირების (მაგალითად, დირექტორების, მასწავლებლების, მანდატურების, სოციალური მუშაკების), პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ცნობიერების ამაღლებაზე.

04

ვიდეო-აუდიომონიტორინგის გზით პერსონალური მონაცემების დამუშავება

4. ვიდეო-აუდიომონიტორინგის გზით პერსონალური მონაცემების დამუშავება

04

ვიდეოთვალთვალი პერსონალური მონაცემების დამუშავების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა, რომელსაც საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში იყენებენ. თანამედროვე ტექნოლოგიების სამყაროში ვიდეოთვალთვალის სისტემები, მათი მრავალფეროვანი ფუნქციების გათვალისწინებით, დიდი მოცულობით და სხვადასხვა სახის პერსონალური მონაცემების დამუშავების (მოპოვების, ჩაწერის, შენახვის) შესაძლებლობას იძლევა. ვიდეოსათვალთვალო კამერების უმეტესობას აქვს პირდაპირ რეჟიმში დაკვირვების, ღამის ხედვის, მანევრირების, შორი მანძილიდან დაკვირვების, დეტალების (მათ შორის, ადამიანის თვალისთვის შეუმჩნეველი) აღმოჩენის, აუდიოჩაწერის, ასევე, ადამიანის უნიკალური მახასიათებლების (მაგალითად, სახის) ამოცნობის, მათი ქცევის შესწავლისა და გაანალიზების საშუალება. ვიდეოთვალთვალის მეშვეობით შესაძლებელია ადამიანის რეგულარული და სისტემური მონიტორინგი. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ვიდეოთვალთვალის პარალელურად, ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა აუდიომონიტორინგის მეშვეობით მონაცემების დამუშავების შემთხვევებმა, რაც პერსონალური მონაცემების არაკანონიერი დამუშავებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საფრთხეებს წარმოშობს.

დაკვირვების გარეშე გადაადგილება და საკუთარი ქცევებისა და მახასიათებლების კონფიდენციალობის დაცვა პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, აუცილებელია, ვიდეოთვალთვალის სისტემები და მათი ფუნქციონირებისას მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, ვიდეოჩანაწერის შენახვისთვის განსაზღვრული ვადა, ვიდეოჩანაწერის გამოყენების ფორმები და ვიდეოჩანაწერზე აღბეჭდილი პირების პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები სრულად შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას. საჯარო და კერძო დაწესებულებებისა და ფიზიკური პირების მიერ განხორციელებულ ვიდეოთვალთვალზე ზედამხედველობა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო 2021 წელს.

ცნობიერების ამაღლება და განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ვიდეო-აუდიომონიტორინგის გზით პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით გაატარა სხვადასხვა ღონისძიება, რომლებიც ემსახურებოდა ვიდეო-აუდიომონიტორინგის გზით პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. კერძოდ:

- სამსახურმა შეიმუშავა დეტალური და ვრცელი რეკომენდაცია ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესების შესახებ, რომელიც მოიცავს ქუჩაში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საჯარო და კერძო დაწესებულებებსა და საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესებს, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ვიდეოთვალთვალის განხორციელების სპეციფიკას და ასევე, ევროპული ქვეყნების პრაქტიკას. ნიშანდობლივია, რომ რეკომენდაციაში მონაცემთა დამმუშავებლებისთვის შეთავაზებულია ნიმუშები (დანართების სახით), ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ მონაცემთა სუბიექტების გაფრთხილებისა და მათი უფლებების შესახებ;

- საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარების პარალელურად, 2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა FACEBOOK-ის საშუალებით გაავრცელა ვიდეოლექცია თემაზე - „ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესები და ამ გზით მოპოვებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება“ ვიდეოლექციის მიზანი იყო ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირებისთვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ რეგულაციებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება და ასევე, მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება ვიდეოთვალთვალის განხორციელების პროცესში მათი უფლებების შესახებ.

შესწავლილი პროცესები

04

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა სხვადასხვა საჯარო თუ კერძო დაწესებულების, ასევე, ფიზიკური პირების მიერ ვიდეო-აუდიომონიტორინგის გზით პერსონალური მონაცემების დამუშავების 32 შემთხვევა. მათგან, 23 განხორციელდა მოქალაქეთა განცხადებების/შეტყობინებების საფუძველზე, ხოლო ცხრა სამსახურის ინიციატივით.

მოქალაქეები ძირითადად მიუთითებდნენ სავაჭრო ობიექტებში არსებულ გამოსაცვლელ ოთახებში მიმდინარე ვიდეოთვალთვალზე, მეზობლების მიერ საცხოვრებელი ბინის შესასვლელის ვიდეომონიტორინგზე, სააფთიაქო ქსელში მიმდინარე აუდიომონიტორინგზე, შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის გარეშე ვიდეოთვალთვალზე და სხვა.

სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 25 პირს 33 სამართალდარღვევისთვის. სანქციის სახით 17 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო რვა პირის მიმართ - ჯარიმა. ადმინისტრაციული სახდელების პარალელურად, საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა ორი რეკომენდაცია და შესასრულებლად სავალდებულო 54 დავალება.

ვიდეო-აუდიომონიტორინგის გზით პერსონალური მონაცემების დამუშავება



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ 2021 წელს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა აუდიომონიტორინგის გზით მონაცემების დამუშავების კანონიერების ზედამხედველობაზე. ასევე, გათვალისწინებული იქნა რეგიონული დაფარვაც. სამსახურმა შეისწავლა/შეამოწმა:

- სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი. შესწავლა, რომელიც განხორციელდა მოქალაქის განცხადების საფუძველზე, მოიცავდა ცენტრის მიერ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებისთვის განკუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებებში დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო კამერების მეშვეობით აუდიოჩაწერის გზით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებას.

ცენტრში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის შედეგად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ ცენტრი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებისთვის განკუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებებში დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო კამერების მეშვეობით იწერდა ავტოსატრანსპორტო საშუალების სალონის წინა ნაწილში მსხდომი ბრიგადის წევრების საუბარს. აუდიოჩაწერის მიზნად ცენტრმა მიუთითა სამედიცინო მუშაკების მიერ მათი ფუნქცია-მოვალეობების შესრულების ხარისხის კონტროლისა და ასევე, ცენტრის საკუთრების, მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალებებში არსებული ინვენტარისა და სხვა პირთა საკუთრების ხელყოფის პრევენციის/დაცვის საჭიროება. სახელმწიფო ინსპექტორმა ცენტრის მიერ მითითებული მიზნ(ებ)ის მისაღწევად ბრიგადის წევრთა კომუნიკაციის მუდმივ რეჟიმში აუდიოჩაწერა არ მიიჩნია მონაცემთა დამუშავების ადეკვატურ და აუცილებელ საშუალებად, ვინაიდან (ცენტრის მითითებით) გამოძახებაზე დაგვიანებით გასვლა და გამოძახებიდან დაგვიანებით დაბრუნების ფაქტები კონტროლდებოდა ავტოსატრანსპროტო საშუალებებში არსებული GPS სისტემის მეშვეობით. შესაბამისად, აღნიშნული მიზნის მიღწევა მონაცემთა დამუშავების ალტერნატიული ეფექტური მექანიზმებით ხორციელდებოდა. ასევე, ბუნდოვანი იყო როგორ ემსახურებოდა თანამშრომელთა აუდიოჩაწერა ინვენტარის დაზიანების პრევენციას. აღსანიშნავია ისიც, რომ შემოწმების პროცესში ცენტრმა ძველი აუდიო-ვიდეო ტექნიკა ჩაანაცვლა ახლით, რომელიც აღარ იწერდა ბრიგადების წევრთა საუბარს.

სამსახურის გადაწყვეტილება: ცენტრს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა). ამავდროულად, ცენტრს დაევალა აუდიოჩაწერის გზით დამუშავებული მონაცემების წაშლა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, საკუთარი ინიციატივით მიიღო სამინისტროში დასაქმების მსურველთა მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმების გადაწყვეტილება, ვინაიდან სამინისტრო კანდიდატების შესახებ ამუშავებდა დიდი მოცულობით პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის (სადაც დასაქმების მსურველი პირები გადიან სამედიცინო შემოწმებას) დერეფნებსა და სამედიცინო კომისიის თავმჯდომარის სამუშაო ოთახში მიმდინარეობდა ვიდეო-აუდიომონიტორინგი.

სამინისტროს შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დერეფანში და სამედიცინო კომისიის თავმჯდომარის სამუშაო ოთახში განთავსებული რამდენიმე ვიდეოსათვალთვალო კამერის მეშვეობით მიმდინარეობდა აუდიოჩაწერაც. ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის განმარტებით, მათ არ ჰქონდათ დერეფნებში აუდიოჩაწერის მიზანი და ამ ფორმით მონაცემები მუშავდებოდა კამერის შესაძლებლობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა შემოწმების პროცესშივე უზრუნველყო აუდიოჩაწერის ფუნქციის გათიშვა დერეფნებში. სამედიცინო კომისიის თავმჯდომარის სამუშაო ოთახში აუდიოჩაწერის მიზანთან დაკავშირებით კი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა განმარტა, რომ ეს აუცილებელი იყო უსაფრთხოებისთვის. კერძოდ, მაღალი იყო კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობის რისკი კანდიდატის ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ გაცემული დასკვნის შემთხვევაში, ვინაიდან ეს იწვევდა უკმაყოფილებას და ისინი ასეთი დასკვნის გასაპროტესტებლად შედიოდნენ თავმჯდომარის ოთახში. შესაბამისად, კონფლიქტის შემთხვევაში ვიდეო-აუდიოჩანაწერი იყო მნიშვნელოვანი მტკიცებულება. თუმცა, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის განმარტების თანხმად, ვიდეო-აუდიოჩანაწერის გამოყენების საჭიროება ამ დრომდე არასოდეს დამდგარა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა არ გაიზიარა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ზემოაღნიშნული განმარტება, ვინაიდან კომისიის თავმჯდომარის სამუშაო ოთახში გარდა კანდიდატებისა, ხვდებოდნენ ამავე სამსახურში დასაქმებული პირები. მათი ინფორმირების არარსებობა კი ქმნიდა მონაცემების არაპროპორციული მოცულობით დამუშავების რისკებს. ამასთან, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა ვერ დაასაბუთა არადამაკმაყოფილებელი შედეგის მქონე კანდიდატების უკმაყოფილების შემთხვევაში მონაცემების ამ ფორმით დამუშავების აუცილებლობა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ჩანაწერების გამოყენების საჭიროება არასოდეს დამდგარა. დამატებით საგულისხმო იყო ის გარემოებაც, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დანიშნულებიდან გამომდინარე, სამუშაო ოთახში მიმდინარე შეხვედრები შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო კანდიდატების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებთან, რაც მათი კანონდარღვევით დამუშავების მომეტებულ საფრთხეს ქმნიდა.

სამსახურის გადაწყვეტილება: ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა). ამავდროულად, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს დაევალა შეეწყვიტა კომისიის თავმჯდომარის სამუშაო ოთახში აუდიოჩაწერა, ხოლო ამავე ოთახში უზრუნველეყო მონიტორის განთავსება იმგვარად, რომ იქ ასახული ვიდეოკადრები ხელმისაწვდომი არ გამხდარიყო არაუფლებამოსილი პირებისთვის.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

- სააფთიაქო ქსელი. მოქალაქის შეტყობინების საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა ერთ-ერთი აფთიაქის ფილიალში პერსონალური მონაცემების აუდიოჩაწერის გზით დამუშავების კანონიერება.

სააფთიაქო ქსელის შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ აფთიაქის მიერ, მომსახურების დახლთან და ჭერზე განთავსებული მოწყობილობების მეშვეობით, მომსახურების მონიტორინგის, თანამშრომელთა შეფასების, მათი წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, მომხმარებელთა მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების განხილვისა და გადაწყვეტის, აგრეთვე, მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, 24 საათიან რეჟიმში ხორციელდებოდა აუდიომონიტორინგი.

ვინაიდან აუდიომონიტორინგი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა კომპანიაში დასაქმებული პირების მუდმივ სამუშაო სივრცეში, სადაც აღნიშნული პირები შესაძლოა ახორციელებდნენ როგორც სამსახურებრივ, ასევე არასამსახურებრივ კომუნიკაციას, ხოლო მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევა არ მიმდინარეობდა 24 საათიან რეჟიმში, სახელმწიფო ინსპექტორმა მიიჩნია, რომ მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნის მიღწევა აფთიაქში შესაძლებელი იყო სხვა გზით, დასაქმებულთა და მომხმარებელთა ნაკლები მოცულობის მონაცემების დამუშავების გზით.

სამსახურის გადაწყვეტილება: კომპანიას დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა). ამავდროულად, კომპანიას დაევალა ყველა ფილიალში აუდიომონიტორინგის შეწყვეტა და აუდიომონიტორინგის მეშვეობით მოპოვებული მასალის სრულად განადგურება.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: არ შესრულდა. გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სასამართლოში.

- კერძო კლინიკა. ერთ-ერთი ტელევიზიის საშუალებით გასული სიუჟეტით დგინდებოდა, რომ კერძო კლინიკაში ვიდეოსათვალთვალო სისტემების მეშვეობით მიმდინარეობდა აუდიომონიტორინგიც. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, საკუთარი ინიციატივით დაიწყო კერძო კლინიკის შემოწმება, რომელიც კლინიკაში ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლას მოიცავდა.

კერძო კლინიკის შემოწმების შედეგად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ კლინიკა 24 საათიანი რეჟიმში ახორციელებდა ვიდეო-აუდიომონიტორინგს. ვიდეომონიტორინგის მიზნად კლინიკამ დაასახელა საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვა, მათ შორის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების ბრუნვაზე კონტროლი, ხოლო აუდიომონიტორინგის განხორციელების მიზნად მითითებული იქნა ფულადი ანგარიშსწორების მონიტორინგი. მათი განმარტებით, ყოველდღიურად ხდებოდა კლინიკის მომხმარებლებისგან/მომხმარებლებისთვის სხვადასხვა ოდენობის თანხის მიღება/გაცემა, მათ შორის, ნაღდი ანგარიშსწორების გზით.

აღსანიშნავია, რომ კლინიკის მიერ აუდიოჩაწერა მიმდინარეობდა მხოლოდ ერთი ვიდეოსათვალთვალო კამერის მეშვეობით, რომლის ხედვის არეალშიც ხვდებოდა კლინიკის მისაღები სივრცე (სადაც განთავსებული იყო კლინიკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია). მნიშვნელოვან გარემოებად იქნა მიჩნეული ის ფაქტი, რომ ამ სივრცეში ხვდებოდნენ სხვადასხვა პირები, მათ შორის, პაციენტები. ამდენად, კლინიკა იწერდა მათ შორის შემდგარ კომუნიკაციას, რომელსაც შეიძლება მოეცვა პირადი საუბრებიც. აღნიშნული სივრცე წარმოადგენდა კლინიკის კონკრეტული თანამშრომლების მუდმივ სამუშაო ადგილსაც, სადაც დასაქმებული პირები შესაძლოა ახორციელებდნენ როგორც სამსახურებრივ, ასევე არასამსახურებრივ აქტივობებს. შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევა არ მიმდინარეობდა 24 საათიან რეჟიმში, ხოლო მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნის მიღწევა კლინიკაში შესაძლებელი იყო სხვა, ნაკლები მოცულობის მონაცემების დამუშავების გზით. ამასთან, კლინიკის თანამშრომლები არ იყვნენ ინფორმირებულნი ვიდეო-აუდიომონიტორინგის პროცესში მათი უფლებების შესახებ.

შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ კლინიკის მიერ ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით მოპოვებული ჩანაწერები გადაეცა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ისე რომ ვიდეოჩამწერ მოწყობილობებში არ ფიქსირდებოდა ჩანაწერების ამოღების დამადასტურებელი ინფორმაცია (ე.წ. ლოგ-ჩანაწერები).

სამსახურის გადაწყვეტილება: კლინიკას დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე, 44-ე და 46-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე მონაცემთა დამუშავება, მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა). ამავდროულად, კლინიკას დაევალა: ა) მათი უფლებების შესახებ მასთან დასაქმებული ყველა იმ პირის წერილობითი ინფორმირება, რომელთა სამუშაო ადგილზეც მიმდინარეობდა ვიდეოთვალთვალი; ბ) შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფდა ვიდეოსათვალთვალო სისტემაში არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვას.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: არ შესრულდა. გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სასამართლოში.

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა რამდენიმე საქმე, რომლებიც შეეხებოდა კერძო კომპანიების მიერ ვიდეოთვალთვალის კანონიერებას. სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმებები მოიცავდა ვიდეოსათვალთვალო სისტემების მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავებისას მიღებული უსაფრთხოების ზომებისა და ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გამჟღავნების კანონიერების შესწავლას.

სამსახურის მიერ კერძო კომპანიების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა პირებმა, მათ მფლობელობაში არსებული ვიდეოსათვალთვალო სისტემიდან, ვიდეოჩანაწერები გადასცეს/დაათვალიერებინეს არაუფლებამოსილ პირებს - პოლიციის თანამშრომლებს ისე, რომ ადგილზე მისულ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს მათთვის არ წარუდგენიათ არავითარი სამართლებრივი დოკუმენტი (სასამართლო განჩინება, პროკურორის დადგენილება, წერილობითი დასაბუთება), რაც ვიდეოჩანაწერების დათვალიერების კანონიერ საფუძველს წარმოშობდა. ამასთან, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა პირებმა არ აღრიცხეს ვიდეოჩანაწერების სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისთვის გამჟღავნების შესახებ ინფორმაცია.

სამსახურის მიერ კერძო კომპანიებში ჩატარებული შემოწმებების ფარგლებში გამოვლინდა სხვა სახის ორგანიზაციული და ტექნიკური უსაფრთხოების ზომების მიუღებლობის შემთხვევებიც. კერძოდ, კერძო კომპანიების მიერ სათანადოდ არ იყო დაცული ვიდეოჩანაწერების შემნახველი მოწყობილობები და მათზე ხელი მიუწვდებოდა ნებისმიერ პირს პროგრამაში დამახსოვრებული პაროლის გამოყენებით. ამასთან, ერთ-ერთ მონაცემთა დამმუშავებელს ვიდეოსათვალთვალო სისტემასთან განთავსებულ ფურცელზე მითითებული ჰქონდა სისტემაში შესასვლელი მომხმარებლის სახელი და პაროლი, რაც ხელმისაწვდომი იყო სხვა პირებისთვის, რომლებსაც დაინტერესების შემთხვევაში შეეძლოთ სისტემაში არსებულ ვიდეოჩანაწერებზე წვდომა.

სამსახურის გადაწყვეტილებები: ზემოაღნიშნული ფაქტები სამსახურის მხრიდან შეფასებული იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე და 46-ე მუხლებით (ამ კანონით გათვალისწინებული მონაცემთა საფუძვლების გარეშე დამუშავება, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნის შეუსრულებლობა) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ დარღვევად. შესაბამის კერძო კომპანიებს დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და მიეცათ შესასრულებლად სავალდებულო დავალებები.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია

- გასული წლების მსგავსად, 2021 წელსაც არაერთმა მოქალაქემ მომართა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს საცხოვრებელი შენობის ვიდეოთვალთვალის კანონიერების შემოწმების მოთხოვნით.

საცხოვრებელი შენობების ვიდეოთვალთვალის შესახებ მოქალაქეთა მომართვების საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ, ჩატარებული შემოწმებებით დადგინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ვიდეოთვალთვალი მიმდინარეობს ბინების მესაკუთრეთა წერილობითი თანხმობის გარეშე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ვიდეოსათვალთვალო კამერების ხედვის არეალში ექცევა კონკრეტული პირების ბინების შესასვლელები, ფანჯრები და სხვა სივრცეები, აღნიშნული სივრცეების მესაკუთრეთა თანხმობის გარეშე. ჩატარებული შემოწმებებით ასევე დადგინდა, რომ ვიდეოსათვალთვალო სისტემები არ იყო დაცული მომხმარებლის სახელითა და პაროლით, რაც შესაძლებელს ხდიდა მესამე პირებსაც ჰქონოდათ ვიდეოჩანაწერებზე წვდომა, გარდა ამისა გამოიკვეთა, რომ ვიდეოჩამწერ მოწყობილობებში არ ფიქსირდებოდა ჩანაწერების ამოღების დამადასტურებელი ინფორმაცია (ე.წ. ლოგ-ჩანაწერები).

სამსახურის გადაწყვეტილებები: მსგავსი ფაქტები სამსახურის მხრიდან შეფასებული იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე 46-ე და 48-ე მუხლებით (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნის შეუსრულებლობა, ვიდეოთვალთვალის წესების დარღვევით განხორციელება) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ დარღვევად. მონაცემთა დამმუშავებლებს დაევალათ მონაცემთა უსაფრთხოების მიზნით შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, ვიდეოთვალთვალის განხორციელების შეწყვეტა ან/და ვიდეოთვალთვალის განხორციელება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეები და განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ სხვადასხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებისა და საცხოვრებელი ბინების მესაკუთრეთა მიერ ვიდეო-აუდიომონიტორინგის განხორციელების პროცესში ფიქსირდება გარკვეული დარღვევები და ნაკლოვანებები. კერძოდ:

- მომსახურების გამწევი დაწესებულებები (სამედიცინო დაწესებულებები, აფთიაქები) ვიდეოთვალთვალის პარალელურად მუდმივ რეჟიმში ახორციელებენ აუდიომონიტორინგსაც. როგორც წესი, აღნიშნულ დაწესებულებებს აუდიომონიტორინგის განხორციელებისთვის დასახელებული კანონიერი მიზნის მიღწევა შეუძლიათ სხვა ალტერნატიული მეთოდით - შედარებით ნაკლები მოცულობის მონაცემების დამუშავების გზით. ამდენად, აუდიომონიტორინგი არ უნდა განხორციელდეს ადამიანთა პირად ცხოვრებაში არაპროპორციული ჩარევის ხარჯზე;

- ვიდეო-აუდიომონიტორინგის გზით პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში ელექტრონული სისტემები არ აღრიცხავს მონაცემთა მიმართ შესრულებულ მოქმედებებს. ელექტრონული ფორმით დაცული მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათზე წვდომის სიმარტივის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია აღირიცხებოდეს მათ მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება (მათ შორის, მონაცემების დათვალიერება), რათა არ მოხდეს მონაცემების უკანონო მოპოვება, გამჟღავნება, გამოყენება, განადგურება და ა.შ. ხოლო, ასეთი მოქმედების განხორციელებისას, შესაძლებელი იყოს პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება;

- მონაცემთა დამმუშავებლები, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, უზიარებენ ვიდეოჩანაწერებს სამართალდამცავ ორგანოებს. იმ პირობებშიც კი, როცა ვიდეომონიტორინგი ხორციელდება კანონიერად, მონაცემთა დამმუშავებელს არა აქვს უფლება გაასაჯაროვოს ან/და მესამე პირებს გადასცეს ჩანაწერები. ამისათვის აუცილებელია კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის არსებობა. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ მტკიცებულების მოპოვების სტანდარტი დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (მან მონაცემთა დამმუშავებელს უნდა წარუდგინოს სასამართლოს მიერ გაცემული განჩინება ან პროკურორის დადგენილება). ამდენად, როდესაც საქმე ეხება საგამოძიებო ორგანოსათვის ვიდეოჩანაწერის გადაცემას, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიზნებისთვის, ვიდეოჩანაწერ(ებ)ის გამჟღავნების საფუძველი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ზეპირსიტყვიერი მოთხოვნა;

- საცხოვრებელ შენობებში, მონაცემთა დამმუშავებლებს ვიდეოსათვალთვალო კამერები იმგვარად აქვთ განთავსებული, რომ ვიდეოსათვალთვალო კამერების ხედვის არეალში ექცევა არამხოლოდ მისი საცხოვრებელი ბინის შესასვლელი, არამედ საერთო სივრცე და სხვა მესაკუთრეების საცხოვრებელი სახლების შესასვლელი. სწორედ ამიტომ, მონაცემთა დამმუშავებელმა ვიდეომონიტორინგის განხორციელების დაწყებამდე კამერების ხედვის არეალში უნდა მოაქციოს მხოლოდ მის საკუთრებაში არსებული ფართი. საერთო სივრცის მონიტორინგის შემთხვევაში საჭიროა მესაკუთრეთა ნახევარზე მეტის წერილობითი თანხმობა, ხოლო სხვა პირის საკუთრებაში არსებული ფართის შესასვლელის, ფანჯრის, აივნის ვიდეოთვალთვალის შემთხვევაში - უშუალოდ მისი მესაკუთრის წერილობითი თანხმობა.

ვიდეო-აუდიომონიტორინგის გზით მონაცემთა დამუშავების სტანდარტის ასამაღლებლად, ვიდეო-აუდიომონიტორინგის განმახორციელებელმა კერძო და საჯარო დაწესებულებებმა კანონთან შეუთავსებელი მიზნით არ უნდა გამოიყენონ ვიდეოსათვალთვალო კამერები; აუცილებელი საჭიროების გარეშე, არ უნდა განახორციელონ აუდიომონიტორინგი; თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსონ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები; უნდა შეიმუშაონ ვიდეო-აუდიომონიტორინგის შიდა ორგანიზაციული წესები, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მონაცემთა დამუშავების მიზნობრიობა, საჭიროება, მონაცემთა უსაფრთხოების საკითხები და მონაცემების მესამე პირებზე გადაცემის ან/და გამჟღავნების, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოებისთვის ვიდეოსათვალთვალო სისტემის ჩანაწერების გაზიარების წესები; უნდა უზრუნველყონ ორგანიზაციაში დასაქმებული პირების (რომელთა სამუშაო ადგილიც ექცევა მონიტორინგის ქვეშ) წერილობითი ფორმით ინფორმირება ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობისა და მათი უფლებების შესახებ.

05

პერსონალური მონაცემების დამუშავება შრომით ურთიერთობებში

5. პერსონალური მონაცემების დამუშავება შრომით ურთიერთობებში

შრომითი და მისი თანმდევი ურთიერთობების ფარგლებში, ორგანიზაციები დიდი მოცულობით მონაცემებს ამუშავებენ. მონაცემთა დამუშავების პროცესში, როგორც წესი, ჩართულია არაერთი პირი, რომლებსაც ადმინისტრაციული, ორგანიზაციული, ფინანსური, საარქივო და სხვა ფუნქციის შესრულების მიზნებისთვის ხელი მიუწვდებათ დასაქმებულების, დასაქმების მსურველებისა და ყოფილი დასაქმებულების შესახებ ინფორმაციაზე, მათ შორის სენსიტიურ (მაგალითად, ნასამართლობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ) მონაცემებზე და აქვთ მათი თავისუფალი გამოყენების რეალური მექანიზმები. ამასთან, მონაცემები უმეტესად მუშავდება სხვადასხვა ელექტრონული სისტემის საშუალებით, რაც მათზე წვდომას კიდევ უფრო მარტივს ხდის და მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს წარმოშობს. ასევე, აღსანიშნავია რომ დასაქმებული მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დამსაქმებელზე და ხშირად სამუშაოს შენარჩუნების მიზნით, იძულებულია თანხმობა განაცხადოს მონაცემების სხვადასხვა ფორმით დამუშავებაზე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, კერძო და საჯარო დაწესებულებებმა სამუშაო პროცესი გადაიტანეს დისტანციურ რეჟიმში. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ორგანიზაციებს დაეკისრათ მთელი რიგი ვალდებულებები, რომლებიც უმეტესწილად დასაქმებულთა შესახებ დამატებითი მონაცემების (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - მონაცემების) შეგროვებასთან და მათ მონიტორინგთან არის დაკავშირებული. ინფექციის გავრცელების პრევენცია და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა მონაცემთა დამუშავების ლეგიტიმური მიზნებია, თუმცა აუცილებელია დამუშავების ფორმა და მასშტაბი იყოს გონივრული, სამართლიანი და არსებული საფრთხეების პროპორციული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მონაცემების დამუშავების კანონიერების მონიტორინგი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პრიორიტეტი იყო 2021 წელსაც. სამსახურმა ჩაატარა შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მონაცემების დამმუშავებელი ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლებაზე და დასაქმებული პირების უფლებების დარღვევის პრევენციაზე ორიენტირებული არაერთი შეხვედრა, ასევე, შეისწავლა შრომითი ურთიერთობის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევები.

ცნობიერების ამაღლება და განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შრომითი ურთიერთობის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით გატარებული ღონისძიებები მიზნად ისახავდა ერთი მხრივ, მონაცემთა დამუშავების პროცესების დახვეწას ორგანიზაციებში, ხოლო მეორე მხრივ, თავად დასაქმებულების/დასაქმების მსურველი პირების ცნობიერების ამაღლებას:

- შრომითი ურთიერთობის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე მომზადდა სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებათა კრებული, რომელიც აერთიანებს სამსახურის მიერ 2016 წლიდან 2021 წლის სექტემბრის ჩათვლით შესწავლილ 25 რეალურ საქმეს. კრებულის მიზანია საქართველოში შრომითი ურთიერთობების ფარგლებში მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების ხელშეწყობა, დაინტერესებული პირებისთვის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საუკეთესო პრაქტიკის, სამსახურის განმარტებებისა და საერთაშორისო სტანდარტების გაცნობა და რეკომენდაციების შეთავაზების გზით მსგავსი დარღვევების პრევენცია;

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებმა, შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მონაცემთა დაცვის საკითხზე, ტრენინგი ჩაუტარეს სხვადასხვა ორგანიზაციის 120-ზე მეტ წარმომადგენელს. შეხვედრები გაიმართა დამსაქმებელთა ასოციაციისა და „გლობალური შეთანხმება - საქართველოს“ ქსელის წევრ კომპანიებთანაც. პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების შესახებ კი ტრენინგები ჩაუტარდათ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ - მუნიციპალური განვითარების სააგენტოს, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს და სხვადასხვა კერძო ორგანიზაციების 250-ზე მეტ თანამშრომელს;

- საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარების პარალელურად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ძალისხმევა მიმართული იყო მსხვილ მონაცემთა დამმუშავებელ ორგანიზაციებში მონაცემთა დაცვის სტანდარტის ამაღლებაზე. სწორედ ამ მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მმართველობის რეფორმის ფონდის (GRF) პროექტის „საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალ საფეხურზე აყვანა“ მხარდაჭერითა და ა(ა)იპ - ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის (IRC) ჩართულობით, განახორციელა მონაცემთა დამუშავების პროცესების აღწერა და მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის შეფასება ერთ-ერთ (სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51) საჯარო სკოლაში, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურში და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში.

აღნიშნულ დაწესებულებებში აღიწერა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით შეფასდა, მათ შორის, დასაქმებულების (მასწავლებლების, სოციალური მუშაკების, ადვოკატების და სხვა დასაქმებული პირების) მონაცემების დამუშავების პროცესები. შეფასების შედეგების მხედველობაში მიღებით მომზადდა რეკომენდაციები მონაცემთა დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, რაც გულისხმობს შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტების შექმნას და დასაქმებულთათვის ტრეინინგების ჩატარებას. ზემოაღნიშნული პროექტის მიზანი იყო ერთი მხრივ, პროექტში მონაწილე დაწესებულების პრაქტიკის მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, ხოლო მეორე მხრივ, სახელმძღვანელო/როლური მაგალითების/მოდელების შექმნა მსგავსი ტიპის დაწესებულებებისთვის;

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სხვადასხვა სექტორთან გამართულ შეხვედრებზე, დამსაქმებლებმა ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად დაასახელეს დასაქმებულთა სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის დოკუმენტის თანამშრომლებისთვის გაცნობის საკითხი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დროის აღრიცხვის დოკუმენტი სრული სახით გააცნოს თანამშრომლებს. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტის ფორმა დამტკიცებულია მინისტრის ბრძანებით და მასში ერთიანად აღირიცხება ყველა დასაქმებული პირის მონაცემები. სწორედ აღნიშნული რეგულირების გათვალისწინებით, დამსაქმებლები მიიჩნევენ, რომ თითოეულ თანამშრომელს დოკუმენტი უნდა გააცნონ სრული სახით (რომელშიც მიუთითებენ არა მხოლოდ კონკრეტული, არამედ ყველა ყველა დასაქმებულის მონაცემებს). სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საკითხის მოწესრიგებისა და დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისთვის სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის გაცნობის დეტალური წესის განსაზღვრის რეკომენდაციით მიმართა სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურს. სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურმა გამოხატა მზაობა და დამატებითი რეკომენდაციები მიიღო სამსახურისგან. თუმცა, მოცემული პერიოდისთვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ შესაბამის წესში ცვლილებები არ არის განხორციელებული.

შესწავლილი პროცესები

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მონაცემების დამუშავების 21 შემთხვევა, რომელთაგან 12 განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ხოლო ცხრა - მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე. შემოსული განცხადებები ძირითადად შეეხებოდა დასაქმებულთან დადებული შრომითი ხელშეკრულებისა და დასაქმებულის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, დასაქმებულთა სამუშაო სივრცის ან/და ჰიგიენისთვის განკუთვნილი ადგილის ვიდეოთვალთვალს.

სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 16 პირს 23 სამართალდარღვევისთვის. სანქციის სახით ცხრა პირის მიმართ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო შვიდი პირის მიმართ - ჯარიმა. ადმინისტრაციული სახდელების პარალელურად, საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა ათი რეკომენდაცია და შესასრულებლად სავალდებულო 62 დავალება.

შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მონაცემების დამუშავება



2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინიციატივით შრომითი ურთიერთობის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესები შესწავლილ იქნა იმ საჯარო უწყებებში (მათ შორის, სამართალდამცავ ორგანოებში) და კერძო ორგანიზაციებში, რომლებიც დასაქმებული პირების შესახებ დიდი მოცულობით ან/და სენსიტიურ მონაცემებს ამუშავებენ. ყურადღება გამახვილდა დასაქმების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ მონაცემების დამუშავებაზე, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და კანდიდატის

შერჩევის ეტაპზე მონაცემთა დამუშავებაზე, ასევე, შრომითი ურთიერთობის ფარგლებში COVID-19-ის მართვით განპირობებული მონაცემების დამუშავებაზე. გათვალისწინებული იქნა რეგიონული დაფარვაც. კერძოდ, სამსახურმა შეისწავლა/შეამოწმა:

- სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო. შესწავლა განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან საჯარო სამსახურის ბიურო (რომლის ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით საჯარო დაწესებულებები აცხადებენ კონკურსს მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად) ამუშავებს საჯარო დაწესებულებაში დასაქმების მსურველთა შესახებ დიდი მოცულობის ინფორმაციას. შემოწმება მოიცავდა ბიუროს მიერ ვებგვერდის - www.hr.gov.ge მეშვეობით საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთა მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას. ვებგვერდი ფუნქციონირებს 2011 წლიდან და არის ერთადერთი გზა საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთათვის - მონაწილეობა მიიღონ კონკურსში და დასაქმდნენ საჯარო სამსახურში.

ბიუროში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ ვებგვერდზე რეგისტრაციის პროცესში დასაქმების მსურველი ქმნიდა საკუთარ ანგარიშს, სადაც უთითებდა მის მაიდენტიფიცირებელ და საკონტაქტო მონაცემებს. წარმატებით რეგისტრირებული კანდიდატი თავად ქმნიდა საკუთარ ელექტრონულ რეზიუმეს და სურვილის შესაბამისად დამატებით უთითებდა განათლების, სამუშაო გამოცდილების, ოჯახური მდგომარეობის და საკუთარი უნარების შესახებ ინფორმაციას. ვებგვერდს არ ჰქონდა კანდიდატის ანგარიშის დეაქტივაციის/წაშლის ფუნქცია, ხოლო დამსაქმებელ საჯარო დაწესებულებებს უვადო წვდომა ჰქონდათ მათ მიერ გამოცხადებული ვაკანსიის ფარგლებში გაკეთებულ განაცხადებსა და გაგზავნილ დოკუმენტაციაზე. ამასთან, ვებგვერდის ფუნქციონალში - „ონლაინ მიმოწერა“ (რომელიც გამოიყენებოდა კანდიდატისა და ადმინისტრატორის საკომუნიკაციოდ) შემდგარი მიმოწერა სისტემაში ინახებოდა უვადოდ. შემოწმების პროცესში ასევე დადგინდა, რომ: სისტემა არ აღრიცხავდა იმ პირის შესახებ ინფორმაციას, რომელმაც დაათვალიერა მონაცემები ან/და შეცვალა ისინი; სისტემაში რეგისტრირებული ბიუროს ყოფილი თანამშრომლების მომხმარებლები შემოწმების დროისთვის კვლავ აქტიური იყო; ბიუროს არ ჰქონდა შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებს და მათი უფლებამოსილების, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სამსახურის გადაწყვეტილება: ბიუროს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 46-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა). ამავდროულად, დაევალა მონაცემთა შენახვის გონივრული ვადების განსაზღვრა, მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება და ვებგვერდზე რეგისტრირებული ანგარიშების წაშლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო. შესწავლა განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან სააგენტო (რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელებასა და მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელ ორგანოს) ამუშავებს დასაქმების მაძიებელთა შესახებ დიდი მოცულობის ინფორმაციას. შემოწმება მოიცავდა სააგენტოს მიერ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით დასაქმების მაძიებელ პირთა მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას. საინფორმაციო სისტემის მეშვეობით დასაქმების მაძიებელთა რეგისტრაცია ხორციელდება 2013 წლის დეკემბრიდან და ამ პერიოდიდან შემოწმების განხორციელებამდე, საინფორმაციო სისტემის მეშვეობით დამუშავდა 389 886 სამუშაოს მაძიებლის მონაცემი.

სააგენტოში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ სამუშაოს მაძიებელი ვებპორტალზე რეგისტრაციამდე აცხადებდა თანხმობას (სარეგისტრაციო პირობებზე დათანხმებით) დასაქმების სააგენტოს მიერ მისი მონაცემების დამუშავების თაობაზე. თუმცა, სარეგისტრაციო პირობებში არ იყო მითითებული, მონაცემების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დამუშავების შესახებ. ასევე, არასწორად იყო მითითებული მონაცემთა დამმუშავებლის ვინაობა და ბუნდოვანი იყო მონაცემთა სუბიექტი რომელი მონაცემის დამუშავებაზე აცხადებდა თანხმობას. აღნიშნული ვერ უზრუნველყოფდა მონაცემთა სუბიექტის სათანადო ინფორმირებას. შემოწმების პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ საინფორმაციო სისტემაში სამუშაოს მაძიებელთა გარკვეული მონაცემების შევსება იყო სავალდებულო, ხოლო მონაცემების ნაწილის ასახვა - ნებაყოფლობითი, რაც მონაცემების არაპროპორციული მოცულობით დამუშავების საფრთხეს წარმოშობდა. ამასთან, დასაქმების სააგენტოს არ გააჩნდა ინფორმაცია სამუშაოს მაძიებელთა გარდაცვალების შესახებ. გარდაცვლილი პირის მონაცემის შენახვა კი არ შეესაბამებოდა დასაქმების სააგენტოს მიერ სამუშაოს მაძიებელთა მონაცემების დამუშავების თავდაპირველ მიზანს (დასაქმების ხელშეწყობას). შემოწმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ დასაქმების სააგენტო ვერ ახორციელებდა ახალი თანამშრომლისთვის მომხმარებლის შექმნას, სისტემაში შექმნილი მომხმარებლებისთვის წვდომის დონეების ცვლილებას და სამუშაოს მაძიებლის მომხმარებლისთვის პაროლის აღდგენას. ამასთან, შემოწმების პროცესში ვერ დადასტურდა, რომ დასაქმების სააგენტო აღრიცხავდა საინფორმაციო სისტემის მეშვეობით დამუშავებული მონაცემების მიმართ განხორციელებულ მოქმედებებს.

სამსახურის გადაწყვეტილება: სააგენტოს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა). ამავდროულად, შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევებისა და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით გაიცა რეკომენდაციები და შესასრულებლად სავალდებულო დავალებები. კერძოდ, სააგენტოს დაევალა სამუშაოს მაძიებლებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება და მათგან ინფორმირებული თანმობის მოპოვება; ელექტრონული სისტემის იმგვარი მოდიფიცირება, რომ სისტემაში მუშავდებოდეს მხოლოდ კანონიერი მიზნის პროპორციული მოცულობის საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია; მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება და სხვა.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო. შესწავლა განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან სააგენტო ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაციას, აღრიცხვას, დასაქმების ხელშეწყობას და აღნიშნულ პროცესში ამუშავებს სამუშაოს მაძიებელთა დიდი მოცულობის ინფორმაციას. ამასთან, სააგენტო ჩართულია და მონაწილეობს საქართველოს ტერიტორიის დროებით დატოვების მსურველ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში. შემოწმება მოიცავდა დასაქმების სააგენტოს მიერ სამუშაოს მაძიებელ და საქართველოს ტერიტორიის დროებით დატოვების მსურველ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას.

სააგენტოში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ სააგენტოს თანამშრომელი სამუშაოს მაძიებლისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ავსებდა მონაცემთა ბაზის შესაბამის ველებს. ამ პროცესში, სამუშაოს მაძიებელს ზეპირსიტყვიერად განემარტებოდა მონაცემთა დამუშავების მიზანი და ის გარემოება, რომ ყველა ველის შევსება არ იყო სავალდებულო. სააგენტოს არ ჰქონდა წერილობით შემუშავებული სტანდარტული წესი/წესები, რომლის საფუძველზეც სააგენტოს თანამშრომელი ვალდებული იქნებოდა ყოველი სამუშაოს მაძიებლისთვის მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია, მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის უფლებების, ასევე, სავალდებულოდ და ნებაყოფლობით წარსადგენი მონაცემების შესახებ. სააგენტოს მონაცემთა ბაზა კი შეიცავდა არაერთ ველს, რომელიც რეალურად არ ივსებოდა. შემოწმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ მონაცემთა ბაზიდან სამუშაოს მაძიებლის მონაცემების წაშლა არ ხდებოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამუშაოს მაძიებელი აღნიშნული მოთხოვნით მიმართავდა სააგენტოს. ამასთან, გამოვლინდა, რომ მონაცემთა ბაზაში არ აღირიცხებოდა მონაცემთა მიმართ შესრულებული არცერთი ქმედება, ბაზას არ გააჩნდა მომხმარებელთა ავტორიზაციის ფუნქცია და მონაცემთა ბაზაში დაშვება ხორციელდებოდა განპიროვნებული მომხმარებლის სახელისა და პაროლის გარეშე. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიის დროებით დატოვების მსურველ პირთა მონაცემების დამუშავებას, სააგენტოს თანამშრომლები კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის ფარგლებში ახორციელებენ მონაცემთა დამუშავებას და ამ კუთხით რაიმე სახის დარღვევა არ გამოვლენილა.

სამსახურის გადაწყვეტილება: სააგენტოს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა). ამავდროულად, შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევებისა და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით გაიცა რეკომენდაციები და შესასრულებლად სავალდებულო დავალებები. კერძოდ, სააგენტოს დაევალა: მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება; ელექტრონული სისტემის იმგვარი მოდიფიცირება, რომ სისტემაში მუშავდებოდეს მხოლოდ კანონიერი მიზნის პროპორციული მოცულობის საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია; მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი ინფორმირების მიზნით ერთიანი წესისა და განცხადების სტანდარტული ფორმის შემუშავება და სხვა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- თბილისის საქალაქო სასამართლო და თბილისის სააპელაციო სასამართლო. შესწავლა განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან აღნიშნულ დაწესებულებები ერთ-ერთ მსხვილ დამსაქმებელ საჯარო უწყებებს წარმოადგენენ. შემოწმება მოიცავდა სასამართლოს შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით დასაქმებულ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას. შემოწმების განხორციელების დროისთვის, თბილისის საქალაქო სასამართლო შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით ამუშავებდა 529, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლო - 194 დასაქმებულის მონაცემს.

სასამართლოებში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ სასამართლოები 2020 წლის დასაწყისამდე, შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით, იყენებდნენ დასაქმებულთა ბიომეტრიულ მონაცემებს (თითის ანაბეჭდს), თუმცა მოგვიანებით, სასამართლოებმა შეწყვიტეს (მათ შორის, წაშალეს) დასახელებული მიზნით ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება. შემოწმების პროცესში გამოიკვეთა, რომ შემოწმების პერიოდისთვის სასამართლოები, თანამშრომელთა სამუშაოზე დროული გამოცხადებისა და სამუშაო საათებში სასამართლოში ყოფნის ფაქტის დადგენის (მათ შორის, დისციპლინური საქმისწარმოების), ასევე სასამართლოს შენობაში შენახულ საქმეთა და სასამართლოს საკუთრების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ელექტრონულად აღრიცხავდნენ თანამშრომელთა შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის დროს, ასევე, დასაქმებულთა ვინაობას და ინახავდნენ აღნიშნულ ინფორმაციას. დასაქმებული სასამართლოს შენობაში შესვლისას, მის სახელზე განპიროვნებულ პლასტიკურ ბარათს აფიქსირებდა მოწყობილობაზე, რა დროსაც მოწყობილობაზე და ელექტრონულ სერვერზე ავტომატურად აისახებოდა თანამშრომლის სამსახურში გამოცხადებისა და სამსახურის დატოვების დრო. შემოწმების პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო 2014 წლიდან, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლო 2016 წლიდან ინახავდა შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით დამუშავებულ დასაქმებულთა მონაცემებს. ამასთან, სასამართლოების შინაგანაწესი ითვალისწინებდა შენობაში შესვლა-გასვლის აღრიცხვის მიზნით დასაქმებულთა ბიომეტრიული მონაცემების შესაძლო დამუშავების თაობაზე დათქმას, მიუხედავად იმისა, რომ შემოწმების დროისთვის მსგავსი მონაცემები არ მუშავდებოდა.

სამსახურის გადაწყვეტილება: სასამართლოებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (საჯარო და კერძო დაწესებულებათა შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის შესახებ მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევა). ამავდროულად, დაევალათ შინაგანაწესის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: დავალებები შესრულებულია (აღსანიშნავია, რომ დავალებების შესრულების მიუხედავად სასამართლოებმა გაასაჩივრეს სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებები).

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. სამსახურს შეტყობინებით მომართა სამინისტროს თანამშრომელმა და მიუთითა, რომ დასაქმებული პირის მიერ ვაქცინაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, სამინისტრო იძულებით ითხოვდა მისგან ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობას, რათა დაედგინა ჯანმრთელობის რომელი პრობლემის გამო აცხადებდა დასაქმებული უარს ვაქცინაციაზე. შრომით ურთიერთობებში დასაქმებულთა უფლებების დაცვის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სახელმწიფო ინსპექტორმა დაიწყო სამინისტროს შემოწმება. შემოწმება მოიცავდა სამინისტროს მიერ სამინისტროში დასაქმებული პირების ვაქცინაციასთან დაკავშირებით პერსონალური მონაცემების სავარაუდო დამუშავების კანონიერების შესწავლას.

სამინისტროში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ ახალი კორონავირუსის (SARS-COV-2) ინფექციით გამოწვეული პანდემიის მართვის, დასაქმებული პირების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ასევე, სამინისტროს საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, სამინისტროს სისტემაში ხდებოდა დასაქმებული პირების ვაქცინაციის პროცესის ორგანიზება. სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში თუ ტერიტორიულ დანაყოფებში გამოყოფილნი არიან კონკრეტული პასუხისმგებელი პირები, რომელთა ვალდებულებას წარმოადგენს ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება და შესაბამისი ინფორმაციის დამუშავება თუ სტატისტიკის წარმოება. ამასთან, აცრილი პირების აღრიცხვა ხდებოდა უშუალოდ დასაქმებულების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დამატებით ინფორმაციის მოპოვება არ ხდებოდა. აღრიცხული ინფორმაცია კი ინახებოდა მხოლოდ პასუხისმგებელი პირების სამსახურებრივ კომპიუტერებში, რომელთან წვდომაც მხოლოდ მათ გააჩნდათ. გამომდინარე იქიდან, რომ სამინისტროს თანამშრომლებს, მათთვის დაკისრებული ამოცანებისა და ვალდებულებების შესრულების პროცესში, უწევდათ მოქალაქეებთან აქტიური, ყოველდღიური შეხება, დასაქმებული პირების ვაქცინაციის საკითხიც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. შესაბამისად, არსებობდა სამინისტროში დასაქმებული პირების ვაქცინაციის სტატუსის შესახებ მონაცემების დამუშავების საჭიროება. მიუხედავად ამისა, შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სამინისტროს მიერ არ იყო შემუშავებული ვაქცინაციის პროცესის მართვის მომწესრიგებელი შიდა დოკუმენტი. აღნიშნული მონაცემების დამუშავების მკაფიო და ნათელი წესების არარსებობა კი ქმნიდა გარკვეულ საფრთხეებს მონაცემების კანონდარღვევით დამუშავების თვალსაზრისით.

სამსახურის გადაწყვეტილება: სამინისტროს დაევალა დასაქმებულთა ვაქცინაციის პროცესის მართვის მომწესრიგებელი წერილობითი დოკუმენტის შემუშავება.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. შესწავლა განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან სამინისტროში დასაქმებულია ათობით ათასი პირი, ხოლო ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად მუშავდება კანდიდატების შესახებ მოცულობითი ინფორმაცია, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები. შემოწმება მოიცავდა სამინისტროს მიერ ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად კანდიდატების პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლას.

სამინისტროში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ კონკურსის მიმდინარეობისას, სხვადასხვა ეტაპზე, სამინისტრო ამუშავებდა კანდიდატების პერსონალურ, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის და ბიომეტრიულ მონაცემებს. ვაკანტური პოზიციის დაკავების მსურველთა (კანდიდატთა) მონაცემების დამუშავების პროცესში ჩართული იყო სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური. შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ვებგვერდზე - HR.POLICE.GE (რომელიც გამოიყენება დასაქმების მსურველი პირების მიერ აპლიკაციის გასაგზავნად) მითითებული იყო სტანდარტული ტექსტი, რომლის თანახმად, სამინისტროს მიერ შესაძლოა გადამოწმებულიყო კანდიდატის შესახებ დაცული მონაცემები შრომით-სამართლებრივი მიზნებისთვის. აღნიშნულ ტექსტს შესაბამისი ფანჯრის მონიშვნის გზით ეთანხმებოდა კანდიდატი. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მონაცემთა სუბიექტისთვის მიწოდებული აღნიშნული ინფორმაცია იყო ზოგადი და არ შეიცავდა კონკურსის ფარგლებში მონაცემების დამუშავების ფორმებისა და კონკრეტული მიზნ(ებ)ის შესახებ ინფორმაციას. ამასთან, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესავსებ აპლიკაციაში არ იყო მითითება, რომელი ველის შევსება იყო სავალდებულო და რომლის ნებაყოფლობითი. აპლიკაციაში კანდიდატს უნდა აესახა მისი ნასამართლობისა და ადმინისტრაციული ჯარიმის შესახებ ინფორმაცია, თუმცა, რა ტიპის დანაშაულებთან და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით უნდა მითითებულიყო ინფორმაცია არ იყო აღნიშნული. შემოწმებით ასევე გამოიკვეთა, რომ დადგენილი არ იყო კანდიდატების შემოწმებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის ვადა. ამასთან, ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტის ჩასატარებლად არსებული პროგრამა აღრიცხავდა მონაცემთა მიმართ განხორციელებულ ზოგიერთ ქმედებას, მათ შორის აღრიცხავდა მომხმარებლის მიერ სისტემაში შესვლა/გასვლის ფაქტებს. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების გათვალისწინებით, აღნიშნულ პროგრამაში მონაცემთა მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვის მიზნით შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება დაევალა მონაცემთა დამმუშავებელს. შემოწმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ კანდიდატების (მათ შორის, იმ პირების, რომლებმაც წარმატებით ვერ გაიარეს კონკურსი) მიერ გაგზავნილი აპლიკაციები ინახებოდა უვადოდ. ამასთან, დაქტილოსკოპიურ მონაცემთა ბაზაში კანდიდატების შესახებ იძებნებოდა 107 296 ჩანაწერი, რომლებიც ასევე ინახება უვადოდ.

სამსახურის გადაწყვეტილება: სამინისტროს და სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს დაეკისრათ პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული

სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა). ამავდროულად, შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით გაცემული იქნა დავალებები და რეკომენდაციები.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: არ შესრულდა. სამსახურის გადაწყვეტილება სამინისტროს მიერ გასაჩივრებულია, ხოლო სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა დავალებები შეასრულა ნაწილობრივ.

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. შესწავლა განხორციელდა ორ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ერთ-ერთი მსხვილი მონაცემთა დამმუშავებელი არიან. აღნიშნული მოიცავდა დასაქმებული პირების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისა და სატელეფონო ზარებისა და ელექტრონული ფოსტის მონიტორინგის მეშვეობით დასაქმებული პირების მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას. შემოწმების განხორციელების დროისთვის, ერთ-ერთ ორგანიზაციაში დასაქმებული იყო 989 თანამშრომელი და 37 პირთან გაფორმებული იყო მომსახურების ხელშეკრულება, ხოლო მეორე ორგანიზაციაში დასაქმებული იყო 334 თანამშრომელი.

მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ერთ-ერთი ორგანიზაციის შემთხვევაში დაადგინა, რომ თანამშრომლებს გაეგზავნათ სპეციალური კითხვარი. კითხვარში აღნიშნული იყო, რომ პანდემიით შექმნილი სიტუაციის გამო, საქმიანობის უწყვეტობის მიზნით, მაღალი რისკის მქონე პირების იდენტიფიცირებისა და მათთვის კონკრეტული სამუშაო პირობების შექმნისათვის საჭირო იყო მათი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. კითხვარში ჩამოთვლილი იყო სხვადასხვა დაავადებები, რომელთაგან თანამშრომლებს უნდა მოენიშნათ ის დაავადება, რომლის მატარებლებიც იყვნენ. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ ორგანიზაციას დასაქმებულთა კონკრეტული დაავადებების შესახებ ინფორმაციის შეგროვების გარეშე შეეძლო ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევა. მაგალითად, თანამშრომლებისთვის მიეცა მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის (მიეკუთვნებოდნენ თუ არა ჩამოთვლილი დაავადებების მატარებელ პირებს) მითითების შესაძლებლობა.

მეორე ორგანიზაციის შესწავლით დადგინდა, რომ იგი ნასამართლეობის შესახებ ცნობებს აგროვებდა დასაქმების მსურველი პირებისგან. მონაცემების დამუშავების შესახებ თანამშრომლის წერილობითი თანხმობის ფორმა მონაცემთა სუბიექტს არ აძლევდა კონკრეტულ ინფორმაციას მის შესახებ დამუშავებული მონაცემებისა და მონაცემების დამუშავების მიზნ(ებ)ის შესახებ. შემოწმებით ასევე დადგინდა, რომ ორგანიზაციის შიდა პორტალზე თანამშრომლებს ჰქონდათ სხვადასხვა მონაცემების (მათ შორის, ნასამართლეობის შესახებ ცნობის) ატვირთვის შესაძლებლობა. მითითებულ პორტალზე 618 პირს,

რომელთაგან 315 პირი ორგანიზაციის ყოფილი თანამშრომელი იყო, საკუთარი სურვილით ატვირთული ჰქონდა აღნიშნული დოკუმენტი, რომელთა დამუშავების კანონიერი მიზანი და საჭიროება ორგანიზაციამ ვერ დაასახელა.

ორივე ორგანიზაციის შემოწმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ მომხმარებელთა უფლებებისა და ორგანიზაციის ინტერესების დასაცავად მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, ხორციელდებოდა დასაქმებულ პირთა სატელეფონო საუბრების აუდიომონიტორინგიც, რაზეც თანამშრომლები თანხმობას აცხადებდნენ შრომით ხელშეკრულებაზე და შინაგანაწესზე ხელმოწერით. ორგანიზაციის სატელეფონო ნომერზე დარეკვისას, ავტომატურად ხდებოდა მოსაუბრის ინფორმირება სატელეფონო ზარების მონიტორინგის შესახებ, თუმცა დასაქმებული პირების მიერ მესამე პირებთან განხორციელებული გამავალი სატელეფონო ზარის დროს არ ხდებოდა ზარის ადრესატთა ინფორმირება მონიტორინგის შესახებ. ამასთან, ერთ-ერთ ორგანიზაციაში ხორციელდებოდა თანამშრომელთა შიდა სატელეფონო ზარების აუდიოჩაწერაც, რომლის საჭიროებაც ორგანიზაციამ ვერ მიუთითა. ორგანიზაციების მიერ შესაბამისი კანონიერი მიზნის და საჭიროების გარეშე თანამშრომელთა შიდა სატელეფონო ზარების და მონაცემთა სუბიექტების სათანადო ინფორმირების გარეშე, სატელეფონო ზარების აუდიოჩაწერა არ იქნა მიჩნეული მონაცემების კანონიერად დამუშავების შემთხვევად. ორგანიზაციების შემოწმების პროცესში ასევე გამოიკვეთა მონაცემთა უსაფრთხოების წესების დარღვევებიც.

ორგანიზაციებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 46-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა). ამავდროულად, ორგანიზაციებს დაევალათ გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრა.

სამსახურის გადაწყვეტილება: ორგანიზაციებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 46-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა). ამავდროულად, ორგანიზაციებს დაევალათ გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

- სუპერმარკეტების ქსელი. შესწავლა განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის პროცესში დამსაქმებლები სხვადასხვა მიზნით ამუშავებენ დასაქმების მსურველი კანდიდატებისა და დასაქმებული პირების შესახებ დიდი მოცულობით პერსონალურ მონაცემებს. შემოწმება მოიცავდა ორგანიზაციის მიერ სუპერმარკეტების ქსელში დასაქმების მსურველი პირების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას.

მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ სუპერმარკეტების ქსელი მოიპოვებდა დასაქმების მსურველი კანდიდატების მაიდენტიფიცირებელ, საკონტაქტო, განათლებისა და სამსახურებრივი გამოცდილების შესახებ ინფორმაციას. კანდიდატს ამ მონაცემების გაზიარება სუპერმარკეტების ქსელისთვის შეეძლო სოციალური ქსელის (FACEBOOK, LINKEDIN), ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტის ან სუპერმარკეტებში განთავსებული დასაქმების ყუთების საშუალებით. გამოცხადებული ვაკანსიების ტექსტში მითითებული იყო, რომ „სააპლიკაციო ფორმა შესაძლოა შეიცავდეს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს“. მიუხედავად ამისა, სუპერმაკეტების ქსელი მსგავს მონაცემებს არ ამუშავებდა და ხსენებული ჩანაწერით ცდილობდა დაეზღვია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემთხვევითი/კანდიდატის ინიციატივით გამოგზავნის შესაძლო ფაქტები. შემოწმების პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ სუპერმარკეტების კომპანია კანდიდატების მონაცემებს ელექტრონული ფორმით ინახავდა უვადოდ, რათა მომავალში სხვადასხვა ვაკანსიებისთვის განეხილა ისინი, ხოლო დასაქმების ყუთებში განთავსებულ ანკეტებს პერიოდულად ანადგურებდა, თუმცა აღნიშნულის თაობაზე წესი/ინსტრუქცია არ ჰქონდა შემუშავებული. ამასთან, ვებგვერდის მეშვეობით შეგროვებულ კანდიდატების მონაცემებზე რამდენიმე თანამშრომელს საერთო მომხმარებლის სახელითა და პაროლით ჰქონდა წვდომა. ამავე ელექტრონულ სისტემაში კი სრულად არ აღირიცხებოდა მონაცემების მიმართ შესრულებული მოქმედებები. შემოწმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ სუპერმარკეტების ქსელის ვებგვერდზე არ იყო განთავსებული მონაცემების დამუშავების მიზნის, საჭიროების, მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და უსაფრთხოების ზომების შესახებ ინფორმაცია.

სამსახურის გადაწყვეტილება: სუპერმარკეტების ქსელს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 46-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა). ამავდროულად, დაევალა მონაცემთა შენახვის გონივრული ვადის განსაზღვრა, მონაცემთა უსაფრთხოებისთვის შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, ანკეტების განადგურების წესისა და პროცედურის შემუშავება და ვაკანსიების ტექსტში მონაცემთა დამუშავების თაობაზე მხოლოდ რეალური ინფორმაციის მითითება.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

- სადაზღვევო კომპანიები. შემოწმება განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დასაქმებულთა შესახებ დამსაქმებლები არაერთ მონაცემს ამუშავებენ. აღნიშნული შემოწმებები მოიცავდა დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე გამოცხადებისა და წასვლის აღრიცხვის მიზნით და ვიდეოსათვალთვალო სისტემების მეშვეობით, დასაქმებული პირების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას.

მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანია COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე, დამატებით აკონტროლებდა თანამშრომლებს და მოიპოვებდა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემებს. კერძოდ, კომპანია დასაქმებული პირების შენობაში შესვლას აღრიცხავდა ე.წ. „თერმოსკრინინგის ჟურნალის“ მეშვეობით, რომელშიც მიუთითებდა შენობაში შესვლის თარიღს, დასაქმებულის ვინაობას, ტემპერატურის შესახებ ინფორმაციას და ხელმოწერას. შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ სადაზღვევო კომპანიის მიერ მომხმარებლების პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის, მონაცემების დამუშავება ემსახურებოდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვას და ფუნქციონირებას. თუმცა, შემოწმების პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ კომპანია შეგროვებულ მონაცემებს (ე.წ. „თერმოსკრინინგის ჟურნალს“) ინახავდა მისი წარმოების დღიდან, რომლის საჭიროება სადაზღვევო კომპანიამ ვერ დაასახელა.

სამსახურის გადაწყვეტილება: სადაზღვევო კომპანიას დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა). ამავდროულად, დაევალა ე.წ. „თერმოსკრინინგის ჟურნალში“ არსებული მონაცემების შენახვის საჭირო ვადის განსაზღვრა, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდგომ მონაცემების წაშლა ან იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით მათი შენახვა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავება საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას და აღნიშნულ პროცესში ორგანიზაციებმა უნდა იმოქმედონ დასაქმებულებისა და დასაქმების მსურველთა ინტერესების გათვალისწინებით. სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეები და განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციების მიერ შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მონაცემების დამუშავების პროცესში ფიქსირდება გარკვეული დარღვევები და ნაკლოვანებები:

- ორგანიზაციების უმეტესობა არ ახორციელებს დასაქმებულის/დასაქმების კანდიდატის ჯეროვან ინფორმირებას მონაცემების დამუშავების თაობაზე. უმეტეს შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტისთვის მიწოდებული ინფორმაცია არ შეიცავს დეტალურ ინფორმაციას მონაცემების დამუშავების ფორმებისა და მათი დამუშავების კონკრეტული, მკაფიო მიზნ(ებ)ის შესახებ. გარკვეულ შემთხვევებში, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის სტანდარტულ ფორმაში არასწორად არის მითითებული მონაცემთა დამმუშავებლის ვინაობა, ასევე, ბუნდოვანია მონაცემთა სუბიექტი კონკრეტულად რომელი მონაცემების დამუშავებაზე და რა მიზნით აცხადებს თანხმობას. შესაბამისად, თანხმობის ზოგადი ფორმულირება ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის სათანადო ინფორმირებას, თუ ვის მიერ, რა მიზნითა და მისი რომელი მონაცემების დამუშავებაზე აცხადებს თანხმობას;

- ცალკეულ შემთხვევებში, ორგანიზაციები დასაქმების მსურველი პირების პერსონალურ მონაცემებს ინახავენ უვადოდ, რათა მომავალში სხვადასხვა ვაკანსიებისთვის მოხდეს დასაქმების მსურველი პირების რეზიუმეების განხილვა. აღსანიშნავია, რომ დასაქმების მსურველი პირების მონაცემების განუსაზღვრელი ვადით შენახვა ვერ მიიჩნევა კანონიერად, ვინაიდან გარკვეული დროის გასვლის შემდგომ ამა თუ იმ პირის შესახებ რეზიუმეში/ანკეტაში/აპლიკაციაში მოცემული მონაცემები შესაძლოა მოძველდეს ან შეიცვალოს, ან პირი აღარ იყოს დაინტერესებული ორგანიზაციაში დასაქმებით. ახალი ვაკანსიის ფარგლებში კანდიდატის დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად კი ორგანიზაციას დასჭირდება პირის შესახებ განახლებული ინფორმაცია. ამდენად, ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად რა ვადით არის საჭირო და აუცილებელი დასაქმების მსურველი პირების მონაცემების შენახვა და აღნიშნული ვადის გასვლის და მიზნის მიღწევის შემდგომ უზრუნველყონ მათი წაშლა;

- რიგ შემთხვევებში, ორგანიზაციებს არ ჰქონდათ შეფასებული და განსაზღვრული რა ინფორმაციის დამუშავება ესაჭიროებოდათ შრომითი ურთიერთობის ფარგლებში. გამოვლინდა ფაქტები, როცა დასაქმების მიზნებისთვის შესავსები ანკეტები შეიცავდა დამატებითი/არასაჭირო ინფორმაციის შესავსებ ველებს და ორგანიზაციები არ ახდენდენ სუბიექტის ინფორმირებას, თუ რომელი მონაცემის მიწოდება იყო სავალდებულო და რომლის - ნებაყოფლობითი. გარკვეულ შემთხვევებში, მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებულობა და ინფორმირებულობის ხარისხი დამოკიდებული იყო კონკრეტული თანამშრომლის

კეთილსინდისიერებაზე და წინდახედულობაზე (მაგალითად, დასაქმების სააგენტოს თანამშრომლები მონაცემთა სუბიექტს ზეპირსიტყვიერად განუმარტავდნენ, რომელი ველის შევსება იყო სავალდებულო). აღნიშნული ქმნის მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის საფრთხეს, ვინაიდან ინსტრუქციის გარეშე მეტია ორგანიზაციის თანამშრომლის მხრიდან მონაცემთა სუბიექტისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის არასრულად ან/და არაჯეროვნად მიწოდების რისკი. ამასთან, დამსაქმებლისთვის არასავალდებულოდ მისაწოდებელი მონაცემები ქმნის მონაცემთა არაპროპორციული მოცულობით დამუშავების საფრთხეს და შესაძლოა გახდეს წინარე შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის გათვალისწინებით, ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ და განსაზღვრონ რა აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება ესაჭიროებათ დასაქმების მიზნით;

- გამოვლინდა შემთხვევები, როცა ორგანიზაციები სუბიექტის მიერ თანხმობის გათხოვისა და მოთხოვნის მიუხედავად, არ უზრუნველყოფენ მონაცემების წაშლას. მონაცემთა სუბიექტის უფლება - მოითხოვოს საკუთარი თანხმობის საფუძველზე დამუშავებული მონაცემების წაშლა, ერთ-ერთი მყარი გარანტიაა იმისა, რომ მონაცემთა სუბიექტმა სურვილისამებრ შეძლოს საკუთარი მონაცემების კონტროლი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაცია სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდოს მონაცემთა სუბიექტის მიერ აღნიშნული უფლების რეალიზებას და სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში, როცა არ არსებობს სხვა სამართლებრივი საფუძველი, უზრუნველყოს მისი დაკმაყოფილება;

- ორგანიზაციების უმეტესობას არ აქვს მიღებული ადეკვატური და ეფექტური ზომები მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად. რიგ შემთხვევებში, მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციები არ აღრიცხავენ ელექტრონულ სისტემებში არსებული მონაცემების მიმართ შესრულებულ ყველა მოქმედებას. ამასთან, ორგანიზაციის თანამშრომლებს საერთო მომხმარებლის სახელითა და პაროლით აქვთ წვდომა ელექტრონულ სისტემებში არსებულ მონაცემებზე. მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის გარეშე კი, ორგანიზაცია ვერ განახორციელებს ჯეროვან მონიტორინგს - ვის, როდის, რა მიზნითა და რა მოცულობით ჰქონდა წვდომა შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მოპოვებულ მონაცემებზე. ასევე, კონკრეტული შემთხვევის - მაგალითად, დასაქმებული პირის/დასაქმების კანდიდატის მონაცემების კანონდარღვევით გამჟღავნების ფაქტის დადგომისას - რთულდება ან შეუძლებელი ხდება მონაცემების კანონდარღვევით გამჟღავნებაზე პასუხისმგებელი პირის გამოვლენა;

- ცალკეულ შემთხვევებში ორგანიზაციებს არ აქვთ წერილობით შემუშავებული მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, მონაცემების განახლების, მონაცემებზე წვდომის, მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების და ა.შ.) სტანდარტული წესი/წესები. აღსანიშნავია, რომ მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული წეს(ებ)ის არარსებობა ქმნის არაპროპორციული მოცულობით მონაცემების დამუშავებისა და არაუფლებამოსილი პირების მიერ მონაცემებზე წვდომის რისკებს. შესაბამისად, შრომითი ურთიერთობის ფარგლებში

მონაცემთა სუბიექტის უფლებების სათანადოდ დაცვის მიზნით მნიშვნელოვანია, ორგანიზაციებს წერილობითი ფორმით ჰქონდეთ შემუშავებული მონაცემთა დამუშავების წესები;

- ცალკეულ შემთხვევებში, ორგანიზაციები COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეული მდგომარეობიდან გამომდინარე, დამატებით აკონტროლებენ დასაქმებულ პირებს და მოიპოვებენ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის (მაგალითად, ვაქცინაციის სტატუსისა და ქრონიკული დაავადებების) შესახებ მონაცემებს. საქმიანობის უწყვეტობის, თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, მაღალი რისკის მქონე პირების იდენტიფიცირებისა და მათთვის კონკრეტული სამუშაო პირობების შექმნისათვის კანონიერია ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, თუმცა ორგანიზაციებმა ხსენებული მიზნის მისაღწევად მონაცემები უნდა დაამუშაონ პროპორციული მოცულობით, დასაქმებულების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ნაკლები მოცულობის მონაცემების დამუშავების გზით;

- გამოვლინდა შემთხვევები, როცა ორგანიზაციები შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის მიზნით ამუშავებენ დასაქმებული პირების ბიომეტრიულ მონაცემებს. მართალია შრომითი ურთიერთობის სპეციფიკა მოითხოვს სამუშაო დროისა და დასაქმებულთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვას, თუმცა ამ მიზნით ბიომეტრიული მონაცემების გამოყენება არ არის კანონიერი. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ცალკე აწესრიგებს სამუშაო ადგილზე შესვლა-გასვლის აღრიცხვის საკითხს, ამ მიზნით გამოსაყენებელი მონაცემების ნუსხას და მათი შენახვის მაქსიმალურ ვადას. შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის მიზნით დამსაქმებლებს შეუძლიათ შეაგროვონ მხოლოდ გარკვეული მონაცემები (სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი და სახე, დასაქმებულის მისამართი, შენობაში შესვლისა და გასვლის თარიღები, დრო და მიზეზები).

შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მონაცემების დამუშავების სტანდარტის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია, ორგანიზაციებმა მეტად გაამახვილონ ყურადღება დასაქმებულთა და დასაქმების მსურველთა უფლებების დაცვაზე. დამსაქმებლებმა შრომითი ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპზე უნდა დაიცვან სამართლიანი ბალანსი დასაქმებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და დამსაქმებლის კანონიერ ინტერესებს შორის. დამსაქმებელი ორგანიზაციები ვალდებული არიან ეფექტურად მართონ დასაქმებულის მონაცემების დამუშავების თითოეული შემთხვევა, დაიცვან თანამშრომლის ან/და დასაქმების მსურველის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, უსაფრთხოება და მონაცემები დაამუშაონ ღირსების შეულახავად.

06

პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ჯანდაცვის სექტორში

6. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ჯანდაცვის სექტორში

პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (რომელიც რიგ შემთხვევებში, შეიცავს ინტიმურ დეტალებს პირადი ცხოვრების, ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის შესახებ) წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს. როგორც ეროვნული, ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობა ასეთი მონაცემების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს.

პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის ვალდებულებას ჯანდაცვის სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა სპეციალურად განსაზღვრავს. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს პაციენტის პირადი ცხოვრების კონფიდენციალობისა და ხელშეუხებლობის გარანტიას და სამედიცინო მომსახურების გამწევს ავალდებულებს პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცვას როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ. კონფიდენციალობის დაცვა არსებითად მნიშვნელოვანია პაციენტსა და სამედიცინო დაწესებულებას შორის ნდობის ჩამოყალიბებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის. ამდენად, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების დაცვას მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციების მხრიდან მომეტებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

ჯანდაცვის სექტორში მონაცემების დამუშავების ინტენსივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა COVID-19-ით შექმნილი ვითარების გამო. დაინერგა ახალი სისტემები, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების დამუშავებასთან არის დაკავშირებული. ჯანდაცვის სექტორში მონაცემების დამუშავების მოცულობის ზრდასთან ერთად, იზრდება მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციების მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების დაცვის მნიშვნელობა.

ცნობიერების ამაღლება და განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ჯანდაცვის სექტორში პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავების პრევენციის მიზნით გაატარა სხვადასხვა ღონისძიება, რომლებიც ერთი მხრივ, ემსახურება აღნიშნულ სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესების დახვეწას, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. კერძოდ:

- სამსახურმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან მონაცემთა დამუშავების სხვადასხვა საკითხზე (მაგალითად, კოვიდპასპორტების დანერგვის პროცესთან დაკავშირებით), ასევე, სამედიცინო დაწესებულებებთან და ფარმაცევტულ კომპანიებთან პაციენტების/მომხმარებლების მონაცემების უსაფრთხოებისა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის თაობაზე. სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, სამინისტროს წარმომადგენლებსა და მონაცემთა დამმუშავებლებს მიეცათ რეკომენდაციები მონაცემთა დამუშავების პროცესების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად;
- სამსახურმა, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის მხარდაჭერით, შექმნა დისტანციური საგანმანათლებლო პლატფორმა WWW.ELEARNING.STATEINSPECTOR.GE დისტანციური სწავლების პლატფორმაზე განთავსებულია ჯანდაცვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სასწავლო მოდული. იგი მორგებულია ჯანდაცვის სექტორის სპეციფიკაზე და ვრცლად მიმოიხილავს ამ სფეროში მონაცემთა დაცვის საკითხებს. საგანმანათლებლო პლატფორმა პერსონალურ მონაცემთა დაცვით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს, მათ შორის, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებს, საშუალებას აძლევს დისტანციურად, მათთვის სასურველი გრაფიკით, აიმაღლონ კვალიფიკაცია. დისტანციური სწავლების პლატფორმა არის უფასო და ხელმისაწვდომი ყველა მსურველისთვის. ასევე, იგი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის;
- სამსახურმა განიხილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი „ახალი კორონავირუსის კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან, ტესტირებასთან ან/და გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებული დოკუმენტის გაცემის წესის, ფორმისა და რეკვიზიტების განსაზღვრის შესახებ“. მონაცემების კანონიერად დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა რეკომენდაციები და მითითებები, მათ შორის, პროცედურული საკითხების დეტალურად რეგულირებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფდა სხვადასხვა ორგანიზაციაში არაერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვას. ასევე, სამსახურმა გასცა რეკომენდაციები ვაქცინაციის წამახალისებელი ლატარიის „აიცერი და მოიგეს“ დანერგვის პროცესში.



შესწავლილი პროცესები

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა ჯანდაცვის სექტორში მონაცემების დამუშავების 13 შემთხვევა, რომელთაგან ათი განხორციელდა მოქალაქეთა განცხადების/შეტყობინების საფუძველზე, ხოლო სამი - სამსახურის ინიციატივით.

მოქალაქეები ძირითადად მიუთითებდნენ სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან მათი პერსონალური მონაცემების, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის დარღვევით მესამე პირებზე გადაცემა/გასაჯაროვებაზე. დამატებით აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში მწვავე პრობლემად გამოიკვეთა მოქალაქეთა შესახებ არაზუსტი მონაცემების დამუშავება.

სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა ოთხ პირს ხუთი სამართალდარღვევისთვის. სანქციის სახით ერთი პირის მიმართ გამოყენებული იქნა გაფრთხილება, ხოლო სამი პირის მიმართ - ჯარიმა. ადმინისტრაციული სახდელების პარალელურად, საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა შესასრულებლად სავალდებულო რვა დავალება.



2021 წელს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა COVID-19-ის მართვის პროცესში დანერგილი ახალი ელექტრონული პროდუქტების მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე. სამსახურმა შეისწავლა/შეამოწმა:

- კერძო ლაბორატორია. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი ლაბორატორია ვებგვერდზე კონკრეტული ბმულის მეშვეობით ასაჯაროვებდა ლაბორატორიის მომსახურებით მოსარგებლე პაციენტების ე.წ. „PCR“ ტესტის (პჯრ კვლევა) შედეგებს. კერძოდ, კვლევის ჩატარების თარიღისა და პირადი ნომრის/პასპორტის ნომრის პირველი ხუთი ციფრის ბმულზე მითითების შედეგად, ნებისმიერ პირს წვდომა ჰქონდა სხვა პირის პერსონალურ მონაცემებზე, მათ შორის, ე.წ. „PCR“ ტესტის შედეგებზე. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო კერძო ლაბორატორიის მიერ ბმულის მეშვეობით ფიზიკური პირების პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების პროცესში მიღებული უსაფრთხოების ზომების კანონიერების შემოწმება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ კერძო ლაბორატორიის შემოწმების პროცესში, ლაბორატორიამ განმარტა, რომ ბმულის ამ ფორმით ფუნქციონირების მიზანი იყო ლაბორატორიის მომსახურების მიმღები პირების მიერ კვლევის შედეგების მარტივად და სწრაფად მიღება. ამასთან, ლაბორატორიამ მიუთითა, რომ პაციენტის კვლევის შედეგების აღნიშნული ფორმით გაცემის პროცესში ადგილი ჰქონდა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ხარვეზს, რაც შეცვალა შემოწმების მიმდინარეობის პროცესში იმგვარად, რომ ბმულის მეშვეობით კვლევის შედეგები პაციენტის გარდა, სხვა მესამე პირისთვის აღარ არის ხელმისაწვდომი.

სამსახურის გადაწყვეტილება: ლაბორატორიას დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა).

- სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და სისხლის ბანკი. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მოქალაქის განცხადების საფუძველზე შეისწავლა ცენტრისა და კერძო სისხლის ბანკის მიერ სისხლის დონორთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში განმცხადებლის მონაცემების დამუშავების კანონიერება.

  განმცხადებლის განმარტებით, მას 2012 წელს დაუდასტურდა აივ-ინფექცია, რის საფუძველზეც მას შეეზღუდა სისხლის ჩაბარების უფლება. აღნიშნულის შემდგომ, განმცხადებელმა 2012 წლიდან 2020 წლის შუალედში რამდენჯერმე ჩაიტარა კვლევები, თუმცა იგივე ინფექცია აღარ დადასტურებია. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2012 წლის მონაცემები იყო მცდარი და მონაცემთა ბაზაში მცდარი მონაცემების არსებობა უზღუდავდა სისხლის ჩაბარების უფლებას. შესაბამისად, ირღვეოდა მისი უფლებები.

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ სისხლის დონორთა ბაზას არ ჰქონდა დონორის ინფექციებზე ტესტირების შედეგად დაფიქსირებული განსხვავებული შედეგების ასახვის ტექნიკური ფუნქციონალი. ანუ, სისხლის დონორთა ერთიანი ელექტრონული ბაზა არ იძლეოდა დონორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ქრონოლოგიურად და თანმიმდევრულად ასახვის შესაძლებლობას, მაშინაც კი, როდესაც მომდევნო მონაცემები წინას ეწინააღმდეგებოდა. ამასთან, ყველა ის პირი, რომელსაც სისხლის დონორთა ერთიან ელექტრონულ ბაზაზე ჰქონდა წვდომა, მონაცემთა სუბიექტის შესახებ შესაძლოა გაცნობოდა მოძველებულ ინფორმაციას, ხოლო თავად მონაცემთა სუბიექტს არ ჰქონდა მისი უფლების რეალიზებისა და მის შესახებ ბაზაში არსებული მონაცემების განახლების მოთხოვნის შესაძლებლობა.

სამსახურის გადაწყვეტილება: სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს დაევალა სისხლის დონორთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში დონორთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ცვლილების ასახვის ტექნიკური ფუნქციონალის დამატება და განმცხადებლის შესახებ განახლებული მონაცების ასახვა ბაზაში.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესში რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში - HTTPS://WWW.BOOKING.MOH.GOV.GE მონაცემთა სუბიექტის ვიზიტის დაჯავშნისას პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმება.

  ერთ-ერთი მედია საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჟურნალისტური ექსპერიმენტის ფარგლებში, ჟურნალისტის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების წელი) ასახული იქნა ზემოაღნიშნულ პორტალზე ერთ-ერთ კლინიკაში მეორე ვაქცინაზე ვიზიტის დაჯავშნის მიზნით. სიუჟეტის თანახმად, აღნიშნული გარემოება - მეორე ვაქცინაზე ვიზიტის დაჯავშნის ფაქტი - მიუთითებდა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი არ იყო ორგზის ვაქცინირებული.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შემოწმებით დადგინდა, რომ პორტალი იძლეოდა სხვა პირის დარეგისტრირების საშუალებას, რაც ემსახურებოდა ვაქცინაციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვას, ვინაიდან საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მომხმარებელს - ასაკის, ტექნიკური საშუალებების არ ქონის თუ სხვა გარემოების გამო - არ ჰქონდა პორტალზე დარეგისტრირების შესაძლებლობა.

სახელმწიფო ინსპექტორმა გაიზიარა ცენტრის არგუმენტაცია ვაქცინაციის პროცესის შეუფერხებელ წარმართვასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ვაქცინაციის პროცესის სიმარტივე და დაჩქარება ემსახურებოდა ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პორტალი იძლეოდა მონაცემთა სუბიექტის სახელით სხვა პირის მიერ რეგისტრაციისა და მონაცემთა სუბიექტისთვის განკუთვნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებების მესამე პირის მიერ მიღების შესაძლებლობას, სახელმწიფო ინსპექტორმა მიიჩნია, რომ ცენტრის მიერ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ზომების პორტალზე დამატება გაართულებდა რეგისტრაციის პროცესს და შეაფერხებდა ლეგიტიმური საჯარო მიზნის მიღწევას.

სახელმწიფო ინსპექტორმა განმარტა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ მონაცემთა აშკარად პირადი მიზნებისათვის დამუშავებაზე (როდესაც მათი დამუშავება დაკავშირებული არ არის მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობასთან) და მედიასაშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე. ვინაიდან შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ სწორედ ჟურნალისტური საქმიანობის ფარგლებში განახორციელდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მონაცემების პორტალზე ასახვა, რეგისტრაციის განმახორციელებელ პირს ვერ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

შემოწმებით ასევე დადგინდა, რომ ცენტრი მონაცემებს ამუშავებდა უფლებამოსილი პირის - სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს მეშვეობით, რომლის შესახებ არასწორი ინფორმაცია იყო მითითებული პორტალზე განთავსებულ დოკუმენტში. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ მონაცემთა დამუშავების პროცესში ცენტრი უფლებამოსილი პირის მომსახურებას არ იყენებდა.

სამსახურის გადაწყვეტილება: სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს დაევალა, მონაცემთა დამმუშავებლისა და მონაცემთა დამუშავებაში ჩართული უფლებამოსილი პირის ვინაობის, მონაცემთა დამუშავების მიზნისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება და ვიზიტის დაჯავშნისას სტატუსისა (მონაცემთა სუბიექტია თუ სხვა პირი) და საკონტაქტო მონაცემის კუთვნილების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- კერძო კლინიკა და ექიმი. მოქალაქის განცხადების საფუძველზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა ერთ-ერთი კლინიკისა და ექიმის მიერ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების სოციალურ ქსელში გასაჯაროების კანონიერება.

  განმცხადებლის განმარტებით, მან გაიკეთა პლასტიკური ოპერაცია (რინოპლასტიკა), რა დროსაც უარი განაცხადა მისი ფოტოსურათების რეკლამირების ან სამეცნიერო კვლევებისთვის გამოყენებაზე. ოპერაციიდან ექვსი თვის გასვლის შემდგომ პაციენტი განმეორებით მივიდა ექიმთან კონსულტაციაზე. კონსულტაციის ფარგლებში პაციენტს გადაუღეს ფოტოსურათები, რომლებსაც ექიმის განმარტებით, შეინახავდნენ განმცხადებლის სამედიცინო ისტორიაში და აღნიშნული ფოტოსურათები არ გახდებოდა ხელმისაწვდომი მესამე პირებისთვის. აღნიშნულის მიუხედავად, განმცხადებელმა სოციალურ ქსელში აღმოაჩინა, რომ ექიმს განმცხადებლის ოპერაციამდე და ოპერაციის შემდგომ გადაღებული ფოტოსურათები განთავსებული ჰქონდა საკუთარი სოციალური ქსელის ანგარიშებზე.

კერძო კლინიკისა და ექიმის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ტექსტის თანხლებით, ექიმს მის პირად FACEBOOK-ისა და INSTAGRAM-ის ანგარიშებზე განთავსებული ჰქონდა პაციენტის (განმცხადებლის) ამსახველი ფოტოსურათები ცხვირის ოპერაციამდე და ოპერაციის შემდგომ. ფოტოსურათებზე თანდართულ ტექსტში კი აღწერილი იყო პაციენტის სამედიცინო ჩვენება და ჩატარებული სამედიცინო მანიპულაციები. მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნებულ ფოტოსურათებზე პაციენტს თვალები დაფარული ჰქონდა, სახის სხვა მახასიათებლები მარტივად იძლეოდა მისი იდენტიფიცირების შესაძლებლობას. საქმის შესწავლის ფარგლებში გამოვლინდა, რომ პაციენტმა, სამედიცინო ისტორიის გახსნისას, კლინიკის მიერ მისი ფოტოსურათების სოციალურ ქსელში განთავსებაზე წერილობითი თანხმობა განაცხადა. თუმცა, მოგვიანებით, ოპერაციის ჩატარებამდე, იმავე გზით უარი თქვა ფოტოსურათების სარეკლამო მიზნით გამოყენებაზე. ექიმის მიერ ვერ იქნა დასახელებული პაციენტის ფოტოსურათებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების კანონით გათვალისწინებული საფუძველი. იგი აპელირებდა პაციენტის თავდაპირველ თანხმობაზე, რომლის საფუძველზეც მისი ფოტოსურათები შეინახა კომპიუტერის იმ საქაღალდეში, სადაც განთავსებული ჰქონდა გასაჯაროებისთვის გამიზნული ფოტოსურათები. ამასთან, ექიმის განმარტებით, პაციენტის ფოტოსურათებზე თანდართული ტექსტი არ მიემართებოდა კონკრეტულად ამ პაციენტს და იგი იყო რინოპლასტიკის შესახებ ინფორმაციის სტანდარტული სამედიცინო-სამეცნიერო-პოპულარული აღწერა, რომელიც მის მიერ სოციალურ ქსელში განთავსებულ სხვა პაციენტების ფოტოსურათებზე არსებული აღწერის იდენტური იყო. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმებით ასევე დადგინდა, რომ აღნიშნული ინფორმაციის სოციალურ ქსელში განთავსების უფლება ექიმს არ ჰქონდა მინიჭებული (და არც დავალებული) სამედიცინო დაწესებულების მხრიდან, შესაბამისად ის მოქმედებდა სამედიცინო პროცედურების გამწევი კლინიკისგან დამოუკიდებლად.

სახელმწიფო ინსპექტორის შეფასებით, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების კონფიდენციალობის დაცვა მნიშვნელოვანია როგორც პაციენტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემების დაცვისთვის, ასევე სამედიცინო პროფესიისა და ჯანდაცვის სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნებისთვის. სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ადამიანები განსაკუთრებულად მგრძნობიარენი შეიძლება იყვნენ ჩატარებული პლასტიკური ოპერაციების, მათ შორის, რინოპლასტიკის შესახებ ინფორმაციის მესამე პირებისთვის გამჟღავნების, მით უფრო ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით გასაჯაროებისადმი. ამასთან, ექიმის მიერ პაციენტის ფოტოზე მითითებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ მიემართებოდა პაციენტს, შესაბამისად, იგი არ იყო ნამდვილი და ზუსტი.

სამსახურის გადაწყვეტილება: ექიმს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 45-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე დამუშავება). ამავდროულად, ექიმს დაევალა პაციენტ(ებ)ის მონაცემები დაემუშავებინა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას და პრინციპების დაცვით, კერძოდ, დაემუშავებინა პაციენტთა ნამდვილი და ზუსტი მონაცემ(ებ)ი.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

- კერძო კლინიკა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, მოქალაქის შეტყობინების საფუძველზე დაიწყო ერთ-ერთი კლინიკის მიერ შეტყობინების ავტორისა და მისი დედის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა.

კერძო კლინიკის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ შეტყობინების ავტორმა და მისმა დედამ ისარგებლეს ერთ-ერთი კლინიკის ე.წ. „PCR“ ტესტის (პჯრ კვლევა) ბინაზე გამოძახების სერვისით. შეტყობინების ავტორის განმარტებით, მან კლინიკის წარმომადგენელს მიუთითა მისი ელექტრონული ფოსტის მისამართი და სთხოვა, სწორედ აღნიშნულ მისამართზე გადაეგზავნათ მისი და დედამისის კვლევის შედეგები. ამის მიუხედავად, კლინიკამ კვლევის შედეგები ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაუგზავნა მესამე პირს - შეტყობინების ავტორის დას, რომელსაც ამავე კლინიკაში ჰქონდა გაკეთებული ანალიზი რამდენიმე დღით ადრე.
კლინიკამ განმარტა, რომ მას მონაცემთა სუბიექტებისგან მიღებული ჰქონდა ზეპირსიტყვიერი თანხმობა მათი მონაცემების შეტყობინების ავტორის დის ელექტრონული ფოსტის მისამართზე გადაგზავნასთან

მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით მონაცემთა სუბიექტების ზეპირსიტყვიერი თანხმობის მიღების ფაქტი. ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორმა განმარტა, რომ ვინაიდან კვლევის შედეგები წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, შეტყობინების ავტორისა და მისი დედის კვლევის შედეგების გასამჟღავნებლად კლინიკას უნდა ჰქონოდა მონაცემთა სუბიექტების წერილობითი თანხმობა.

სამსახურის გადაწყვეტილება: კლინიკას დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე დამუშავება).

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეები და განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ ჯანდაცვის სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში ფიქსირდება არაერთი დარღვევა და ნაკლოვანება:

- ჯანდაცვის სექტორში მონაცემების დამუშავების პროცესში მონაცემთა დამმუშავებლებს, ხშირად არ აქვთ მიღებული მონაცემთა უსაფრთხოების შესაბამისი ზომები, რაც იწვევს მონაცემთა შემთხვევით და უკანონო გამჟღავნებას. მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა დამუშავების საწყის ეტაპზევე მიღებული იყოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან;

- გარკვეულ შემთხვევებში, სამედიცინო დაწესებულებები პაციენტების შესახებ ამუშავებენ არაზუსტ მონაცემებს. ჯანდაცვის სექტორში დამუშავებული მონაცემების სენსიტიურობის გათვალისწინებით, არსებითად მნიშვნელოვანია პაციენტების მონაცემები დამუშავდეს მაქსიმალური სიზუსტით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს დაამუშავოს მონაცემთა სუბიექტის ნამდვილი და ზუსტი მონაცემები, ვინაიდან განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების არასწორმა/არაზუსტმა დამუშავებამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ადამიანის სხვა უფლებების რეალიზებას;

- ზოგიერთ შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი არ უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის კანონით დადგენილი წესით ინფორმირებას მისი მონაცემების დამუშავების შესახებ. ასეთი ინფორმაციის მიღება, საშუალებას აძლევს მონაცემთა სუბიექტს, აკონტროლოს მისი მონაცემების დამუშავების კანონიერება. თუ მონაცემთა შეგროვება ხორციელდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან, მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

    - მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და რეგისტრირებული მისამართი;
    - მონაცემთა დამუშავების მიზანი;
    - სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მიწოდება. თუ სავალდებულოა – მასზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები;
    - მონაცემთა სუბიექტის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება;

- არც თუ იშვიათად, სამედიცინო დაწესებულება/სამედიცინო პერსონალი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ამჟღავნებს/ასაჯაროვებს პაციენტის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს. აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების კონფიდენციალობის დაცვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პაციენტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და მონაცემების დაცვისთვის, არამედ სამედიცინო პროფესიისა და ჯანდაცვის სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნების თვალსაზრისითაც. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება (მათ შორის, გამჟღავნება) დაუშვებელია, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა;

- ხშირად პრობლემურ საკითხს წარმოადგენს მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობის ფაქტის დადგენა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მონაცემთა დამმუშავებლებს აკისრებს მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობის მტკიცების ტვირთს. ამდენად, მონაცემთა დამმუშავებლებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი მტკიცებულების შექმნა/შენახვა, რომლითაც დავის წარმოშობის შემთხვევაში დაადასტურებენ მათი მხრიდან მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის მიღების ფაქტს.

ჯანდაცვის სექტორში მონაცემთა დაცვის სტანდარტის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია, იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებენ პაციენტების პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას, ყურადღება გაამახვილონ წინამდებარე ანგარიშში მითითებულ დარღვევებსა და რეკომენდაციებზე.

რეკომენდებულია ორგანიზაციებმა გაითვალისწინონ შემდეგი საკითხები:

- არ გაამჟღავნონ პაციენტების პერსონალური მონაცემები კანონით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე;
- მიიღონ ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოებას და თავიდან იქნება აცილებული მონაცემების შემთხვევით და უკანონო გამჟღავნება;
- შეიმუშაონ პაციენტების პერსონალური მონაცემების დამუშავების შიდა ორგანიზაციული წესები, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მონაცემთა დამუშავების მიზნობრიობა, საჭიროება, მონაცემთა უსაფრთხოების საკითხები და მონაცემების მესამე პირებზე გადაცემის ან/და გამჟღავნების შემთხვევები;
- უზრუნველყონ ორგანიზაციაში დასაქმებული პირების გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე, რათა სამუშაო პროცესში არ დაარღვიონ პაციენტების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

07

პერსონალური მონაცემების დამუშავება საარჩევნო პროცესში

7. პერსონალური მონაცემების დამუშავება საარჩევნო პროცესში

საარჩევნო პერიოდში დიდი მოცულობით მუშავდება როგორც „ჩვეულებრივი“, ასევე, „განსაკუთრებული კატეგორიის“ მონაცემები, მაგალითად, ინფორმაცია პირის პოლიტიკური შეხედულების შესახებ, რომელიც განსაკუთრებულად დაცული ინფორმაციაა და მისი შეგროვება, გამოყენება და გამჟღავნება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ, გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები.

კანონმდებლობის თანახმად, საარჩევნო პროცესში პერსონალურ მონაცემთა ნაწილი საჯაროდ ხელმისაწვდომია (მაგალითად, ამომრჩეველთა სიის გარკვეული ნაწილი), რაც მათი არაკანონიერად გამოყენების რისკებს ზრდის. მონაცემთა ნაწილი კი ხელმისაწვდომია საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტებისთვის და პირებისთვის: ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის, სარჩევნო კომისიებისთვის, პოლიტიკური პარტიებისთვის, საარჩევნო ბლოკებისთვის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისთვის და ა.შ. გარდა ამისა, კანონმდებლობის შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებსა და დამკვირვებლებს, ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე საჩივრის წარდგენის მიზნით, მინიჭებული აქვთ საარჩევნო პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობა, მათ შორის, სასურველი ინფორმაციის შეგროვების უფლება.

საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტებისთვის ფართო (მათ შორის, მონაცემების დამუშავების) უფლებამოსილების მინიჭება გამომდინარეობს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესიდან და ემსახურება საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ მიზნებს, თუმცა საარჩევნო პროცესის დემოკრატიულად წარმართვისთვის არსებითია, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვა.

2021 წელს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. შესაბამისად, აქტუალური იყო საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებიც.

ცნობიერების ამაღლება და განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით გატარებული ღონისძიებები მიზნად ისახავდა როგორც მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენას და რეაგირებას, ასევე, მათ პრევენციას:

- 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე, სახელმწიფო ინსპექტორი შეხვდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. შეხვედრის მიზანი უწყებებს შორის კოორდინაციის კიდევ უფრო გაძლიერება და წინასაარჩევნო პროცესისა და კენჭისყრის დღეს მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების დაცვა იყო. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა არჩევანის კონფიდენციალობის დაცვის მნიშვნელობასა და ამ მიზნით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე გამახვილდა. ასევე, განხილული იქნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წინა წლებში საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით განხილულ საქმეებში გამოვლენილი დარღვევები. გარდა ამისა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს შორის გაიმართა სამუშაო შეხვედრა საარჩევნო პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ხელშეწყობის მიზნით;

- სამსახურის მიერ ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადდა და სოციალურ ქსელში განთავსდა ტესტი საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც სოციალური ქსელის 750-ზე მეტმა მომხმარებელმა შეავსო. ამასთან, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მსგავსი დარღვევების პრევენციის მიზნით, სამსახურმა გამოაქვეყნა ინფორმაცია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოვლენილი პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავების ფაქტების შესახებ;

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენლები ჩართული იყვნენ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში, სადაც შემდგომი რეაგირების მიზნით განიხილებოდა საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციები.

შესწავლილი პროცესები

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების 16 შემთხვევა, რომელთაგან ათი განხორციელდა მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე, ხოლო ექვსი - სამსახურის ინიციატივით. სამსახურში შემოსული განცხადებები, ძირითადად, შეეხებოდა ამომრჩეველთა მონაცემების უკანონო მოპოვებას/გამოყენებას და ინფორმირების წესების დარღვევას (ამომრჩეველთა ვინაობის, ტელეფონის ნომრისა და მისამართის მოპოვების, პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერად ამომრჩევლებთან დაკავშირების, ასევე, პერსონალური მონაცემების მოპოვების გზების შესახებ ინფორმაციის მონაცემთა სუბიექტისთვის მიუწოდებლობის შემთხვევებს).

აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებების არარსებობის გამო, სირთულეს წარმოადგენდა პერსონალური მონაცემების დამუშავების ფაქტების დადგენა და მათი კანონიერების შეფასება. სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა ერთ პირს ერთი სამართალდარღვევისთვის. სანქციის სახით გამოყენებულ იქნა გაფრთხილება. ადმინისტრაციული სახდელის პარალელურად, საჯარო და კერძო დაწესებულებებში, მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა ერთი რეკომენდაცია და შესასრულებლად სავალდებულო სამი დავალება.

2021 წელს საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევები შესწავლილ იქნა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და საჯარო ორგანიზაციებში, რომლებიც ამომრჩეველი პირების შესახებ დიდი მოცულობით ან/და სენსიტიურ მონაცემებს ამუშავებენ. ყურადღება გამახვილდა პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერთა მობილიზების მიზნით საჯარო მოხელეების მონაცემების დამუშავებაზე, საარჩევნოო უბნებზე განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერების მეშვეობით მონაცემების დამუშავებაზე, პოლიტიკური პარტიების მიერ ამომრჩეველთა გამოკითხვის მიზნით პერსონალური მონაცემების მოპოვებაზე, ასევე, საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაზე. კერძოდ, სამსახურმა შეისწავლა/შეამოწმა:

- საარჩევნო უბანი. ერთ-ერთი საინფორმაციო საშუალებით გავრცელებული სიუჟეტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის დღეს ქ. რუსთავის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილ სივრცეში განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერები მიმართული იყო უშუალოდ საარჩევნო კაბინებისკენ. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო საარჩევნო უბანზე ვიდეოსათვალთვალო კამერების მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმება.

საარჩევნო უბანზე ჩატარებული შემოწმებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილ სივრცეში განთავსებული ვიდეოკამერების ხედვის არეალში საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი სივრცე და საარჩევნო კაბინები არ ხვდებოდა. იგი მიმართული იყო საარჩევნო უბანში არსებული დერეფნისკენ. ასევე დადგინდა, რომ სკოლის მანდატურმა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წერილის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მითითებით, გათიშა ვიდეოსათვალთვალო სისტემა არჩევნების დღემდე. ამდენად, 2021 წლის 2 ოქტომბრის მდგომარეობით (არჩევნების დღეს) საჯარო სკოლის ვიდეოსათვალთვალო სისტემა არ ფუნქციონირებდა. ამასთან, არ გამოიკვეთა ვიდეოჩანაწერის წაშლის ან/და სხვა მსგავსი მანიპულაციის ფაქტი.

აღნიშნულ საქმეში სამსახურის მიერ ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ საარჩევნო უბანზე განთავსებულ ვიდეოსათვალთვალო კამერებს ამომრჩევლებსა და საარჩევნო უბანზე მყოფ პირებში შესაძლოა გაეჩინა ეჭვი კენჭისყრის ფარულობის დარღვევის შესახებ, რაც ხელს შეუშლიდა ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლინებას.

სამსახურის გადაწყვეტილება: ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიეცა რეკომენდაცია მიიღოს შესაბამისი ზომები, კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე განთავსებული ვიდეოკამერების იმგვარად მოდიფიცირების შესახებ, რომელიც ამომრჩევლებში და საარჩევნო უბანზე მყოფ სხვა პირებში არ გააჩენს ვიდეოთვალთვალის განცდას.

- სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. ერთ-ერთი განმცხადებლის მომართვის საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა სააგენტოს მიერ განმცხადებლის მონაცემების მოპოვებისა და მის გარდაცვლილ მამასთან ნათესაური კავშირის შესახებ ინფორმაციის დამუშავების კანონიერება.

მონაცემთა დამუშავების შესწავლის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ საარჩევნო კოდექსით დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით სააგენტოში ხორციელდებოდა „საარჩევნო სიების სრულყოფის“ პროექტი. პროექტის მიზანი ერთიან საარჩევნო სიაში არსებული იმ უზუსტობების გამოსწორება იყო, რომელთა გამოც მოქალაქეების გარკვეულ კატეგორიას ეზღუდებოდა ხმის მიცემის უფლება. შემოწმების პროცესში დადგინდა, რომ განმცხადებლის მონაცემების დამუშავება საჭირო იყო კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად და კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად - ზუსტი/სწორი ამომრჩეველთა ერთიანი სიის ცესკოსათვის მისაწოდებლად.

შემოწმების ფარგლებში განმცხადებელი ასევე მიუთითებდა, რომ სააგენტოს წარმომადგენელმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდა მონაცემთა დამმუშავებლის ვინაობის შესახებ და გაეცნო როგორც იუსტიციის სახლის წარმომადგენელი. სამსახურმა უტყუარი მტკიცებულებების არარსებობის გამო, აღნიშნული ფაქტი ვერ დაადგინა, თუმცა მონაცემთა სუბიექტის ჯეროვანი ინფორმირების მიზნით სააგენტოს მიეცა შესასრულებლად სავალდებულო დავალება.

სამსახურის გადაწყვეტილება: სსიპ - სახელმწიფო სერვისები განვითარების სააგენტოს დაევალა „საარჩევნო სიების სრულყოფის პროექტის“ ფარგლებში მონაცემთა სუბიექტთან დაკავშირებისას მონაცემთა სუბიექტებისთვის მონაცემთა დამმუშავებლის ვინაობის შესახებ ინფორმაციის ცხადად და არაორაზროვნად მიწოდების უზრუნველყოფა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- პოლიტიკური პარტია. გასული წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც არაერთმა მოქალაქემ მომართა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მხრიდან მათი ინფორმირების კანონიერების შესწავლის მოთხოვნით. გამოიკვეთა, რომ პარტიის წარმომადგენლებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარგლებში ამომრჩევლები სთხოვდნენ ინფორმაციას მათი მონაცემების დამუშავების, მათ შორის, მონაცემების მოპოვების კონკრეტული წყაროს შესახებ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ, მოქალაქის მომართვების საფუძველზე, ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ 2021 წლის 2 ოქტომბერს პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს, სატელეფონო კომუნიკაციის ფარგლებში, ერთ-ერთმა განმცხადებელმა მოსთხოვა მისი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ვინაიდან საარჩევნო პერიოდი დასრულებული იყო და პარტიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია განადგურებული ჰქონდა, პარტიამ სამსახურს ვერ წარმოუდგინა ინფორმაცია და მტკიცებულება 2021 წლის 2 ოქტომბრიდან 10 (ათი) დღის ვადაში განმცხადებლის ინფორმირების ან/და ინფორმირების მცდელობის შესახებ.

სამსახურის გადაწყვეტილება: პოლიტიკურ პარტიას დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევა). ამასთან, დაევალა მონაცემების მოპოვების აღრიცხვის წესის/პროცედურის წერილობით შემუშავება.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- პოლიტიკური პარტია. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის შეტყობინების თანახმად, 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს, სხვადასხვა არაუფლებამოსილ პირს, საარჩევნო უბნების ტერიტორიის გარეთ ჰქონდათ ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ფოტოსურათებიანი ვერსიის იდენტური სიები, რომლებიც მოიცავდა ამომრჩეველთა ფოტოსურათებს და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემებს (აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილი იყო ვიდეომასალა). აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მყისიერად დაიწყო მითითებული ფაქტის შესწავლა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ, შემოწმების პროცესში განხორციელებული არაერთი ღონისძიების მიუხედავად, ვერ დადგინდა შეტყობინების ავტორის მიერ წარმოდგენილ ვიდეომასალაში დაფიქსირებულ პირთა ვინაობა და ვერ მოხერხდა მათგან ახსნა-განმარტების მიღება მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ. თუმცა, გამოიკვეთა ერთი პირის კავშირი ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიასთან. შემოწმების პროცესში ასევე დადგინდა, რომ აღნიშნულმა პარტიამ წერილით მიმართა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და გამოითხოვა ამომრჩეველთა სიის ელექტრონული ასლი, რომელიც ხელმისაწვდომი გახადა პოლიტიკური პარტიის წევრებისა და პარტიასთან მუდმივ კავშირში მყოფი პირებისთვის. შემოწმების პროცესში გამოიკვეთა, რომ პარტია მის წევრებს და მასთან მუდმივად კავშირში მყოფ პირებს ამომრჩეველთა სიის გადაცემის დროს აძლევდა ზეპირ ინსტრუქციებს სიების უსაფრთხოების მიზნით მისაღები ზომების შესახებ.

სამსახურის გადაწყვეტილება: პოლიტიკურ პარტიას დაევალა პარტიის წევრებისთვის/პარტიასთან დაკავშირებული პირებისთვის ამომრჩეველთა სიის გადაცემის ფაქტების აღრიცხვა და მათ მიერ ამომრჩეველთა სიის გამოყენებისა და მიზნის მიღწევის შემდგომ მისი განადგურების წესის წერილობით დარეგულირება.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- პოლიტიკური პარტია. ერთ-ერთ საინფორმაციო საშუალებით გასული სიუჟეტის მიხედვით, 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს, სხვადასხვა სატელეფონო ნომრებიდან უკავშირდებოდნენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლებს, რომლებსაც მიმართავდნენ სახელით და გვარით, ასევე, სთხოვდნენ ხმა მიეცათ პარტიისთვის. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო აღნიშნული ფაქტების შესწავლა.

მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ პოლიტიკური პარტიის მხრიდან 2021 წლის 2 ოქტომბერს სამინისტროს თანამშრომლებთან დაკავშირების ფაქტი არ დადგინდა. ამასთან, სამსახურმა გამოკითხა პარტიის მიერ 2021 წლის 2 ოქტომბერს განხორციელებული ზარების ადრესატები, რომელთაგან მხოლოდ ერთმა დაადასტურა მერიაში მუშაობის ფაქტი. ვერ დადგინდა პარტიის მიერ განხორციელებული ზარების ადრესატების მონაცემების მოპოვების კონკრეტული წყარო. შემოწმების ფარგლებში პოლიტიკურმა პარტიამ ვერ წარმოადგინა დაზუსტებული ინფორმაცია მონაცემთა მოპოვების კონკრეტული გზებისა და პროცედურების შესახებ, თუმცა მიუთითა, რომ მონაცემებს მოიპოვებდა მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის საფუძველზე. პარტია არ აღრიცხავდა ამომრჩეველთა და მხარდამჭერთა შესახებ მესამე პირ(ებ)ისგან მოპოვებულ ინფორმაციას (მათ შორის, მონაცემების მოპოვების წყაროს შესახებ), რაც საფრთხეს უქმნიდა მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზებას.

სამსახურის გადაწყვეტილება: პოლიტიკურ პარტიას დაევალა, მომავალში წინასაარჩევნო აგიტაციის ფარგლებში, ამომრჩეველთა/მხარდამჭერთა მობილიზების მიზნით, მესამე პირ(ებ)ისგან ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და მოპოვებული ინფორმაციის (რა მონაცემი იქნა მოპოვებული, რა გზით, როდის, რა საფუძვლითა და მიზნით) აღრიცხვის წესის/პროცედურის წერილობით შემუშავება და დანერგვა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

საარჩევნო პროცესში ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დამუშავება განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს. შესაბამისად, აღნიშნულ პროცესში ორგანიზაციებმა უნდა იმოქმედონ ამომრჩეველთა ინტერესების გათვალისწინებით. სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ საარჩევნო პროცესების მიმდინარეობისას მონაცემების დამუშავების კუთხით ფიქსირდება გარკვეული დარღვევები და ნაკლოვანებები. კერძოდ:

- პოლიტიკური პარტიების უმეტესობა არ აღრიცხავს ამომრჩეველთა/მხარდამჭერთა შესახებ მესამე პირ(ებ)ისგან მოპოვებულ (მათ შორის, მონაცემების მოპოვების წყაროს შესახებ) ინფორმაციას, რაც საფრთხეს უქმნის როგორც მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის უფლების რეალიზებას, ასევე, დავის შემთხვევაში, ართულებს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული გარემოებების სრულყოფილად დადგენას/გამოკვლევას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზებისა და მონაცემთა კანონის შესაბამისად დამუშავების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია პოლიტიკურმა პარტიებმა შეიმუშაონ წერილობითი

დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს წინასაარჩევნო აგიტაციის ფარგლებში ამომრჩეველთა/მხარდამჭერთა მობილიზების მიზნით მესამე პირისგან პერსონალური მონაცემების მოპოვებისა (რა მონაცემი იქნა მოპოვებული, რა გზით, როდის, რა საფუძვლითა და მიზნით) და აღრიცხვის წესებს;

- რიგ შემთხვევებში, პოლიტიკური პარტიები პარტიის წევრებს და პარტიასთან მუდმივ კავშირში მყოფ პირებს, ამომრჩეველთა სიის გადაცემის დროს, აძლევენ მხოლოდ ზეპირ ინსტრუქციას სიების უსაფრთხოების მიზნით მისაღები ზომების შესახებ. ამომრჩეველთა სიაში თავმოყრილი მილიონობით ამომრჩევლის პერსონალურ მონაცემთა დიდი მოცულობა და არჩევნების მიმდინარეობისას მონაცემების დამუშავების პროცესში ჩართულ პირთა სიმრავლე წარმოშობს მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავების რისკებს. ამდენად, მონაცემების უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნების, ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენების თავიდან აცილებისა და მონაცემებზე არასანქცირებული წვდომის პრევენციის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია პოლიტიკურმა პარტიებმა აღრიცხონ პარტიის წევრებისთვის/პარტიასთან დაკავშირებული პირებისთვის ამომრჩეველთა სიის გადაცემის ფაქტები და წერილობით განსაზღვრონ მათ მიერ ამომრჩეველთა სიის გამოყენებისა და მიზნის მიღწევის შემდგომ მისი განადგურების წესი. ამასთან, პოლიტიკურმა პარტიებმა კენჭისყრის დღეს განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ამომრჩეველთა სიის მიმართ - აღნიშნული სია უნდა გამოიყენონ მხოლოდ კანონით გათვალისწინებული მართლზომიერი მიზნებისთვის და საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;

- გამოკვეთილი ტენდენციის თანახმად, პოლიტიკური პარტიების მიერ გამოკითხვის ჩატარების მიზნით ამომრჩევლებთან სატელეფონო გზით დაკავშირებისას, მოქალაქეები ინტერესდებიან მათი პერსონალური მონაცემების მოპოვების წყაროთი/გზებით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ინფორმაციის მიღება მონაცემთა სუბიექტის უფლებაა, რიგ შემთხვევებში, პარტიები სათანადოდ არ აწვდიან ამ ინფორმაციას ამომრჩეველს და ვერ უთითებდნენ წყაროებს, რაც მოქალაქეებს უჩენს ეჭვს მისი მონაცემების მოპოვების კანონიერებასთან დაკავშირებით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებების ჯეროვანი რეალიზების მიზნით, მნიშვნელოვანია პოლიტიკურმა პარტიებმა და საარჩევნო პროცესის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებაში ჩართულმა სხვა ორგანიზაციებმა ამომრჩეველს პროაქტიულად მიაწოდონ ინფორმაცია მათი, როგორც მონაცემთა სუბიექტის, უფლებების შესახებ, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებზე: რომელი ორგანიზაცია აგროვებს მის მონაცემებს, რა მიზნით, სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემების მიწოდება, რომელი სამართლებრივი საფუძვლით მუშავდება ინფორმაცია და სხვა;

- ასევე გამოიკვეთა, რომ ზოგჯერ საარჩევნო უბნები განთავსებულია ისეთ სივრცეში, სადაც დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო კამერები. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურის მიერ წარმოებული საქმის ფარგლებში არ დადგინდა დარღვევა და აღმოჩნდა, რომ ვიდეოსათვალთვალო კამერები არჩევნების დღეს იყო გამორთულ მდგომარეობაში, საარჩევნო უბანზე განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერები ამომრჩევლებსა და საარჩევნო უბანზე მყოფ პირებში აჩენს კენჭისყრის ფარულობის დარღვევის ეჭვს. ამდენად აუცილებელია, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს საარჩევნო უბნების ისე მოწყობა, რომ ამომრჩეველს ჰქონდეს მისი საარჩევნო უფლების ფარულად განხორციელების განცდა.

საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების სტანდარტის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა მონაცემების დამმუშავებელმა ორგანიზაციებმა ყურადღება გაამახვილონ წინამდებარე ანგარიშში მითითებულ დარღვევებსა და რეკომენდაციებზე. ორგანიზაციებმა:

- შეიმუშაონ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას ამომრჩეველთა მონაცემების დამუშავების მარეგულირებელი დეტალური წესები/ინსტრუქციები;
- ამომრჩეველთა გამოკითხვის მიზნით, მათი მონაცემები მოიპოვონ მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლ(ებ)ის არსებობის პირობებში და ამავე კანონით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით;
- აამაღლონ საარჩევნო პროცესში ჩართულ პირთა ცნობიერება და უნდა უზრუნველყონ ამომრჩეველთა მონაცემების უსაფრთხოება.

08

სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემების დამუშავება

8. სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემების დამუშავება

სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა საპოლიციო ღონისძიების ჩატარებასთან, დანაშაულის გამოძიებასთან, სისხლისსამართლებრივ დევნასა და სასჯელის აღსრულებასთან. ამ ფუნქციების შესრულებისას, ისინი ამუშავებენ დიდი მოცულობით პერსონალურ მონაცემებს. მათ ხელი მიუწვდებათ არაერთ საინფორმაციო ბაზაზე, ვიდეოსათვალთვალო სისტემების ჩანაწერებზე, ღია და ფარული მეთოდებით მოპოვებულ მონაცემებზე, რაც ზრდის პერსონალური მონაცემების კანონის მოთხოვნათა დარღვევით დამუშავების რისკებს. თავის მხრივ, სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემების არაკანონიერმა დამუშავებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს მონაცემთა სუბიექტების უფლებები: გამოიწვიოს მათი ღირსების/რეპუტაციის შელახვა ან/და სტიგმატიზაცია, მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა და ა. შ.

2021 წელს სამსახურის მიერ სამართალდამცავ ორგანოებში ჩატარებული შემოწმებები ორიენტირებული იყო როგორც მოქალაქეთა (მათ შორის, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა, ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა), ასევე, სამართალდამცავ ორგანოებში დასაქმებულ პირთა უფლებების დაცვაზე. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, 2021 წელს კვლავ გამოწვევად რჩებოდა COVID-19, რომელმაც სამართალდამცავ ორგანოებში წარმოშვა მონაცემთა დამუშავების ახალი პროცესების დანერგვის საჭიროება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური 2021 წელს რეაგირებდა როგორც მოქალაქეების შეტყობინებებსა და განცხადებებზე, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სამართალდამცავ სექტორში მონაცემთა კანონის მოთხოვნების შესაძლო დარღვევით დამუშავებასთან დაკავშირებით მედიასაშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციას, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ იდენტიფიცირებულ საკითხებს.

ცნობიერების ამაღლება და განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები

მონაცემთა სუბიექტების განცხადებების განხილვისა და მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებასთან ერთად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ორიენტირებული იყო პრევენციაზე - სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებაზე. სამსახურმა 2021 წელს ჩაატარა არაერთი შეხვედრა და ტრენინგი:

- სამსახურმა შვიდი ტრენინგი ჩაუტარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 200-მდე თანამშრომელს. ტრენინგები შეეხებოდა მონაცემთა დამუშავების ზოგად საკითხებს, არასრულწლოვნების მონაცემების დამუშავებას, განსაკუთრებული კატეგორიის, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული, მონაცემების დამუშავებას, მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და სხვა მნიშნელოვან საკითხებს;

- სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან გაიმართა ხუთი შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებმა. შეხვედრები შეეხებოდა მონაცემების დამუშავების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის: საპოლიციო ღონისძიებების ფარგლებში ფოტოგადაღება, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ვიდეოთვალთვალი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში მონაცემების დამუშავება და სხვა;

- საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის ხელშეწყობით მომზადდა სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების კრებული, რომელიც აერთიანებს, 2013-2021 წლებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის (პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის) მიერ განხილულ 24 რეალურ საქმეს და რეკომენდაციებს მონაცემთა დამმუშავებლებისთვის მსგავსი დარღვევების პრევენციის მიზნით. აღნიშნული კრებული, მათ შორის, უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას სამსახურის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების შესახებ;

- სამსახურის თანამშრომლები, კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, ჩართულნი იყვნენ კიბერუსაფრთხოების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. ამასთან, სამსახურის თანამშრომლები არიან კიბერუსაფრთხოების სფეროს რეფორმის პროგრამის ბორდის წევრები. სამუშაო პროცესში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გასცემდა რეკომენდაციებს, რომლებიც ემსახურებოდა აღნიშნულ სფეროში მონაცემთა დამუშავების სტანდარტების დაცვას.

შესწავლილი პროცესები

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემთა დამუშავების 56 შემთხვევა, რომელთაგან 27 განხორციელდა მონაცემთა სუბიექტების განცხადების საფუძველზე, 20 - მიღებული შეტყობინებების, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში მითითებული გარემოებების საფუძველზე, ხოლო ცხრა - სახელმწიფო ინსპექტორის ინიციატივით (სამსახურის ინიციატივით გეგმური შემოწმება ჩატარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში და ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია - შპს „ვიონი საქართველოში“).

2021 წელს სამსახურში შემოსული შეტყობინებებისა და მონაცემთა სუბიექტების განცხადებების უდიდესი ნაწილი უკავშირდებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მონაცემთა დამუშავებას. რაც შეეხება განცხადებებისა და შეტყობინებების შინაარსს, ისინი ძირითადად შეეხებოდა: მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების წესების დარღვევას; ქუჩაში მოქალაქეთა ფოტოგადაღების კანონიერებას; გაქარწყლებული/მოხსნილი ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში გამოყენების კანონიერებას; COVID-19-ის მართვის მიზნით დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში, პენიტენციურ დაწესებულებებში ადვოკატების/საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლებსა და ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის დოკუმენტაციის მიმოცვლის პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებას; სამართალდამცავ ორგანოებში დასაქმებული პირების ვაქცინაციის მიზნით მათი მონაცემების დამუშავების კანონიერებას და სხვა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინიციატივით განხორციელებული შემოწმებების ფარგლებში შესწავლილ იქნა: სამართალდამცავ ორგანოებში დასაქმებული პირების პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ) მონაცემების დამუშავების კანონიერება; ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების კანონიერება და მათი დამუშავების მიზნით გამოყენებული ელექტრონული ბაზები; სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ პაემნების ფარგლებში მონაცემების დამუშავების კანონიერება; ფარული საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობისას მონაცემთა დამუშავების კანონიერება, მათ შორის, ამ მიზნით გამოყენებული ტექნიკური საშუალებები; ვიდეოსათვალთვალო სისტემებით მონაცემების დამუშავება და სხვა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების შედეგად, 29 სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა 20 შემთხვევაში დაეკისრა სხვადასხვა სამართალდამცავ ორგანოს. სანქციის სახით 4 შემთხვევაში გამოყენებული იქნა გაფრთხილება, ხოლო 16 შემთხვევაში - ჯარიმა. მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფად, ადმინისტრაციული სახდელების გამოყენების პარალელურად, სამსახურმა გასცა შვიდი რეკომენდაცია და შესასრულებლად სავალდებულო 67 დავალება.

სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემების დამუშავება



სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რიგი საქმეები დეტალურად არის განხილული აღნიშნული ანგარიშის შესაბამის თემატურ ქვეთავებში. მოცემულ ქვეთავში კი მიმოხილულია სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი ძირითადი ფუნქციების შესრულების პროცესში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეები. კერძოდ, სამსახურმა შეისწავლა/შეამოწმა:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. 2021 წლის ივლისში სოციალურ ქსელში „FACEBOOK“, სხვადასხვა მომხმარებლის მიერ გასაჯაროვდა გარდაცვლილი პირის (2021 წლის 5 ივლისს, ქ. თბილისში გამართული საპროტესტო აქციების მიმდინარეობის პროცესში დაზარალებული, ტელეკომპანია „TV პირველის“, ოპერატორის ა.ლ.-ს) პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები - ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებში მისი ამა თუ იმ სტატუსით მონაწილეობის შესახებ. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა თავისი ინიციატივით დაიწყო საქმის შესწავლა.

მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბაზაში აღრიცხული იყო ტელეკომპანია „TV პირველის“, ოპერატორის ა.ლ.-ს პერსონალური მონაცემები (ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებში მისი ამა თუ იმ სტატუსით მონაწილეობის შესახებ). აღნიშნული მონაცემები ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებსაც ჰქონდათ ელექტრონულ ბაზაზე წვდომა. სოციალურ ქსელში/ინტერნეტ სივრცეში გასაჯაროებული და სამინისტროში დაცული მონაცემების

შედარებით დადგინდა, რომ გავრცელებული ინფორმაცია სრულ თანხვედრაში იყო სამინისტროს ბაზაში არსებულ მონაცემებთან: სტრუქტურით, თანმიმდევრობით, ტექსტში გამოყენებული სიმბოლოებით (სასვენი ნიშნებით). ასევე, იდენტური იყო სტილისტური და გრამატიკული შეცდომები და ხარვეზები. სამინისტროს საინფორმაციო ბაზის შემოწმებით ასევე გამოვლინდა, რომ ა.ლ.-ს მონაცემებზე, მათი გასაჯაროების წინა პერიოდში, წვდომა განხორციელდა 164-ჯერ სამინისტროს სხვადასხვა თანამდებობის და ფუნქცია-მოვალეობის 82 თანამშრომლის მიერ.

ზემოაღნიშნული გარემოებები ცალსახად მიუთითებდა, რომ ა.ლ.-ს პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის, მონაცემების გავრცელების პირველი წყარო იყო სამინისტრო. თუმცა სამსახურის მიერ ვერ დადგინდა სამინისტროს კონკრეტული თანამშრომელი, რომელმაც მესამე პირთათვის ხელმისაწვდომი გახადა ეს მონაცემები. აღსანიშნავია ისიც, რომ სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ საკუთარი ინიციატივით დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება იმ თანამშრომელთა იდენტიფიცირების მიზნით, რომლებსაც ერთიან საინფორმაციო ბანკში არსებულ მონაცემებზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ჰქონდათ წვდომა. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან გამომდინარე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა არ/ვერ შეაფასა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონკრეტული თანამშრომლის ქმედების მართლზომიერება.

სამსახურის გადაწყვეტილება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა ა.ლ.-ს მონაცემებზე წვდომისა და შესაძლო გამჟღავნების ფაქტებზე მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმების დასრულებისთანავე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის შემოწმების შედეგებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის მოწოდება. ასევე დაევალა, პერსონალურ მონაცემებზე წვდომისა და მათი გამოყენების დეტალური ინსტრუქციის შემუშავება და აღნიშნული ინსტრუქციის თანამშრომელთათვის გაცნობის უზრუნველყოფა მათი პერიოდული გადამზადების გზით.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. მოქალაქის განცხადების საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, პირის ნასამართლობის შესახებ, ინფორმაციის შენახვისა და მისი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში გამოყენების კანონიერება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე, გამომძიებელმა გამოითხოვა ცნობა მისი ნასამართლობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ნასამართლობის ცნობაში მითითებული იყო განმცხადებლისთვის ნასამართლობის მოხსნის შესახებ, გამომძიებელმა გამოითხოვა განმცხადებლის ნასამართლობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის მასალები, გირაოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და ცნობა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მისი განთავისუფლების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები დაერთო სისხლის სამართლის საქმეს და წარედგინა სასამართლოს. სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, განმცხადებლის მოხსნილი ნასამართლობა სამართლებრივ გავლენას ვერ იქონიებდა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციაზე, თუმცა იგი ქმნიდა წარმოდგენას განმცხადებლის პიროვნების შესახებ.

დადგინდა, რომ სამინისტრო ინახავდა ინფორმაციას მართლსაწინააღმდეგო ქმედებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, სისხლის სამართლის დანაშაულების, მათი შესაძლო ჩამდენი პირების, ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირების, დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომებისა და სასამართლო პროცესების მიმდინარეობის შესახებ. მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის დამუშავების საჭიროებას განაპირობებდა, მათ შორის, „იარაღის შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონები, რომელთა დებულებები ითვალისწინებს გარკვეული უფლებების შეზღუდვას ნასამართლობის მოხსნის ან/და გაქარწყლების შემდგომაც. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, განაჩენის აღსრულების გადავადების, მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების, უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის გადასინჯვის/უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის და პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, სასამართლოს მიერ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიიჩნია, რომ სამინისტრო უფლებამოსილი იყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაემუშავებინა გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობის შესახებ მონაცემები, თუმცა სამსახურმა განმარტა, რომ სამინისტროს მიერ პირის ნასამართლობის შესახებ მონაცემების განუსაზღვრელი ვადით შენახვა წინააღმდეგობაში მოდის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო და ადგილობრივ კანონმდებლობასთან. შესაბამისად, სამინისტროს უნდა განესაზღვრა აღნიშნული მონაცემების შენახვის დიფერენცირებული ვადები.

სამსახურმა განმარტა, რომ გამოძიების ობიექტურად წარმართვისა და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, გამომძიებელი უფლებამოსილი იყო გადაემოწმებინა პირის ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, თუმცა საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად, წარსული ნასამართლობა პირზე მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში ახდენს გავლენას და სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის

შემდეგ, ამ მონაცემებმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევაში, არ შეიძლება გავლენა იქონიოს პიროვნების შეფასებაზე (რა მიზნითაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში იქნა განმცხადებლის მონაცემები გამოყენებული).

სამსახურის გადაწყვეტილება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის. ამავდროულად, დაევალა: წერილობით განესაზღვრა პირთა ნასამართლობის შესახებ მონაცემების შენახვის ვადები, რაც გამორიცხავდა მონაცემების უვადოდ შენახვის შესაძლებლობას; დამუშავების მიზნის/მიზნების მიღწევის შემდგომ ნასამართლობის შესახებ მონაცემთა წაშლა ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვა; ნასამართლობის შესახებ დაარქივებულ მონაცემებზე წვდომის წესის/პროცედურის წერილობით განსაზღვრა; ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში უზრუნველყოფდა პირის ნასამართლობის შესახებ მონაცემების მხოლოდ შესაბამისი კანონიერი მიზნის შესაბამისი მოცულობით დამუშავებას.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: არ შესრულდა.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელ ყაზარმებში ვიდეოთვალთვალის განხორციელების კანონიერება შეისწავლა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა და ობიექტების დაცვის დეპარტამენტებში, სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელ ყაზარმებში - საძინებელ და მოსასვენებელ სივრცეებში, საკლასო ოთახებში - მიმდინარეობდა 24 საათიანი ვიდეომონიტორინგი. განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტმა, შემოწმების მიმდინარეობისას, საკუთარი ინიციატივით შეწყვიტა საძინებელ სივრცეში მიმდინარე ვიდეოთვალთვალი, რადგან არ არსებობდა ამ ფორმით მონაცემების დამუშავების საჭიროება. ობიექტების დაცვის დეპარტამენტმა ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნად დაასახელა პირთა უსაფრთხოება, საკუთრებისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვა, ხოლო საკლასო ოთახებში ვიდეოთვალთვალის განხორციელების დამატებით მიზნად ასევე მიუთითა გამოცდის/ტესტირების მიზანი. ამასთან, ობიექტების დაცვის დეპარტამენტმა განმარტა, რომ მოსასვენებელი სივრცეები არ წარმოადგენდა გამოსაცვლელ ოთახებს, ვინაიდან ვადიან სამხედრო მოსამსახურეებს აღნიშნული სივრცეებით

გამოსაცვლელ ოთახებს, ვინაიდან ვადიან სამხედრო მოსამსახურეებს აღნიშნული სივრცეებით სარგებლობის დროს არ ჰქონდათ სამსახურებრივი ფორმის გახდის უფლება.

მონაცემთა სუბიექტებს უფლება აქვთ, გარეშე პირთა დაკვირვების გარეშე, თავისუფლად ისარგებლონ მოსასვენებელი სივრცეებით, რაც წარმოადგენს მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეალიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტს. ვინაიდან სამინისტრომ ვერ წარმოადგინა შესაბამისი დასაბუთება, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული საძინებელ/მოსასვენებელ სივრცეებში ვიდეოთვალთვალი, სამსახურის მიერ სამხედრო მოსამსახურეების პრივატულ გარემოში ვიდეოჩაწერა არ იქნა მიჩნეული კანონის შესაბამისად. მით უფრო იმ პირობებში, როცა ვადიან სამხედრო მოსამსახურეებზე მუდმივ მეთვალყურეობას (მათ შორის, საძინებელ/მოსასვენებელ სივრცეებში) ახორციელებდნენ ოფიცრებიც. საკლასო ოთახებში ვიდეოთვალთვალი კი მიჩნეული იქნა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებად, თუმცა ვიდეოთვალთვალის მიზნების შესახებ სამხედრო მოსამსახურეები არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი.

სამსახურის გადაწყვეტილება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა). ამავდროულად, ობიექტების დაცვის დეპარტამენტს დაევალა ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელი ყაზარმების მოსასვენებელ (საძინებელ) სივრცეებში ვიდეოთვალთვალის შეწყვეტა და საკლასო სივრცეებში მიმდინარე ვიდეოთვალთვალის მიზნებთან დაკავშირებით დასაქმებული პირების სრულყოფილი და ზუსტი ინფორმირება.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემოწმება. ვიდეოთვალთვალთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მნიშვნელოვანი შემოწმება განახორციელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომლის დაწყებას საფუძვლად დაედო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის შეტყობინება. შეტყობინების თანახმად, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ვიდეოჩამწერ მოწყობილობებში არ ინახებოდა საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერები მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროსთვის მიმართვა განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ჩანაწერების შენახვის მინიმალური ვადის გასვლამდე. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმება მოიცავდა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემების მეშვეობით დამუშავებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული ზომების შესწავლას. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში მიმდინარე ვიდეოთვალთვალის პროცესის შემოწმება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს განხორციელებული ჰქონდა 2020 წელსაც, რომლის ფარგლებშიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ სამინისტრომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტს არ გადასცა ვიდეოჩანაწერები, რადგან ისინი ვერ მოიძია ვიდეოჩამწერ მოწყობილობებში. ჩანაწერების არარსებობის მიზეზად სამინისტრომ მიუთითა ჩამწერი მოწყობილობების ტექნიკურ ხარვეზებზე. შემოწმებების ფარგლებში გამოირკვა, რომ ტერიტორიული ორგანოებში მწყობრიდან იყო გამოსული შიდა კამერების უმრავლესობა, ხოლო ჩამწერ მოწყობილობებში განხორციელებული მოქმედებების (ე.წ. ლოგ-ჩანაწერები) შესახებ ინფორმაცია დაცული იყო მხოლოდ სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტისთვის ვიდეოჩანაწერების გადაცემაზე უარის თქმის შემდგომი პერიოდიდან. სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში ვიდეოჩამწერი მოწყობილობები იყო შეცვლილი, რაც სამინისტროს განმარტებით, განპირობებული იყო ძველი მოწყობილობების დაზიანებით. ამავე დროს, სამინისტროს აღრიცხული არ ჰქონდა ინფორმაცია მწყობრიდან გამოსული ვიდეოსათვალთვალო კამერების შესახებ და მათ მიერ მიღებული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები ვერ უზრუნველყოფდა ჩამწერი მოწყობილობების ტექნიკური ხარვეზების დროულ იდენტიფიცირებას, აღნიშნული კი საფრთხეს უქმნიდა მონაცემთა სუბიექტების კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობას. გამომდინარე იქიდან, რომ სამინისტროს შესრულებული არ ჰქონდა 2020 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გაცემული დავალებების დიდი ნაწილი - რომლებიც შეეხებოდა ვიდეოჩანაწერებზე წვდომის უფლების მქონე პირთა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრას, ვიდეოჩამწერ მოწყობილობებში განხორციელებული მოქმედებების სრულყოფილ აღრიცხვას, ვიდეოსათვალთვალო სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევების მყისიერ და სისტემურ აღრიცხვას - კვლავ არ იყო უზრუნველყოფილი მონაცემთა სათანადო უსაფრთხოება.

სამსახურის გადაწყვეტილება: სამსახურმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა 2020 წლის სამსახურის გადაწყვეტილებით გაცემული დავალებების შესრულების შესახებ განახლებული ინფორმაციის წარმოდგენა. ასევე, სამსახურმა გასცა ვიდეოსათვალთვალო სისტემების, ვიდეოჩამწერი მოწყობილობების მონიტორინგის დროულად განხორციელების რეკომენდაცია, ყველა შესაძლო ტექნიკური ხარვეზის დროულად აღმოჩენისა და პერსონალურ მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. წლების განმავლობაში პრობლემას წარმოადგენს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების ფარგლებში მოქალაქეთა ფოტოგადაღება. ფოტოსურათის გადაღების უფლებამოსილება პოლიციას მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით პირის იდენტიფიკაციის ღონისძიების განხორციელების დროს.[1] აღსანიშნავია, რომ პირის იდენტიფიკაციის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც არსებობს შესაბამისი წინაპირობები, კერძოდ, თუ პირის ვინაობის დადგენა შეუძლებელია მისი გამოკითხვის და დოკუმენტების შემოწმების მიუხედავად.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიიღო შვიდი შეტყობინება, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა შესაბამისი შემოწმებები. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი მხოლოდ ორ შემთხვევაში გამოვლინდა. ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოების პროცესში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი და მონაცემთა სუბიექტი სამსახურს აძლევდნენ სხვადასხვა შინაარსის განმარტებებს და არ არსებობდა სხვა მტკიცებულება, რომელიც რომელიმე მხარის პოზიციას გაამყარებდა, გართულებული იყო მონაცემთა კანონის მოთხოვნათა დარღვევით დამუშავების ფაქტის დადგენა. იმ შემთხვევებში, სადაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გამოავლინა მონაცემების კანონის მოთხოვნათა დარღვევით დამუშავება, პოლიციელების მხრიდან ფოტოგადაღების ფაქტები აღბეჭდილი იყო ქუჩის ვიდეოსათვალთვალო კამერების მიერ და ემთხვეოდა მონაცემთა სუბიექტების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევებშიც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უარყოფდა ფოტოგადაღების გზით მონაცემების დამუშავების ფაქტს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ფოტოგადაღებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი შეტყობინების საფუძველზე განხორციელებული შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ ღამის საათებში, ქუჩაში გადაადგილებისას პოლიციის თანამშრომლებმა იდენტიფიცირების მიზნით შეაჩერეს პირი. იგი მიიჩნიეს საეჭვოდ იმ პირთან მსგავსების გამო, რომელიც ფიგურირებდა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. შეჩერებულმა პირმა პოლიციის თანამშრომელს ნებაყოფლობით მიაწოდა მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესახებ ინფორმაცია. ამის მიუხედავად, პოლიციელმა განახორციელა შეჩერებული პირის ფოტოგადაღება საეჭვო პირთან მისი შედარების მიზნით. გამომდინარე იქიდან, რომ პოლიციის თანამშრომელს ჰქონდა ყველა საჭირო მონაცემი შეჩერებული პირის იდენტიფიცირებისთვის, რომელსაც არ ხდიდა საეჭვოდ, სამსახურმა მიიჩნია, რომ დამატებით ფოტოგადაღების გზით მონაცემების დამუშავება არ წარმოადგენდა დასახული მიზნის მიღწევის ადეკვატურ და პროპორციულ საშუალებას. ამასთან, პოლიციის თანამშრომელს არ შეუდგენია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირის იდენტიფიკაციის ოქმი, რომელიც ერთი მხრივ ემსახურება მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას და მისი უფლებების რეალიზების ხელშეწყობას, ხოლო

[1] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

მეორე მხრივ, წარმოადგენს მნიშვნელოვან მტკიცებულებას პოლიციის მიერ განხორციელებული მოქმედების კანონიერების შეფასებისთვის.

სამსახურის გადაწყვეტილება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის. ამავდროულად, დაევალა პირის იდენტიფიკაციის მიზნით ფოტოგადაღების პროცესის მარეგულირებელი წესების შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული მოქმედების ჩატარების პროცედურას, ფოტოგადაღების სტანდარტს, ფოტოს გადასაღებად გამოსაყენებელ ტექნიკურ საშუალებებს, მონაცემების შენახვისა და მასზე წვდომის წესებს და ა.შ.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- სპეციალური პენიტენციური სამსახური. შესწავლა განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ხანმოკლე, ხანგრძლივი და საოჯახო პაემანის უფლებით სარგებლობის პროცესში სპეციალური პენიტენციური სამსახური ამუშავებს მრავალი პირის შესახებ მოცულობით პერსონალურ მონაცემებს. შემოწმების ფარგლებში შესწავლილ იქნა პენიტენციური დაწესებულებების მიერ პაემნებით მოსარგებლე პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება. აღნიშნული პირების მონაცემებს სპეციალური პენიტენციური სამსახური ამუშავებს ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, სადაც ასევე ხდება პაემანის უფლებით მოსარგებლე პირთა დოკუმენტაციის შენახვა. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრობაში მყოფ პირთა რაოდენობა აღემატებოდა 9 000-ს.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის შემოწმების შედეგად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახური, შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში აღრიცხვის გზით, ამუშავებდა პაემანის უფლებით მოსარგებლე პირების შესახებ სხვადასხვა ინფორმაციას - სახელს, გვარს, პირად ნომერს, დაბადების თარიღს, მსჯავრდებულთან ნათესაური კავშირის შესახებ ინფორმაციას, მობილური ტელეფონის ნომერს, ვიზიტის განხორციელების ადგილს/პენიტენციურ დაწესებულებას, ასევე, ბრალდებულის/ მსჯავრდებულის სახელს, გვარს, მამის სახელს, დაბადების თარიღსა და პირად ნომერს. ამავე პროგრამაში ხდებოდა ვიზიტორების მიერ წარდგენილი ყველა შესაბამისი დოკუმენტის ელექტრონული ასლის ატვირთვა. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს აღნიშნული მონაცემების შენახვის ვადად განსაზღვრული ჰქონდა ბრალდებულის/მსჯავრდებულის კონკრეტულ პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდი და დამატებით, გათავისუფლების შემდეგ ერთი წელი. თუმცა, შემოწმების ფარგლებში გამოვლინდა, რომ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს 2019 წლიდან წაშლილი არ ჰქონდა ის პერსონალური მონაცემები და მათი შემცველი დოკუმენტაცია, რომელთა მიმართ გასული იყო

აღნიშნული ვადები და აღარ არსებობდა შენახვის საჭიროება. პროგრამული ხარვეზებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო შენახვის ვადის გასვლის შემდეგ მონაცემების ავტომატური წაშლის ფუნქციონალის გააქტიურება. ამასთან, არ აღირიცხებოდა მონაცემების მიმართ განხორციელებული მოქმედებები. სპეციალური პენიტენციური სამსახურის განმარტებით, დაწყებული იყო მუშაობა ახალ პროგრამულ უზრუნველყოფაზე (რაც დასრულდებოდა არაუგვიანეს 2022 წლის აპრილის თვისა), რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა შემოწმების პროცესში გამოვლენილი ყველა ხარვეზი.

სამსახურის გადაწყვეტილება: სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა) და 46-ე (მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა) მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის. ამავდროულად, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა: პაემანის უფლებით მოსარგებლე იმ პირთა მონაცემების წაშლა, განადგურება ან/და იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვა, რომელთა მიმართაც, მონაცემთა დამუშავების მიზნებიდან გამომდინარე, გასულია შენახვის ვადები; მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების, მათ შორის, დათვალიერების, წაშლის, შეცვლის, დამატების, ამობეჭდვის აღრიცხვის (ლოგირების) უზრუნველყოფა.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- სპეციალური პენიტენციური სამსახური. შესწავლა განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან COVID-19-ის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, გარკვეული შეზღუდვები ამოქმედდა პენიტენციურ სისტემაში. შეზღუდვები შეეხებოდა პატიმრობაში მყოფ პირებსა და ადვოკატს/საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებს შორის შეხვედრებს, რომელთა ფარგლებში დოკუმენტაციის მიმოცვლა ხორციელდებოდა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მეშვეობით. ზემოაღნიშნულ პირებს შორის იცვლებოდა ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა გამოკითხვისა და გასაუბრების ოქმები, ადვოკატისა და დასაცავი პირის პოზიციები, სასამართლოს გადაწყვეტილებები და სხვა, რომლებიც შეიცავდა პატიმრობაში მყოფი პირების პერსონალურ მონაცემებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო დროულად მომხდარიყო შეფასება, აღნიშნულ პროცესში რამდენად იყო დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და არსებობდა თუ არა მათზე მესამე პირების წვდომის საფრთხე.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის შემოწმების შედეგად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრობაში მყოფ პირებთან ადვოკატებისა თუ საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლების შეხვედრები იმართებოდა მინის ბარიერის მიღმა, რაც გამორიცხავდა მათ შორის ფიზიკური კონტაქტის და შესაბამისად, დოკუმენტაციის პირადად გადაცემის შესაძლებლობას. შეხვედრების ფარგლებში დოკუმენტების მიმოცვლა ხორციელდებოდა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების დახმარებით და ადრესატთან მიტანამდე იგი ხვდებოდა რამდენიმე თანამშრომლის ხელში. დოკუმენტების მიმოცვლა, როგორც წესი, ხდებოდა ღია ფორმით (დოკუმენტები მოთავსებული იყო მხოლოდ პოლიეთილენის გამჭვირვალე პაკეტში). შეზღუდვის ზომების მიღების პარალელურად, სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში მოწესრიგებული არ იყო კონფიდენციალური ინფორმაციის მიმოცვლის წესი, ამასთან, შეხვედრაში მონაწილე პირები უზრუნველყოფილნი არ იყვნენ კორესპონდენციის შინაარსობრივი ნაწილის დაცვის საშუალებებით (მაგ.: დახურული კონვერტებით). შეხვედრაში მონაწილე პირები ადგილზე წინასწარ იღებდნენ ინფორმაციას, თუ რა ფორმით მოხდებოდა დოკუმენტაციის მიწოდება ადრესატისთვის, რაც გარკვეული მოლოდინებს უყალიბებდათ მონაცემების მიმოცვლის პროცესთან დაკავშირებით. ამასთან, სპეციალური პენიტენციური სამსახური განმარტავდა, რომ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიერ დოკუმენტაციის შემოწმება არ ხორციელდებოდა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სამსახურმა მიიჩნია, რომ ღია ფორმით დოკუმენტების მიმოცვლა და უსაფრთხოების სათანადო ზომების არარსებობა ქმნიდა მონაცემების გამჟღავნების რისკებს.

სამსახურის გადაწყვეტილება: სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა: პატიმრობაში მყოფ პირსა და ვიზიტორს შორის შეხვედრის ფარგლებში დოკუმენტაციის მიმოცვლის წერილობითი წესის შემუშავება; ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღება, რომლითაც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის უსაფრთხოდ მიმოცვლას (მაგალითად, ბარიერის ორივე მხარეს, ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე დახურული კონვერტების განთავსების გზით).

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

- სპეციალური პენიტენციური სამსახური. სამსახურმა განიხილა პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის განცხადება, რომელიც მიუთითებდა რომ კორესპონდენციის გაგზავნის დროს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა არ მისცა მისი პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის დალუქვის შესაძლებლობა, რის გამოც, დოკუმენტები ადვოკატს გადაეცა ღია ფორმით. განცხადების განხილვის ფარგლებში სამსახურმა შეისწავლა პენიტენციური დაწესებულების კანცელარიის მეშვეობით კორესპონდენციის მიმოცვლის კანონიერება, მათ შორის, პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები.

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში კორესპონდენციის მიმოცვლის ფორმები განსხვავდება ერთმანეთისგან. კერძოდ, პატიმრობის კოდექსის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია ექვემდებარება შემოწმებას - ვიზუალურ დათვალიერებას, ხოლო, უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი მოსამსახურე უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა. დახურული კონვერტით მიღებული კორესპონდენცია კი ექვემდებარება მხოლოდ ვიზუალურ დათვალიერებას, შინაარსის გაცნობის გარეშე და იგი იხსნება ბრალდებულის/მსჯავრდებულის თანდასწრებით. პენიტენციური დაწესებულება პატიმრობაში მყოფ პირებს განუმარტავდა მათ უფლებებს, მათ შორის, კორესპონდენციის მიმოცვლის ფორმებს და კორესპონდენციების შემოწმების წესს, თუმცა ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს უფლებების განმარტების ოქმით არ მიეწოდებოდათ ინფორმაცია კორესპონდენციის გაგზავნის პროცედურის, კონკრეტულად - კონვერტის მოთხოვნის უფლებების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ დახურული და ღია კორესპონდენციის შემოწმების სტანდარტები განსხვავებოდა ერთმანეთისგან, მნიშვნელოვანი იყო პატიმრობაში მყოფ პირებს ჰქონოდათ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის, დახურული კონვერტის მოთხოვნისა და ამ ფორმით წერილის გაგზავნის თაობაზე.

სამსახურის გადაწყვეტილება: პატიმრობის კოდექსით უზრუნველყოფილი უფლების სათანადო რეალიზებისა და პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის გაგზავნის სასურველი ფორმის (ღია და დახურული წესი) არჩევის მიზნით, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა პატიმრობაში მყოფი პირების წერილობითი ინფორმირება დახურული კონვერტით კორესპონდენციის გაგზავნისა და აღნიშნული ტიპის კონვერტის მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

სამართალდამცავი ორგანოები განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა ეპყრობოდნენ მონაცემთა სუბიექტების მონაცემების დამუშავებას. სხვა მონაცემთა დამმუშავებლებისგან განსხვავებით სამართალდამცავ ორგანოებს ხელი მარტივად მიუწვდებათ პერსონალურ, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებზე (მაგალითად, პირთა ნასამართლობაზე, პირთა მსხვერპლობაზე, ადმინისტრაციულ პატიმრობაზე), რომელთა გამჟღავნებამ შეიძლება არსებითად დააზიანოს მონაცემთა სუბიექტების ინტერესები.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების, ჩატარებული ტრენინგებისა და სამართალდარღვევების შესაძლო ფაქტებზე დროული რეგირების მიუხედავად, სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით კვლავ ბევრი გამოწვევაა. კერძოდ:

- საყურადღებო საკითხს წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემთა სუბიექტების შესახებ ინფორმაციის არაკანონიერი გასაჯაროება. სამართალდამცავი ორგანოები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდონ მონაცემების გასაჯაროების შემთხვევებს, კარგად უნდა შეაფასონ ის ზიანი, რაც მონაცემთა გასაჯაროებით შეიძლება მიადგეს მონაცემთა სუბიექტს და საზოგადოებას მიაწოდონ სწორი, ადეკვატური და მონაცემების დამუშავების მიზნის შესაბამისი ინფორმაცია;
- მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავი ორგანოების საინფორმაციო ბაზებში ინახება დიდი მოცულობის, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, არ არის შემუშავებული პერსონალურ მონაცემებზე წვდომისა და მათი გამოყენების დეტალური ინსტრუქცია, ასევე, უზრუნველყოფილი არ არის მონაცემებზე წვდომის კონტროლის სრულყოფილი და ეფექტური მექანიზმები. წესების არარსებობისა და სუსტი კონტროლის პირობებში სამართალდამცავ ორგანოში დასაქმებული პირები არ ერიდებიან მონაცემებზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე წვდომას, რაც ძალიან დიდი საფრთხის შემცველია მონაცემთა სუბიექტების უფლებებისთვის;
- ცალკეულ შემთხვევებში, განსაზღვრული არ არის მონაცემთა შენახვის ვადები და განუსაზღვრელი ვადით ინახება, მათ შორის, ისეთი მონაცემები, რამაც შესაძლებელია არსებითად დააზიანოს მონაცემთა სუბიექტების უფლებები;
- სამართალდამცავი ორგანოების უმეტესობას არ აქვს მიღებული ადეკვატური და ეფექტური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად (მაგალითად, ჯეროვნად არ აღირიცხება დაზაინებული ან/და მწყობრიდან გამოსული ვიდეოსათვალთვალო სისტემები, ელექტრონულ პროგრამებში თუ ვიდეოჩამწერ მოწყობილობებში ელექტრონული მონაცემების მიმართ განხორციელებული მოქმედებები). ასეთი ზომების არარსებობის პირობებში, მონაცემთა დამმუშავებლები ვერ უზრუნველყოფენ მონაცემებზე არამართლოზმიერი წვდომის ან სხვა უკანონო მოქმედებების იდენტიფიცირებას და მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, მოპოვებისაგან, გამჟღავნებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან;

- მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტებისთვის მათი უფლებების სრულყოფილი განმარტების საკითხი (მაგალითად, პენიტენციურ დაწესებულებაში კორესპონდენციის გაგზავნისას კონვერტის მოთხოვნის უფლება, საკლასო ოთახში მიმდინარე ვიდეოთვალთვალის მიზნების შესახებ ინფორმირება), რაც აფერხებს ან შეუძლებელს ხდის მონაცემთა სუბიექტის მიერ მისი უფლებების რეალიზებას;
- COVID-19-ით შექმნილი მდგომარეობის გამო დანერგილ სიახლეებთან ერთად, გაანალიზებული და შეფასებული არ იყო მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის საჭიროება;
- ვიდეოთვალთვალის განხორციელების პროცესში მონაცემთა დაცვა და ვიდეოჩანაწერების დაცვა კვლავ რჩება გამოწვევად;
- ასევე პრობლემად რჩება პირის იდენტიფიცირების მიზნით ფოტოგადაღების პროცედურის კანონთან შესაბამისობა. ამ ფორმით მონაცემების დამუშავება უნდა განხორციელდეს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლების არსებობისას და მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

სამართალდამცავმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მონაცემთა დაცვას, რისთვისაც რეკომენდებულია გაითვალისწინონ შემდეგი კომპონენტები:

- მონაცემების დამუშავებამდე და დამუშავების პროცესში მუდმივად შეაფასონ მოსალოდნელი რისკები და წინასწარ მიიღონ სათანადო ზომები რისკების აღმოსაფხვრელად;
- გაამახვილონ ყურადღება როგორც მონაცემთა სუბიექტების - მოქალაქეთა უფლებების რეალიზებაზე, ასევე მათთან დასაქმებული პირების მონაცემების დაცვაზეც;
- შეიმუშაონ მონაცემთა დამუშავების პროცესების მომწესრიგებელი და მონაცემებზე წვდომის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- მკაფიოდ განსაზღვრონ მონაცემთა დამუშავების მიზნები და საჭიროება;
- მონაცემთა სუბიექტებს მკაფიოდ, მათთვის გასაგები ფორმით განუმარტონ მონაცემების დამუშავების მიზნები და მათი უფლებები;
- იზრუნონ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რადგან მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათთან დასაქმებული პირების კვალიფიკაციას პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე.

09

პერსონალურ მონაცემთა დამუშავება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

9. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

ტექნოლოგიური განვითარების ფონზე ორგანიზაციებში იზრდება სხვადასხვა ინოვაციური (მაგალითად, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სისტემების, ბიომეტრიული მონაცემების გამოყენების) საშუალებით მონაცემთა ელექტრონული ბაზების შექმნისა და მათი სხვადასხვა მიზნით გამოყენების შემთხვევები. ელექტრონული ბაზებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ერთობლივად გამოყენება იძლევა დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, რაც ასევე მნიშვნელოვნად ზოგავს ფინანსურ თუ ადამიანურ რესურსებს. მონაცემთა ბაზების შექმნის მზარდი ტენდენციისა და ტექნოლოგიური განვითარების პარალელურად, დამუშავებული მონაცემების მოცულობისა და დამუშავების პროცესების გაუმჭირვალობის გათვალისწინებით, იზრდება მონაცემების უკანონოდ გამოყენების საფრთხეებიც.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კორონავირუსის გავრცელებით შექმნილმა ვითარებამ გაზარდა ელექტრონული ვაჭრობის მიმართ მოთხოვნა, რამაც განაპირობა კერძო ორგანიზაციების მიერ მომხმარებლისთვის დისტანციური სერვისების შეთავაზება. ონლაინ სერვისების გამოყენება, გულისხმობს ონლაინსივრცეში მონაცემების დამუშავებას, რაც ასევე მნიშვნელოვნად ზრდის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევის რისკს.

მონაცემთა ბაზებში არსებული მონაცემების შემთხვევითი ან უკანონო გამოყენებისაგან/გამჟღავნებისაგან დაცვა და მათი უსაფრთხოება, როგორც კერძო, ისე საჯარო ორგანიზაციების ვალდებულებაა. რისკების არასათანადო შეფასებამ და მონაცემთა დასაცავად უსაფრთხოების არასაკმარისი ზომების მიღებამ შესაძლოა შექმნას მონაცემების უკანონო დამუშავების საფრთხეები და ზიანი მიაყენოს როგორც მონაცემთა სუბიექტების, ისე მონაცემთა დამმუშავებლების ინტერესებს. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ძალისხმევა ყოველწლიურად მიმართულია ელექტრონულ ბაზებში მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებაზე.

ცნობიერების ამაღლება და განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური 2021 წელს აქტიურად მუშაობდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მონაცემთა დამუშავების კანონიერების ზედამხედველობის მიმართულებით:

- სამსახურმა, სხვადასხვა კერძო კომპანიის მომართვის საფუძველზე, გასცა არაერთი წერილობითი კონსულტაცია თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით, დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესში, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების შესახებ;
- სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს დროებითი კომიტეტის მუშაობაში (AD HOC COMMITTEE ON ARTIFICIAL INTELLIGENCE), რომელიც მუშაობს ხელოვნური ინტელექტის საკითხზე და ამ სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტის შემუშავებაზე;
- სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ინტერნეტმმართველობის მე-6 ფორუმში, რომელსაც ესწრებოდა საჯარო და კერძო სექტორის არაერთი წარმომადგენელი. ფორუმზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომელმა ისაუბრა პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობაზე ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარების პროცესში. ყურადღება გაამახვილა ასევე იმ გამოწვევებზე, რაც თან ახლავს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ტექნოლოგიების დანერგვას;
- სამსახურმა, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის მხარდაჭერითა და საკონსულტაციო კომპანია შპს „იუაი“-სთან თანამშრომლობით, მოამზადა ორი თემატური რეკომენდაცია ონლაინ ვაჭრობისა და დისტანციური სწავლების პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ;
- სამსახურმა, ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან“ (IDFI) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს მხარდაჭერით, თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით მოამზადა ორი საინფორმაციო დოკუმენტი: ფინანსურ სექტორში ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების შესახებ და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მონაცემთა დამუშავების შესახებ. ასევე, ჩატარდა საუკეთესო ევროპული პრაქტიკის კვლევა ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემების დამუშავების შესახებ.

შესწავლილი პროცესები

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით მონაცემების დამუშავების 35 შემთხვევა, რომელთაგან 24 განხორციელდა მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ხოლო 11 - სამსახურის ინიციატივით. შემოსული განცხადებები ძირითადად შეეხებოდა მონაცემთა ელექტრონული ბაზების მეშვეობით მონაცემების დამუშავების, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების და პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემების დამუშავების შემთხვევებს.

სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 17 პირს 23 სამართალდარღვევისთვის. სანქციის სახით ექვსი პირის მიმართ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო 11 პირის მიმართ - ჯარიმა. ადმინისტრაციული სახდელების პარალელურად, საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა ერთი რეკომენდაცია და შესასრულებლად სავალდებულო 30 დავალება.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მონაცემების დამუშავება



2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინიციატივით, პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესი შესწავლილ იქნა ისეთ ორგანიზაციებში, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით მსხვილ მონაცემთა ბაზებში ყოველდღიურად დიდი მოცულობით და სენსიტიურ მონაცემებს ამუშავებენ. ასევე, ყურადღება გამახვილდა დისტანციური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ მონაცემების დამუშავებაზე. სამსახურმა შეისწავლა/შეამოწმა:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. ბიუროს ერთ-ერთი ფუნქციაა ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზის წარმოება. მხედველობაში იქნა რა მიღებული ნარკოლოგიური მონაცემების ერთიანი საინფორმაციო ბაზის გამართულად და უსაფრთხოდ წარმოების განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, ბიუროს მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემების სენსიტიური ხასიათი, მათი მოცულობა და მონაცემთა კანონდარღვევით დამუშავების რისკები, სამსახურმა საკუთარი ინიციატივით შეისწავლა ბიუროს მიერ ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზის წარმოების პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება.

ბიუროში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ ნარკოლოგიური აღრიცხვის ბაზა წარმოადგენს ბიუროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან მონაცემთა ბაზას, რომელიც შედგება ოთხი ქვებაზისგან. შემოწმების დროისათვის ბაზაში დაცული იყო 600 000-ზე მეტი პირის მონაცემი. შემოწმების პროცესში გამოვლინდა, რომ ნარკოლოგიური აღრიცხვის ბაზის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების ფაქტობრივი პროცესი და ამ პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები სრულად არ ემთხვეოდა ერთმანეთს. მაგალითად, არ იყო მკაფიო ბიუროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზების გაერთიანების საკანონმდებლო საფუძველი და ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში პირის აღრიცხვიდან მოხსნის წესი. ასევე, ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე ყოფნის ვადა სრულად არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დამტკიცებულ ინსტრუქციებს.

შემოწმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ ბიურო ნარკოლოგიური აღრიცხვის ბაზის მეშვეობით მონაცემთა დამუშავებისას ვერ უზრუნველყოფდა მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ზომების მიღებას. კერძოდ, შემოწმების მიმდინარეობისას ბიურო არ აღრიცხავდა პროგრამის საშუალებით მონაცემების მიმართ განხორციელებულ ქმედებებს; ბიუროს 309 თანამშრომლის მომხმარებელი, რომლებსაც შემოწმების დროისთვის წვდომა არ უნდა ჰქონოდა ნარკოლოგიური აღრიცხვის ბაზაზე, არ იყო გაუქმებული/დაბლოკილი; პროგრამაზე წვდომისთვის გამოყენებული მომხმარებლის პაროლების სიმარტივის გათვალისწინებით, იქმნებოდა მონაცემებზე სხვისი სახელით და არაკანონიერი მიზნით წვდომის საფრთხე.

სამსახურის გადაწყვეტილება: ბიუროს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა). ამავდროულად, დაევალა მონაცემთა ბაზის მოცულობის, არსებული ფორმით მონაცემთა გაერთიანების, მონაცემებზე წვდომის ფარგლების (მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუროს მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემებზე წვდომისა და პირიქით, ბიუროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზებზე წვდომის ფარგლების), მონაცემების დამუშავების ვადის, ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე აყვანილი პირების აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ ინფორმაციის დამუშავების საკითხის შეფასება და არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, მონაცემთა დამუშავების პროცესის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული საჭიროებების შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა აცნობა საქართველოს მთავრობას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაც.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. შემოწმება განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, რადგან ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ დანერგა დისტანციური სერვისები, რომლებიც ითვალისწინებდა სერვისის მიმღებ პირებთან აუდიო-ვიდეო ზარით კომუნიკაციას. შემოწმება მოიცავდა სააგენტოს მიერ დისტანციური მომსახურების გაწევის პროცესში აუდიო-ვიდეო ზარის განხორციელების გზით სერვისის მიმღებ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა და ობიექტების დაცვის დეპარტამენტებში, სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელ ყაზარმებში - საძინებელ და მოსასვენებელ სივრცეებში, საკლასო ოთახებში - მიმდინარეობდა 24 საათიანი ვიდეომონიტორინგი. განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტმა, შემოწმების მიმდინარეობისას, საკუთარი ინიციატივით შეწყვიტა საძინებელ სივრცეში მიმდინარე ვიდეოთვალთვალი, რადგან არ არსებობდა ამ ფორმით მონაცემების დამუშავების საჭიროება. ობიექტების დაცვის დეპარტამენტმა ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნად დაასახელა პირთა უსაფრთხოება, საკუთრებისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვა, ხოლო საკლასო ოთახებში ვიდეოთვალთვალის განხორციელების დამატებით მიზნად ასევე მიუთითა გამოცდის/ტესტირების მიზანი.

დაასახელა პირთა უსაფრთხოება, საკუთრებისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვა, ხოლო საკლასო ოთახებში ვიდეოთვალთვალის განხორციელების დამატებით მიზნად ასევე მიუთითა გამოცდის/ტესტირების მიზანი. ამასთან, ობიექტების დაცვის დეპარტამენტმა განმარტა, რომ მოსასვენებელი სივრცეები არ წარმოადგენდა გამოსაცვლელ ოთახებს, ვინაიდან ვადიან სამხედრო მოსამსახურეებს აღნიშნული სივრცეებით სარგებლობის დროს არ ჰქონდათ სამსახურებრივი ფორმის გახდის უფლება.

მონაცემთა სუბიექტებს უფლება აქვთ, გარეშე პირთა დაკვირვების გარეშე, თავისუფლად ისარგებლონ მოსასვენებელი სივრცეებით, რაც წარმოადგენს მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეალიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტს. ვინაიდან სამინისტრომ ვერ წარმოადგინა შესაბამისი დასაბუთება, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული საძინებელ/მოსასვენებელ სივრცეებში ვიდეოთვალთვალი, სამსახურის მიერ სამხედრო მოსამსახურეების პრივატულ გარემოში ვიდეოჩაწერა არ იქნა მიჩნეული კანონის შესაბამისად. მით უფრო იმ პირობებში, როცა ვადიან სამხედრო მოსამსახურეებზე მუდმივ მეთვალყურეობას (მათ შორის, საძინებელ/მოსასვენებელ სივრცეებში) ახორციელებდნენ ოფიცრებიც. საკლასო ოთახებში ვიდეოთვალთვალი კი მიჩნეული იქნა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებად, თუმცა ვიდეოთვალთვალის მიზნების შესახებ სამხედრო მოსამსახურეები არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი.

სამსახურის გადაწყვეტილება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა). ამავდროულად, ობიექტების დაცვის დეპარტამენტს დაევალა ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელი ყაზარმების მოსასვენებელ (საძინებელ) სივრცეებში ვიდეოთვალთვალის შეწყვეტა და საკლასო სივრცეებში მიმდინარე ვიდეოთვალთვალის მიზნებთან დაკავშირებით დასაქმებული პირების სრულყოფილი და ზუსტი ინფორმირება.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

- ელექტრონული ვაჭრობის კომპანიები. COVID-19-ის გავრცელებით შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, განსაკუთრებით გაიზარდა ელექტრონული ვაჭრობის მიმართ მოთხოვნა, რამაც პირდაპირპროპორციულად გაზარდა კერძო ორგანიზაციებში დამუშავებული პერსონალური მონაცემების მოცულობა და მონაცემების დამუშავების თანმდევი რისკები. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა თავისი ინიციატივით შეამოწმა რამდენიმე კომპანია, რომლებიც ახორციელებდნენ ელექტრონულ ვაჭრობას. შემოწმებები მოიცავდა კომპანიების მიერ ონლაინ გაყიდვებისა და მომსახურების გაწევის პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას.

შემოწმებების ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ კომპანიების მონაცემთა ბაზებში განთავსებული იყო ასეული ათასობით მომხმარებლის მონაცემები. თავის მხრივ, მომხმარებლები კომპანიების ვებგვერდებზე რეგისტრირდებოდნენ კონკრეტული სერვისების მისაღებად. რეგისტრაციის პროცესი მოიცავდა მომხარებლების შესახებ შემდეგი მონაცემების მითითებას: სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი, ზოგიერთ შემთხვევაში, პირადი ნომერი და საბანკო მონაცემები.

შემოწმებების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ კომპანიების ნაწილი ამუშავებდა ისეთ მონაცემებს, რომელთა შეგროვების რეალური საჭიროება და მიზანი მომსახურების პროცესში მათ არ ჰქონდათ. მაგალითად, მომხმარებლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. შემოწმებით ასევე, გამოვლინდა, რომ ვებგვერდებზე განთავსებული „კონფიდენციალურობის პოლიტიკის“ დოკუმენტებში ასახული ინფორმაცია, მონაცემების დამუშავების თაობაზე, არ ასახავდა რეალურ პროცესებს.

დადგინდა ისიც, რომ უმეტეს შემთხვევაში დაცული არ იყო მონაცემთა უსაფრთხოების ზომები. კერძოდ, წვდომის უფლებამოსილების მქონე პირებს შეეძლოთ მონაცემთა ბაზაში დაცული მომხმარებლების მონაცემების ძებნა, წაშლა, დათვალიერება, რედაქტირება და ა.შ. თუმცა ზოგიერთი კომპანიის პროგრამულ უზრუნველყოფაში არ აღირიცხებოდა მონაცემების ძებნის, დათვალიერების და რედაქტირების შესახებ ინფორმაცია. ანუ, კომპანიების მიერ არ აღირიცხებოდა ელექტრონული ფორმით დაცული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება.

შემოწმებებისას ასევე დადგინდა, რომ კომპანიები მათი ვებგვერდების მეშვეობით ამუშავებდნენ ე.წ. „მზა-ჩანაწერებს“ (COOKIES - მცირე ზომის ტექსტური ფაილები, რომელსაც ვებგვერდი მომხმარებლის სტუმრობისას მომხმარებლის კომპიუტერში ან მობილურ ტელეფონში ინახავს და რომლის მეშვეობითაც ხდება დაკვირვება და ანალიზი მომხმარებლების ქცევაზე), თუმცა ვებგვერდის ვიზიტორების ინფორმირებას, მათი მონაცემების ე.წ. „COOKIES“ ფაილების მეშვეობით დამუშავების შესახებ, უზრუნველყოფდნენ მხოლოდ ვებგვერდზე მათი რეგისტრაციის შემთხვევაში.

სამსახურის გადაწყვეტილებები: მონაცემთა დამმუშავებლებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 46-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა, მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა) და ამავდროულად, დაევალათ შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

- პირდაპირი მარკეტინგის განმახორციელებელი კომპანიები. საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტუალური იყო სატელეფონო ნომრების ბაზების მეშვეობით მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავების შემთხვევები. სამსახურის მიერ შესწავლილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ ორგანიზაციები სატელეფონო ნომრების ბაზებს ქმნიან საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებული მონაცემებისა და სხვადასხვა მომსახურების ფარგლებში მათთან დაცული ინფორმაციის საფუძველზე. ასევე, დაფიქსირდა კომპანიებს შორის სატელეფონო ნომრების უკანონოდ გამჟღავნების შემთხვევა. მოქალაქის შეტყობინების საფუძველზე, საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა ერთ-ერთი კომპანიის მიერ შეტყობინების ავტორის სატელეფონო ნომრის პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავების კანონიერება.

კომპანიის შემოწმებების ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ შეტყობინების ავტორის მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომერი კომპანიამ მოიპოვა მეორე კომპანიისგან, ისე რომ მათ შორის არ არსებობდა აღნიშნული პროცესის მომწესრიგებელი სპეციალური სამართლებრივი ურთიერთობა ან/და დოკუმენტი. კომპანია განმარტავდა, რომ ორივე კომპანიის საქმიანობა იყო ერთმანეთის იდენტური, ჰყავდათ საერთო დამფუძნებლები, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებიც იდენტური იყო, ასევე ჰყავდათ საერთო დასაქმებულები, მათ შორის, მარკეტინგის დეპარტამენტის თანამშრომლები (რომლებიც უშუალოდ ამუშავებდნენ პერსონალურ მონაცემებს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის). შესაბამისად, კომპანიამ სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნის დროს გამოიყენა მეორე კომპანიის სატელეფონო ნომრების ბაზა. სახელმწიფო ინსპექტორმა კომპანიების არგუმენტაცია, საერთო დამფუძნებლებისა და თანამშრომლების შესახებ, არ მიიჩნია მონაცემთა გამჟღავნების კანონიერების წინაპირობად, ვინაიდან ორივე კომპანია რეგისტრირებული იყო როგორც დამოუკიდებელი მეწარმე სუბიექტი.

სამსახურის გადაწყვეტილება: პირდაპირი მარკეტინგის განმახორიცელებელ კომპანიას დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენება წესების დარღვევით), ხოლო სატელეფონო ნომრების ბაზის მიმწოდებელ კომანიას დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე დამუშავება). ამავდროულად, პირდაპირი მარკეტინგის განმახორციელებელ კომპანიას დაევალა შეტყობინების ავტორის სატელეფონო ნომრის დამუშავების შეეწყვიტა, ხოლო მეორე კომპანიას დაევალა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სატელეფონო ნომრების მესამე პირ(ებ)ისთვის, გამჟღავნების შეწყვეტა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

კორონა ვირუსმა გავლენა იქონია საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაზეც და მათ მომხმარებლებზეც. პროცესებმა ამ სფეროშიც დიდ წილად გადაინაცვლა ონლაინ სივრცეში და საჭირო გახდა მონაცემების დამუშავების ახალი პროცესების დანერგვა. მაგალითად, საყოველთაო კარანტინის პირობებში, საფინანსო ინსტიტუტებში პირის დისტანციურად იდენტიფიკაციისთვის დაიწყო ბიომეტრიული მონაცემების (სახის გამოსახულების) ინტენსიური გამოყენება. 2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორს მომართა არაერთი საფინანსო ინსტიტუტის წარმომადგენელმა დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესში ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების პროცესების კანონიერების შესწავლის მოთხოვნით. გამოვლენილი ტენდენციის თანახმად,

აღნიშნულ პროცესში ორგანიზაციები იყენებდნენ ე.წ. შუამავალი კომპანიების სერვისებს, რომლებიც ორგანიზაციების დაკვეთით ქმნიდნენ დისტანციური იდენტიფიკაციის სისტემებს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ორგანიზაციებს მიუთითებდა, რომ ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება უნდა მომხდარიყო მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილი საფუძვლით და მიზნით. ამასთან, ე.წ. შუამავალი კომპანიების მეშვეობით მონაცემთა დამუშავებისას, დამმუშავებელ ორგანიზაციას და შესაბამის შუამავალ კომპანიას შორის უნდა გაფორმებულიყო წერილობითი ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდ განისაზღვრებოდა შუამავალი კომპანიის მიერ მონაცემთა დამუშავების მიზნები და საშუალებები. ასევე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ორგანიზაციებს აძლევდა რეკომენდაციებს და მითითებებს, მიეღოთ ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფდა მონაცემთა უსაფრთხოებას.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეები და განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ სხვადასხვა საჯარო და კერძო დაწესებულების მიერ, თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით, მონაცემების დამუშავების პროცესში ფიქსირდება გარკვეული დარღვევები და ნაკლოვანებები. კერძოდ:

- ორგანიზაციების უმეტესობას არ აქვს მიღებული ადეკვატური ზომები მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად. მაგალითად, მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციები არ აღრიცხავენ ელექტრონულ ბაზებში არსებული დიდი მოცულობის მონაცემების მიმართ შესრულებულ ყველა მოქმედებას (მაგალითად, მონაცემების დათვალიერების, გადმოწერის, რედაქტირების ფაქტებს). მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის გარეშე კი, ორგანიზაცია ვერ განახორციელებს ჯეროვან მონიტორინგს - ვის, როდის, რა მიზნითა და რა მოცულობით ჰქონდა წვდომა მონაცემებზე. ასევე, რიგ შემთხვევებში, ყოფილი თანამშრომლების მიერ გამოყენებული მომხმარებლები არ იყო დროულად გაუქმებული ან დაბლოკილი, ხოლო რიგ შემთხვევებში მონაცემთა ბაზებზე წვდომისთვის გამოყენებული მომხმარებლის პაროლების სიმარტივე ქმნიდა მონაცემებზე სხვისი სახელითა და არაკანონიერი მიზნით წვდომის საფრთხეს;
- ზოგიერთ შემთხვევაში, ორგანიზაციები იმაზე მეტი მოცულობით და ვადით ამუშავებენ და ინახავენ პერსონალურ მონაცემებს, ვიდრე სჭირდებათ კანონიერი მიზნის მისაღწევად. საყურადღებოა, რომ არასაჭირო მონაცემების მოპოვება და შენახვა ქმნის მონაცემთა არაპროპორციული მოცულობით დამუშავების საფრთხეს. მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის გათვალისწინებით, ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ, განსაზღვრონ და გამიჯნონ, რა აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება და შენახვა ესაჭიროებათ, ხოლო საჭიროების გასვლის შემდგომ ისინი უნდა წაშალონ;
- გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციებს ვებგვერდებზე გამოქვეყნებული ჰქონდათ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც მონაცემთა სუბიექტებს სრულად არ მიეწოდებოდათ მათი მონაცემების დამუშავების პროცესის შესახებ ინფორმაცია ან მიეწოდებოდათ არაზუსტი სახით. არასათანადო ინფორმაციის მიწოდება და დამუშავების არაგამჭვირველე პროცესი, მონაცემთა სუბიექტებს უქმნის არაწორ წარმოდგენას მათი მონაცემების დამუშავების შესახებ;

- საფინანსო ინსტიტუტებში პირის დისტანციურად იდენტიფიკაციისთვის სულ უფრო ინტენსიურად გამოიყენება ბიომეტრიული მონაცემები. მონაცემების დამუშავების პროცესი, ხშირად, უფლებამოსილი პირის მეშვეობით ხორციელდება. ბიომეტრიული მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დამუშავდეს, თუ ეს აუცილებელია კანონიერი მიზნის მისაღწევად და ამ მიზნის მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ამავდროულად, აუცილებელია, ბიომეტრიული მონაცემების უსაფრთხოებისთვის ადეკვატური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების განსაზღვრა, გაწერა და პრაქტიკაში დანერგვა. ასევე, აუცილებელია, დამმუშავებელ ორგანიზაციას და შესაბამის შუამავალ კომპანიას შორის გაფორმებული იყოს წერილობითი ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდ განისაზღვრება შუამავალი კომპანიის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესი;
- პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისას, კვლავ პრობლემურია სატელეფონო ნომრების დამუშავება და კომპანიებს შორის მონაცემების გაცვლა. დაუშვებელია მონაცემთა ბაზის შექმნის მიზნით, კომპანიებს შორის მონაცემების მიმოცვლა მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ან სხვა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავების სტანდარტის ასამაღლებლად, ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოებას და მონაცემებს დაიცავს შემთხვევითი და უკანონო გამჟღავნებისაგან. ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ პერსონალური მონაცემების დამუშავების შიდა ორგანიზაციული წესები, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მონაცემთა დამუშავების მიზნები, საჭიროება, მონაცემთა უსაფრთხოების საკითხები და მათი გამჟღავნების სამართლებრივი საფუძვლები. ასევე, მნიშვნელოვანია ორგანიზაციებმა პერიოდულად იზრუნონ ტექნოლოგიების მეშვეობით მონაცემების დამუშავების პროცესში ჩართული თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებასა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

10

საჯარო ან სხვა აღმატებული ინტერესის დაცვის მიზნით პერსონალური მონაცემების გასაჯაროება

10. საჯარო ან სხვა აღმატებული ინტერესის დაცვის მიზნით პერსონალური მონაცემების გასაჯაროება

საჯარო უწყებებში დაცული ზოგიერთი პერსონალური მონაცემის მიმართ დიდია საზოგადოების ინტერესი. საზოგადოებრივ ინტერესს საჯარო დაწესებულებები ხშირად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სოციალურ ქსელებში ან/და საკუთარ ვებგვერდებზე პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გასაჯაროებით პასუხობენ. ასევე, რიგ შემთხვევებში, მონაცემთა დამმუშავებელი საჯარო დაწესებულებები პერსონალურ მონაცემებს არა საჯარო ინტერესის დაკმაყოფილების, არამედ უწყების ინტერესების დაცვის მიზნით აქვეყნებენ. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, მონაცემების დამუშავება მონაცემთა სუბიექტის სურვილის მიუხედავად ხდება და ადამიანის პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებაში ინტენსიურ ჩარევასთან არის დაკავშირებული.

მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის, მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად მონაცემების დამუშავება (მათ შორის, გასაჯაროება) დასაშვებია, თუმცა მონაცემის გამჟღავნებამდე დაწესებულებებს ევალებათ სათანადო ლეგიტიმური ინტერესების (საჯარო ინტერესის, მონაცემთა დამმუშავებლის ან/და მესამე პირის ინტერესის) იდენტიფიცირება, მათი შეფასება და პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესთან შეპირისპირება. საჯარო ან სხვა აღმატებული ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით მონაცემების დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ეს ემსახურება მკაფიოდ განსაზღვრულ, კანონიერ მიზანს, მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად, მონაცემები არის ნამდვილი, ზუსტი და მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად.

სამსახურის მიერ შესწავლილი მონაცემთა დამუშავების არაერთი პროცესი მიუთითებს, რომ დაწესებულებები საჯარო და სხვა აღმატებული ინტერესების საპასუხოდ ხშირად არაპროპორციული მოცულობის, ზედმეტ, არაზუსტ ან/და არაადეკვატურ მონაცემებს ასაჯაროებენ. ნაკლები ყურადღება ეთმობა მონაცემების გამოქვეყნების ვადებსაც. პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი ერთგვარ გამოწვევადაც შეიძლება შეფასდეს თავად საჯარო მოსამსახურეებისთვის, რომლებიც მონაცემების გასაჯაროების გადაწყვეტილების მიღებამდე ხშირად კონსულტაციებისთვის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მომართვენ.

მონაცემთა კანონდარღვევით დამუშავება შეუქცევადი ზიანის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანისთვის მაშინ, როდესაც ინფორმაცია ფართო საზოგადოებას მიეწოდება. შესაბამისად, საჯარო და სხვა აღმატებული ინტერესის საფუძვლით მონაცემების დამუშავების სირთულის და რისკების გათვალისწინებით, ამ პროცესზე ზედამხედველობა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პრიორიტეტი იყო 2021 წლის განმავლობაში.

ცნობიერების ამაღლება და განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები

სამსახურმა გამოიკვლია საჯარო და აღმატებული ინტერესის საპასუხოდ მონაცემთა დამუშავების არაერთი შემთხვევა, დაგროვილი გამოცდილების განზოგადების მიზნით შეიმუშავა სარეკომენდაციო დოკუმენტი და მნიშვნელოვანი დრო დაუთმო ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებულ შეხვედრებსა თუ ტრენინგებს:

- საჯარო უწყებებში დაცული პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ამავდროულად, მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, მომზადდა სახელმძღვანელო რეკომენდაციები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირებისთვის. დოკუმენტი შეასრულებს ერთგვარი გზამკვლევის ფუნქციას საჯარო დაწესებულებებში დაცული პერსონალური მონაცემების გამოქვეყნების, გასაჯაროების თუ მესამე პირებისთვის გამჟღავნების საკითხის გადაწყვეტისას.

  აღნიშნული რეკომენდაციების შემუშავებამდე გაანალიზდა სამსახურის მრავალწლიანი გამოცდილება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიტიკური კვლევები და 80-მდე საჯარო დაწესებულებიდან, სპეციალური კითხვარის საშუალებით, სამსახურის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია პერსონალური ინფორმაციის მოთხოვნით მათთან შესული კორესპონდენციის შინაარსის შესახებ. მომზადებულ დოკუმენტში ასახულია საჯარო დაწესებულებებში დაცული პერსონალური მონაცემების სპეციფიკა, პერსონალური მონაცემების დაცვისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეპირისპირების პროცესი, მომეტებული საზოგადოებრივი თუ აღმატებული ინტერესების დასაკმაყოფილებლად მონაცემთა დამუშავებამდე გასათვალისწინებელი გარემოებები და ინფორმაციის გაცემის პროცედურები.

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებმა საჯარო თუ სხვა აღმატებული ინტერესის საფუძვლით პერსონალური მონაცემების გასაჯაროების საკითხზე ტრენინგები ჩაუტარეს სხვადასხვა საჯარო დაწესებულების 80-მდე წარმომადგენელს, მათ შორის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და სსიპ - გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის თანამშრომლებს. გარდა ამისა, პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით შეხვედრები გაიმართა 50-ზე მეტი საჯარო დაწესებულების 60-ზე მეტ და 70-მდე მუნიციპალიტეტის 160-მდე წარმომადგენელთან. შეხვედრების ფარგლებში მონაწილეების განსაკუთრებული ინტერესის საგანი სწორედ საჯარო და სხვა აღმატებული ინტერესის საფუძვლით მონაცემების გამჟღავნება იყო.



შესწავლილი პროცესები

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა საჯარო ან სხვა აღმატებული ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავების 29 შემთხვევა, რომელთაგან 24 განხორციელდა მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე, ხოლო ხუთი - სამსახურის ინიციატივით. სამსახურში შემოსული განცხადებები ძირითადად შეეხებოდა მონაცემთა სუბიექტების თანხმობის გარეშე მათი პერსონალური მონაცემების ვებგვერდებსა თუ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებას (მათ შორის, კონკურსების ფარგლებში და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დამუშავებული მონაცემების დაინტერესებული მხარეებისთვის გამჟღავნებას. ასევე, ფინანსურ დავალიანებასთან დაკავშირებული მონაცემების გარე პირებისთვის გადაცემას სააღსრულებო დაწესებულებებისა და ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან).

სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 12 პირს 13 სამართალდარღვევისთვის. სანქციის სახით ხუთი პირის მიმართ გამოყენებული იქნა გაფრთხილება, ხოლო შვიდი პირის მიმართ - ჯარიმა. ადმინისტრაციული სახდელების პარალელურად, საჯარო და კერძო დაწესებულებებში, მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სამსახურმა გასცა ერთი რეკომენდაცია და შესასრულებლად სავალდებულო 16 დავალება.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინიციატივით საჯარო ან აღმატებული ინტერესის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესები შესწავლილ იქნა საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის, სამართალდამცავ ორგანოებში და კერძო ორგანიზაციებში. ყურადღება გამახვილდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავების პროცესებზე და ადვოკატების, სტუდენტების, საჯარო პირების მონაცემების გამოქვეყნების მოცულობაზე, საჭიროებასა და ვადებზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა დამუშავებული მონაცემების პროპორციულობას და საჯარო ინტერესის საპასუხოდ მონაცემთა დამუშავების აუცილებლობას. სამსახურმა შეისწავლა/შეამოწმა:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ერთ-ერთი განმცხადებლის მომართვის საფუძველზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა სასტიპენდიო კონკურსის მონაწილე და გამარჯვებულ სტუდენტთა სიების გასაჯაროების კანონიერება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემოწმების შედეგად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთმა ფაკულტეტმა ვებგვერდზე გამოაქვეყნა სასტიპენდიო კონკურსში მონაწილე 200-ზე მეტი სტუდენტის სარეიტინგო სია, მათი პირადი ნომრებისა და საკონკურსო ქულის მითითებით. სიის გამოქვეყნებასთან ერთად ფაკულტეტმა განმარტა, რომ სტუდენტებს შეეძლოთ საპრეტენზიო განაცხადებით მიმართვა. საპრეტენზიო განცხადებით მიმართვის ვადის ამოწურვის შემდეგ უნივერსიტეტმა თავდაპირველად გამოაქვეყნა 100-ზე მეტი გამარჯვებული სტუდენტის პირადი ნომერი და სარეიტინგო ქულა, ხოლო შემდეგ ინფორმაცია დააკორექტირა და ვებგვერდზე განათავსა განახლებული სია. სიასთან ერთად გამოქვეყნებულ საჯარო განცხადებაში უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ რამდენიმე სტუდენტის საკონკურსო ქულა არასწორი აღმოჩნდა, რაც სტუდენტური თვითმმართველობის მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ გამოიწვია. აღნიშნულის დასადასტურებლად უნივერსიტეტმა სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთან სამსახურებრივ საკითხებზე კომუნიკაციის ამსახველი ფოტომასალაც გაასაჯაროვა. მონაცემების გამოქვეყნების მიზნებად უნივერსიტეტის მხრიდან დასახელდა საჯარო კონკურსის შედეგების შესახებ სტუდენტების მაღალი ინტერესის დაკმაყოფილება, კონკურსის შედეგების მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვება, საჯარო დაწესებულების რეპუტაციის დაცვა, სტიპენდიის მოპოვების შესახებ სტუდენტების ინფორმირება, ფინანსური სახსრების ხარჯვის პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა. უნივერსიტეტმა

განმარტა, რომ მონაცემების კონფიდენციალურობის შემთხვევაში დაწესებულება ვერ გამოავლენდა საკონკურსო ქულების არასწორი დაანგარიშების ფაქტს, ვინაიდან დაინტერესებული სტუდენტები საგანმანათლებლო დაწესებულებას ვერ გაუზიარებდნენ მათ ხელთ არსებულ ინფორმაციას და ვერ დაიცავდნენ საკუთარ კანონიერ ინტერესებს.
შესწავლის შედეგად მონაცემების გასაჯაროების მიზნები ლეგიტიმურად იქნა მიჩნეული, თუმცა გამოვლინდა, რომ კონკურსის დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მონაცემები ვებგვერდის მეშვეობით კვლავ ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებისთვის, უნივერსიტეტს კი არ ჰქონდა განსაზღვრული მონაცემთა გამოქვეყნების პროცედურა და ვადები.

სამსახურის გადაწყვეტილება: უნივერსიტეტს დაევალა სასტიპენდიო კონკურსში მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნების, სტუდენტთა მონაცემების დამუშავების ფორმის, მოცულობის, მონაცემთა დამუშავების ვადების წერილობით განსაზღვრა, ხოლო შენახვის ვადის გასვლის შემდგომ გასაჯაროებული მონაცემების წაშლა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. სამსახურს შეტყობინებით მომართა ერთ-ერთმა ადვოკატმა, რომელმაც სამსახურს აცნობა ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე - WWW.GBA.GE საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების სიების გამოქვეყნების შესახებ. ინფორმაციის გადამოწმებით გამოვლინდა, რომ ვებგვერდზე საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების მონაცემები სხვადასხვა წელს იყო გასაჯაროებული და ეს ინფორმაცია 2021 წელსაც ხელმისაწვდომი იყო. ძველი და მოცულობითი პერსონალური მონაცემების გამოქვეყნების რისკების გათვალისწინებით, სახელმწიფო ინსპექტორმა დაიწყო ასოციაციის შემოწმება, რომელიც მოიცავდა საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების პერსონალური მონაცემების ვებგვერდზე გასაჯაროების ვადის კანონიერებას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შემოწმების შედეგად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ ვებგვერდზე (WWW.GBA.GE) გამოქვეყნებული იყო ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებები, 2017-2021 წლების საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების სიებთან ერთად. აქტები შეეხებოდა ადვოკატების მიმართ საწევრო დავალიანებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას, დავალიანების გადახდის გადავადებას, ადმინისტრაციული წარმოების დასრულებას, ასოციაციის წევრობის შეწყვეტას და აღნიშნული წევრობის აღდგენის დამატებით ვადას. გადაწყვეტილებების გასაჯაროება ხდებოდა უვადოდ, ასობით და რიგ შემთხვევაში, ათასობით ადვოკატის საიდენტიფიკაციო მონაცემთან ერთად. ასოციაციის განმარტებით, ასოციაციაში დამკვიდრებული იყო გადაწყვეტილებებისა და სიების გამოქვეყნების გზით ადვოკატების ინფორმირების პრაქტიკა, ვინაიდან ადვოკატთა სიმრავლის გამო მათთან ინდივიდუალური წერილობითი კომუნიკაციის დამყარება სირთულეს წარმოადგენდა. ხოლო, პერსონალური მონაცემების ვებგვერდზე უვადოდ გამოქვეყნება იყო მტკიცებულება, რომელიმე ადვოკატის მხრიდან ფაქტის სადავოდ გახდომის შემთხვევაში. შემოწმებით დადგინდა, რომ დავალიანების მქონე ადვოკატთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოებები დასრულებული იყო 2019-2021 წლებში და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმირებული იყვნენ ადრესატები, მათი გამოქვეყნების გზით. ანუ, მიღწეული იყო საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების სიების გამოქვეყნების მიზნები, ხოლო

მტკიცებულების შესანახად ვებგვერდზე ინფორმაციის უვადოდ განთავსება აუცილებლობას არ წარმოადგენდა. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორმა მონაცემების უვადოდ გამოქვეყნება მიიჩნია მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევად.

სამსახურის გადაწყვეტილება: ასოციაციას დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა). ამავდროულად, დაევალა ვებგვერდზე - www.gba.ge განთავსებული საწევრო დავალიანების მქონე/წევრობაშეწყვეტილ ადვოკატთა სიების წაშლა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. 2021 წლის 11 ივლისს გარდაიცვალა ტელეკომპანია „TV პირველის“ ოპერატორიი ა.ლ. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეზე სამინისტროს მიერ ჩატარდა რამდენიმე ბრიფინგი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაასაჯაროვა ა.ლ.-ს გადაადგილების ამსახველი ვიდეოჩანაწერები. ვინაიდან გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემების გავრცელება უკავშირდებოდა მისი პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფას, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო აღნიშნული ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების კანონიერების შესწავლა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემოწმების შედეგად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ სამინისტროს მიერ გამართული ბრიფინგების მიზანს წარმოადგენდა ა.ლ.-ს გარდაცვალების ფაქტზე დაწყებული გამოძიების შესახებ საზოგადოების ინფორმირება. თუმცა, 2021 წლის 11 ივლისს გამართული ბრიფინგების ფარგლებში სამინისტროს წარმომადგენელმა არ/ვერ დაასახელა ა.ლ.-ს გარდაცვალების კონკრეტული მიზეზი და აღნიშნა, რომ გარდაცვალების მიზეზის დასადგენად გამოძიებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შედეგები. აღნიშნულის პარალელურად, სამინისტრომ ბრიფინგებზე გაასაჯაროვა ა.ლ.-ს გადაადგილების ამსახველი ვიდეოჩანაწერები, შესაბამისი კომენტარებით, თუმცა საზოგადოებას არ მიაწოდა ინფორმაცია მათი გასაჯაროების მიზნებისა და მიმდინარე გამოძიებასთან ვიდეოჩანაწერების მიზეზობრივი კავშირის შესახებ. უფრო მეტიც, სამინისტრომ თავი შეიკავა გამოძიების კონკრეტული ვერსიის გაჟღერებისაგან (იმ მოტივით, რომ მხოლოდ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შემდგომ იქნებოდა შესაძლებელი პირის გარდაცვალების გამომწვევი მიზეზის დადგენა), საზოგადოებას მოუწოდა გასაჯაროებული ვიდეოჩანაწერებიდან არ გამოეტანათ ნაადრევი დასკვნები და დალოდებოდნენ გამოძიების შედეგებს.

ვინაიდან 2021 წლის 11 ივლისს სამინისტროს მიერ გასაჯაროებული ვერც ერთი ვიდეოჩანაწერი ვერ პასუხობდა საზოგადოებაში არსებულ მთავარ კითხვას გარდაცვალების კონკრეტულ მიზეზთან დაკავშირებით და ამასთან, ბრიფინგებზე არ იქნა განმარტებული ა.ლ.-ს გარდაცვალებასთან აღნიშნული

ჩანაწერების კავშირი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ მათ გასაჯაროებას არ ჰქონდა კონკრეტული და მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზანი.

სამსახურის გადაწყვეტილება: სამინისტროს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა). ამასთან, სამინისტროს დაევალა ოფიციალური FACEBOOK გვერდიდან, YOUTUBE არხიდან და მის სარგებლობაში არსებული ყველა სხვა პორტალიდან ბრიფინგების ფარგლებში გასაჯაროებული ა.ლ.-ს გადაადგილების ამსახველი ვიდეოჩანაწერების წაშლა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. აღნიშნული საჯარო დაწესებულებები პერიოდულად ავრცელებდნენ სხვადასხვა ინფორმაციას პენიტენციურ დაწესებულებში მოთავსებული მოშიმშილე პატიმრის, საქართველოს მესამე პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილის, შესახებ. კერძოდ, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გამოაქვეყნა ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის მიერ პენიტენციური დაწესებულების მაღაზიაში შეძენილი და მიღებული პროდუქტებისა და მიხეილ სააკაშვილის სასიცოცხლო მაჩვენებლების შესახებ, ასევე, ფოტო (რომელზეც ასახული იყო მიხეილ სააკაშვილის მიერ მიღებული საკვები დანამატები) და ვიდეომასალა (რომელზეც აღბეჭდილი იყო მიხეილ სააკაშვილის მიერ საკვების მიღების ფაქტები). ხოლო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გაასაჯაროვეს: მიხეილ სააკაშვილის კვების რაციონის შესახებ ინფორმაცია; მიხეილ სააკაშვილის მიერ №12 პენიტენციური დაწესებულების დატოვების ამსახველი ვიდეოჩანაწერი; მიხეილ სააკაშვილის №18 პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლების ამსახველი ვიდეოჩანაწერი და №12 პენიტენციური დაწესებულებიდან №18 პენიტენციურ დაწესებულებაში, მიხეილ სააკაშვილის ტრანსპორტირების მიზნით გამოყენებულ რეანომობილში განვითარებული მოვლენების ამსახველი აუდიო-ვიდეოჩანაწერი. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, დაიწყო მ. სააკაშვილის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მოპოვებისა და გასაჯაროების კანონიერების შესწავლა.

სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ყველა შემთხვევასთან მიმართებით განმარტეს, რომ მათ მიერ მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გასაჯაროების მიზეზი მაღალი საჯარო ინტერესი იყო, ვინაიდან ვრცელდებოდა არასწორი ინფორმაცია მისი უფლებრივი მდგომარეობისა და ჯანმრთელობის დამძიმების შესახებ. ამასთან, საზოგადოებაში მცდარი ინფორმაციის გავრცელებით, არსებობდა ძალადობრივი ხასიათის მოქმედებების დაწყების შესაძლებლობა, რაც საფრთხეს უქმნიდა როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ასევე, ზიანს აყენებდა პენიტენციური დაწესებულების რეპუტაციასა და იქ განთავსებული სხვა პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრების ინტერესებს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობისა და უფლებრივი მდგომარეობის მიმართ ნამდვილად არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. თუმცა დაწესებულებებს, თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეეფასებინათ რამდენად იყო ეს ინტერესი ლეგიტიმური და რამდენად პროპორციული და ადეკვატური იყო, ასეთი ინტერესის დასაკმაყოფილებლად მონაცემების გასაჯაროება და ამისთვის გამოყენებული საშუალებები.

გამოიკვეთა, რომ იმ პირობებში, როცა ვრცელდებოდა ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად დამძიმების თაობაზე, საზოგადოების ინფორმირება მიხეილ სააკაშვილის ნორმაში არსებული ზოგადი სასიცოცხლო მაჩვენებლების შესახებ (წნევის, პულსის, სატურაციის, გლუკოზის მონაცემების) საზოგადოებისთვის ლეგიტიმური საჯარო ინტერესს პროპორციულად პასუხობდა.

რაც შეეხება დანარჩენ ფაქტებს: საჯარო ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა მიხეილ სააკაშვილის მიერ მაღაზიაში შეძენილი და მიღებული პროდუქტების სახეობა და რაოდენობა. მისი კვების რაციონის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებამ კი საზოგადოებაში შექმნა მცდარი აზრი მოჩვენებითი შიმშილობის შესახებ, მაშინ როდესაც საპირისპირო დასტურდებოდა სამედიცინო დოკუმენტებით. შესაბამისად, ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება, იმ მნიშვნელოვანი დეტალის გარეშე, რომ საკვები დანამატების მიღება ექიმთა კონსილიუმის რეკომენდაციით იყო გამოწვეული, ვერ აკმაყოფილებდა კანონიერების მოთხოვნებს. სამედიცინო პუნქტში საკვების მიღების ამსახველი ვიდეოჩანაწერისა და საკვები დანამატების შესახებ ფოტომასალის გასაჯაროებასთან დაკავშირებით გამოვლინდა, რომ გასაჯაროებული ფაქტები ობიექტურ დამკვირვებელს ვერ დაარწმუნებდა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სამედიცინო მომსახურების ხარისხში. ამასთან, ვიდეოჩანაწერებში მიხეილ სააკაშვილის პრივატული ფორმით ასახვა და გარკვეული ხილფაფების და პიურეების, როგორც მის მიერ მიღებული პროდუქტების გასაჯაროება, საზოგადოებაში ქმნიდა შიმშილობის მოჩვენებითი ხასიათის შესახებ არასწორ განცდას. შესაბამისად, მათი გასაჯაროება შეფასდა მოშიმშილე პირის ღირსების შელახვად.

პენიტენციური დაწესებულების დატოვების, სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლების ამსახველი ვიდეოჩანაწერისა და ტრანსპორტირებისას რეანიმობილში განვითარებული მოვლენების შესახებ აუდიო-ვიდეოჩანაწერის გასაჯაროებასთან მიმართებით კი გამოიკვეთა, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ საკუთარი ნებით დაწესებულების დატოვებაში საზოგადოების დარწმუნებისთვის არ იყო ვარგისი საშუალება გასაჯაროებული კადრები, ვინაიდან შემდეგ გასაჯაროებული კადრებით საპირისპირო (მისი იძულებით გადაყვანის ფაქტი) დგინდებოდა. პენიტენციურ დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილის იძულებით შესახლების კადრების გასაჯაროება შეფასდა ღირსების შემლახავი ფორმით მონაცემების დამუშავებად - მისი პოლიტიკური სტატუსის, ცნობადობის, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის, ვიდეოჩანაწერის შინაარსისა (დაწესებულების თანამშრომლებს იგი ხელში აწეული, იძულებით გადაჰყავთ წელს ზემოთ შიშველ მდგომარეობაში) და გასაჯაროების წინასწარ განჭვრეტადი შედეგების (აღნიშნული კადრები გავრცელდა მედიაში (და არა მხოლოდ საქართველოში) გათვალისწინებით. აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროების მიზნად საჯარო უწყების მიერ დასახელებული იყო რეანიმობილის პენიტენციური დაწესებულების კორპუსთან გაჩერების, მიხეილ სააკაშვილის მიერ სამედიცინო ტექნიკის დაზიანებისა და დაწესებულების თანამშრომლების მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტების დემონსტრირება, თუმცა ამისთვის, ღირსების შემლახავი ჩანაწერის გასაჯაროება არ შეფასდა კანონიერი მიზნით მონაცემების დამუშავების შემთხვევად, ასევე, რაიმე ლეგიტიმური მიზნის, მათ შორის, საზოგადოებრივი ინტერესის

დაკმაყოფილებისათვის გამოყენებულ პროპორციულ და ადეკვატურ საშუალებად.

სამსახურის გადაწყვეტილება: საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრათ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის რამდენიმე ეპიზოდისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა). ამასთან სამინისტროს და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა FACEBOOK ოფიციალური გვერდებიდან და ოფიციალური ვებგვერდებიდან გასაჯაროებული ვიდეოჩანაწერების, აუდიო-ვიდეოჩანაწერის და ფოტომასალის წაშლა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: არ შესრულდა.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

პერსონალური მონაცემების გამჟღავნება, გამოქვეყნება ან/და მესამე პირებისთვის მათი ხელმისაწვდომობა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. აღნიშნულ პროცესში დაწესებულებებმა ინდივიდუალურად უნდა შეაფასონ საჯარო და სხვა აღმატებული ინტერესის საფუძვლით ადამიანის პირად ცხოვრებაში ლეგიტიმური ჩარევის ფარგლები და შეარჩიონ ჩარევის თანაზომიერი საშუალებები. სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეები და განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ სხვადასხვა დაწესებულებების მიერ საჯარო ან/და სხვა აღმატებული ინტერესის საფუძვლით მონაცემების დამუშავების პროცესში ფიქსირდება გარკვეული დარღვევები და ნაკლოვანებები. კერძოდ:

- სამსახურის მიერ შესწავლილი პროცესები ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის საფუძვლით მონაცემთა გასაჯაროებისას, სათანადოდ არ ფასდება - არსებობს თუ არა საჯარო ინტერესი უშუალოდ გავრცელებული ინფორმაციის მიმართ და რამდენად მკაფიოა გავრცელების მიზანი, რამდენად ემსახურება გავრცელებული ინფორმაცია აღნიშნული მიზნის მიღწევას, გამოყენებული საშუალებით რამდენად არის შესაძლებელი კანონიერი მიზნის მიღწევა და ენიჭება თუ არა საჯარო ინტერესს უპირატესობა პერსონალური მონაცემის დაცვის ინტერესთან მიმართებით;

- საჯარო ინტერესის საფუძვლით მონაცემთა გასაჯაროებისას, როგორც წესი საჯარო დაწესებულებებს არ აქვთ სათანადოდ გაანალიზებული ყველა ის სპეციფიკური გარემოება, რომლებიც აღნიშნული საფუძვლით ადამიანების პირად ცხოვრებაში ჩარევის დროს უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული: საკითხის მიმართ არსებული საზოგადოებრივი ინტერესი, მონაცემთა სუბიექტის ვინაობა და სტატუსი, მონაცემთა სუბიექტის წინარე ქმედებები, მონაცემთა დამმუშავებელი უწყება, მონაცემების მოპოვების მეთოდი და მათი სიზუსტე, გასაჯაროებული მონაცემების შინაარსი და ფორმა, მონაცემების ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის შედეგები და ამ შედეგების განჭვრეტადობა და ა.შ.;

- შესწავლილმა პროცესებმა აჩვენა, რომ საჯარო ან/და სხვა აღმატებული ინტერესის საპასუხოდ მონაცემთა დამუშავებისას განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, თუ მონაცემთა დამუშავებამ შესაძლოა ხელყოს ადამიანის ღირსება. მონაცემების გასაჯაროებამდე სათანადოდ უნდა შეფასდეს ობიექტური დამკვირვებლის მოსალოდნელი აღქმა, გასაჯაროებული ინფორმაციის მიმართ. ღირსების უფლება განამტკიცებს წესრიგს, რომელშიც მთავარი ღირებულება არის ადამიანი. ადამიანის ღირსების დაცვის უფლება კი ყველა ადამიანს უპირობოდ და შეუზღუდავად ეკუთვნის სახელმწიფოსაგან. კონფლიქტი ღირსების უფლებით დაცულ სიკეთესა და კონსტიტუციით დასაცავ ნებისმიერ სხვა ღირებულ ინტერესს შორის, იმთავითვე და უპირობოდ უნდა გადაწყდეს ადამიანის ღირსების სასარგებლოდ, შესაბამისად, საჯარო ინტერესი ვერ გადაწონის ადამიანის ღირსების დაცვის უფლებას;

- ხშირად ორგანიზაციებს აქვთ სათანადო ლეგიტიმური მიზნები, თუმცა არაჯეროვნად აფასებენ მონაცემების საჯაროდ განთავსების ვადებს - იმაზე მეტი ხნით აქვეყნებენ მონაცემებს ვიდრე ეს აუცილებელია. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესახებ დაინტერესებული პირის ინფორმირების მიზანი ან მონაცემების გამოქვეყნების ფაქტის მტკიცების საჭიროება საჯარო სივრცეში მონაცემების უვადოდ გამოქვეყნებას ვერ გაამართლებს. საჭიროა გასაჯაროებული მონაცემები მიზნის მიღწევისთანავე წაიშალოს. მნიშვნელოვანია, მონაცემთა დამმუშავებლებმა გამონახონ პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებაში ნაკლებად ჩარევის გზები, როდესაც ეს შესაძლებელია და ამგვარად უზრუნველყონ ლეგიტიმური მიზნების მიღწევა;

- დაწესებულებებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ კონკრეტული პროფესიის ადამიანების რეპუტაციასთან დაკავშირებული მონაცემების გამოქვეყნებისას. მონაცემების ინტერნეტში გამოქვეყნება, როგორც წესი, შესაძლებელს ხდის მათ ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას ინტერნეტ-საძიებო სისტემების (მაგალითად, „GOOGLE“-ის) მეშვეობითაც. ამიტომ, ორგანიზაციებმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასონ, რამდენად სენსიტიურია ესა თუ ის მონაცემი ადამიანის პირადი ცხოვრებისთვის, მისი საქმიანი რეპუტაციისთვის და არსებობს თუ არა საკმარისი საჯარო ინტერესი. ამგვარი ინტერესის არარსებობის შემთხვევაში ინფორმაცია საძიებო სისტემიდან უნდა წაიშალოს;

- შესწავლილი პროცესები ცხადყოფს, რომ მონაცემთა გასაჯაროება ცალკეულ შემთხვევებში უკავშირდება საჯარო კონკურსებს. საჯარო დაწესებულებებს შეიძლება ჰქონდეთ კონკურსის შედეგების მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვების და უწყების რეპუტაციის დაცვის აღმატებული ინტერესი, რისთვისაც ადეკვატური მოცულობის მონაცემების შესაბამისი ვადით გასაჯაროება დასაშვებია. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებებმა მონაცემების გასაჯაროებამდე სათანადოდ შეაფასონ რამდენად მაღალია ლეგიტიმური საჯარო ინტერესი და მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებთან/გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ზედამხედველობის მნიშვნელობა;

- ცალკეულ საჯარო დაწესებულებებთან მიმართებით გამოიკვეთა ტენდენცია კონკურსის ფარგლებში მონაცემების გასაჯაროების ჰიბრიდულ წესებთან დაკავშირებით. კერძოდ, მონაცემების გასაჯაროების წესების ნაწილი რეგულირდება წერილობითი შიდაორგანიზაციული დოკუმენტებით, ხოლო ნაწილი - წლების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკით. აღსანიშნავია, რომ საკითხის ზეპირ რეგულირებას და მის საფუძველზე დამკვიდრებულ პრაქტიკას, წერილობითი შიდაორგანიზაციული დოკუმენტებისგან (ინსტრუქცია, წესი და სხვა) განსხვავებით, ნაკლებადმბოჭავი ეფექტი აქვს მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართული პირებისთვის. მონაცემთა დამუშავების თანმიმდევრული და განჭვრეტადი პროცესის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებებმა წერილობითი დოკუმენტით უნდა განსაზღვრონ მონაცემთა გამოქვეყნების პროცედურა, მოცულობა და დაადგინონ კანონიერი მიზნების მისაღწევად საჭირო მონაცემთა დამუშავების ვადები.

დაწესებულებები ვალდებულნი არიან მხოლოდ პროპორციული მოცულობის, კონკრეტულ მიზანთან ადეკვატური მონაცემები გაასაჯაროონ/გადასცენ მესამე პირებს. აღნიშნული, ხშირად საქმის შრომატევად, კვალიფიციურ და მიუკერძოებელ გამოკვლევასთან არის დაკავშირებული, თუმცა დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაცემთა დამმუშავებლებმა კანონიერი საშუალებებით უნდა დააკმაყოფილონ საჯარო ინტერესები.

11

მონაცემთა სუბიექტის უფლებები

11. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

პირი, რომლის შესახებ პერსონალური მონაცემებიც მუშავდება, წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტს. პერსონალური მონაცემების დამუშავების მაღალი სტანდარტის დანერგვა წარმოუდგენელია მონაცემთა სუბიექტისთვის მინიჭებული უფლებების რეალიზების ქმედითი ბერკეტების გარეშე. მონაცემთა სუბიექტების უფლებების რეალიზების წესებსა და პირობებს ადგენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და 21-ე მუხლები, რომელთა თანახმად მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მის მიერ შერჩეული ფორმით და კანონით დადგენილ ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე.

მონაცემთა დამუშავების ყველა ეტაპზე მონაცემთა სუბიექტების ჯეროვანი ინფორმირება უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების პროცესის მრავალმხრივ კონტროლს და მონაცემთა კანონდარღვევით დამუშავების პრევენციას. მონაცემთა სუბიექტის სათანადოდ და გონივრულ ვადაში ინფორმირება პირდაპირ უკავშირდება მონაცემთა სუბიექტის კანონით განსაზღვრული სხვა (მაგალითად, არასწორი/არაზუსტი მონაცემების წაშლისა და გასწორების მოთხოვნის) უფლებების რეალიზებას. სწორედ ამიტომ, 2021 წელს კვლავ აქტუალური იყო მონაცემთა სუბიექტების ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები.

ცნობიერების ამაღლება და განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მონაცემთა სუბიექტების ცნობიერების ამაღლებისა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების შესახებ დამმუშავებელი ორგანიზაციების ინფორმირების მიზნით არაერთი ღონისძიება განახორციელა. კერძოდ:

- ჩატარდა ტრენინგები, რომელთა დიდი ნაწილი მოიცავდა მონაცემთა სუბიექტის უფლებებთან და მონაცემთა სუბიექტების მიმართ მონაცემთა დამმუშავებლების ვალდებულებებთან დაკავშირებულ საკითხებს. მონაცემთა სუბიექტის უფლებების თემაზე ტრენინგი და საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა 500-ზე მეტ პირთან, რომელთა ნაწილი იყვნენ მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები (მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მუნიციპალიტეტების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და კერძო კომპანიების თანამშრომლები);

- ტრენინგებისა და შეხვედრების პარალელურად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მუშაობდა სხვადასხვა პლატფორმების შესაქმნელად, რომლებიც დაინტერესებულ პირებს მისცემდა პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას. ამ მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის მხარდაჭერით, შემუშავდა დისტანციური საგანმანათლებლო პლატფორმა WWW.ELEARNING.STATEINSPECTOR.GE , რომელიც ხელმისაწვდომია ყველა პირისთვის, მათ შორის, ადაპტირებულია შშმ პირებისთვის;

- კორონავირუსით შექმნილი ვითარების გამო, დისტანციური სწავლებისა და ონლაინ ვაჭრობის მასშტაბების გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის მხარდაჭერითა და საკონსულტაციო კომპანია შპს „იუაი“-სთან თანამშრომლობით, მომზადდა რეკომენდაციები დისტანციური სწავლებისა და ონლაინ ვაჭრობის პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ. რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო დისტანციური სწავლების პროცესში მოსწავლეების და სტუდენტების, ხოლო ონლაინ ვაჭრობის პროცესში მომხმარებლების, როგორც მონაცემთა სუბიექტების, ინფორმირების საკითხებს და ყურადღება გამახვილდა მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების აუცილებელ კრიტერიუმებზე, ინფორმირების ფორმასა და შინაარსზე;

- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მხარდაჭერითა და საქართველოში ნიდერლანდების საელჩოს დაფინანსებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მოამზადა ვიდეორგოლი - „დაფიქრდი, ვიდრე პერსონალურ მონაცემებს გააზიარებ“. ვიდეორგოლის საშუალებით საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დამუშავების სპეციფიკის, მათი გაზიარების თანმდევი შედეგებისა და ამ პროცესში თითოეული მონაცემთა სუბიექტის უფლება-მოვალეობების შესახებ.

შესწავლილი პროცესები

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მოქალაქეთა 46 განცხადების საფუძველზე შეისწავლა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული 46 შემთხვევა. სამსახურში შემოსული განცხადებები ძირითადად შეეხებოდა მონაცემთა სუბიექტისთვის მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმაციის (მათ შორის, მონაცემთა დამუშავების მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის, მონაცემთა მოპოვების წყაროს, მონაცემთა მესამე პირთათვის გადაცემის შესახებ ინფორმაციის) ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის მიუწოდებლობას/არასრულად მიწოდებას, მონაცემების გასწორების/წაშლის/განადგურების/დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას/მოთხოვნის რეაგირების გარეშე დატოვებას.

სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 24 პირს 29 სამართალდარღვევისთვის. სანქციის სახით 16 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო რვა პირის მიმართ - ჯარიმა. ადმინისტრაციული სახდელების პარალელურად, საჯარო და კერძო დაწესებულებებში, მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა ორი რეკომენდაცია და შესასრულებლად სავალდებულო 35 დავალება.



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებასთან დაკავშირებით შესწავლილი იქნა:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური. მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მონაცემთა სუბიექტების დაყენებულ მოთხოვნებზე განხორციელებული რეაგირების კანონიერება. განცხადებების განხილვის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებებით გამოვლინდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მონაცემთა სუბიექტების არაჯეროვანი ინფორმირების შემთხვევები.

ერთ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტმა სპეციალური პენიტენციური სამსახურისგან გამოითხოვა სასჯელაღსრულების დაწესებულებების მიერ მის შესახებ ნაწარმოები სამედიცინო დოკუმენტაციის ასლები. სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა განმცხადებელს, მოთხოვნის წარდგენიდან, ხანგრძლივი დროის (27 დღის) გასვლის შემდგომ მიაწოდა მოთხოვნილი დოკუმენტები არასრული სახით.

მეორე შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტმა სპეციალური პენიტენციური სამსახურისგან გამოითხოვა,

სასამართლოს განჩინების საფუძველზე, მის მიმართ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი ვიდეომასალა, რომელიც გადაღებული იყო სასჯელაღსრულების დაწესებულების ვიდეოკამერით. სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მონაცემთა სუბიექტს უარი უთხრა მოთხოვნილი ვიდეოჩანაწერის გადაცემაზე, თუმცა ჯეროვნად არ იქნა დასაბუთებული მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის (მისი პერსონალური მონაცემების შემცველი ჩანაწერის გადაცემაზე უარის თქმის) საფუძვლები.

სამსახურის გადაწყვეტილებები: სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ორივე შემთხვევაში დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევა). ამავდროულად, დაევალა მონაცემთა სუბიექტის ჯეროვანი ინფორმირება, შესაბამისი დოკუმენტაციის გადაცემის გზით.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. საანგარიშო პერიოდში სამინისტროს მიერ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევის ფაქტის შესწავლის მოთხოვნით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს რამდენიმე მოქალაქემ მომართა. განცხადებების განხილვით დადგინდა, რომ გარკვეულ შემთხვევებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, არაჯეროვნად შესრულდა მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების ვალდებულება.

ერთ შემთხვევაში, არასრულწლოვანის წარმომადგენელმა სამინისტროდან ორგზის, სხვადასხვა დროს, გამოითხოვა ადმინისტრაციული საქმისწარმოების მასალების ასლები. სამინისტრომ მხოლოდ განმეორებითი მოთხოვნის წარდგენიდან, ხანგრძლივი დროის (20 სამუშაო დღის) გასვლის შემდგომ, უზრუნველყო მოთხოვნილი მასალების არასრულწლოვანის წარმომადგენლისთვის გადაცემა. ამასთან, გაცემული მასალები არ იყო დამუშავებული მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზებისთვის ადეკვატური ფორმით - გადაცემულ დოკუმენტებში დაშტრიხული იყო ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე პოლიციელთა და გამოკითხულ მოქალაქეთა საიდენტიფიკაციო მონაცემები. ვინაიდან არასრულწლოვანი იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების მხარე და დაცვის ეფექტიანად განხორციელების მიზნით ჰქონდა მის მიმართ მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალების სრულად გაცნობის უფლება, სამინისტრომ ვერ დაასაბუთა მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის (დოკუმენტების არასრული ფორმით გაცემის) საფუძვლები.

მეორე შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტმა შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მოითხოვა ადმინისტრაციული საქმისწარმოების მტკიცებულებების - მისი დაკავების ამსახველი ვიდეოჩანაწერების ასლების - გადაცემა. აღნიშნულ მოთხოვნაზე სამინისტროს არ განუხორციელებია არავითარი ქმედება. სამინისტრომ განმცხადებელს არ გადაცა ვიდეოჩანაწერი. ამავდროულად, განმცხადებლის მიმართვის შემდგომ, აღნიშნული ვიდეოჩანაწერები ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში სამინისტრომ მიაწოდა საქმის განმხილველ სასამართლოს.

სამსახურის გადაწყვეტილებები: სამინისტროს ორივე შემთხვევაში დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევა). ამავდროულად, დაევალა მონაცემთა სუბიექტის ჯეროვანი ინფორმირება - ერთ შემთხვევაში დოკუმენტის, ხოლო მეორე შემთხვევაში ვიდეოჩანაწერის გადაცემა.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: არ შესრულდა. პირველ შემთხვევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია, ხოლო მეორე შემთხვევასთან დაკავშირებით ვიდეოჩანაწერი აღარ ინახებოდა სამინისტროში (იგი გადაცემული იყო საქმის განმხილველი სასამართლოსთვის).

- ა(ა)იპ „ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდი“. შესწავლა განხორციელდა მონაცემთა სუბიექტის წარმომადგენლის (ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“) განცხადების საფუძველზე, რომლის თანახმად, ფონდმა დაარღვია მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების კანონით განსაზღვრული ვალდებულებები.

განცხადების განხილვის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ 2004 წლიდან 2011 წლის მაისის ჩათვლით ფონდი მონაცემთა სუბიექტს უწევდა სადღეღამისო სააღმზრდელო, საგანმანათლებლო და სამედიცინო მომსახურებას. ფონდში წარდგენილი განცხადებით, მონაცემთა სუბიექტმა გამოითხოვა მისი მონაცემების შემცველი სრული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად განემარტა, რომ ისინი ფონდში აღარ ინახებოდა. მონაცემთა სუბიექტმა ფონდის სახელზე განმეორებით წარდგენილი განცხადებით მოითხოვა ინფორმაცია მისი მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის მიმართ განხორციელებული ქმედებებისა (განადგურდა თუ არქივს გადაეცა) და ამ ქმედებების განხორციელების საფუძვლისა და თარიღების შესახებ, რაც ფონდმა უპასუხოდ დატოვა. ამასთან, ფონდმა ვერ მიუთითა მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი. განცხადების შესწავლის ფარგლებში გამოირკვა, რომ ფონდის აღსაზრდელის მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია გადაეცა მესამე პირებს, მათ შორის, სკოლას და დაწესებულებიდან (ფონდიდან) გამყვან პირს.

სამსახურის გადაწყვეტილებები: ფონდს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევა). ამასთან, ფონდს დაევალა მოთხოვნილი ინფორმაციის მონაცემთა სუბიექტისთვის მიწოდება.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: შესრულების პროცესშია.

- სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. შესწავლა განხორციელდა მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა სააგენტოს მიერ, სააღსრულებლო წარმოების ფარგლებში მიღებული, განმცხადებლის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტის გაუცემლობას.

განცხადების განხილვის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ 2021 წლის სექტემბერში მონაცემთა სუბიექტმა სააგენტოდან გამოითხოვა ყოფილი მეუღლის განცხადების ასლი, რომელიც შეიცავდა მისი და მისი არასრულწლოვანი შვილის პერსონალურ მონაცემებს. სააგენტომ მონაცემთა სუბიექტს თავდაპირველად წერილობით უთხრა უარი დოკუმენტის გადაცემაზე, ხოლო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ საქმისწარმოების დაწყების შემდგომ, სააგენტომ განმცხადებლის მოთხოვნა დააკმაყოფილა (გადასცა მოთხოვნილი დოკუმენტი - სამი ფურცელი). სააგენტოს განმარტებით, თავდაპირველი გადაწყვეტილება განმცხადებლისთვის დოკუმენტის გადაცემაზე უარის შესახებ არასწორი იყო, უფლების შეზღუდვის საფუძვლის არარსებობის გამო. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა სუბიექტის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვის ფაქტის გამოვლენის შემდგომაც, მონაცემთა დამმუშავებელს დასჭირდა არაგონივრული ვადა (20 დღე) მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

სამსახურის გადაწყვეტილება: სააგენტოს დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევა). ამავდროულად, დაევალა მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების კონკრეტული წესების შემუშავება და დანერგვა.

გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა: არ შესრულდა. გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სასამართლოში.

- კერძო დამსაქმებელი ორგანიზაციები. 2021 წელს სამსახურში შემოსული რამდენიმე განცხადება შეეხებოდა კერძო ორგანიზაციების მიერ შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებისას მონაცემთა სუბიექტების - დასაქმებულების/ყოფილი დასაქმებულების ინფორმირების კანონიერებას.

ერთ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტმა, კერძო ორგანიზაციიდან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გამოითხოვა ინფორმაცია ორგანიზაციაში მისი დანიშვნისა და გათავისუფლების ზუსტი თარიღის, დაკავებული პოზიციისა და გათავისუფლების საფუძვლის თაობაზე. აღნიშნულ მოთხოვნაზე თავდაპირველად კომპანიას რაიმე სახის რეაგირება არ განუხორციელებია. ორგანიზაციამ ყოფილი

დასაქმებულისთვის ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყო მხოლოდ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოების დაწყების შემდეგ - მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნის წარდგენიდან 1 თვეზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ.

მეორე შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტმა კერძო ორგანიზაციიდან, მისი ყოფილი დამსაქმებელისგან, ელექტრონული ფოსტით გამოითხოვა მისი პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტი - შრომითი ხელშეკრულების ასლი. ორგანიზაციამ მონაცემთა სუბიექტს განუმარტა, რომ მითითებული დოკუმენტი იყო დაარქივებული და პანდემიის გამო, ორგანიზაციას არქივთან წვდომა არ ჰქონდა. ამავდროულად, მიუთითა, რომ მას წარსულში გადაეცა შრომითი ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი, რაც დასტურდებოდა შესაბამისი ხელმოწერით.

სამსახურის გადაწყვეტილებები: პირველ შემთხვევაში, ორგანიზაციას დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევა), ხოლო მეორე შემთხვევაში, ორგანიზაციას დაევალა შრომითი ხელშეკრულების ასლის მონაცემთა სუბიექტისთვის მიწოდება.

გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა: შესრულებულია.

- კერძო ორგანიზაციები. 2021 წელს სამსახურში წარმოდგენილი განცხადებები ასევე შეეხებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში, ორგანიზაციების მიერ მომხმარებლების - როგორც მონაცემთა სუბიექტების, ინფორმირების კანონიერებას.

ერთ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტმა სადაზღვევო პოლისი შეიძინა სადაზღვევო კომპანიის ვებგვერდის მეშვეობით და ამავე ვებგვერდზე, ანგარიშსწორების უზრუნველყოფის მიზნით, ასახა საბანკო მონაცემები (საკრედიტო/სადებეტო ბარათის მონაცემები). მოგვიანებით, მონაცემთა სუბიექტმა ვებგვერდიდან წაშალა მისი საბანკო მონაცემები, ხოლო სადაზღვევო კომპანიას მოსთხოვა ბარათის დამუშავების შეწყვეტა და ავტომატური გადახდების გაუქმება. აღნიშნულ მოთხოვნაზე სადაზღვევო კომპანიას რეაგირება არ განუხორციელებია. მათ შორის, არ შეასრულა კანონის 23-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, სუბიექტის მხრიდან მონაცემების წაშლის/დამუშავების შეწყვეტის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია დააკმაყოფილოს შესაბამისი მოთხოვნა ან მონაცემთა სუბიექტს 15 დღის ვადაში აცნობოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის საფუძველი.

მეორე შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტმა მობილური ოპერატორისგან წერილობით გამოითხოვა ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე, მოითხოვა მისი მონაცემების დამუშავების

შეწყვეტა და განმარტა, რომ ინფორმაციის მიღება სურდა მატერიალურად, ფოსტის მეშვეობით. ორგანიზაციამ მონაცემთა სუბიექტს, კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული 10 დღიანი ვადის დარღვევით და ამავდროულად არასრული სახით, მიაწოდა ინფორმაცია.

სამსახურის გადაწყვეტილებები: ორგანიზაციებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევა).

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეები და გამოვლენილი ტენდენციები ცხადყოფს, რომ საჯარო და კერძო ორგანიზაციები, რიგ შემთხვევაში, ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების მნიშვნელობას. კერძოდ:

- მოქმედი კანონმდებლობით, საჯარო დაწესებულებებს მონაცემთა სუბიექტების მიმართ კერძო დაწესებულებებთან შედარებით მეტი ვალდებულება ეკისრებათ. კერძოდ, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს არამხოლოდ მიაწოდოს ინფორმაცია, არამედ უსასყიდლოდ გადასცეს მის შესახებ არსებული მონაცემების ასლებიც (გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური), თუმცა აღნიშნული ნორმა დოკუმენტაციის მიწოდების კონკრეტულ ვადას არ ადგენს. ვადის არარსებობა მონაცემთა დამმუშვებლებს არ ანიჭებს განუსაზღვრელი ინტერპრეტაციის საშუალებას. დოკუმენტის მიწოდების გაჭიანურება შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი იყოს მონაცემთა სუბიექტისთვის, ვინაიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდგომ შეიძლება ინფორმაციამ დაკარგოს ღირებულება, ხოლო მონაცემთა სუბიექტმა - ამ ინფორმაციის მიღების ინტერესი. შესწავლილმა საქმეებმა ცხადყო, რომ გაიზარდა მონაცემთა სუბიექტების სურვილი აქტიური მონიტორინგი გაუწიონ საჯარო დაწესებულებების მიერ მათი მონაცემების დამუშავების პროცესს, რაც საჯარო სექტორის მსხვილი მონაცემთა დამმუშავებლებისთვის გამოწვევას წარმოადგენს და მათი მხრიდან დამატებით ძალისხმევას მოითხოვს. საჯარო დაწესებულების მწირი (ადამიანური) რესურსები არ შეიძლება გახდეს მონაცემთა სუბიექტის უფლებების არაკანონიერი შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი;

- ორგანიზაციებს, როგორც წესი, არ აქვთ შეფასებული და გააზრებული მონაცემთა სუბიექტების მომართვიანობის სიხშირე და შინაარსი, სუბიექტის უფლებების რეალიზაციის პროცესში არსებული გამოწვევები და ამ გამოწვევებთან გამკლავების გზები. სწორედ ამიტომ, მონაცემთა დამმუშავებლები მონაცემთა სუბიექტების მოთხოვნების დაკმაყოფილებას ან/და კანონით განსაზღვრულ ვადებში რეაგირებას ვერ ახერხებენ;
- გარკვეულ შემთხვევებში, პრობლემურია თავად მონაცემთა სუბიექტების მიერ წარდგენილი მოთხოვნების შინაარსი. კერძოდ, ზოგჯერ მოთხოვნები არის ბუნდოვანი და არ დგინდება რა სახის დოკუმენტ(ებ)ს ან/და ინფორმაციას ითხოვენ დაწესებულებიდან. აღნიშნული ხარვეზები მონაცემთა დამმუშავებლებს არ ათავისუფლებს მონაცემთა სუბიექტის უფლებების რელიზების ვალდებულებისგან, თუმცა მნიშვნელოვნად ართულებს კანონით დადგენილ ვადაში სრული ინფორმაციის გაცემას. შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტების მიერ მათი უფლებების ეფექტურად განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათი ცნობიერების დონეზე.

მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების უზრუნველსაყოფად, ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ და საჯაროდ, მაგალითად ვებგვერდზე, განათავსონ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც ლაკონურად და მარტივი ენით იქნება განმარტებული მონაცემების დამუშავებასთან და სუბიექტის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, დაწესებულებებმა, განსაკუთრებით საჯარო დაწესებულებებმა, უნდა გააძლიერონ ძალისხმევა ისეთი მექანიზმების შესაქმნელად, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს მონაცემთა სუბიექტების მოთხოვნების რეალიზების გაჭიანურების რისკებს. აღნიშნული შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის განხილვის პროცედურების შემუშავების/დანერგვის ან/და მონაცემთა სუბიექტების მოთხოვნების განხილვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის გზით.

12

მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა

12. მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და თუ შესაბამის სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.

მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხა დადგენილია სახელმწიფო ინსპექტორის ბრძანებით. თუ მონაცემთა გადაცემა არ ხორციელდება მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნებში, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემა, დაიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც: აღნიშნული გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით და შეთანხმებით; მონაცემთა დამმუშავებელი უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიებს და მონაცემთა სუბიექტის ძირითადი უფლებების დაცვას მონაცემთა დამმუშავებელსა და შესაბამის სახელმწიფოს, ასეთი სახელმწიფოს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს ან საერთაშორისო ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა საჭიროებს სახელმწიფო ინსპექტორის ნებართვას.

მონაცემთა საერთაშორისო გადაცემაზე ნებართვის გაცემის პროცესის სტანდარტიზაციის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა 2021 წელს შეიმუშავა პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის თაობაზე ნებართვის გაცემის წესი და განაცხადის ფორმა, რომლშიც დეტალურად და მკაფიოდაა აღწერილი მონაცემთა დამმუშავებლის მიერ ნებართვის მიღების მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა და წარდგენის წესი, ასევე, სამსახურის მიერ განაცხადის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი. რაც შეეხება განაცხადის ფორმას, აღნიშნული ერთი მხრივ, ორგანიზაციებს გაუმარტივებს სამსახურისთვის მიმართვას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, ნებართვის გაცემის მიზნით, მომართა კერძო სამართლის ხუთმა იურიდიულმა პირმა. ნებართვის გაცემის მოთხოვნით, საჯარო დაწესებულებას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის არ მოუმართავს.

სხვა სახელმწიფოში მონაცემთა გადაცემაზე წარმოდგენილი ხუთი განაცხადიდან, სრულად დაკმაყოფილდა ოთხი, ხოლო ნაწილობრივ - ერთი. წარმოდგენილი მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და თურქეთის რესპუბლიკაში მონაცემთა გადაცემას.

მომართვის ავტორი	რა მონაცემების გადაცემაზე იქნა მოთხოვნილი თანხმობა	რომელ ქვეყანაში გადაცემაზე იქნა მოთხოვნილი თანხმობა	მონაცემების გადაცემის მიზანი	სამსახურის გადაწყვეტილება
კერძო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში ატარებს ფარმაცევტული პროდუქტების კლინიკურ კვლევებს	კლინიკურ კვლევაში მონაწილე უნიკალური კოდით ფსევდონიმიზებული პაციენტების მონაცემები - დაბადების წელი და ასაკი, სქესი, საქართველოს მოქალაქეობა, პაციენტის სამედიცინო ინფორმაციას, მათ შორის, პაციენტის ტესტირების/გამოკვლევის შედეგები	ამერიკის შეერთებულ შტატები	ფარმაცევტული პროდუქტების კლინიკური კვლევების ჩატარება	სრულად დაკმაყოფილდა
კერძო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს საბანკო მომსახურებას	მონაცემთა სუბიექტების მიერ კერძო ორგანიზაციის კუთვნილ სოციალურ ქსელებზე (FACEBOOK, INSTAGRAM, LINKEDIN) საჯარო კომენტარის ან კითხვის დასმის ავტორი მომხმარებლის სოციალურ სივრცეში გამოყენებული მონაცემები და კომენტარის/კითხვის შინაარსი	ამერიკის შეერთებულ შტატები	აშშ-ში რეგისტრირებული კომპანიის დაქირავება, სოციალური მედიის მართვაში, მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის ხარისხის გაუმჯობესებაში დახმარების მიზნით	სრულად დაკმაყოფილდა
კერძო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში უზრუნველყოფს ლუდის წარმოებას	თანამშრომლების პერსონალური მონაცემები - სახელი, გვარი, ელ-ფოსტა, თანამდებობა და ფოტოსურათი	თურქეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკები	სხვადასხვა ქვეყნებში არსებული შვილობილი კომპანიის თანამშრომელთა შორის კომუნიკაციის გამარტივების მიზნით, საერთო პლატფორმის დანერგვა	სრულად დაკმაყოფილდა

კერძო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს საბროკერო მომსახურებას	იმ მომხმარებლების პერსონალური მონაცემები, რომლებიც დააფიქსირებენ საინვესტიციო მოდულზე წვდომის გააქტიურების მოთხოვნას, კერძოდ: საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, მისამართი, მოქალაქეობა, რეზიდენტობა, სქესი, ფოტოსურათი, ტელეფონის ნომერი); კოდი საგადასახადო მიზნებისთვის; FATCA სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); PEP სტატუსი; ინფორმაცია დასაქმების შესახებ (სტატუსი, სექტორი, ინფორმაცია დამსაქმებლის შესახებ და პოზიცია); ფინანსური ინფორმაცია (საშუალო წლიური შემოსავალი და შემოსავლის წყარო); ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ბირჟებთან ან მუნიციპალურ სავაჭრო/სადილერო კომპანიებთან აფილირების შესახებ ინფორმაცია.	თურქეთის რესპუბლიკა	თურქეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული დამფუძნებელი კომპანიის მიერ ადამიანური რესურსების მართვა (საქართველოში არსებულ შვილობილ კომპანიას არ ჰყავდა ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი ერთეული)	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (არ დაკმაყოფილდა ტრენინგების ვიდეო/აუდიო ჩანაწერების გადაცემის მოთხოვნა, ვინაიდან არსებობდა დასახელებული მიზნის (ტრენინგების ხარისხის კონტროლი) მიღწევის ალტერნატიული საშუალებები

საქართველოდან სხვა ქვეყნებში პერსონალური მონაცემების გადაცემის პროცესში მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, 2020-2021 წლებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სახელით დასადები 59 საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების სამართლებრივი ექსპერტიზა, რომელთაგან 45 შემთხვევაში გაიცა რეკომენდაცია. ექსპერტიზის ფარგლებში, სამსახური სწავლობს წარმოდგენილი შეთანხმების პროექტს, შეთანხმების მხარე სახელმწიფოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებულ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ მექანიზმებს და აფასებს მონაცემთა დამუშავებისას ადამიანის უფლებათა დარღვევის ზოგად რისკებს, რომლის საფუძველზეც გაიცემა შეთანხმების პროექტში ცვლილებების განხორციელების რეკომენდაცია.

13

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული საკანონმდებლო გამოწვევები

13. პერსონალურ მოცამეენთა დაცვის სფეროში არსებული საკანონმდებლო გამოწვევები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონით დადგენილი მონაცემთა დაცვის სტანდარტები გარკვეულწილად მოძველებულია და მოითხოვს მონაცემთა დაცვის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზებას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ 108-ე კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმის (108+ კონვენცია) ხელმოწერის პროცესის დაჩქარებას, რომლის ძალაში შესვლა მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს ეროვნული კანონმდებლობის მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას. აღსანიშნავია, რომ ოქმი ხელმოსაწერად 2018 წლის 10 ოქტომბერს გაიხსნა. დღეს-დღეობით, საქართველო ევროპის საბჭოს წევრი შვიდი ქვეყნიდან ერთ-ერთია (აზერბაიჯანთან, დანიასთან, მონტენეგროსთან, მოლდოვასთან, თურქეთთან და უკრაინასთან ერთად), რომელიც არ არის ოქმის ხელმომწერი.

ამას გარდა, მოქმედი კანონმდებლობა საჭიროებს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციით (GDPR) და საპოლიციო სექტორში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ დირექტივით დადგენილ სტანდარტებთან დაახლოებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა საჭიროებს სრულყოფას შემდეგი მიმართულებებით:

- **მონაცემთა დამუშავების პრინციპები და მონაცემთა დამუშავების საფუძვლები** - ევროპული კანონმდებლობისგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მონაცემთა დამუშავების პრინციპები არ ითვალისწინებს მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპს. აღნიშნული პრინციპი მონაცემთა დამმუშავებლებს ავალდებულებს მონაცემთა უსაფრთხოების მიზნით სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გატარებას, რაც უზრუნველყოფს მათ დაცვას უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვის, განადგურებისა და დაზიანებისგან. რაც შეეხება მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს, ევროპული კანონმდებლობა ითვალისწინებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების უფრო მეტ საფუძველს, ვიდრე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. მონაცემთა დამუშავების არასრულყოფილი საფუძვლები პრაქტიკაში პრობლემას უქმნის არაერთ მონაცემთა დამმუშავებელს;

- **მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის გარანტიები** - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის მთელ რიგ (მაგალითად, მონაცემთა პორტირების (გადატანის), პროფილირებაზე უარის თქმის) უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპული კანონმდებლობით;

- **მონაცემთა დამმუშავებლების ვალდებულებები** - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს მონაცემთა დამმუშავებლების ისეთ მნიშვნელოვან ვალდებულებებს, როგორიცაა მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასება, მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნა, მონაცემთა უსაფრთხოების ინციდენტის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის და მონაცემთა სუბიექტისთვის შეტყობინების ვალდებულება და სხვა;

- **პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება** - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავებას დასაშვებად მიიჩნევს მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მიუხედავად, რაც პრაქტიკაში ქმნის არაერთ პრობლემას;

- **ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი** - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი არ არეგულირებს აუდიომონიტორინგის განხორციელების წესსა და საფუძვლებს;

- **არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება** - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების სპეციალურ და არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესზე ორიენტირებულ წესებს;

- **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი** - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის სავალდებულო წესით არსებობას;

- **ადმინისტრაციული სახდელები** - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავებისთვის დადგენილი ჯარიმის მცირე ოდენობები ვეღარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. შესაბამისად, დაწესებულ სანქციებს არ აქვს შემაკავებელი ეფექტი. ხშირ შემთხვევებში, მონაცემთა დამუშავების ნაკლოვანების გამოსწორება მოითხოვს ბევრად მეტ ფინანსურ რესურსს, ვიდრე ჯარიმის გადახდა, რის გამოც, მონაცემთა დამმუშავებლებს არ აქვთ ხარვეზების გამოსწორებისა და მონაცემთა დამუშავების პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მოტივაცია;

- **ხანდაზმულობის ვადები** - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი პირს შეიძლება დაედოს არაუგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არაუგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა სამართალდარღვევებისგან, რომელთა შესახებ ინფორმაცია მათ აღკვეთაზე პასუხისმგებელ უწყებებს პრაქტიკულად იმწუთიერად აქვს. პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების შესახებ კი მონაცემთა სუბიექტისთვის შეიძლება ცნობილი გახდეს რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ. ხანდაზმულობის ორთვიანი ვადით შეზღუდვის გამო, სამსახური ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტის შესწავლას და მასზე რეაგირებას. ამასთან, ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსი არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის ორთვიანი ვადის შეჩერებას სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში. შესაბამისად, სასამართლოს მიერ სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილების გაუქმებისა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის, საქმის გარემოებების დამატებითი გამოკვლევის მიზნით, დაბრუნების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ვერ უზრუნველყოფს გარემოებების დამატებით გამოკვლევასა და მონაცემთა დამმუშავებლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გაცემული სავალდებულო დავალებების აღსრულება - სახელმწიფო ინსპექტორს კანონით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება მონაცემთა დამმუშავებელს მისცეს შესასრულებლად სავალდებულო დავალება. თუმცა, არც სახელმწიფო ინსპექტორს და არც სსიპ - აღსრულების ეროვნულ ბიუროს არ აქვს ქმედითი საკანონმდებლო მექანიზმები, მონაცემთა დამმუშავებლები აიძულონ შეასრულონ მონაცემთა დამუშავების ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით სახელმწიფო ინსპექტორის მიერ მიცემული დავალებები.

ზემოაღნიშნული საკითხების საკანონმდებლო მოწესრიგება ხელს შეუწყობს საქართველოში მონაცემთა დაცვის სტანდარტის გაზრდას. 2019 წელს საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა საქართველოს კანონის პროექტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ავტორობით მომზადდა. კანონპროექტის შემუშავების მიზანი იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება, საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება და, ასევე, სამსახურის რამდენიმეწლიანი საქმიანობის შედეგად იდენტიფიცირებული გამოწვევების აღმოფხვრა.

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული კანონი დღემდე არ არის მიღებული. ამასთან, არც ერთ ზემოთ მითითებულ პრაქტიკულ პრობლემას არ აწესრიგებს საქართველოს პარლამენტის მიერ 2021 წლის 30 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმად გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და ცალკე უწყების სახით ყალიბდება მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი საზედამხედველო ორგანო. აღნიშნული ცვლილების მთავარი მოტივად მისი გაძლიერება დასახელდა.

14

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების კვლევა

14. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების კვლევა

2021 წლის ნოემბერში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის მხარდაჭერით, ჩატარდა „საზოგადოებრივი ცნობიერების კვლევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. კვლევის მიზანი იყო საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობის, ცოდნის დონისა და განწყობების განსაზღვრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სატელეფონო გამოკითხვის ფარგლებში ინტერვიუ ჩატარდა 18 წელს ზემოთ ასაკის 1 206 მოქალაქესთან.

კვლევის შედეგად განისაზღვრა რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონე და მათი დამოკიდებულებები პერსონალურ მონაცემების შეგროვებასთან, შენახვასა და გასაჯაროებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (96%) ეთანხმება დებულებას, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა უკავშირდება ადამიანის უფლებებს, მათ შორის, პირადი ცხოვრების დაცვის უფლებას;
- პერსონალური მონაცემების დაცვა მნიშვნელოვანია მოქალაქეთა სრული უმრავლესობისათვის (93%);
- პერსონალური მონაცემების და მათი დაცვის შესახებ სმენია საქართველოს მოსახლეობის 60%-ს. თუმცა საგულისხმოა, რომ შეთავაზების გარეშე პერსონალურ მონაცემის ხუთი მაგალითის დასახელებას ახერხებს რესპოდენტების მხოლოდ 2%;
- რესპოდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (98%) მიიჩნევს, რომ საჯარო და კერძო დაწესებულებები ვალდებულნი არიან დაიცვან მათ ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება. თუმცა, აღნიშნულის პარალელურად დაბალი აღმოჩნდა მოქალაქეებში პერსონალურ მონაცემთა არამართლზომიერ (გადაჭარბებულ) დამუშავებასთან დაკავშირებული საფრთხეების ცოდნა;
- ათი გამოკითხულიდან ექვსს მიაჩნია, რომ შეუძლია პერსონალური მონაცემების არამართლზომიერი/გადაჭარბებული გამოყენების საფრთხეების შემცირება, მაგრამ რესპოდენტების ნახევარზე მეტს უჭირს და ვერ ასახელებს კონკრეტულ ქმედებას, რაც მათ დაეხმარება მათივე პერსონალური მონაცემების არამართლზომიერი/გადაჭარბებული გამოყენების საფრთხეების შემცირებაში.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ წლების განმავლობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს მიერ ჩატარებული არაერთი ცნობიერების ამაღლების კამპანიის მიუხედავად, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი პერსონალური მონაცემების, საკუთარი უფლებებისა და მოსალოდნელი რისკების შესახებ მოქალაქეთა სიღრმისეული ინფორმირებისათვის.

15

დასკვნები

15. დასკვნები

ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით - უპირველეს ყოვლისა მიღებული იქნა კანონი ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და შეიქმნა მონაცემთა დაცვაზე მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ტენდენციები ცხადყოფს, რომ უმეტესად, საჯარო და კერძო ორგანიზაციები მოტივირებულები არიან შეიმუშაონ და დანერგონ მონაცემთა დაცვის თანამედროვე სტანდარტები, აამაღლონ თანამშრომელთა ცნობიერების დონე ამ სფეროში, ითანამშრომლონ და კონსულტაციები გაიარონ სამსახურთან, შეასრულონ სამსახურის მიერ გაცემული დავალებები და რეკომენდაციები. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც საჯარო (მათ შორის, სამართალდამცავი), ისე კერძო ორგანიზაციების მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონმდებლობით დადგენილი წესების უხეშ დარღვევას, მათთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულების თავის არიდებას, სამსახურისთვის ინფორმაციის წარმოუდგენლობას ან ვადის გაჭიანურებას, სამსახურის მიერ გაცემული დავალებების შეუსრულებლობას და სხვა.

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებისთვის აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. კერძოდ:

- **მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსა და მისი ხელმძღვანელის ხელშეუხებლობის მყარი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა** - უპირველეს ყოვლისა, საჭიროა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოსა და მისი ხელმძღვანელის ხელშეუხებლობის მყარი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა, რაც უწყების დამოუკიდებლობის ხარისხის განმსაზღვრელია. 2021 წლის ბოლოს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა (რომლითაც გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და ვადაზე ადრე შეუწყდა უფლებამოსილება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი უწყების ხელმძღვანელს) კიდევ ერთხელ ცხადყო მყარი საკანონმდებლო გარანტიების მნიშვნელობა;

- **საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის მიღება** - საჭიროა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს ხელში ქმედითი საკანონმდებლო ბერკეტები, მონაცემთა დამმუშავებელი დაწესებულებების პასუხისმგებლობის გაზრდა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების რეალიზების ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმები. ამ მიზნით, საქართველოს პარლამენტმა შემჭიდროებულ ვადებში უნდა განიხილოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ავტორობით მომზადებული და 2019 წელს ინიცირებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;

- **მკაფიოდ გაცხადებული პოლიტიკა მონაცემთა დაცვის პრიორიტეტულობის შესახებ** - აუცილებელია სახელმწიფო უწყებების ძალთა გაერთიანება და მკაფიოდ გაცხადებული პოლიტიკა, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ დონეზე, მონაცემთა დაცვის მნიშვნელობისა და პრიორიტეტულობის შესახებ;

- **მონაცემთა დამმუშავებელი დაწესებულებების მიერ მონაცემთა დაცვის სტანდარტის ამაღლება** - საჯარო და კერძო სექტორმა უნდა გააძლიეროს ძალისხმევა მონაცემთა დაცვის სტანდარტის ასამაღლებლად: უნდა შეიმუშაონ წერილობითი შიდა ინსტრუქციები და პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც დეტალურად დაარეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავების წესებსა და პირობებს, მონაცემთა უსაფრთხოების საკითხებს, მონაცემებზე წვდომის მქონე პირთა უფლება-მოვალეობებს, დაწესებულების თანამშრომელთა მიერ მონაცემთა არაკანონიერი გამოყენების თანამდევ შედეგებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებათა რეალიზების საშუალებებს და სხვა; მონაცემთა დამუშავების პროცესების დანერგვამდე უნდა შეაფასონ ის რისკები, რაც შესაძლოა მათ დამუშავებას ახლდეს თან და დანერგონ ისეთი მექანიზმები, რაც მაქსიმალურად შეამცირებს პერსონალური მონაცემების არაკანონიერი დამუშავების საფრთხეებს; უნდა მიიღონ მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო განადგურების თავიდან ასაცილებლად უსაფრთხოების ადეკვატური, ეფექტური და თანამედროვე ზომები; უნდა განსაზღვრონ მონაცემთა შენახვის ადეკვატური ვადები მათი შინაარსისა და დამუშავების მიზნის მიხედვით; უნდა შექმნან მონაცემთა სუბიექტების უფლებათა დროული და ეფექტიანი რეალიზების სათანადო მექანიზმები; უნდა უზრუნველყონ დასაქმებული პირების ცნობიერების ამაღლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე; უნდა დანერგონ შიდა მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი თანამშრომელთა მიერ მონაცემთა კანონსაწინააღმდეგოდ ან/და არასამსახურებრივი მიზნით დამუშავების შემთხვევებზე რეაგირებისათვის;

- **საზოგადოების ცნობიერების ამაღლება** - გასაგრძელებელია მუშაობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა თითქმის სრულად ეპიდემიოლოგიური ვითარების ფონზე იარსება, რამაც შეაფერხა საზოგადოებასთან პირდაპირი კომუნიკაცია და მასშტაბური საინფორმაციო კამპანიების ჩატარება. ცნობიერების ასამაღლებლად ძირითადად გამოიყენებოდა სოციალური ქსელები და ონლაინ პლატფორმები. შესაბამისად, ვერ იქნა მოცული მონაცემთა სუბიექტების ყველა სეგმენტი. სამსახურის ძალისხმევის მიუხედავად, საზოგადოების ცნობიერება მონაცემთა დაცვის საკითხებზე კვლავ დაბალია და საჭიროებს აქტიურ მუშაობას;

- **108+ კონვენციის ხელმოწერა** - საქართველომ ხელი უნდა მოაწეროს „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს მოდერნიზებულ კონვენციას (108+ კონვენცია). საქართველოს მიერ აღნიშნული კონვენციის ხელმოწერა და შემდგომ რატიფიცირება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეროვნული კანონმდებლობის მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას. აღნიშნული კონვენციის ხელმოწერით ქვეყანა დაადასტურებს სურვილს და მზაობას მონაცემთა დაცვის თანამედროვე სტანდარტის დასამკვიდრებლად.

IV. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება

2021 წლის ძირითადი სიახლეები

- საგამოძიებო დეპარტამენტში შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველო და ახალი ოფისი გაიხსნა ბათუმში;
- საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში მოეწყო ბავშვზე მორგებული ოთახი;
- საქართველოს პარლამენტში წარდგენილი იქნა საკანონმდებლო წინადადება საგამოძიებო მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ;
- საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნასთან დაკავშირებულ კანონპროექტზე სამსახურმა მოსაზრებები წარუდგინა მთავრობას და პარლამენტს;
- არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით ჩატარდა კვლევა ,,დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი საქართველოში - მიღწევები და არსებული გამოწვევები“;
- საგამოძიებო დეპარტამენტმა მიიღო სტაჟიორ-გამომძიებელთა მეორე ნაკადი;
- გამომძიებლების ინფორმირების მიზნით მომზადდა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების დაიჯესტები;
- მომზადდა ექსპერტიზის დანიშვნის პრაქტიკული სახელმძღვანელო;
- მომზადდა სახელმძღვანელო სამართალდამცველთა მიერ შეკრებისა და მანიფესტაციის დროს ძალის გამოყენების შესახებ;
- მომზადდა სახელმძღვანელო გამოძიების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის შესახებ;

- შემუშავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის სტანდარტები;
- შემუშავდა სავარაუდო მსხვერპლთა გამოკითხვის კითხვარები გამოკითხვის პროცესის სრულყოფის მიზნით;
- გამომძიებლებისა და ოპერატიული მუშაკებისთვის შემუშავდა ექვსი რეკომენდაცია;
- ჩატარდა კვლევა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმების მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- მომზადდა კვლევა წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით საზედამხედველო ორგანოების მიერ დადგენილ სტანდარტებზე;
- მომზადდა კვლევა პოლიციის თანამშრომელთა გამოკითხვის შესახებ;
- მომზადდა კვლევა სამართალდამცავთა მიერ ხელბორკილის გამოყენების სტანდარტის თაობაზე;
- საზოგადოებრივ ტრანსპორტში განთავსდა საინფორმაციო პოსტერები;
- მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლი ცხელი ხაზის შესახებ და განთავსდა სოციალურ ქსელში;
- დანაშაულის პრევენციის მიზნით რეგიონებში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები;
- საგამოძიებო დეპარტამენტის ანგარიში წარედგინა სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს;
- ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა ჟურნალისტებთან;
- სამსახურმა დაიწყო თანამშრომლობა კანადის პროვინციის ონტარიოს სპეციალურ საგამოძიებო უწყებასთან (SIU) და ინგლისისა და უელსის პოლიციის ქცევის დამოუკიდებელ ოფისთან, რომლებიც იძიებენ პოლიციელთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს;
- იუსტიციის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა გამომძიებელთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2020 წლის ძირითადი სიახლეები

- საგამოძიებო დეპარტამენტში შეიქმნა ოპერატიული სამმართველო;
- საგამოძიებო დეპარტამენტში დაინერგა ანაზღაურებადი სტაჟირების სისტემა;
- საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოში მოეწყო ბავშვზე მორგებული ოთახი;
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პროცესის არასრულწლოვანი მონაწილის ფსიქოლოგის მომსახურებით უზრუნველყოფისთვის;
- სტაჟიორებისთვის დაინერგა მენტორობის სისტემა;
- სამსახურის ექსპერტ-კრიმინალისტები აღიჭურვენ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტექნიკით/ინვენტარით;
- გამომძიებლებისა და ოპერატიული მუშაკებისთვის შემუშავდა ხუთი რეკომენდაცია;
- გამომძიებლებისთვის შემუშავდა გამოძიების ეფექტიანობის თვითშეფასების კითხვარი;
- ჩატარდა ხუთი კვლევა;
- დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსდა საინფორმაციო ბროშურები;
- შვიდ რეგიონში ჩატარდა შეხვედრა ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების, სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან;
- შეიქმნა თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა განმხილველი საბჭო;
- ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, დაინერგა HELP-ის დისტანციური სწავლების კურსი - „არასათანადო მოპყრობის აკრძალვის თაობაზე, სამართალდამცავი, უსაფრთხოებისა და სხვა იძულებითი ზომების გამოყენების კონტექსტში“;
- შეიქმნა საგამოძიებო გეგმის ელექტრონული პროგრამა;
- სამსახურის აქტიური ჩართულობით, იუსტიციის სამინისტროში მოქმედმა უწყებათაშორისმა საბჭომ შეიმუშავა „ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა“;

- გამომძიებლებისთვის შეიქმნა სპეციალური ფორმა/დიზაინი;
- იუსტიციის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა გამომძიებელთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2019 წლის ძირითადი სიახლეები

- შემუშავდა საგამოძიებო მიმართულების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
- განხორციელდა ცვლილებები ,,სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში
- საგამოძიებო უფლებამოსილების განსახორციელებლად შეიქმნა საგამოძიებო დეპარტამენტი
- გაიხსნა საგამოძიებო დეპარტამენტის ორი ოფისი - თბილისსა და ქუთაისში
- საგამოძიებო დეპარტამენტის ოფისები აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკით
- საგამოძიებო დეპარტამენტი დაკომპლექტდა ღია და რამდენიმეეტაპიანი კონკურსის საფუძველზე
- შემუშავდა გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო
- დაინერგა და ამოქმედდა 24 საათიანი ცხელი ხაზი
- გამომძიებლები ჩაერთნენ სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში
- შეიქმნა სამსახურის ახალი ლოგო
- იუსტიციის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა გამომძიებელთა საკვალიფიკაციო გამოცდა
- შემუშავდა სტატისტიკის მეთოდოლოგია
- შემუშავდა ეთიკის კოდექსი
- შემუშავდა დისციპლინური საქმისწარმოების წესები
- შეიქმნა საგამოძიებო მიმართულების ვებგვერდი

01

შესავალი

შესავალი

01

2018 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“. ამ კანონის საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი გარდაიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურად. არსებული ფუნქციების პარალელურად, სამსახურს დაემატა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი ცალკეული დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს საგამოძიებო უფლებამოსილების განხორციელება, ზემოაღნიშნული კანონის თავდაპირველად არსებული ვერსიის თანახმად, 2019 წლის პირველი იანვრიდან უნდა დაეწყო, თუმცა ამ ვადამ ორჯერ გადაიწია. საბოლოოდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი ცალკეული დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილების განხორციელება 2019 წლის პირველი ნოემბრიდან დაიწყო. სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობად განისაზღვრა მოხელეთა მიერ 2019 წლის პირველი ნოემბრიდან ჩადენილი შემდეგი დანაშაულები:

- წამება;
- წამების მუქარა;
- დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით;
- განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება;
- პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით;
- მსჯავრდებულის იძულება, მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით;
- სხვა დანაშაული, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში, ან/და ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ან/და აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ.

საქართველოში დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე წლების განმავლობაში საუბრობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ექსპერტები. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ყოფილი კომისარი, ევროკავშირის ყოფილი სპეციალური მრჩეველი საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში - თომას ჰამარბერგი - 2013 წლის ანგარიშში „საქართველო გარდამავალ პერიოდში“ აღნიშნავდა, რომ არაეფექტიანი იყო სამართალდამცავი უწყების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობისა და წამების ფაქტების გამოძიება და მიუთითებდა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე. ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის კომიტეტი 2015 წლის ანგარიშში საუბრობდა საქართველოში არასათანადო მოპყრობის ფაქტების დაუსჯელობაზე და მოუწოდებდა ხელისუფლებას, მიეღო ისეთი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფდა არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების გამოძიებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი კონსულტანტი მეგი ნიკოლსონი ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის პროგრესის შესახებ 2017 წლის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ პრიორიტეტულია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოსაძიებლად, რაც გაზრდიდა ნდობას სამართალდამცავი სისტემის მიმართ და იქნებოდა დაუსჯელობასთან ბრძოლის საუკეთესო ინდიკატორი.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების შექმნა, დადებითად შეაფასეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა. 2020 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც კომიტეტი მიესალმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და ინსტიტუციური გაძლიერებისთვის გატარებულ ღონისძიებებს და სახელმწიფოს მოუწოდა, რომ გაეგრძელებინა საკანონმდებლო თუ სხვა აუცილებელი ზომების მიღება ამ სამსახურის შემდგომი დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გასაზრდელად.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, 2021 წლის 24 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტში წარადგინა საკანონმდებლო წინადადება საგამოძიებო მიმართულების გაძლიერებისა და მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების პროცესში გამოვლენილი სირთულეების დაძლევის მიზნით. აღნიშნულის პარალელურად, 2021 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა ცვლილება შეიტანა ,,სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც გააუქმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური (სახელმწიფო ინსპექტორის ბაზაზე 2022 წლის 1 მარტიდან გათვალისწინებული იქნა ორი ახალი სამსახურის - სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის - შექმნა). საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნული კანონის მიღება განხორციელდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან კონსულტაციებისა და სამსახურის ჩართულობის გარეშე.

წინამდებარე თავში მოცემულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019-2021 წლების საქმიანობა საგამოძიებო მიმართულებით: სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი, სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების გამოძიების ზოგადი ტენდენციები; სტატისტიკური მონაცემები; საკანონმდებლო და პრაქტიკული სირთულეები, რომლებსაც სამსახური აწყდებოდა მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშულების გამოძიების პროცესში; სამსახურის მიერ არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.

02

შეტყობინების შემოსვლიდან შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე პროცესის აღწერა

შეტყობინების შემოსვლიდან შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე პროცესის აღწერა

02

2019 წლის 1 ნოემბრიდან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრა შეტყობინების მიღების ეფექტიანი მექანიზმის დანერგვა და შემოსულ შეტყობინებაზე დაუყოვნებლივი რეაგირების განხორციელება, რაც არ ხდებოდა მსგავსი ტიპის სავარაუდო დანაშაულების გამოძიების პროცესში.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შეტყობინება დანაშაულისა და სავარაუდო დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების შესახებ 24 საათიან რეჟიმში შემოდის სხვადასხვა წყაროდან, როგორც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ცხელი ხაზის (199),2 ისე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის, ფოსტის, სოციალური ქსელის თუ სამსახურის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მიღებული შეტყობინების ავტორები არიან: შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი დანაყოფები: დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი, გენერალური ინსპექცია, ტერიტორიული დანაყოფები - პოლიციის დეპარტამენტები. ასევე, იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახური, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, საქართველოს პროკურატურა, ადვოკატთა კორპუსი, სასამართლო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, არასამთავრობო ორგანიზაციები, საჯარო დაწესებულებები, ფიზიკური პირები და მასმედია.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შემოსული შეტყობინებები, წინასწარ დადგენილი 24 საათიანი მორიგეობის გრაფიკის მიხედვით ნაწილდება საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებზე, რომლებიც დაუყოვნებლივ ახდენენ შეტყობინების ავტორთან/სავარაუდო მსხვერპლთან კომუნიკაციას, გარემოებების დაზუსტების მიზნით. მათ შორის, საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელი გაესაუბრება ყველა იმ შეტყობინების ავტორს, რომელშიც არ არის გამოკვეთილი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებული რომელიმე დანაშაულის ნიშნები ან/და ბუნდოვანია მათი შინაარსი. ამის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება გამოძიების დაწყების ან არ დაწყების თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო მსხვერპლი ან შეტყობინების ავტორი უარყოფს მის მიმართ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული რომელიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტს და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელს არ წარმოეშობა ეჭვი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, საჯარო მოხელის ან მოხელესთან გათანაბრებული პირის მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით, საქმეზე გამოძიება არ იწყება, რომლის შესახებ წერილობით ეცნობება შეტყობინების ავტორს. თუ სავარაუდო მსხვერპლი ან შეტყობინების ავტორი გასაუბრებისას განაცხადებს მის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, რომელიც არ მიეკუთვნება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას ან/და მიუთითებს მოხელის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის თაობაზე, წერილობითი შეტყობინება რეაგირების მიზნით იგზავნება შესაბამის უწყებაში, რის თაობაზეც ასევე ეცნობება შეტყობინების ავტორს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში დაუყოვნებლივ იწყება გამოძიება და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტების შესაბამისად, ტარდება დროული, ზედმიწევნითი, კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება, რომელიც ორიენტირებულია სავარაუდო მსხვერპლის ინტერესების დაცვასა და გამოძიების პროცესში მის აქტიურ ჩართულობასა და ინფორმირებაზე.



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ, გამოძიების დაწყებისთანავე ეფექტურად ხდება საგამოძიებო ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება. ჩასატარებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების სახე და რიგითობა იგეგმება იმგვარად, რომ შემჭიდროებულ ვადებში შესაძლებელი გახდეს მაქსიმალურად მოცულობითი, რელევანტური და საქმისთვის ღირებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების მოპოვება. მყისიერად ტარდება პრიორიტეტულად მიჩნეული პირველადი და გადაუდებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, რომელთა დაყოვნებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ისეთი მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც შესაძლოა დროის მოკლე პერიოდში განადგურდეს(ვიდეოჩანაწერები, ბიოლოგიური მასალა და ა.შ). კერძოდ:

- დაუყოვნებლივ ტარდება სავარაუდო მსხვერპლის გამოკითხვა;
- გამოძიების დაწყების დღესვე, საგამოძიებო დეპარტამენტის ექსპერტ-კრიმინალისტის მონაწილეობით, ტარდება შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საიდანაც ხდება საქმისთვის მნიშვნელოვანი ნიმუშების აღება, მტკიცებულებების მოპოვება და სათანადო წესით საქმეზე დამაგრება, ასევე შემთხვევის ადგილზე არსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების იდენტიფიცირება, შემდგომში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ვიდეოჩანაწერების გამოთხოვის მიზნით;
- პირველივე შესაძლებლობისთანავე, სავარაუდო მსხვერპლი პირადად წარედგინება ექსპერტს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზნით;
- შემთხვევის ადგილის დათვალიერების პარალელურად ხდება შემთხვევის თვითმხილველ პირთა იდენტიფიცირება და მათი მოწმის სახით გამოკითხვა;
- გამოძიების დაწყების დღესვე, საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და დოკუმენტების მოპოვების თუ შენახვის ადგილის დასადგენად (შემდგომში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ამოღების მიზნით) წერილობითი მიმართვები ეგზავნება როგორც ფიზიკურ პირებს, ისე სხვადასხვა კერძო და საჯარო დაწესებულებებს;
- ტარდება რელევანტური ვიდეოჩანაწერების გამოთხოვა/დათვალიერება;
- საჭიროების შემთხვევაში ტარდება ფსიქოლოგიური, საინფორმაციო-ტექნოლოგიური, ბალისტიკური, ტრასოლოგიური, დაქტილოსკოპური, ჰაბიტოსკოპური, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა სახის ექსპერტიზები;
- შემჭიდროვებულ ვადებში ტარდება ყველა საჭირო, აუცილებელი და შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, რაც უზრუნველყოფს საქმეზე ხარისხიანი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ჩატარებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, გარკვეული პერიოდულობით ან/და მისი მოთხოვნისთანავე, სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის სავარაუდო მსხვერპლს.



03

გატარებული ღონისძიებები

გატარებული ღონისძიებები

03

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს შექმნა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, ინსტიტუციური გაძლიერებისა და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ქალაქ ბათუმში ოფისი გახსნა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საგამოძიებო დეპარტამენტში შექმნა ახალი სტრუქტურული ერთეული - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველო, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და გურიის რეგიონის ტერიტორიაზე მოხელეთა მიერ ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებს იძიებს.

ქალაქ ბათუმში ოფისის გახსნამდე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი, მხოლოდ ორი ქალაქიდან - თბილისიდან და ქუთაისიდან - აწარმოებდა გამოძიებას ქვეყნის მასშტაბით. საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველო ხუთი გამომძიებლის რესურსით რვა რეგიონს ფარავდა. იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის საქმეთა თითქმის ნახევარი სწორედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომხდარ ფაქტებს ეხებოდა, დასავლეთის სამმართველოს გამომძიებლებს მუდმივად უწევდათ აღნიშნულ რეგიონში ტრანსპორტირება საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების მიზნით. ცხადია ამ გამოწვევამ, დღის წესრიგში დამატებითი ოფისის საჭიროება დააყენა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დამატებითი ოფისის ამოქმედებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებზე დროულ რეაგირებას, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების დაუყოვნებლივ ჩატარებას და თანამშრომელთა რესურსის უფრო ეფექტიანად გადანაწილებას. ამასთან, აღნიშნულმა ოფისმა ადგილობრივ მოსახლეობას გაუმარტივა სამსახურთან კომუნიკაცია და პროცესის მონაწილეებს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად აღარ უწევთ სხვა რეგიონში ტრანსპორტირება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს ოფისში, გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში მონაწილე მოწმე და მსხვერპლი ბავშვების უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მოწყობილია ბავშვზე მორგებული გარემო. ოფისის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებებზე. ცალკე სივრცეებია გამოყოფილი მოწმეთა გამოკითხვისა და პირის ამოცნობის ჩასატარებლად.



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ, დროული და ეფექტური გამოძიების ჩატარებას, მნიშვნელოვნად უშლის ხელს ტერიტორიული ოფისების სიმწირე. დღეის მდგომარეობით, საგამოძიებო დეპარტამენტი წარმოდგენილია სამ ქალაქში - თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. აღნიშნული აფერხებს როგორც ტერიტორიულად დაშორებულ ადგილზე დროულად გამოცხადებას, ასევე, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებას: მოწმეები უარს აცხადებენ სხვა რეგიონში მდებარე საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებაზე, ხოლო თავიანთ საცხოვრებელ სახლებში, მათი თანხმობის შემთხვევაშიც, შეუძლებელია საგამოძიებო მოქმედების სათანადო პირობებში ჩატარება (მათ შორის, კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა). გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გართულებულია შორ მანძილზე მდებარე ტერიტორიულ ერთეულებში საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ეფექტიანად დაგეგმვა - საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პარალელურად, ხშირად წარმოიშობა ცალკეული დოკუმენტების სხვადასხვა დაწესებულებებში წარდგენის საჭიროება, რომელთა მომზადება/შედგენა და შემდგომ ამობეჭდვა უნდა მოხდეს სამსახურის ინტერნეტთან დაკავშირებული მოწყობილობიდან, ელექტრონული წესით, რისთვისაც აუცილებელია სამუშაო ოფისში ყოფნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ყველა რეგიონში ჰქონდეს ოფისი, რაც გამომძიებელს მისცემს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამის გარემოში ჩატარების შესაძლებლობას.

საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება

2019 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სახით დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ამოქმედება, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, საქართველოს მხრიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. თუმცა, სახელმწოფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო მიმართულების ორ წლიანმა მუშაობამ გამოავლინა პრაქტიკული გამოწვევები, რომელთა საკანონმდებლო გზით გადაჭრა აუცილებელი იყო სამსახურის შემდგომი განვითარებისა და დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების ჩატარებისთვის.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების, დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებისა და ქმედითი საკანონდებლო მექანიზმებით აღჭურვის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო წინადადება წარადგინა. პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო პაკეტი გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით შემუშავდა. საკანონმდებლო წინადადება მოიცავს ცვლილებებს 14 საკანონმდებლო აქტში, მათ შორის: ,,სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში და „პროკურატურის შესახებ“ ორგანულ კანონში.

შემუშავებული საკანონმდებლო პაკეტი ეხმიანება იმ საკანონდებლო და პრაქტიკულ გამოწვევებს (რომლებზეც დეტალურად არის საუბარი 2021 წლის 31 მარტს საქართველოს პარლამენტში წარდგენილ სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიშში) და ასევე, იმ რეკომენდაციებს, რომლებზეც ხაზგასმულია არასამთავრობო ორგანიზაციების „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა“ (IDFI) და „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ მიერ ჩატარებულ კვლევაში - „დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი საქართველოში - მიღწევები და არსებული გამოწვევები“.

საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს:

- ექიმების, პოლიციის მუშაკების, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“-ის თანამშრომლებისთვის საკანონმდებლო ვალდებულების დაკისრებას წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვა ძალადობრივი ქმედების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს;

  პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მოქალაქეთა ნაწილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ ძირითადად ატყობინებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, რომელიც თავის მხრივ ამ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ან/და პოლიციის რაიონულ განყოფილებებში ამისამართებს. ეს პროცესი, გარდა იმისა, რომ დროში დაყოვნებას იწვევს, მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა გამოძიების ეფექტურად ჩატარებისთვის, რადგან წარმოშობს დანაშაულის ჩამდენი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელის ინფორმირების რისკებს მის წინააღმდეგ შესული შეტყობინების შესახებ.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლის ვალდებულების განსაზღვრას მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, თუ საქმის განხილვისას გაუჩნდება ეჭვი სამართალდამცველთა მხრიდან წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვა ძალადობრივი ქმედების შესახებ;

  დანაშაულის შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდება ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან, არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის მიმართ წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის განხორციელების ან შესაძლო განხორციელების შემთხვევაში მოსამართლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით სპეციალურ ჩანაწერს.

- სახელმწიფო ინსპექტორისთვის უფლებამოსილების მინიჭებას, დასაბუთებული წინადადებით მიმართოს გენერალურ პროკურორს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმესთან მჭიდროდ დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის გამოსაძიებლად გადაცემის შესახებ;

  პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეში იკვეთება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სხვა ისეთი დანაშაულის ნიშნები, რომლის ცალკე გამოყოფა ერთი მხრივ ხელს უშლის სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას, მეორე მხრივ განაპირობებს სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოს მიერ ფაქტობრივად ერთი და იგივე ფაქტზე გამოძიების (მათ შორის, ერთი და იგივე საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების) ჩატარებას.

- სხვა საგამოძიებო ორგანოების ვალდებულების განსაზღვრას, სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უზრუნველყონ მათ წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალების სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის გაცნობა;

  მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს სხვა საგამოძიებო ორგანოს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის სამსახურისთვის დროულად გადმოცემისთვის სათანადო გარანტიებს. აღნიშნული გარემოება, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს არაუფლებამოსილი საგამოძიებო ორგანოს მიერ გამოძიების დაწყებასა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ეფექტიან გამოძიებას, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ გამოძიებას იწყებს ის სამართალდამცავი ორგანო, რომლის თანამშრომელიც იმხილება შესაძლო დანაშაულის ჩადენაში, რადგან ასეთ დროს კიდევ უფრო მაღალია მტკიცებულებათა განადგურების, შეცვლის, ფალსიფიკაციის საფრთხე.

- ზედამხედველი პროკურორისა და გენერალური პროკურორის მიერ, სასამართლოს განჩინებით საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული სახელმწიფო ინსპექტორისა და მისი შესაბამისი მოადგილის დასაბუთებული წინადადების განხილვის ვადის 72 საათიდან 24 საათამდე შემცირებას;

  არსებული კანონით გათვალისწინებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარებისთვის აუცილებელი ვადები ვერ პასუხობს ეფექტიანი გამოძიების აუცილებელ კომპონენტს - გამოძიების დროულობას, რადგან საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებისა და მნიშვნელოვანი მტკიცებულების მოპოვების შესახებ მსჯელობა სამსახურსა და პროკურატურას შორის შესაძლოა გაგრძელდეს 8 დღე, რასაც ემატება სასამართლოსთვის მიმართვისა და შუამდგომლობის განხილვის დროც.

- ზედამხედველი პროკურორისა და გენერალური პროკურორის ვალდებულების განსაზღვრას დაასაბუთონ გადაწყვეტილება, რომლითაც არ კმაყოფილდება ან ნაწილობრივ კმაყოფილდება სახელმწიფო ინსპექტორისა და მისი შესაბამისი მოადგილის დასაბუთებული წინადადება;

  მაშინ როცა სახელმწიფო ინსპექტორი და სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე ვალდებულნი არიან დაასაბუთონ პროკურატურისთვის წარდგენილი წერილობითი წინადადებები, ზედამხედველი პროკურორი/გენერალური პროკურორი არ არიან ვალდებულნი დაასაბუთონ წინადადებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები. აღნიშნული, გარდა იმისა, რომ გაურკვეველს ხდის პროკურორის გადაწყვეტილებას, ართულებს სახელმწიფო ინსპექტორის მიერ გენერალური პროკურორისთვის გაგზავნილი წინადადების დასაბუთებას, რადგან სამსახურისთვის არ არის ცხადი ზედამხედველი პროკურორის გადაწყვეტილების მოტივაცია სამსახურის წინადადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორებში, დაწესებულების ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე, დაუბრკოლებლად შესვლის უფლების მინიჭებას;

  სამსახურის გამომძიებელს იზოლატორში საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების მიზნით შესასვლელად, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ესაჭიროება დაწესებულების ხელმძღვანელის ნებართვა. გარდა იმისა, რომ ასეთი ნებართვის მიღება საჭიროებს რამდენიმე საათს (ზოგჯერ სრულ დღეს), რაც დროში აჭიანურებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას, ეს წესი ქმნის მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეს.

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის მტკიცებულებათა გადაცემის შემჭიდროვებული ვადის (10 სამუშაო დღე) დადგენას, და ყველა პირისა და ორგანოსთვის ვალდებულების დაკისრებას დაასაბუთონ სამსახურისთვის მტკიცებულების გადაცემაზე უარი ან/და სამსახურს მიაწოდონ ინფორმაცია მტკიცებულების ვადის დარღვევით სამსახურისთვის გადაცემის მიზეზების შესახებ;

  ხშირ შემთხვევებში, სამსახურის მიერ სამართალდამცავ უწყებებში (მაგალითად, პოლიციის განყოფილებებში) დამონტაჟებული ვიდეოკამერების ჩანაწერების მოპოვება შეუძლებელია მაშინაც კი, როცა მათი მოთხოვნა ხდება დაუყოვნებლივ და არ არის გასული ამავე უწყების მიერ ოფიციალური აქტებით დადგენილი ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა. ამასთან, არც თუ ისე იშვიათია სახელმწიფო უწყებების მხრიდან სამსახურისთვის წერილობით მოთხოვნილი ინფორმაციის დაგვიანებით (რამდენიმე კვირის, თვის შემდეგ) მიწოდების შემთხვევები, რაც დროში აჭიანურებს ან/და შეუძლებელს ხდის მტკიცებულების მოპოვებას.

- სამსახურის ქვემდებარე დანაშაულებზე (144² მუხლი (წამების მუქარა) და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი (პენიტენციური დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან/და ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია)) ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობის მოწესრიგებას;

  არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლებს უჭირთ სამართალდამცავთა წინააღმდეგ ჩვენების მიცემა სხვადასხვა მიზეზის გამო, ხოლო სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები თითქმის არასოდეს თანამშრომლობენ გამოძიებასთან (ისინი ჩვენებას არ აძლევენ არც საკუთარი თავის და არც მათი კოლეგის წინააღმდეგ). აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის ქვემდებარე დანაშაულებზე ფარული ან/და კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, ხშირად ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთადერთი საშუალებაა.

- სამსახურისთვის მის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეებზე კომპიუტერული, ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზების ჩატარების უფლებამოსილების მინიჭებას;

  მიმდინარე წელსაც, ისევე როგორც 2020 წელს, სამსახურისთვის გამოწვევად რჩება ექსპერტიზის დასკვნის დროულად მიღების საკითხი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას.

- სამსახურისთვის მისი გამომძიებლების საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების უფლებამოსილების მინიჭებას და სხვ.

  იმ პირობებში, როცა პროკურატურის, ადვოკატთა (სისხლის სამართლის სპეციალიზაციით) და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის საკვალიფიკაციო გამოცდები ბარდება იდენტურ დისციპლინებში („სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალი, რომელიც გათვალისწინებულია საკანონმდებლო ცვლილებებით და ემატება კანონს), გამოცდების შინაარსის იდენტურობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია პროკურატურის მუშაკთა და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგებს მიენიჭოს თანაბარი იურიდიული ძალა და მათი ურთიერთჩათვლა განხორციელდეს ორმხრივად.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, მომზადებულ საკანონმდებლო წინადადებაზე მოისმინა როგორც რელევანტური სახელმწიფო უწყებების, მათ შორის სახალხო დამცველის აპარატის, ასევე, არასამთავრობო სექტორის მოსაზრებები. აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავი ორგანოები (განსაკუთრებით - საქართველოს გენერალური პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო) მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებოდნენ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას და მიუთითებდნენ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით უკვე შექმნილი ინსტრუმენტების ქმედითობაზე, მაგალითად:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ეთანხმება სამსახურის გამომძიებლებისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორებში ნებართვის გარეშე შესვლის უფლების მინიჭებას იმ საფუძვლით, რომ სამსახურს არ გააჩნია პრევენციული უფლებამოსილება. მათივე მოსაზრებით, ფაქტზე რეაგირებისა და საგამოძიებო ფუნქციის შესასრულებლად, იზოლატორში შესვლის წესები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის უნდა იყოს სხვა საგამოძიებო უწყებების მსგავსი. ასევე, გენერალური პროკურატურა არ ეთანხმება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლების, დაწესებულებების ნებართვის გარეშე, იზოლატორებსა და პენიტენციურ დაწესებულებებში შესვლას (აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან პენიტენციურ დაწესებულებაში სამსახურის გამომძიებლის უნებართვოდ შესვლასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. უფრო მეტიც, იუსტიციის სამინისტროს აღნიშნული საკითხის მოწესრიგება 2021 წლის საკანონმდებლო გეგმაშიც ჰქონდა გათვალისწინებული);

- გენერალური პროკურატურა არ ეთანხმება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიშში სტატისტიკური მონაცემების ასახვას იმ სისხლის სამართლის საქმეების შესახებ, რომლებზეც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური დასაბუთებული წინადადებით მიმართავს ზედამხედველ პროკურორს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის არგუმენტად დასახელდა პროკურატურის ექსკლუზიური უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების პროექტი შეფასდა პროკურატურისა და გენერალური პროკურორის ფუნქციებში შეჭრად;

- გენერალური პროკურატურა არ ეთანხმება სახელმწიფო ინსპექტორისთვის უფლებამოსილების მინიჭებას, დასაბუთებული წინადადებით მიმართოს გენერალურ პროკურორს, თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან მჭიდროდ დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის გამოსაძიებლად გადაცემის შესახებ და გენერალური პროკურორისთვის ამ საკითხზე დროული და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულების დაკისრებას. აღნიშნულის არგუმენტად მითითებული იქნა ის გარემოება, რომ გენერალურ პროკურორს არ უნდა ჰქონდეს მისი ექსკლუზიური უფლებამოსილების გამოუყენებლობის დასაბუთებისა და იმის ახსნის ვალდებულება, რატომ არ გადასცა არაქვემდებარე საქმე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს;

- შინაგან საქმეთა სამინისტრო და გენერალური პროკურატურა არ ეთანხმებიან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქმედითი საკანონმდებლო გარანტიებით აღჭურვას, რაც უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებების დროულად მოპოვებას (მაგალითად, მტკიცებულებათა მოწოდების ვადების დაწესება);

- შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ეთანხმება საქმის მასალების გაცნობაზე სამსახურის მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობის სპეციფიკისა და გადატვირთულობის საფუძვლით და სხვა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების ნაწილი ასახა შემუშავებულ საკანონმდებლო წინადადებაში. ამასთან, საქართველოს პარლამენტს წარუდგინა სამართლებრივი არგუმენტები იმ მოსაზრებებზე, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული.

საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნასთან დაკავშირებულ კანონპროექტზე სამსახურის მიერ წადგენილი მოსაზრებები

საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტში წარადგინა საკანონმდებლო ინიციატივა საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილების გამიჯვნასთან დაკავშირებით. საკანონდებლო პაკეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადდა.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საკანონდებლო პაკეტზე მისი დასაბუთებული მოსაზრებები წარუდგინა როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე საქართველოს მთავრობას, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტში ასახული არ არის. კერძოდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, აღნიშნულ უწყებებს, რიგ სამართლებრივ საკითხებზე, სამსახურთან მიმართებით საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილების გამიჯვნის განსხვავებული რეგულაციები შესთავაზა, თუმცა საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტით სამსახურისთვის მინიჭებული უფლებები სხვა საგამოძიებო უწყებების იდენტურია. შესაბამისად, საკანონმდებლო პაკეტი არ/ვერ პასუხობს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წინაშე არსებულ გამოწვევებს - არ არის მხედველობაში მიღებული სამსახურის ბუნება, მანდატი, მისი შექმნისა და საქმიანობის მიზანი, სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების გამოძიების თავისებურებები და მოხელეთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების დამოუკიდებლად ჩატარების მნიშვნელობა.

საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილების გამიჯვნის რეფორმა ყველა საგამოძიებო უწყებისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა აღნიშნული ინიციატივა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის, რომლის დამოუკიდებლობის ხარისხი და ქმედითობა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა და სხვა საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურზე პროკურატურის სრული კონტროლისა და ამ მიმართულებით დროული საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება ხაზგასმით აღინიშნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების 2020 წლის 1-3 დეკემბრის 1390-ე შეხვედრის (DH) ზოგადი ღონისძიებების ფარგლებში.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შეფასებით, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებები: ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პროკურატურისგან დამოუკიდებლობას, სამსახურს არ ანიჭებს მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების პროკურორისგან დამოუკიდებლად მიღების უფლებამოსილებას, ვერ პასუხობს საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნის რეფორმის მიზანს და სრულად არ ეხმიანება აღნიშნულ რეფორმასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

იმ პირობებში, როცა საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილების მკაფიო, დროული და სრულყოფილი გამიჯვნა წარმოადგენს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტით სამსახური, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, კვლავ პროკურატურაზე დამოკიდებული რჩება. კერძოდ: პროკურორს უნარჩუნდება სრული კონტროლი ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე; ასევე, 2024 წლის 1 იანვრამდე, პროკურორს უნარჩუნდება სრული კონტროლი ადამიანის უფლებათა შემზღუდავი საგამოძიებო მოქმედებების (ჩხრეკა, ამოღება, კომპიუტერული მონაცემის გამოთხოვა და ა.შ.) ჩატარებაზე, ხოლო, 2024 წლის 1 იანვრის შემდგომ, გამომძიებლის მიერ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება შეზღუდულია (ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე); ზემდგომ პროკურორს უნარჩუნდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში სხვა საგამოძიებო უწყების გამომძიებლის ჩართვის უფლება; გენერალურ პროკურორს კვლავ რჩება ერთი საგამოძიებო ორგანოდან საქმის ამოღებისა და სხვა საგამოძიებო ორგანოსთვის მისი გამოსაძიებლად გადაცემის უფლება, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად; პროკურორს უნარჩუნდება გამოძიების შეწყვეტის უფლება; ასევე, პროკურორს უნარჩუნდება, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე, საჩივრის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაციის შეცვლის უფლება და სხვა.

საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების არასწორი გადანაწილების პარალელურად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არ ეთანხმება სამსახურთან მიმართებით კანონის ერთი წლის შემდგომ (2023 წლის 1 იანვარს) ამოქმედებასა და 2024 წლის პირველ იანვრამდე ადამიანის უფლებათა შემზღუდავი საგამოძიებო მოქმედებების პროკურორის ჩარევის გარეშე ჩატარების შეზღუდვას. აღნიშნული სამსახურს კიდევ ორი წელი სრულად დამოკიდებულს ტოვებს პროკურატურაზე, რაც საფრთხეს უქმნის დროული და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სამსახურის ეფექტურობას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არ საჭიროებს გარდამავალ პერიოდს საკანონმდებლო ცვლილებებისთვის მოსამზადებლად, ვინაიდან, ამ შემთხვევაში არ არსებობს ის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა საგამოძიებო უწყებებთან მიმართებით. სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში დასაქმებულნი არიან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე მაღალი კვალიფიკაციის გამომძიებლები, რომლებიც შერჩეულნი არიან რამდენიმე ეტაპიანი კონკურსის საფუძველზე, არასამთავრობო სექტორისა და აკადემიური წრის წარმომადგენლების ჩართულობით. შესაბამისად, სამსახურის გამომძიებლები მათთვის დაკისრებული ახალი ფუნქციების შესრულებას დაუბრკოლებლად შეძლებენ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საკანონმდებლო ინიციატივაზე მოსაზრებები საქართველოს პარლამენტსაც წარუდგინა.[3]

არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით ჩატარებული კვლევა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ჩართულობითა და აქტიური მონაწილეობით, IDFI-ისა და სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ (ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) მხარდაჭერით) ჩატარდა კვლევა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საქმიანობის შესახებ. ეს არის პირველი დოკუმენტი, რომელმაც შეაფასა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო მიმართულების საქმიანობა და გაანალიზა არსებული გამოწვევები.

აღსანიშნავია, რომ კვლევის მიგნებები სრულ თანხვედრაშია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიშთან, რომელიც პარლამენტს წარედგინა 2021 წლის 31 მარტს.

კვლევაში ძირითად გამოწვევებად მითითებულია შემდეგი: გამომძიებლების რაოდენობა მკვეთრად ჩამოუვარდება საქმეთა სიმრავლეს. ამასთან, სამსახურს აქვს არასაკმარისი ფინანსური და ინფრასტრუქტურული რესურსი, რაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ეფექტურ ფუნქციონირებას აფერხებს; სამსახურის მანდატი არ მოიცავს შინაგან საქმეთა მინისტრის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, გენერალური პროკურორის მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებზე რეაგირებას; სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის მიუხედავად, იგი არ არის აღჭურვილი გამოძიების დამოუკიდებლად წარმართვის საკმარისი მექანიზმებით; გამომძიებელი შეზღუდულია დამოუკიდებლად წარმართოს გამოძიება სისხლის სამართლის

[3] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მოსაზრებები დეტალურად იხილეთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე - HTTPS://STATEINSPECTOR.GE/KA/ARTICLE/SAXELMWIFO-INSPEQTO-RIS-SAMSAXURIS-POZICIA-SAKANONMDEBLO-INICIATIVIS-DZIRITAD-SAKITXEBTAN-DAKAVSHIREBIT-/132?FBCLID=IWAR07XUIU0Z7QSKZVJVYDBW9YEPMZYTGBKGZFIMLSHJIYZKHWZEQJMIH0ZVY

საქმეზე, მიიღოს გადაწყვეტილებები საქმეზე არსებითად მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე; საგამოძიებო სამსახურს არ შეუძლია პროკურატურის გარეშე, მათ შორის, მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის არსებობის დროსაც, დამოუკიდებლად და დაუყოვნებლივ მოიპოვოს კომპიუტერულ სისტემაში შენახული ინფორმაცია (ვიდეოჩანაწერები), რაც სამართალდამცავი პირის მიერ შესაძლო დანაშაულის გამოძიების მთავარი მტკიცებულებაა; სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშვნის არსებული მოდელი არ ითვალისწინებს ამ პროცესზე პოლიტიკური გავლენის თავიდან აცილების სათანადო გარანტიებს, რაც წარმოშობს პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილების მიღების რისკს.

ზემოაღნიშნულ გამოწვევებზე საპასუხოდ, კვლევის ფარგლებში გაიცა რეკომენდაციები: სახელმწიფო ინსპექტორის პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით არჩევის, საგამოძიებო დეპარტამენტის სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფისა და სხვადასხვა რეგიონში სტრუქტურული ერთეულების დამატების, გამოძიების პროცესში ჩადენილ ყველა დანაშაულზე სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის უპირატესი იურისდიქციის გავრცელებისა და გამომძიებლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის შესახებ.[4]

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შემუშავებული და საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება ეხმიანება აღნიშნულ კვლევაში მითითებულ მიგნებებს და რეკომენდაციებს.

[4] აღნიშნული კვლევა სრულად იხილეთ შემდეგ ლინკზე -
HTTPS://IDFI.GE/PUBLIC/UPLOAD/ANALYSIS/GEO-INDEPENDENT%20INVESTIGATIVE%20MECHANISM%20IN%20GEORGIA-MIN.PDF

დანერგილი სტაჟირების პროგრამის გაგრძელება

ახალი, მოტივირებული კადრების მოსაზიდად, საგამოძიებო დეპარტამენტში 2020 წელს დაინერგა სტაჟირების სისტემა. 2020 წელს, კონკურსის საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის აღმოსავლეთის სამმართველოში დაინიშნა ხუთი სტაჟიორ-გამომძიებელი, რომელთაგან ოთხი, ერთწლიანი წარმატებული საქმიანობის შემდგომ, 2021 წელს დაინიშნა საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლად.
მოქმედი სტაჟიორ-გამომძიებლების დანიშვნის პარალელურად, 2021 წელს სამსახურმა გამოაცხადა სტაჟიორ-გამომძიებელთა ახალი ნაკადის კონკურსი.

ოთხეტაპიანი ღია კონკურსის საფუძველზე, 218 კანდიდატიდან შეირჩა 14, რომელთაგან ხუთი დაინიშნა სტაჟიორ-გამომძიებელად, ხოლო ცხრა ჩაირიცხა რეზერვში. სტაჟიორ-გამომძიებელთა შესარჩევ კომისიაში ჩართულნი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციისა და სამეცნიერო წრის წარმომადგენლები. სტაჟიორ-გამომძიებლები კანონის საფუძველზე აღჭურვილნი არიან გამომძიებლის უფლებამოსილებით.

ცხელი ხაზი

2019 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საგამოძიებო დეპარტამენტის ცხელ ხაზზე (ნომერი - 199) დაფიქსირდა 5 161 შეტყობინება. შეტყობინებები 24 საათის განმავლობაში შემოდიოდა როგორც მოქალაქეთაგან, ასევე სახელმწიფო უწყებებიდან (მათ შორის, SMS-ების სახით).
მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით, 2021 წელს მომზადდა და სოციალურ ქსელში განთავსდა საინფორმაციო ვიდეორგოლი ცხელი ხაზის შესახებ.

2021 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პატიმრობის კოდექსში და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, რომელშიც ჩართული იყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიც.

ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად:

- პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულებს და მსჯავრდებულებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ცხელ ხაზზე დარეკვა ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად შეუძლიათ. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომერზე დაკავშირება აღარ აკლდება პატიმრობის კოდექსით და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით მსჯავრდებულთათვის/ბრალდებულთათვის დაწესებულ სატელეფონო საუბრის ლიმიტებს;

- პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ცხელ ხაზთან დაკავშირება შეუძლიათ მაშინაც კი, როცა გამომძიებლის ან პროკურორის მიერ მათ შეზღუდული აქვთ სატელეფონო საუბრის უფლება. აღნიშნული უფლება მსჯავრდებულს/ბრალდებულს უნარჩუნდება დისციპლინური სახდელის სახით სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის მოქმედების პერიოდშიც და სამარტოო საკანში მოთავსების დროსაც;

- ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ცხელ ხაზთან დაკავშირების ხარჯების ანაზღაურებას პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფს.

პატიმრობის კოდექსში და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის, მისი ქვემდებარე დანაშაულების შესახებ, ინფორმაციის დროულად მოწოდებას, რაც ეფექტური გამოძიების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

სახელმძღვანელო დოკუმენტები გამომძიებლებისთვის

გამოძიების ეფექტურობის უზრუნველყოფის, პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის შემუშავების მიზნით, გამომძიებლებისთვის შემუშავდა არაერთი სახელმძღვანელო დოკუმენტი:

- ექსპერტიზის დანიშვნის პრაქტიკული სახელმძღვანელო - ვინაიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული დანაშაულების გამოძიება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, ექსპერტიზის დანიშვნის ერთიანი სტანდარტის დანერგვისა და ეფექტური გამოძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ექსპერტ-კრიმინალისტების, გამომძიებლებისა და ანალიტიკოსების მიერ, შემუშავდა სახელმძღვანელო. დოკუმენტში მოცემულია იმ საგამოძიებო მოქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა ჩატარდეს თითოეული სახის ექსპერტიზის დანიშვნამდე და სავარაუდო კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას სხვადასხვა სახის ექსპერტიზის დანიშვნის დროს;

- სახელმძღვანელო სამართალდამცველთა მიერ შეკრებისა და მანიფესტაციის დროს ძალის გამოყენების შესახებ - სახელმძღვანელოში მოცემულია საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები შეკრების (მანიფესტაციების) უფლებით სარგებლობის ფარგლების, შეკრების (მანიფესტაციის) სახეებისა და ფორმების, სამართალდამცველთა მხრიდან ფიზიკური ძალისა და არალეტალური იარაღის გამოყენების წინაპირობებისა და წესების, ასევე არალეტალური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკებისა და აკრძალვების შესახებ. აღნიშნული სახელმძღვანელო დაეხმარება გამომძიებლებს აქციების მიმდინარეობის დროს სამართალდამცავთა მიერ სავარაუდო ძალის გადამეტებასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიების პროცესში, სამართალდამცველთა მხრიდან გამოყენებული ძალის მართლზომიერების შეფასებაში;

- გამოძიების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის სახელმძღვანელო - აღნიშნული სახელმძღვანელო შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების შესახებ გამომძიებლების ცნობიერების ამაღლებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებზე მორგებული გამოძიების პროცესის უზრუნველყოფის მიზნით. სახელმძღვანელო მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სავარაუდო მსხვერპლთან და მოწმესთან პირველადი კომუნიკაციის დამყარების, გასაუბრების, გამოკითხვის, სამედიცინო ექსპერტიზაზე წარდგენის, საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის, ნიმუშის აღებისა და სავარაუდო მსხვერპლის ინფორმირების წესებს;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის სტანდარტი - დოკუმენტი, რომელიც შეიქმნა ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ემყარება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას. მასში განხილულია საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, შეზღუდული შესაძლებლობებისადმი არსებული დამოკიდებულებები, დისკრიმინაციის პირდაპირი და არაპირდაპირი სახეები, ინტერსექციური დისკრიმინაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის ეტიკეტი (მისაღები და მიუღებელი ქცევა) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციასთან დაკავშირებით ზოგადი პრაქტიკული რჩევები. სახელმძღვანელო დაეხმარება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებზე საგამოძიებო მოქმედებების მაქსიმალურად ადაპტირებაში;

- ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების დაიჯესტები - საგამოძიებო დეპარტამენტის წარმომადგენელთა ცოდნის გაღრმავებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგვის მიზნით, მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების დაიჯესტები. დაიჯესტები შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მატერიალური და პროცედურული ნაწილების დარღვევას და ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა: სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირების თვითმკვლელობა და თვითდაზიანება; ხელბორკილისა და სხვა შემაკავებელი ზომების გამოყენება; სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან დაკავებული/დაპატიმრებული პირის მკვლელობა, მისთვის ფიზიკური დაზიანების მიყენება; დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა ან წამება. აღსანიშნავია ისიც, რომ შეიქმნა შიდა მოხმარების ელექტრონული პორტალი, რომელზეც ყველა დაიჯესტი ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფორმატშიც;

- სავარაუდო მსხვერპლთა გამოკითხვის კითხვარები - გამომძიებელთათვის შემუშავდა სავარაუდო მსხვერპლთა გამოკითხვის კითხვარები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ შემდეგ დანაშაულებზე: სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (რომელიც მოიცავს არაპროპორციული ძალის გამოყენებას, სპეციალური საშუალებების არამართლზომიერ გამოყენებას და სხვა შემთხვევებს); არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა (მათ შორის, არასათანადო მკურნალობის ფაქტებზე); წამება; წამების მუქარა; ჩვენების მიცემის იძულება; სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა გარდაცვალება და პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირის იძულება. აღნიშნული კითხვარები გამომძიებლებს დაეხმარება სავარაუდო მსხვერპლთაგან მაქსიმალურად რელევანტური და მოცულობითი ინფორმაციის მიღებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შემდგომში გასატარებელი ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვას და სრულყოფილი გამოძიების ჩატარებას;

- რეკომენდაციები - ერთიანი სტანდარტის შექმნისა და ეფექტური გამოძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად, შემუშავდა **რეკომენდაციები**, რომლებიც შეეხება შემდეგ საკითხებს: მსხვერპლის/მისი ადვოკატის ინფორმირების წესი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ განხორციელებული რეაგირების თაობაზე; საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობის აუდიო/ვიდეო ფიქსაცია; ელექტრონულ მონაცემთა ბაზის დათვალიერების წესი; ამოცნობის ჩატარების წინაპირობები; ცალკეული კატეგორიის საქმეებზე მოსაპოვებელი მტკიცებულებების ჩამონათვალი; წერილების გაგზავნის გზით საჯარო უწყებებიდან მოსაპოვებელი ინფორმაცია.

კვლევები

საგამოძიებო მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საქმიანობის განხორციელების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკავშირის, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისისა და ევროპის საბჭოს) მხარდაჭერით ჩატარდა ოთხი კვლევა:

- კვლევა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმების მიერ განხორციელებული პრევენციული აქტივობების შესახებ - კვლევა მოიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და წამების აკრძალვის სფეროში მოქმედი საზედამხედველო ორგანოების მიერ თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებებსა და პატიმრობის ცალკეულ პირობებთან დაკავშირებით დადგენილ სტანდარტებს;

- კვლევა წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით საზედამხედველო ორგანოების მიერ დადგენილი სტანდარტების შესახებ - კვლევაში წარმოდგენილია ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტები და INDEPENDENT POLICE COMPLAINT AUTHORITIES NETWORK (IPCAN)-ის წევრი სახელმწიფოების პრაქტიკა.

- კვლევა პოლიციის ოფიცერთა გამოკითხვის შესახებ - პოლიციის ოფიცერთა გამოკითხვის კვლევა შეიქმნა ევროკავშირის (EU) დაფინანსებითა და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით. დოკუმენტი წარმოადგენს მეთოდოლოგიური რეკომენდაციების კომპილაციას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებისთვის სამართალდამცველთა გამოკითხვის პროცესისთვის. დოკუმენტი ეფუძნება საგამოძიებო გამოკითხვის წარმართვის საერთაშორისო (ევროპულ) სტანდარტებს. დოკუმენტში გათვალისწინებულია გამოკითხვის დაგეგმვისა და მისი ჩატარების ეტაპები. ასევე, დოკუმენტში თავმოყრილია საგამოძიებო ინტერვიუს/გამოკითხვის ჩატარების პრინციპები და სქემატური დეტალური ჩარჩო პოლიციის ოფიცრის (მოწმის და სამართალდარღვევის პოტენციური ჩამდენის (SUBJECT OFFICER) გამოკითხვისთვის/ინტერვიუსთვის;

- კვლევა ხელბორკილის გამოყენების სტანდარტის თაობაზე - დოკუმენტი შეიქმნა ევროკავშირის (EU) დაფინანსებითა და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით. სტანდარტში თავმოყრილია სხვა სახელმწიფოების პრაქტიკა კიდურების შებოჭვასთან დაკავშირებით. დოკუმენტში, ასევე, განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის კონტექსტში და წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ევროპული კომიტეტის (CPT) პოზიციები სხვადასხვა სახელმწიფოში ხელბორკილისა და კიდურების შებოჭვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ცნობიერების ამაღლება საგამოძიებო დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილების შესახებ მოქალაქეთა უკეთ ინფორმირების მიზნით, თბილისის მეტროს მატარებლებსა და ავტობუსებში განთავსდა საინფორმაციო პლაკატები. საინფორმაციო პლაკატებზე განთავსებული იყო ინფორმაცია სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებული დანაშაულების, სამსახურისთვის მომართვის გზების და მომართვიანობის შემთხვევაშიგანხილვის პროცედურის შესახებ.

პროექტი ევროკავშირისა (EU) და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერითა და ქალაქ თბილისის მერიისა და შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის დახმარებით განხორციელდა.



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ადგილობრივი საჯარო უწყებების, სასამართლო კორპუსისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან ქვეყნის სამ რეგიონში (აჭარა, სამეგრელო, იმერეთი) სამუშაო შეხვედრები გამართა. შეხვედრებზე განხილული იქნა საგამოძიებო მიმართულებით არსებული ტენდენციები, ადგილობრივი საჭიროებების გადაჭრის გზები და კოორდინირებული საქმიანობის მნიშვნელობა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ჩაატარა შეხვედრები სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან), ჟურნალისტებთან და მათ წარუდგინა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მუშაობის შედეგები. განხილული იქნა ასევე, გამოძიების პროცესში არსებული გამოწვევები.

თანამშრომლობა სხვა ქვეყნების ანალოგიურ საგამოძიებო უწყებებთან

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის პრიორიტეტულია წამყვან კოლეგა უწყებებთან წარმატებული კომუნიკაცია. აღნიშნული, მნიშვნელოვანია სამსახურის ინსტიტუციური განვითარების, საქმიანობის ხარისხის ამაღლებისა და თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერებისთვის.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაიწყო თანამშრომლობა კანადის პროვინციის ონტარიოს სპეციალურ საგამოძიებო უწყებასთან (SIU) და ინგლისისა და უელსის პოლიციის ქცევის დამოუკიდებელ ოფისთან, რომლებიც იძებენ პოლიციელთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს. მათთან გაიმართა ონლაინ შეხვედრები, რომელთა მიზანი უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება იყო.

კანადის პროვინციის ონტარიოს სპეციალურმა საგამოძიებო უწყებამ (SIU) და ინგლისისა და უელსის პოლიციის ქცევის დამოუკიდებელმა ოფისმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებს დეტალურად გააცნეს საგამოძიებო უწყებების შექმნის ისტორია, სამსახურების მანდატი და საგამოძიებო ქვემდებარეობა, სტრუქტურა, სამსახურების დამოუკიდებლობის სამართლებრივი და პრაქტიკული გარანტიები, ეფექტური გამოძიების ჩასატარებლად მათ ხელთ არსებული ბერკეტები, პოლიციელთა მხრიდან დანაშაულის ჩადენის შესაძლო შემთხვევებზე რეაგირების წესი, გამოძიების დაწყებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა, საგამოძიებო უწყებებსა და პროკურატურას შორის კოორდინაციის საკითხები, მიღწეული შედეგები და დღის წესრიგში არსებული გამოწვევები.

ზემოაღნიშნულმა საგამოძიებო უწყებებმა, მაღალი შეფასება მისცეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ დროის მცირე მონაკვეთში გადადგმულ ნაბიჯებს და მიღწეულ შედეგებს. ასევე, გამოხატეს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან შემდგომი თანამშრომლობის გაგრძელების მზაობა.

04

მიღებული შეტყობინებები

მიღებული შეტყობინებები

04

მიღებული შეტყობინებების რაოდენობა

2019 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შემოვიდა 6 088 შეტყობინება. აქედან 72% (4 396 შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 23% (1 363 შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, ხოლო 5% (329 შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ.[5]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული 6 088 შეტყობინებიდან, 351 მათგანი შემოვიდა 2019 წელს (1 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით), 2 622 შეტყობინება - 2020 წელს, ხოლო 3 115 შეტყობინება - 2021 წელს. ანუ, 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, სამსახურში შემოვიდა 19%-ით მეტი შეტყობინება.



[5] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველო ამოქმედდა 2021 წლის მაისიდან.

2021 წელს შემოსულ შეტყობინებათა რაოდენობა განსხვავებულია თვეების მიხედვით. ყველაზე მეტი შეტყობინება შემოვიდა ივლისში, ხოლო ყველაზე ნაკლები - იანვარში.

2021 წელს მიღებულ შეტყობინებათა რაოდენობა თვეების მიხედვით



მიღებული შეტყობინებების ავტორები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური შესაძლო დანაშაულის შესახებ შეტყობინებებს იღებს 24- საათიან რეჟიმში სხვადასხვა წყაროდან - შინაგან საქმეთა სამინისტროდან, იუსტიციის სამინისტროდან, პროკურატურიდან, სახალხო დამცველის აპარატიდან, მოქალაქეებისგან და ა.შ.

2019 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შეტყობინებათა ყველაზე დიდი ნაწილი (83%) შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთსა და იმავე ფაქტზე შეტყობინება შემოვიდა რამდენიმე წყაროდან.[6]



მიღებული შეტყობინებების ავტორები 2019 - 2020 წლები

[6] რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ერთი და იგივე შეტყობინება შემოდის რამდენიმე წყაროდან. სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის მიზნით, ასეთ შემთხვევებში შეტყობინება მიეთვლება ყველა შესაბამის უწყებას/წყაროს. ამის გათვალისწინებით, შემოსულ შეტყობინებათა ავტორების ჯამური მაჩვენებელი აღემატება სამსახურში შემოსულ შეტყობინებათა საერთო რაოდენობას.

2021 წელსაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შეტყობინებათა ყველაზე დიდი ნაწილი (83%) შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ამ წელსაც, ზოგიერთ ფაქტზე შეტყობინება შემოვიდა რამდენიმე წყაროდან.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს გაიზარდა ფიზიკური პირების მხრიდან მომართვა. თუ 2020 წელს ფიზიკური პირებისგან შემოვიდა 169 შეტყობინება, რაც წარმოადგენდა 2020 წელს შემოსულ შეტყობინებათა საერთო რაოდენობის 6%-ს, 2021 წელს ფიზიკური პირებისგან შემოვიდა 293 შეტყობინება, რაც წარმოადგენს 2021 წელს შემოსულ შეტყობინებათა საერთო რაოდენობის 9%-ს. აღნიშნული მიუთითებს სამსახურის ცნობადობისა და საზოგადოების მხრიდან სამსახურის საქმიანობის მიმართ ნდობის ხარისხის გაზრდაზე.

მიღებული შეტყობინებების ავტორები 2021 წელი

შსს-დან მიღებული შეტყობინებები

ზემოაღნიშნულ გრაფიკში მოცემული მონაცემები ცხადყოფს, რომ შეტყობინებათა უმრავლესობა შემოდის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან. ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტსა და დროებითი მოთავსების იზოლატორს შორის დანერგილია შეტყობინების მიღების ეფექტიანი მექანიზმი. დროებითი მოთავსების იზოლატორიდან სამედიცინო მუშაკები შეტყობინებებს გზავნიან დაუყოვნებლივ, 24-საათიან რეჟიმში, სატელეფონო კომუნიკაციის გზით. დაწესებულების ხელმძღვანელი შეტყობინებას გზავნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იზოლატორში არ არის დასაქმებული ექიმი. დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შეტყობინებები იგზავნება, როცა:

- დაკავებულს აღენიშნება დაზიანებები და იზოლატორში დასაქმებულ ექიმს გაუჩნდება ეჭვი დაკავებულის მიმართ წამებასა ან არასათანადო მოპყრობაზე;
- დაკავებულს აღენიშნება ძალადობის ამსახველი ახლად მიღებული დაზიანებები;
- იზოლატორში მოთავსებული პირი უთითებს შესაძლო ძალადობის ფაქტზე სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მხრიდან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან გადმოგზავნილი 1 944 შეტყობინება შეეხებოდა 1 856 პირს (ზოგ შემთხვევაში ერთ პირთან დაკავშირებით შეტყობინება შემოდის ორჯერ - ადმინისტრაციული დაკავების დროს და ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში იზოლატორში შესახლებისას), რომელთაგან ადმინისტრაციული წესით დაკავებული იყო 1 017, ხოლო სისხლის სამართლის წესით - 839.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წელს სისხლისა და ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 12 424-ს. მათგან 9 131 დაკავებული იყო სისხლის სამართლის წესით, ხოლო 3 293 - ადმინისტრაციული წესით.[7] შესაბამისად, 2021 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულთა 15%-ზე გადმოიგზავნა შეტყობინება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში. აღსანიშნავია, რომ გაცილებით მაღალია ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებზე შეტყობინების მაჩვენებელი. კერძოდ, დროებითი მოთავსების იზოლატორიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შეტყობინება გადმოიგზავნა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის დაკავებულ პირთა 9%-სა და ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა 31%-ზე.[8]

[7] იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები - HTTPS://INFO.POLICE.GE/PAGE?ID=576&PARENT_ID=233 (ნანახია 2022 წლის 11 თებერვალს).

დროებითი მოთავსების იზოლატორიდან გადმოგზავნილი შეტყობინებები



დროებითი მოთავსების იზოლატორიდან შემოსული შეტყობინებების თანახმად, ადმინისტრაციული წესით დაკავებული 1 017 პირიდან 557 დაკავებული იყო ორი მუხლით - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით, 397 პირი - მხოლოდ 173-ე მუხლით (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა), ხოლო 63 პირი - მხოლოდ 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა).

სისხლის სამართლის წესით დაკავებული 839 პირიდან დიდი ნაწილი - 54% (456 პირი) დაკავებული იყო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ძალადობრივი დანაშაულის ბრალდებით (ოჯახური დანაშაული, ასევე, დანაშაულები ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ან საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ).

[8] 2020 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულთა 14%-ზე გადმოიგზავნა შეტყობინება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში. კერძოდ, დროებითი მოთავსების იზოლატორიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შეტყობინება გადმოიგზავნა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის დაკავებულ პირთა 8%-სა და ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა 25%-ზე.

ზემოაღნიშნული მუხლებით დაკავებულ პირთა უმრავლესობამ დაზიანების მიღების მიზეზად დაასახელა სხვა მოქალაქეებთან კონფლიქტი ან მათი მხრიდან პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან ასევე 24-საათიან რეჟიმში იგზავნება შეტყობინებები. სამინისტროს თანამშრომელთა მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის სავარაუდო ჩადენის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისათვის ინფორმაცია ცნობილი ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე (ნომერი - 126), 112-ზე შესული სატელეფონო შეტყობინების ან/და მოქალაქეთა წერილობითი განცხადებების საშუალებით.

იუსტიციის სამინისტროდან მიღებული შეტყობინებები

2020 წლის 30 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიიღო №663 ბრძანება „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“. დოკუმენტის საფუძველზე, 2020 წლის 30 ნოემბრიდან შეიცვალა პენიტენციური დაწესებულებებიდან შეტყობინებათა გადმოგზავნის წესი და დაზიანებით მოთავსებულ პირებზე შეტყობინებას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში მხოლოდ ექიმი გზავნის. სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაწესებულებებიდან შეტყობინება იგზავნება, როდესაც:

- ბრალდებულს/მსჯავრდებულს აღენიშნება დაზიანება და ექიმს გაუჩნდება ეჭვი წამებასა და არასათანადო მოპყრობაზე;
- ბრალდებული/მსჯავრდებული უთითებს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მხრიდან ძალადობის ფაქტზე.

იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებებიდან იგზავნება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განცხადებებიც, რომლებშიც მითითებულია შესაძლო ძალადობრივი ქმედების შესახებ. სამსახურს 24-საათიან რეჟიმში მოეწოდება შეტყობინებები, რომლებიც შეეხება სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პატიმართა და თავისუფლებააღკვეთილ პირთა გარდაცვალების ფაქტებს.

იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან იგზავნება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განცხადებები და მასალები, თუ გამოძიების მიმდინარეობისას ან მის დაწყებამდე ჩატარებული გასაუბრებისას გამოიკვეთება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ნიშნები.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში უშუალოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის/პატიმარი ბრალდებულის მხრიდან გადმოიგზავნა 179 შეტყობინება/განცხადება (რამდენიმე შემთხვევაში, შეტყობინებები გადმოგზავნილია ერთი და იმავე პირის მიერ). აღსანიშნავია, რომ 2020 წელს მსჯავრდებულის/პატიმარი ბრალდებულის მხრიდან გადმოიგზავნა 116 შეტყობინება/განცხადება.

სხვა უწყებებიდან მიღებული შეტყობინებები

საქართველოს პროკურატურიდან იგზავნება აღნიშნულ უწყებაში შეტანილი წერილობითი განცხადებები ან/და საჩივრები, რომლებშიც მითითებულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე სავარაუდო დანაშაულის ნიშნებზე. პროკურორების მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ცხელ ხაზზე დაფიქსირებული შეტყობინებები ძირითადად შეეხება ბრალდებულთა მიერ სასამართლოში პირველი წარდგენის, წინასასამართლო და საქმის არსებითი განხილვის სხდომებზე გაკეთებულ დანაშაულის ნიშნების შემცველ განცხადებებს.

რაც შეეხება სასამართლოს, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას ბრალდებულთა მიერ გამოხატულ პრეტენზიებზე ინფორმაციას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გზავნის მოსამართლე. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი სასამართლოების შემთხვევაში, შეტყობინებათა გადმოგზავნის მაჩვენებელი კვლავ ძალიან დაბალია, მაშინ, როცა პრეტენზიების უმრავლესობა დაფიქსირებულია სწორედ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა მხრიდან.

ცხელ ხაზზე მიღებული შეტყობინებები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში, 2019 წლის 1 ნოემბრიდან, მოქმედებს 24-საათიანი ცხელი ხაზი, რომლის ნომერია 199.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში ცხელი ხაზის მეშვეობით შემოვიდა 682 შეტყობინება 851 წყაროდან. რიგ შემთხვევაში, სხვადასხვა წყაროდან შემოსული ინფორმაცია შეეხებოდა ერთსა და იმავე ფაქტს.[9] აღსანიშნავია, რომ 2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ცხელი ხაზის საშუალებით მომართა 132-მა ფიზიკურმა პირმა. რაც შეეხება 2020 წელს ცხელ ხაზზე შემოსულ შეტყობინებებს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში ცხელი ხაზის მეშვეობით შემოვიდა 482 შეტყობინება 582 წყაროდან. 2020 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ცხელი ხაზით ისარგებლა მხოლოდ 48 ფიზიკურმა პირმა.

[9] ასეთ შემთხვევებში შეტყობინება მიეთვლება ყველა შესაბამის უწყებას/წყაროს. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემოსული შეტყობინებების ავტორების ჯამური მაჩვენებელი აღემატება სამსახურში შემოსული შეტყობინებების საერთო რაოდენობას.

ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებების ავტორები



მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირება

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული 3 115 შეტყობინება შეეხებოდა 3 238 პირს (რიგ შემთხვევებში, ერთი შეტყობინება მოიცავდა ქმედებას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის მიმართ).

შემოსულ შეტყობინებათა 13%-ზე (406 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ) დაიწყო გამოძიება (365 სისხლის სამართლის საქმე). რაც შეეხება სხვა შეტყობინებებს, 64% (2 086 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ) არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს; 15% (484 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ) გადაიგზავნა სხვა უწყებაში, ვინაიდან არ განეკუთვნებოდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას; 8% (262 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ) იყო დამატებითი ინფორმაცია გამოძიებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებსა ან/და სხვა უკვე მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით.

მიღებულ შეტყობინებაზე რეაგირება
(დათვლილია სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით)



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შემოსულ შეტყობინებებთან დაკავშირებით გამოძიების დაწყება-არდაწყების გადაწყვეტილების მიღებამდე, სამსახური ატარებს გასაუბრებას სავარაუდო მსხვერპლთან (გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეტყობინება ცალსახად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და მკაფიოდ იკვეთება სავარაუდო დანაშაულის კვალიფიკაცია). გასაუბრების მიზნით, საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები შეტყობინების მიღებისთანავე უკავშირდებიან სავარაუდო მსხვერპლს, ხოლო თუ მისი იდენტიფიცირება შეუძლებელია - შეტყობინების ინიციატორს. გასაუბრება, ძირითადად, ტარდება პირადად შეხვედრის გზით, თუმცა, პანდემიის პირობებში დაყოვნების ასაცილებლად, გასაუბრებების ნაწილი განხორციელდა დისტანციურად, ან/და ტელეფონის საშუალებით. საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები 3 238 სავარაუდო მსხვერპლიდან გაესაუბრნენ 2 650-ს.[10] სავარაუდო მსხვერპლთა 78%-თან გასაუბრება ჩატარდა შეტყობინების შემოსვლის ან მეორე დღეს.

[10] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული შეტყობინებების ნაწილი წარმოადგენდა დამატებით ინფორმაციას უკვე მიღებულ შეტყობინებასთან ან წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევებში, თუ შეტყობინებაში ასახული ინფორმაცია არ შეეხებოდა ახალ გარემოებებს, განმეორებით განმცხადებელთან გასაუბრება აღარ ჩატარებულა. გარდა ამისა, შემოსული შეტყობინებების ნაწილი არ განეკუთვნებოდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას. შესაბამისად, არ არსებობდა გასაუბრების საჭიროება. ცალკეულ შემთხვევებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელთა არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა განმცხადებელთან ან/და სავარაუდო მსხვერპლთან დაკავშირება.



შეტყობინების მიღებიდან სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრების დრო

სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრება შეტყობინების შემოსვლიდან რამდენიმე დღის (კვირის) შემდგომ, ძირითადად განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: ვერ ხერხდებოდა სავარაუდო მსხვერპლთან დაკავშირება - არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს, არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ მისამართზე და ოჯახის წევრებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მისი ადგილსამყოფელის შესახებ; სავარაუდო მსხვერპლს სჭირდებოდა დრო ადვოკატის ასაყვანად; სავარაუდო მსხვერპლი გარკვეული პერიოდის განმავლობაში უარს აცხადებდა გასაუბრებაზე; სავარაუდო მსხვერპლს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არ ჰქონდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო გასაუბრებაში.

05

გამოძიების დაწყება

გამოძიების დაწყება

სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა

2019 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო 703 სისხლის სამართლის საქმეზე: 2019 წელს გამოძიება დაიწყო 68 სისხლის სამართლის საქმეზე, 2020 წელს - 270 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო 2021 წელს - 365 სისხლის სამართლის საქმეზე (365 სისხლის სამართლის საქმიდან 362-ზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინებების, ხოლო 3-ზე - სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის დადგენილების საფუძველზე).

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



2021 წელს, გამოძიების დაწყების პარალელურად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შინაგან საქმეთა სამინისტროდან საგამოძიებო უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოიგზავნა სამი სისხლის სამართლის საქმე, სამივე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გაგრძელდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოში.[11]

2021 წელს გამოძიების დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მარტში, ყველაზე დაბალი კი - იანვარში.

გამოძიების დაწყება თვეების მიხედვით



[11] გამოძიების შეწყვეტისა და სასამართლოში წარმართული სისხლის სამართლის საქმეების მხედველობაში მიღებით: 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში იყო 69 სისხლის სამართლის საქმე; 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში იყო 318 სისხლის სამართლის საქმე; ხოლო, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში იყო 629 სისხლის სამართლის საქმე.

გამოძიების დაწყების საფუძველი

2021 წელს დანაშაულის ნიშნების შემცველ შეტყობინებათა დიდი ნაწილი შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან. ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იმავე ფაქტის შესახებ შეტყობინება შემოვიდა რამდენიმე წყაროდან.[12]

დანაშაულის ნიშნების შემცველ შეტყობინებათა ავტორები



[12] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში რიგ შემთხვევებში ერთი და იგივე შეტყობინება შემოდის რამდენიმე წყაროდან. სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის მიზნით, ასეთ შემთხვევებში, შეტყობინება მიეთვლება ყველა შესაბამის უწყებას/წყაროს. შესაბამისად, შემოსულ შეტყობინებათა ავტორების ჯამური მაჩვენებელი აღემატება სამსახურში შემოსული შეტყობინებების საერთო რაოდენობას.

ეფექტური გამოძიების ჩასატარებლად (გამოძიების დროულად დაწყება, საგამოძიებო მოქმედებების შემჭიდროებულ ვადებში ჩატარება, მტკიცებულებათა განადგურების თავიდან აცილება), ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს დაუყოვნებლივ მოეწოდოს ინფორმაცია შესაძლო დანაშაულის შესახებ.

2021 წელს დანაშაულის ნიშნების შემცველ შეტყობინებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ისინი ზოგჯერ არ მოეწოდება სავარაუდო დანაშაულის ჩადენისთანავე, დაუყოვნებლივ (როგორც სახელმწიფო უწყებებიდან, ასევე მოქალაქეებისაგან). დანაშაულის ნიშნების შემცველ შეტყობინებათა 71% სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შემოვიდა სავარაუდო დანაშაულის ჩადენიდან სამი დღის ვადაში, ხოლო 29% - ერთი კვირის ვადაში ან უფრო გვიან.



სავარაუდო დანაშაული ჩადენიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შეტყობინების შემოსვლის დრო

ყველაზე ხშირად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი დანაშაულის ნიშნების შემცველ შეტყობინებებს იღებს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, იუსტიციის სამინისტროდან და პროკურატურიდან. ძირითადად, უწყებები შეტყობინებას აგზავნიან ინფორმაციის მიღების დღეს ან მეორე დღეს, თუმცა ზოგჯერ მათი მოწოდება ფერხდება. დანაშაულის ნიშნების შემცველი შეტყობინებები შემჭიდროებულ ვადებში და ყველაზე ეფექტურად იგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

დანაშაულის ნიშნების შემცველ შეტყობინებათა გამოგზავნის ვადა



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების სპეციფიკის გათვალისწინებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სავარაუდო მსხვერპლის დაუყოვნებლივ გამოკითხვა და სამედიცინო ექსპერტთან მისი წარდგენა, ასევე, მოწმეებთან სწრაფი კომუნიკაცია და სხვა მტკიცებულებების მოპოვება. შესაბამისად, შეტყობინების გადმოგზავნის 1-2 დღით დაყოვნებაც კი შეუძლებელს ხდის ან/და მნიშვნელოვნად აფერხებს მტკიცებულებათა მოპოვებასა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, დროული გამოძიების ჩატარების მიზნით, როგორც წესი, გამოძიებას იწყებს შეტყობინების შემოსვლის დღესვე. 2021 წელს დანაშაულის ნიშნების შემცველ შეტყობინებათა 46%-ზე გამოძიება დაიწყო შემოსვლის დღესვე, 30%-ზე - მეორე დღეს, 6%-ზე - მესამე დღეს, 11%-ზე - ერთი კვირის ვადაში, ხოლო 7%-ზე - ერთ კვირაზე მეტ პერიოდში.



შეტყობინების შემოსვლიდან ერთ კვირაზე მეტი დროის გასვლის შემდეგ გამოძიება დაიწყო 25 სისხლის სამართლის საქმეზე, ვინაიდან შეტყობინებები იყო ბუნდოვანი (არ იყო მკაფიო მითითება დანაშაულის ნიშნების შესახებ) და საჭირო გახდა დეტალების განმცხადებელთან დაზუსტება, რაც გამომძიებლის არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა დროულად შემდეგ მიზეზთა გამო:

- 14 სისხლის სამართლის საქმეზე სავარაუდო მსხვერპლი უარს აცხადებდა ადვოკატის მონაწილეობის გარეშე გასაუბრებაზე;
- 4 სისხლის სამართლის საქმეზე სავარაუდო მსხვერპლებმა პირველადი გასაუბრების ეტაპზე უარყვეს მათ მიმართ ძალადობის განხორციელების ფაქტი. აღნიშნულმა პირებმა გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ხელახლა მომართეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს იმავე ფაქტთან დაკავშირებით;
- 3 სისხლის სამართლის საქმეზე სავარაუდო მსხვერპლი უარს აცხადებდა ინფორმაციის მიწოდებაზე;
- 1 სისხლის სამართლის საქმეზე პირი იმყოფებოდა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. დაწესებულებას/მკურნალ ექიმს გაეგზავნა გამომძიებლის მიმართვა გასაუბრების ჩატარების შესაძლებლობის/მიზანშეწონილობის თაობაზე, თუმცა, პასუხის გამოგზავნამდე, პირი გაწერილი იქნა ფსიქიატრიული დაწესებულებიდან და მასთან გასაუბრება ჩატარდა პირველი შესაძლებლობისთანავე;
- 1 სისხლის სამართლის საქმეზე სავარაუდო მსხვერპლი იყო კოვიდინფიცირებული პატიმრის კონტაქტი და იმყოფებოდა იზოლაციაში - პენიტენციური დაწესებულების სპეციალურ სივრცეში, რის გამოც, დაწესებულების თანამშრომლებმა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელთან გასაუბრების მიზნით მისი წარმოდგენა უზრუნველყვეს იზოლაციის პერიოდის დასრულებისთანავე;
- 1 სისხლის სამართლის საქმეზე პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულმა სავარაუდო მსხვერპლმა უარი განაცხადა დისტანციურ გასაუბრებაზე, ხოლო პირადი გასაუბრების დაგეგმვას პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების გამო დასჭირდა გარკვეული დრო;
- 1 სისხლის სამართლის საქმეზე სავარაუდო მსხვერპლის გადაყვანა მოხდა ერთი პენიტენციური დაწესებულებიდან მეორეში, რის გამოც ვერ მოხდა სავარაუდო მსხვერპლთან დაუყოვნებლივ გასაუბრება.

სისხლის სამართლის საქმის კვალიფიკაცია

სისხლის სამართლის საქმეთა უმეტეს ნაწილზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით). 19 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით.

გამოძიების დაწყებისას ქმედებისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია



2021 წელს გამოძიებადაწყებული 365 სისხლის სამართლის საქმიდან პროკურორმა გამოძიების მიმდინარეობისას დანაშაულის კვალიფიკაცია შეცვალა შვიდ სისხლის სამართლის საქმეზე. კერძოდ:

- ოთხ სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) განსაზღვრული კვალიფიკაცია პროკურორმა შეცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით);

- ერთ სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) განსაზღვრული კვალიფიკაცია პროკურორმა შეცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, პირადი ღირსების შეურაცხყოფით);

- ერთ სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით) განსაზღვრული კვალიფიკაცია პროკურორმა შეცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა);

- ერთ სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით) განსაზღვრულ კვალიფიკაციას პროკურორმა დაამატა მეორე - სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლი (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) და გამოძიება გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით.

საბოლოოდ განსაზღვრული დანაშაულის კვალიფიკაცია



2019 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, პროკურორმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებული 703 სისხლის სამართლის საქმიდან 27-ზე შეცვალა კვალიფიკაცია.



პროკურორის მიერ დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის დეტალური სურათი შემდეგნაირად გამოიყურება:

- ათ სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) განსაზღვრული კვალიფიკაცია პროკურორმა შეცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით);

- ექვს სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით) განსაზღვრული კვალიფიკაცია პროკურორმა შეცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა);

- ხუთ სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) განსაზღვრულ კვალიფიკაციაში პროკურორმა დააზუსტა დამამძიმებელი გარემოებები და გამოძიება გაგრძელდა იმავე მუხლის სხვა მაკვალიფიცირებელი გარემოებებით;

- ოთხ სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით) განსაზღვრულ კვალიფიკაციას პროკურორმა დაამატა მეორე - სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება) და გამოძიება გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით;

- ერთ სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) განსაზღვრული კვალიფიკაცია პროკურორმა შეცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი პირადი ღირსების შეურაცხყოფით);

- ერთ სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით) განსაზღვრულ კვალიფიკაციას პროკურორმა დაამატა მეორე - სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლი (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) და გამოძიება გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით.

06

სავარაუდო მსხვერპლები

სავარაუდო მსხვერპლები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის ჩართულობას გამოძიების პროცესში და მის ინფორმირებას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, სავარაუდო მსხვერპლს ან მის წარმომადგენელს გარკვეული პერიოდულობით პროაქტიულად მიეწოდება ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შესახებ. ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი სავარაუდო მსხვერპლს ან/და მის წარმომადგენელს, მოთხოვნის ან პროკურორის მიერ გამოძიების შეწყვეტის/სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აწვდის შესაბამის ინფორმაციას.

ზემოაღნიშნული მიდგომით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში დამკვიდრებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ეფექტიანი გამოძიების - სავარაუდო მსხვერპლის გამოძიების პროცესში ჩართულობის - მაღალი სტანდარტი. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ არაერთ საქმეში ერთმანეთისგან არ განასხვავა პირები, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ დაზარალებულის სტატუსი და პირები, რომლებიც აღნიშნული სტატუსით არ სარგებლობდნენ და განმარტა, რომ სავარაუდო მსხვერპლებისთვის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობამ განმცხადებლებს წაართვა შესაძლებლობა, გამოეყენებინათ იერარქიული და სამართლებრივი ზომები, რათა გაესაჩივრებინათ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე გამოძიების გაჭიანურება და გამოძიების პროგრესის არარსებობა და კვალიფიკაციის შეცვლა.[13]

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ხაზს უსვამს მსხვერპლის ჩართულობის მნიშვნელობას და განმარტავს, რომ მსხვერპლი (ან მისი უფლებამონაცვლე) გამოძიების პროცესში უნდა იყოს იმ მოცულობით ჩართული, რომ დაცული იყოს მისი ლეგიტიმური ინტერესები.[14]

2021 წელს დაწყებულ 365 სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს 460 სავარაუდო მსხვერპლი, რომელთა უმრავლესობა (94%) არის მამრობითი სქესის, ხოლო 6% - მდედრობითი სქესის.

სავარაუდო მსხვერპლთა 97% სრულწლოვანია, ხოლო 3% - არასრულწლოვანი.

---

[13] იხ. MEMBERS OF GLDANI CONGREGATION OF JEHOVAH'S WITNESSES AND OTHERS V. GEORGIA, § 122-123; ასევე, BEGHELURI AND OTHERS V. GEORGIA, §140

[14] 14TH GENERAL REPORT ON THE CPT'S ACTIVITIES, CPT/INF (2004) 28, PARA. 36.

სავარაუდო მსხვერპლთა სქესი



სავარაუდო მსხვერპლთა ასაკი



სავარაუდო მსხვერპლთაგან 67 პირი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია, 23 - უცხო ქვეყნის მოქალაქე. სავარაუდო მსხვერპლთა 32% არის სისხლის სამართლის წესით, ხოლო 32% - ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირი, 19% - მოქალაქე, 8% - თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული, 5% - პატიმრობაში მყოფი ბრალდებული, 3% - მოწმე, ხოლო 1% - სხვა სტატუსის მქონე პირი.

სავარაუდო მსხვერპლთა საპროცესო სტატუსი



ადმინისტრაციულად დაკავებული/სახდელდადებული პირები, რომლებიც მიუთითებენ სამართალდამცავთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტზე, ძირითადად, დაკავებულები არიან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ორი მუხლით - წვრილმანი ხულიგნობა (166-ე მუხლი) და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლისთვის წინააღმდეგობის გაწევა (173-ე მუხლი).

სავარაუდო მსხვერპლთა მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები



სისხლის სამართლის წესით დაკავებული ან მსჯავრდებული პირები, რომლებიც სამართალდამცავთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტზე მიუთითებენ, ძირითადად, ბრალდებულები/მსჯავრდებულები არიან: საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (30%), მმართველობის წესის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის (21%), ნარკოტიკული დანაშაულისთვის (13%), სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (10%), ოჯახური დანაშაულისთვის (9%). საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (9%).

დანაშაულები, რომლებზეც ბრალდებულები/მსჯავრდებულები არიან სავარაუდო მსხვერპლები



07

შესაძლო დანაშაულის გარემოებები

შესაძლო დანაშაულის გარემოებიები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობა შეეხება სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მხრიდან განხორციელებული სავარაუდო ფიზიკური ძალადობის ფაქტს.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ დაწყებული გამოძიების ფარგლებში სავარაუდო მსხვერპლების 88% შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირებად ასახელებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, 11% - იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო 1% შემთხვევაში - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლებს.

უწყებები, რომლებზეც მიუთითებენ მსხვერპლები



2021 წელს სავარაუდო მსხვერპლთა 44%-მა დანაშაულის ჩადენის ადგილად დაასახელა თბილისი. ასევე, შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება აჭარაში - 16%, ქვემო ქართლში - 10% და იმერეთში - 10%. ოდნავ განსხვავებული იყო სურათი 2020 წელს, სავარაუდო მსხვერპლთა 50%-მა დანაშაულის ჩადენის ადგილად დაასახელა თბილისი, 12%-მა აჭარა, ხოლო 12%-მა - ქვემო ქართლი.

შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი



შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი 2020-2021 წელი



2021 წელს სავარაუდო მსხვერპლთა 43% სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ადგილად მიუთითებს ქუჩას, 25% - შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობას, 25% - ავტომანქანას, 9% - პენიტენციურ დაწესებულებას, 8% - სახლს/ბინას, ხოლო 3% - საჯარო თავშეყრის ადგილს (შენობა) და 3% - დროებითი მოთავსების იზოლატორს. ზოგ შემთხვევაში ერთმა და იმავე მსხვერპლმა შესაძლო დანაშაულის ჩადენის ადგილად დაასახელა რამდენიმე ადგილი.

შესაძლო დანაშაულის ჩადენის კონკრეტული ადგილი



აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით მცირედით შეიცვალა დანაშაულის ჩადენის ადგილები, რომლებზეც მსხვერპლები მიუთითებდნენ. მაგალითად, თუ წინა წელს სავარაუდო მსხვერპლთა 40% დანაშაულის ჩადენის ადგილად მიუთითებდა ქუჩას, 2021 წელს ქუჩა დანაშაულის ჩადენის ადგილად დაასახელა სავარაუდო მსხვერპლთა 43%-მა. ასევე, თუ 2020 წელს სავარაუდო მსხვერპლთა 31% მიუთითებდა დანაშაულის ჩადენის ადგილად პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაზე, 2021 წელს სავარაუდო მსხვერპლთა 25%-მა დაასახელა პოლიციის ადმინისტრაციული შენობა დანაშაულის ადგილად.

შესაძლო დანაშაულის ჩადენის კონკრეტული ადგილი



08

ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები

ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები

ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების რაოდენობა

2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა ჩაატარა სულ 13 022 საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება: გამოიკითხა 8 121 პირი (მათ შორის, 3 275 პირი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელია); დაინიშნა 770 ექსპერტიზა; ჩატარდა - 1 799 ინფორმაციის გამოთხოვა, 1 640 დათვალიერება, 434 ამოღება, 87 საგამოძიებო ექსპერიმენტი.



ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმდებები 2019 - 2021 წლები

2020 წელს, კორონავირუსით შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო მნიშვნელოვნად იყო შეფერხებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება. ამავე წელს სამსახურის გამომძიებლები მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის ოფისებში იყვნენ განთავსებულნი. შესაბამისად, გამომძიებლების დროის დიდი ნაწილი იხარჯებოდა შორ მანძილზე ტრანსპორტირებაში. 2021 წელს შემსუბუქდა პანდემიით განპირობებული შეზღუდვები, ამასთან, გაიხსნა სამსახურის ახალი ოფისი აჭარაში, რამაც შესაძლებელი გახადა გამომძიებელთა რესურსის უფრო ეფექტიანი გამოყენება და საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების დროულად ჩატარება.

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს შემსუბუქდა კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები, კვლავ მნიშვნელოვანი შეფერხებებით მიმდინარეობდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება. კერძოდ:

- ინფიცირების საფრთხის პირობებში, დაყოვნების ასაცილებლად, გასაუბრება უმეტესწილად ხორციელდებოდა დისტანციურად ან/და ტელეფონის საშუალებით;

- სირთულეს წარმოადგენდა მოწმეების გამოცხადება საგამოძიებო ორგანოში. მათი ნაწილი განმარტავდა, რომ იყვნენ კორონავირუსით ინფიცირებულები ან ვირუსით დაავადებულ პირთა კონტაქტები და იმყოფებოდნენ იზოლაციაში. ამასთან, ნაწილი, შეცვლილი სამუშაო გრაფიკის გამო, არ იმყოფებოდა ოფიციალურ წყაროებში მითითებულ ფაქტობრივ/რეგისტრაციის მისამართზე, რაც ართულებდა მათთან კომუნიკაციას;

- იყო შემთხვევები, როდესაც საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებულ პროცესის მონაწილეს აღენიშნებოდა ვირუსისთვის დამახასიათებელი ერთი ან რამდენიმე სიმპტომი, რის გამოც ვერ ხერხდებოდა მასთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება;

- სავარაუდო მსხვერპლთა ნაწილი აცხადებდა, რომ ძალადობის განხორციელებისას სამართალდამცველებს ეკეთათ პირბადეები, რის გამოც ვერ შეძლებდნენ მათ ამოცნობას.

ასევე, გართულებული იყო პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირებთან გამოკითხვის/გასაუბრების ჩატარება. ისეთ შემთხვევებში, როდესაც პროცესის მონაწილე ერთ-ერთი პირი მაინც (ადვოკატი, თარჯიმანი, არასრულწლოვნის წარმომადგენელი) არ იყო სრულად ვაქცინირებული, საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარება შესაძლებელი იყო მხოლოდ პაემნებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ოთახში, შუშის ბარიერს მიღმა. აღნიშნული იწვევდა სხვადასხვა სახის პრობლემებს: ა) ბარიერის ორივე მხარეს არსებული საერთო სივრცე, სადაც გამოსაკითხი პირის სიახლოვეს იმყოფებოდნენ პატიმრები და სხვა პირები, ართულებდა (ხოლო რიგ შემთხვევებში შეუძლებელს ხდიდა) საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას კონფიდენციალობის დაცვას; ბ) გართულებული იყო საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ვიდეო/აუდიო ჩანაწერებისა და სხვა მტკიცებულებების წარდგენა; გ) პროცესის მონაწილეებს შორის ინფორმაციის გაცვლა მიმდინარეობდა ტელეფონის საშუალებით, რაც მოითხოვდა ჩვეულებრივზე გაცილებით მეტ დროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, პანდემიის პირობებში, საგამოძიებო დეპარტამენტმა 24 საათიან რეჟიმში იმუშავა და შემჭიდროებულ ვადებში შეძლო გადაუდებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება. 2021 წელს ჩატარდა, წინა წელზე თითქმის ორჯერ მეტი - 7 518 საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, საიდანაც 64% იყო გამოკითხვა. გამოიკითხა 4 856 პირი, რომელთაგან 2 022 სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელია.

ჩატარებული საგამოძიებო საპროცესო მოქმედებები 2021 წელი



ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული სირთულეები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში განმცხადებლები, ძირითადად, მიუთითებენ სავარაუდო ფიზიკურ ძალადობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეთა უმეტეს ნაწილზე, სამსახურის მიერ ინიშნება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. სამსახური ექსპერტიზის ჩატარებისთვის მიმართავს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რათა თავიდან აიცილოს კითხვის ნიშნები ექსპერტის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაზე.

2021 წელს საგამოძიებო დეპარტამენტმა დანიშნა 416 ექსპერტიზა, მათ შორის 339 სამედიცინო ექსპერტიზა, ხოლო 77 სხვა სახის ექსპერტიზა (მათ შორის 8 კომპიუტერული ექსპერტიზა). წინა წელთან შედარებით 45%-ით გაიზარდა სამედიცინო ექსპერტიზის, ხოლო 67%-ით სხვა სახის ექსპერტიზის დანიშვნის მაჩვენებელი.

დანიშნული ექსპერტიზა



2021 წელს სამედიცინო ექსპერტთან შემოწმებაზე პირადად გამოცხადდა 214 პირი,[15] ხოლო 166-მა პირმა უარი განაცხადა ექსპერტთან გამოცხადებაზე. 102 შემთხვევაში (მათგან, 13 სამედიცინო კომისიური ექსპერტიზა) სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო 23 შემთხვევაში დანიშნულია გვამის სამედიცინო ექსპერტიზა.

სამედიცინო ექსპერტთან შემოწმებაზე უარის ძირითად მიზეზად 97-მა სავარაუდო მსხვერპლმა (58%) სხეულზე დაზიანებების არარსებობა დაასახელა, ხოლო 69 სავარაუდო მსხვერპლმა (42%) სხვადასხვა მიზეზით თავი აარიდა ექსპერტიზაზე გამოცხადებას (სავარაუდო მსხვერპლთა გარკვეულმა ნაწილმა არ განმარტა უარის კონკრეტული მიზეზები, ზოგმა მათგანმა არ ითანამშრომლა გამოძიებასთან, ზოგმა კი უარყო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ძალადობის ფაქტი და ამ მოტივით განაცხადა უარი ექსპერტიზის ჩატარებაზე).

ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმის მიზეზი



[15] რიგ შემთხვევებში ერთი პირის მიმართ დაინიშნა რამდენიმე სამედიცინო ექსპერტიზა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის რამდენიმე ეპიზოდთან დაკავშირებით. ამას გარდა, ინფორმაციის სრულყოფილად მიღების მიზნით, რიგ შემთხვევებში ერთი პირის მიმართ ერთსა და იმავე ფაქტთან დაკავშირებით დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა, როგორც პირის პირადი წარდგენით, ისე სამედიცინო დოკუმენტაციაზე.

დანიშნული 416 ექსპერტიზიდან დასკვნა მიღებულია 316-ზე (76%), ხოლო 339 პირის მიმართ დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზიდან დასკვნა მიღებულია 274 პირზე (81%). სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები, ძირითადად, მიღებულია 15-30 და 31-60 დღის ვადაში, ხოლო სხვა სახის ექსპერტიზის დასკვნები - 31-60 დღის ვადაში.

ექსპერტიზის დასკვნის მიღების ვადა



უნდა აღინიშნოს დადებითი ტენდენცია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მხრიდან სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების დროულად მომზადებასთან და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ექსპერტიზის ჩატარების ვადების გარკვეულწილად შემცირებასთან დაკავშირებით (მაგალითად, თუ 2020 წელს, 1 თვის ვადაში მიღებული იყო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების 35%, 2021 წელს ამავე ვადაში მიღებული იქნა 42%), თუმცა 2021 წელს გაზრდილია მიუღებელი დასკვნების რაოდენობა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტს არ მიუღია ექსპერტიზის დასკვნა დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზების 19%-ზე, ხოლო სხვა სახის ექსპერტიზების 45%-ზე.

დანიშნული რვა კომპიუტერული ექსპერტიზიდან დასკვნა მიღებულია ორ მათგანზე. დასკვნის მიღების ვადა ერთ შემთხვევაში მიღებული იქნა 60 დღის შემდეგ, ხოლო მეორე შემთხვევაში - 90-ზე მეტის დღის გასვლის შემდეგ.



განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული კომისიური სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. ამგვარი ექსპერტიზის ჩატარების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პროცედურა მნიშვნელოვნად აფერხებს დროული და სრულყოფილი გამოძიების ჩატარებას. ასეთი სახის ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, საგამოძიებო დეპარტამენტი მიმართავს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რომელიც კომისიისთვის შესაბამისი დარგის ექიმ-სპეციალისტების გამოყოფაზე თხოვნას უგზავნის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. ექიმ-სპეციალისტებს კომისიაში მონაწილეობის მოტივაცია არ აქვთ, რადგან ეს გულისხმობს დიდი მოცულობით სამუშაოს შესრულებას (ექსპერტიზაზე წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობა, საკონსულტაციო პასუხებისა და ექსპერტიზის დასკვნის მომზადება). ამასთან, ამ სამუშაოსთვის ანაზღაურებას არ ითვალისწინებს არც ექსპერტიზის ბიურო და არც სამინისტრო. რამდენადაც კომისიურ ექსპერტიზაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, ექიმ-სპეციალისტები უარს აცხადებენ. ამ მიზეზების გამო, ექსპერტიზა ჭიანურდება რამდენიმე თვის (წლის) განმავლობაში.

წინა წელთან შედარებით 6.5-ჯერ გაზრდილია კომისიური სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის მაჩვენებელი. 2021 წელს დანიშნულია 13 კომისიური სამედიცინო ექსპერტიზა და დასკვნა მიღებულია მხოლოდ ერთ მათგანზე (90-ზე მეტი დღის ვადაში).

საჯარო უწყებებიდან ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული სირთულეები

მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში, სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური წერილობით მიმართავს იმ სახელმწიფო უწყებას, რომლის თანამშრომლის მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულსაც იძიებს. ვინაიდან სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა 88% შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სავარაუდო დანაშაულებს, ყველაზე მეტი წერილობითი მიმართვა იგზავნება სწორედ ამ სამინისტროში.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა საჯარო უწყებებში 1 405 წერილი გაგზავნა: აქედან ყველაზე მეტი - 855 (61%) - შინაგან საქმეთა სამინისტროში, 286 (20%) - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, 177 (13%) - სასამართლოში, 28 (2%) - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, 1 (0,1%) - პროკურატურაში და 58 (4%) - სხვა საჯარო სამსახურებში. 2021 წლის მონაცემები ცხადყოფს, რომ მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხები უმეტესწილად მიღებულია 1-7 დღის განმავლობაში, თუმცა არის შემთხვევები, როცა ინფორმაციის მოწოდება რამდენიმე თვე ჭიანურდება.

საჯარო უწყებებში გაგზავნილი წერილები
2020 - 2021 წლები

მოთხოვნილი ინფორმაციის დროულად მოწოდების მაჩვენებლებით, გამოირჩევა შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი, სადაც ყველაზე მეტი მოთხოვნა გაიგზავნა და პასუხების უმრავლესობა მიღებულია შვიდი დღის ვადაში.

ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მოთხოვნილი ინფორმაცია, ძირითადად, 14 დღის ვადაში მოეწოდება (იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი). საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში (ისევე როგორც ტერიტორიულ დანაყოფებში) გაგზავნილი წერილების უმრავლესობა შეეხება შემდეგ საკითხებს: დამკავებელ და შემთხვევის ადგილზე მყოფ პირთა ვინაობა, დაკავების კონკრეტული ადგილის იდენტიფიცირება, საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა სამხრე კამერების საიდენტიფიკაციო ნომრების დადგენა, ბორტის ჩანაწერების არსებობა.

რაც შეეხება სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდგომ ყველაზე ბევრი მოთხოვნა გაიგზავნა (284 წერილი), იკვეთება გარკვეული შეფერხებები ვადებთან დაკავშირებით. თუმცა ეს ვიდეოკამერების ჩანაწერთა გამოთხოვის მხრივ პრობლემას არ ქმნის, ვინაიდან სამსახური დაუყოვნებლივ აარქივებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მოთხოვნილ ჩანაწერებს და უზრუნველყოფს მათ მოწოდებას.

სასამართლოდან დაგვიანებით მიღებული პასუხები (რომლებიც დაგვიანებასთან ერთად, არასრულყოფილად იგზავნება და რიგი საკითხების დაზუსტება გამომძიებლებს უწევთ სატელეფონო კომუნიკაციის გზით), აფერხებს სასამართლო სხდომის ოქმებისა და მხარეთა მიერ პროცესზე წარდგენილი ვიდეოჩანაწერების დროულად მოპოვებას, რომელთა საფუძველზეც იგეგმება შემდგომი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები (განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შეტყობინება იგზავნება დანაშაულის ჩადენიდან დიდი დროის გასვლის შემდეგ და საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა სამხრე კამერების ჩანაწერები, ვადის გასვლის გამო, აღარ ინახება ,,112“-ში, თუმცა ისინი წარდგენილია სასამართლოში).

მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდების მაჩვენებლები (2020-2021 წლებში) მოცემულია ცხრილში[16]:

[16] წითელი ისრის მიმართულება მიუთითებს 2021 წლის მაჩვენებლის დამოკიდებულებას 2020 წლის მაჩვენებელთან. კერძოდ, ზემოთ მიმართული წითელი ისარი მიუთითებს მაჩვენებლის ზრდაზე, ხოლო ქვემოთ მიმართული წითელი ისარი - მაჩვენებლის კლებაზე. ამასთან, 2021 წლის ბოლოსთვის მიღებული არ იყო პასუხი 39 წერილზე. შესაბამისად, ისინი არ არის მითვლილი ცხრილში არსებულ მონაცემებზე.

მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდების ვადა	წელი	1-7 დღე	8-14 დღე	15-30 დღე	31-60 დღე	61-90 დღე	90-ზე მეტი დღე	ჯამი
შინაგან საქმეთა სამინისტრო								
შსს, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი	2020 წელი	98%	1%	1%				206
	2021 წელი	↓ 79%	↑ 20%	1%	-	-	-	↑ 266
შსს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი („112“)	2020 წელი	49%	30%	19%	2%	-	-	43
	2021 წელი	↑ 56%	↑ 36%	↓ 8%	-	-	-	↑ 48
შსს, ტერიტორიული დანაყოფები (პოლიციის დეპარტამენტები)	2020 წელი	34%	28%	26%	8%	3%	1%	152
	2021 წელი	↓ 23%	↑ 39%	↑ 29%	↓ 7%	↓ 1%	1%	↑ 259
შსს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი	2020 წელი	20%	35%	42%	2%	1%	-	102
	2021 წელი	↑ 37%	↓ 34%	↓ 28%	↓ 1%	-	-	↑ 139
შსს, სხვა დანაყოფები	2020 წელი	70%	20%	9%	1%	-	-	135
	2021 წელი	↓ 61%	↑ 28%	↓ 8%	↑ 3%	-	-	↓ 117

მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდების ვადა	წელი	1-7 დღე	8-14 დღე	15-30 დღე	31-60 დღე	61-90 დღე	90-ზე მეტი დღე	ჯამი
სხვა საჯარო უწყებები								
პროკურატურა	2020 წელი	100%	-	-	-	-	-	2
	2021 წელი	100%	-	-	-	-	-	↓ 1
ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები	2020 წელი	91%	9%	-	-	-	-	12
	2021 წელი	↓ 79%	↑ 21%	-	-	-	-	↑ 28
სპეციალური პენიტენციური სამსახური	2020 წელი	47%	33%	16%	4%	-	-	289
	2021 წელი	↓ 49%	↑ 39%	↑ 11%	↓ 1%	-	-	↓ 284
სასამართლო	2020 წელი	42%	37%	11%	6%	2%	2%	123
	2021 წელი	↓ 28%	37%	↑ 28%	↓ 5%	↓ 1%	↓ 1%	↑ 167
სხვა საჯარო უწყება	2020 წელი	65%	24%	7%	2%	-	2%	58
	2021 წელი	↓ 60%	↑ 32%	↓ 3%	↑ 3%	-	2%	↓ 57

აუდიო-ვიდეოჩანაწერების მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა სავარაუდო დანაშაულის ადგილზე განთავსებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის ჩანაწერები (აუდიო-ვიდეოჩანაწერები). შესაბამისად, აუდიო-ვიდეოჩანაწერების გამოთხოვა ხდება სხვადასხვა საჯარო დაწესებულებისა და კერძო პირისაგან.

2019 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა 1 658-ჯერ გამოითხოვა საქმისთვის მნიშვნელოვანი აუდიო/ვიდეოჩანაწერები სხვადასხვა საჯარო დაწესებულებისა და კერძო პირისგან.

დაწესებულებები, რომლებიდანაც გამოთხოვილია აუდიო/ვიდეო ჩანაწერები 2019-2021 წლები



რაც შეეხება 2021 წელს, ვიდეოჩანაწერები უმეტეს შემთხვევაში გამოთხოვილია სასამართლოს განჩინების საფუძველზე, გარდა სამი შემთხვევისა. კერძოდ, გადაუდებელი აუცილებლობით, პროკურორის დადგენილების საფუძველზე, ვიდეოკამერის ჩანაწერები გამოთხოვილი იქნა: შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან („112“) - ადმინისტრაციული შენობის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერის ჩანაწერი, სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან - პენიტენციური დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერის ჩანაწერი და კერძო პირისგან/ორგანიზაციიდან - გარე პერიმეტრის მაკონტროლებელი ვიდეოკამერის ჩანაწერი.

2021 წელს საგამოძიებო დეპარტამენტმა 366 სისხლის სამართლის საქმეზე 941-ჯერ გამოითხოვა საქმისთვის მნიშვნელოვანი აუდიო/ვიდეოჩანაწერები სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან და კერძო პირისაგან. მათი 37% გამოთხოვილია შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან („112“)[17], 34% - ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან, 10% - სასამართლოდან, 8% - სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან[18], 4% - შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან[19], 3% - შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან[20], ხოლო 4% - სხვა საჯარო დაწესებულებიდან.

[17] შსს-ს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში ინახება შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების (პოლიციის დეპარტამენტების) ადმინისტრაციულ შენობებში დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერებისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა სამხრე ვიდეოკამერების ჩანაწერები.

[18] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტში ინახება პენიტენციურ დაწესებულებებში დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერები

[19] შსსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში ინახება საპატრულო პოლიციის ავტომანქანების ვიდეო რეგისტრატორით გადაღებული ჩანაწერები.

[20] შსსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში ინახება დროებითი მოთავსების იზოლატორებში დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერები.

რაც შეეხება ვიდეოჩანაწერთა მოწოდების მდგომარეობას, ერთადერთი უწყება, რომელმაც 2021 წელს საგამოძიებო დეპარტამენტს მოაწოდა ყველა გამოთხოვილი ჩანაწერი, არის სასამართლო. მაღალია, თუმცა წინა წელთან შედარებით, შემცირებულია, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან და სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან, ვიდეოჩანაწერების მოწოდების პროცენტული მაჩვენებელი.

შედარებით დაბალია, თუმცა წინა წელთან შედარებით გაზრდილია, შინაგან საქმეთა სამინისტროდან ვიდეოჩანაწერების მოწოდების მაჩვენებელი. მაშინ როცა, სავარაუდო მსხვერპლთა 43% სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ადგილად მიუთითებს ქუჩას, 25% - შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობას, 25% კი - პოლიციის ავტომანქანას, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებითად მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა სწორედ საპატრულო პოლიციის სამხრე კამერებისა და პოლიციის განყოფილების შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების სრულყოფილად მოწოდება.

	მოთხოვნილი ჩანაწერების რაოდენობა	მოწოდებულია სრულად	ნაწილობრივ	გამოთხოვის პროცესშია	არ არის მოწოდებული
სასამართლო	90	100%	-	-	-
შსს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი („112“), შეტყობინების აუდიო ჩანაწერი	3	100%	-	-	-
კერძო პირის/ორგანიზაციის საკუთრებაი	326	94%	1%	2%	3%
შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი	31	91%	-	3%	6%
სხვა საჯარო დაწესებულება	35	85%	3%	3%	9%
სპეციალური პენიტენციური სამსახური	75	83%	13%	1%	3%
შსს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი („112“), პოლიციის განყოფილების შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერები	202	74%	3%	2%	21%

	მოთხოვნილი ჩანაწერების რაოდენობა	მოწოდებულია სრულად	ნაწილობრივ	გამოთხოვის პროცესშია	არ არის მოწოდებული
შსს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი („112“), გარე სამეთვალყურეო ვიდეოკამერები	48	73%	2%		25%
შსს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი	42	67%	10%	2%	21%
შსს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი („112“), სამხრე კამერები	88	58%	38%	-	4%
შსს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი („112“), ჩამწერი მოწყობილობის „მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონულ ჟურნალში“ არსებული ინფორმაცია	1	-	-	-	100%

მოთხოვნილი აუდიო-ვიდეო ჩანაწერების (2020-2021 წლებში)[21] გადმოცემის მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი მოცემულია ცხრილში:

	წელი	მოთხოვნილი ჩანაწერების რაოდენობა	მოწოდებულია სრულად	ნაწილობრივ	გამოთხოვის პროცესშია	არ არის მოწოდებული
შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი	2020	14	100%	-	-	-
	2021	↑ 31	↓ 91%	-	↑ 3%	↑ 6%
სპეციალური პენიტენციური სამსახური	2020	53	87%	13%	-	-
	2021	↑ 75	↓ 83%	13%	↑ 1%	↑ 3%
კერძო პირის/ორგანიზაციის საკუთრება	2020	181	87%	2%	-	11%
	2021	↑ 326	↑ 94%	↓ 1%	↑ 2%	↓ 3%
სასამართლო	2020	4	50%	50%	-	-
	2021	↑ 90	↑ 100%	↓ -	-	-
სხვა საჯარო დაწესებულება	2020	16	81%	6%	-	13%
	2021	↑ 35	↑ 85%	↓ 3%	↑ 3%	↓ 9%
შსს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი	2020	49	41%	10%	-	49%
	2021	42	67%	10%	2%	21%
შსს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი („112“), გარე სამეთვალყურეო ვიდეოკამერები	2020	36	67%	14%	-	19%
	2021	↑ 48	↑ 73%	↓ 2%	-	↑ 25%

[21] წითელი ისრის მიმართულება მიუთითებს 2021 წლის მაჩვენებლის დამოკიდებულებას 2020 წლის მაჩვენებელთან. კერძოდ, ზემოთ მიმართული წითელი ისარი მიუთითებს მაჩვენებლის ზრდაზე, ხოლო ქვემოთ მიმართული წითელი ისარი - მაჩვენებლის კლებაზე.

	წელი	მოთხოვნილი ჩანაწერების რაოდენობა	მოწოდებულია სრულად	ნაწილობრივ	გამოთხოვის პროცესშია	არ არის მოწოდებული
შსს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი („112“), პოლიციის განყოფილების შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერები	2020	140	53%	9%	-	38%
	2021	↑ 202	↑ 74%	↓ 3%	↑ 2%	↓ 21%
შსს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი („112“), სამხრე კამერები	2020	66	48%	34%	-	18%
	2021	↑ 88	↑ 58%	↑ 38%	-	↓ 4%
შსს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი („112“), შეტყობინების აუდიო ჩანაწერი	2020	-	-	-	-	-
	2021	↑ 3	↑ 100%	-	-	-
შსს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი („112“), ჩამწერი მოწყობილობის „მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონულ ჟურნალში“ არსებული ინფორმაცია	2020	-	-	-	-	-
	2021	↑ 1	-	-	-	↑ 100%

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე, სადაც სავარაუდო მსხვერპლები მიუთითებდნენ პოლიციის განყოფილებებში მათ მიმართ სამართალდამცავთა მხრიდან განხორციელებული ძალადობის შესახებ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას პოლიციის ადმინისტრაციული შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები წარმოადგენს. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გამოძიების დაწყებისთანავე (ან იმ მომენტიდან, როცა სამსახურისთვის ცნობილი ხდება შესაძლო დანაშაულის პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში ჩადენის შესახებ) დაუყოვნებლივ მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნული ჩანაწერების მოთხოვნით. სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში მათი მოწოდება არ ხდება, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მათი მოთხოვნის დროისათვის არ არის გასული შენახვის ვადა.[22]

დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა „112“-ს 14 დღის ვადაში მიმართა სასამართლოს განჩინებით ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ, თუმცა ცენტრის მიერ ჩანაწერების მოწოდება არ მოხდა. აღნიშნულის მიზეზად დასახელდა ჩამწერი მოწყობილობის მყარ დისკზე ვიდეოჩანაწერის არარსებობა.

ვიდეოჩანაწერების არარსებობის კონკრეტული მიზეზების დასადგენად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა სხვადასხვა მოქმედებები განახორციელა. კერძოდ:

- ყველა ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ ,,112''-ს და მოითხოვა ინფორმაცია ვიდეოჩანაწერების არარსებობის კონკრეტული მიზეზების თაობაზე და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები;

- რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე (სადაც გაჩნდა ვიდეოჩანაწერების განზრახ წაშლის ეჭვი), პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული სასამართლოს განჩინებით „112“-დან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ ჩამწერ მოწყობილობაში განხორციელებული ელექტრონული მოქმედებების (ვიდეოჩანაწერებზე წვდომის განმახორციელებელი მომხმარებლის სახელის, წვდომის თარიღის, წვდომის ხანგრძლივობის, წვდომის ფორმის (დათვალიერების, შენახვის, დაარქივების, გადმოწერის, წაშლის) თაობაზე. აღნიშნული განჩინებების საფუძველზე გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ვიდეოჩამწერი მოწყობილობის „მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონულ ჟურნალში“, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ინფორმაციის მოწოდებამდე პერიოდში, მოწყობილობის სისტემაში მომხმარებლის მხრიდან განხორციელებულ პირველ მოქმედებად ფიქსირდებოდა მოწყობილობის სისტემის თარიღისა და დროის

[22] ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის №53 ბრძანების დანართის თანახმად, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის ვადა დამოკიდებულია ტექნიკური საშუალების მახასიათებელზე და ინახება არანაკლებ 14 დღის ვადით.

შეცვლა (კერძოდ, დრო ხელოვნურად იყო გადაწეული 2000 წლიდან რეალურ დროზე, რაც აჩენდა ძველი დროით გარკვეული მოქმედებების განხორციელების ეჭვს), ხოლო ამავე პერიოდში, რაიმე ვიდეოჩანაწერი არ იძებნებოდა ან/და მოწყობილობაში რაიმე მოქმედების განხორციელების კვალი (ლოგი) არ ფიქსირდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ კომპიუტერული სისტემის მექანიზმის ზოგადი ფუნქციები იძლევა როგორც სისტემის პარამეტრების საწყის ეტაპზე დაბრუნების (RESET/FORMAT) და ნებისმიერი მოქმედების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალის (LOG)-ის წაშლის, ასევე, სისტემის დროის რეალურისგან განსხვავებულ დროზე ხელოვნურად შეცვლის შესაძლებლობას, სრულყოფილი გამოძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად, რიგ შემთხვევებში აუცილებელი იყო „მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალის“ (LOG-ის) სრული ინფორმაციის გამოთხოვა, ხელოვნურად შეცვლილ დროში განხორციელებული ელექტრონული მოქმედებების იდენტიფიცირების მიზნით. ვინაიდან გენერალურ პროკურატურას ჰქონდა განსხვავებული აზრი აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილემ სისხლის სამართლის ორ საქმეზე ზედამხედველ პროკურორს გაუგზავნა წინადადება, პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებული ჩამწერი მოწყობილობებიდან, დროის შუალედის მითითების გარეშე, „მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალის“ (LOG-ის) სრული ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე. ზედამხედველი პროკურორის მხრიდან წინადადებები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მის მიერ სასამართლოში წარდგენილი იქნა შუამდგომლობები ჩამწერი მოწყობილობებიდან არა დროის ნებისმიერ მონაკვეთში, არამედ მხოლოდ შესაძლო ძალადობის პერიოდში განხორციელებული ელექტრონული მოქმედებების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვის ნაწილში, რაც, ცხადია გამოძიებისათვის არ აღმოჩნდა დამატებითი ან/და ღირებული ინფორმაციის მოპოვების საშუალება;

- რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ამოღებული იქნა პოლიციის ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებული ვიდეოჩამწერი მოწყობილობები. გამოძიებისთვის საინტერესო, შესაძლო წაშლილი, ვიდეოჩანაწერის აღდგენისა და ვიდეოჩამწერ მოწყობილობაზე განხორციელებული ელექტრონული მოქმედებების (LOG-ების) შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, სამსახურის მიერ დაინიშნა საინფორმაციო-ტექნოლოგიური ექსპერტიზა. ექსპერტიზების დანიშვნიდან გასულია რამდენიმე თვე, თუმცა დასკვნები ამ დრომდე მიღებული არ არის;

- მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ არაერთ სისხლის სამართლის საქმეზე გამოიკვეთა ვიდეოჩანაწერების მოუწოდებლობის ტენდენცია, სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა ინფორმაცია მიაწოდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სამართალდამცავ ორგანოებზე (პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე) ზედამხედველობის განმახორციელებელ დეპარტამენტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ვიდეოჩანაწერების უსაფრთხოების მიზნით მიღებული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის შესწავლის მიზნით.[23]

[23] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შემოწმების შესახებ ინფორმაცია მოცემულია აღნიშნული ანგარიშის შესაბამის თავში - ,,სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემების დამუშავება“.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ვიდეოჩანაწერებს ითხოვდა იმ კერძო დაწესებულებებიდანაც, რომელთა მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცავთა მიერ განხორციელდა სავარაუდო ძალადობა. კერძო დაწესებულებებშიც დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ჩამწერ მოწყობილობებში ვერ იქნა აღმოჩენილი ვიდეოჩანაწერები, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო გასული ჩანაწერების შენახვის ვადა. მათი არარსებობის მიზეზის დასადგენად, სამსახურის მიერ კერძო დაწესებულებებიდან ამოღებული იქნა ჩამწერი მოწყობილობები და მათზე დაინიშნა საინფორმაციო-ტექნოლოგიური ექსპერტიზა. ერთ-ერთ საქმეზე მიღებული ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა ვიდეოჩანაწერების წაშლის ფაქტი. ამავე საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებით ასევე დადგინდა, რომ ვიდეოჩანაწერების წაშლა განხორციელდა პოლიციის თანამშრომელთა ჩამწერ მოწყობილობებთან უშუალო წვდომის დროს. ვინაიდან იკვეთებოდა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები (მტკიცებულების განადგურება, რაც არ განეკუთვნება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას), 2021 წლის დასაწყისში ზედამხედველ პროკურორს გაეგზავნა წერილი მტკიცებულების განადგურების ფაქტზე სისხლის სამართლის ცალკე წარმოებად გამოყოფისა და უფლებამოსილი საგამოძიებო ორგანოსთვის მისი გამოსაძიებლად გადაცემის ან ცალკე წარმოებად გამოყოფის გარეშე სისხლის სამართლის საქმის სრული მოცულობით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის გადაცემის შესახებ. ზედამხედველ პროკურორს სამსახურისთვის არ უცნობებია მასზე განხორციელებული რეაგირება ან/და რეაგირების განუხორციელებლობის მიზეზი.

სამართალდამცავ ორგანოთა მიერ დამონტაჟებული ვიდეოთვალთვალის სისტემების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა პირის უსაფრთხოების დაცვა. შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია, ასეთი ორგანოს თანამშრომლისგან შესაძლო ძალადობის შემთხვევაში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს შეუფერხებლად მიეწოდებოდეს ვიდეოჩანაწერები, ხოლო მიუწოდებლობის შემთხვევებში, შესაძლებელი იყოს მიზეზის დადგენა. სამართალდამცავ ორგანოში ვიდეოთვალთვალის სისტემები ტექნიკურად უნდა იყოს გამართული იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდეს ჩანაწერთა შემთხვევითი ან განზრახ განადგურება.

09

საპროკურორო საქმიანობა სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე

საპროკურორო საქმიანობა სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე

09

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე გამოძიებადაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებზე გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 13 სისხლის სამართლის საქმეზე 17 პირის მიმართ. აღნიშნული 17 პირიდან 12 პირი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ხოლო ხუთი პირი - სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელი.

აღნიშნული 17 ბრალდებულიდან სამი პირი არის მდედრობითი სქესის, ხოლო 14 პირი - მამრობითი სქესის წარმომადგენელი.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



ზემოაღნიშნული 17 პირიდან:

- 5 პირს (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს) ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით), აღნიშნული ხუთი პირიდან პროკურორმა ერთი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ დააზუსტა ბრალი და სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობითა და პირადი ღირსების შეურაცხყოფით);

- 5 პირს (სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებს) ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია);

- 1 პირს (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს) ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება იარაღის გამოყენებით);

- 1 პირს (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს) ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება - ორი ეპიზოდი);

- 1 პირს (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს) ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა);

- 1 პირს (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს) ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი პირადი ღირსების შეურაცხყოფით - სამი ეპიზოდი). აღნიშნული პირის მიმართ პროკურორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ, დააზუსტა ბრალი და სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი პირადი ღირსების შეურაცხყოფით - ორი ეპიზოდი) და სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა - ერთი ეპიზოდი);

- 1 პირს (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს) ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით - ერთი ეპიზოდი) და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება პირადი ღირსების შეურაცხყოფით - ორი ეპიზოდი). აღნიშნული პირის მიმართ პროკურორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ, დააზუსტა ბრალი და სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით - ერთი ეპიზოდი), ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი პირადი ღირსების შეურაცხყოფით - ერთი ეპიზოდი) და სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა);

- 1 პირს (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს) ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება);

- 1 პირს (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს) ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ძალადობა).

დასაბუთებული წინადადებები გენერალურ პროკურატურას

2020-2021 წლებში, სახელმწიფო ინსპექტორმა და მისმა მოადგილემ, ,,სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, პროკურატურას მიმართეს 33 დასაბუთებული წინადადებით.

აღნიშნული 33 დასაბუთებული წინადადებიდან სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილმა მოადგილემ, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზემდგომ პროკურორს ხუთი დასაბუთებული წინადადებით მიმართა ხუთი პირის (შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხი და სპეციალური პენიტენციური სამსახურის ერთი თანამშრომლის) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე, ვინაიდან შეკრებილი იყო მტკიცებულებები, რომლებიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიუთითებდა კონკრეტული პირის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ჩადენაზე. აღნიშნული დასაბუთებული წინადადებებიდან არცერთი იქნა დაკმაყოფილებული ზედამხედველი პროკურორის მიერ.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილმა მოადგილემ, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზემდგომ პროკურორს დასაბუთებული წინადადებით მიმართა სამი პირის (სპეციალური პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე, ვინაიდან შეკრებილი იყო მტკიცებულებები, რომლებიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიუთითებდა კონკრეტული პირების მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ჩადენაზე. აღნიშნული დასაბუთებული წინადადება იყო პირველი პრეცედენტი, როცა გენერალურმა პროკურატურამ დააკმაყოფილა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიმართვა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე.

სახელმწიფო ინსპექტორმა მხოლოდ ერთ შემთხვევაში (2021 წელს) მიმართა დასაბუთებული წინადადებით გენერალურ პროკურორს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე. აღნიშნულით გასაჩივრდა ზედამხედველი პროკურორის უარი სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილის მიერ წარდგენილი წინადადებაზე, რომელიც შეეხებოდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას. საქართველოს გენერალურმა პროკურორმა მისი უფლებამოსილების განხორციელების დელეგირება მოახდინა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი დეპარტამენტის უფროსზე, რომელმაც არ დააკმაყოფილა სახელმწიფო ინსპექტორის წინადადება.

ბრალდებულთა მიმართ მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

2019 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე გამოძიებადაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებზე გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული 17 ბრალდებულიდან ათს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებოდა გირაო, ხოლო შვიდს - პატიმრობა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მხოლოდ ერთი ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახე და პატიმრობის ნაცვლად, ბრალდებულს შეუფარდა გირაო. ექვს პირს შეეფარდა პატიმრობა, ხოლო 11 პირს - გირაო.

რაც შეეხება 2021-2022 წლებს, გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული 11 ბრალდებულიდან შვიდს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებოდა გირაო (ხუთი პირის მიმართ მოთხოვნილი იყო გირაოს შეფარდება 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო ორი პირის მიმართ 3 000 ლარის ოდენობით), ხოლო ოთხს - პატიმრობა. სასამართლომ დააკმაყოფილა ყველა ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახე. ოთხ პირს შეეფარდა პატიმრობა, ხოლო შვიდ პირს გირაო (ექვს პირს შეეფარდა გირაო 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო ერთ პირს - 3 000 ლარის ოდენობით).

პროკურორის მიერ მოთხოვნილი და სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები



სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები

2020 წლიდან დღემდე გამოძიებადაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი გამოიტანა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოძიებულ ცხრა სისხლის სამართლის საქმეზე ათი პირის მიმართ (2019 წელს განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა). სასამართლომ განაჩენი სამი პირის მიმართ გამოიტანა არსებითი განხილვით, ხოლო შვიდი ბრალდებულის მიმართ - საქმის არსებითი განხილვის გარეშე (საპროცესო შეთანხმების საფუძველზე).

ცხრა სისხლის სამართლის საქმიდან, ოთხ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაწყებულია 2019 წელს, ოთხზე - 2020 წელს, ხოლო 1 სისხლის სამართლის საქმე 2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტს გადმოეცა წარმოებაში.

სასამართლოს მიერ გამოტანილი შემაჯამებელი გადაწყვეტილებები



ზემოაღნიშნული ათი მსჯავრდებულიდან რვა პირი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ხოლო ორი პირი - სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელი.

ათი მსჯავრდებულიდან რვა პირი არის მამრობითი სქესის, ხოლო ორი პირი - მდედრობითი სქესის წარმომადგენელი.

აღნიშნული ათი პირიდან:

- 4 პირის (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების) მიმართ გამოტანილია სრულად გამამტყუნებელი განაჩენი, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით);

- 2 პირის (სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების) მიმართ გამოტანილია სრულად გამამტყუნებელი განაჩენი, სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისთვის (სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია);

- 1 პირის (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის) მიმართ გამოტანილია ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი. კერძოდ, ბრალდებული დამნაშავედ ცნეს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება) გათვალისწინებული ერთი ეპიზოდისათვის და გამართლდა ამავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მეორე ეპიზოდში;

- 1 პირის (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის) მიმართ გამოტანილია სრულად გამამტყუნებელი განაჩენი, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი იარაღის გამოყენებით);

- 1 პირის (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის) მიმართ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილია ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი. კერძოდ ბრალდებული დამნაშავედ ცნეს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი პირადი ღირსების შეურაცხყოფით) გათვალისწინებული ერთი ეპიზოდისთვის და სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით ჯგუფურად) გათვალისწინებული ერთი ეპიზოდისთვის, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობის გამოყენებით) გათვალისწინებული ერთი ეპიზოდისთვის უდანაშაულოდ ცნეს;

- 1 პირის (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიმართ) გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენილი. კერძოდ, ბრალდებული დამნაშავედ ცნეს სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით ორი ან მეტი პირის მიმართ) გათვალისწინებული ერთი ეპიზოდისთვის და სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი პირადი ღირსების შეურაცხყოფით) გათვალისწინებული ორი ეპიზოდისთვის.

რაც შეეხება 2021 წელს, პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი გამოიტანა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ ხუთ სისხლის სამართლის საქმეზე, ხუთი პირის მიმართ. ოთხ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაწყებულია 2020 წელს, ხოლო ერთი სისხლის სამართლის საქმე 2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტს გადმოეცა წარმოებაში.

ხუთივე სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. დამნაშავედ იქნა ცნობილი სპეციალური პენიტენციური სამსახურის ორი და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამი თანამშრომელი. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ განაჩენი ოთხი პირის მიმართ გამოიტანა არსებითი განხილვის გარეშე (საპროცესო შეთანხმების საფუძველზე), ხოლო ერთი პირის მიმართ გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ:

- 2 პირის (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების) მიმართ სასამართლომ გამოიტანა სრულად გამამტყუნებელი განაჩენი, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით);

- 2 პირის (სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების) მიმართ - სასამართლომ გამოიტანა სრულად გამამტყუნებელი განაჩენი, სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისთვის (სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია);

- 1 პირის (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის) მიმართ ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი. კერძოდ, ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი პირადი ღირსების შეურაცხყოფით) გათვალისწინებული ერთი ეპიზოდისთვის და სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით ჯგუფურად) გათვალისწინებული ერთი ეპიზოდისთვის, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობის გამოყენებით) გათვალისწინებული ერთი ეპიზოდისთვის ცნობილი იქნა უდანაშაულოდ.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიაში, როდესაც ნაფიცმა მსაჯულებმა გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანეს არასათანადო მოპყრობის ფაქტზე.

გამოძიების შეწყვეტა

2020-2021 წლებში გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა 74 სისხლის სამართლის საქმეზე, რომელთაგან 14-ზე გამოძიება დაწყებული იყო 2019 წელს (ნოემბერსა და დეკემბერში), 41-ზე - 2020 წელს, ხოლო 19-ზე - 2021 წელს (2019 წელს გამოძიება არ შეწყვეტილა, ხოლო 2022 წელს (დღემდე) გამოძიება შეწყდა მხოლოდ ერთი სისხლის სამართლის საქმეზე).

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის მაჩვენებელი



2020-2021 წლებში შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობდა შემდეგი მუხლებით:

- 61 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით);

- 5 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა);

- 2 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა);

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 335-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით და განმარტების ან ჩვენების მიცემის იძულება);

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია);

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა დანაშაულთა ერთობლიობით სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით და იძულება);

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა დანაშაულთა ერთობლიობით სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 115-ე მუხლის პირველი ნაწილით და 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით, თვითმკვლელობამდე მიყვანა და სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია);

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ძალადობა);

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ნივთის დაზიანება ან განადგურება).

რაც შეეხება 2021 წელს, გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა 50 სისხლის სამართლის საქმეზე, რომელთაგან ორზე გამოძიება დაწყებული იყო 2019 წელს (ნოემბერსა და დეკემბერში), 29-ზე - 2020 წელს, ხოლო 19-ზე - 2021 წელს.

ზემოაღნიშნული 50 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობდა შემდეგი მუხლებით:

- 42 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით);

- 4 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა);

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა);

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია);

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა დანაშაულთა ერთობლიობით სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით და იძულება);

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა დანაშაულთა ერთობლიობით სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 115-ე მუხლის პირველი ნაწილით და 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით, თვითმკვლელობამდე მიყვანა და სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია).

10

სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულები და მათ გამოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევები

სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულები და მათ გამოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევები

10

ზოგადი სტატისტიკური მონაცემები

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მიერ განხორციელებულ სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებით, შემოვიდა 159 შეტყობინება, რომლებიც შეეხებოდა 167 სავარაუდო მსხვერპლს (რიგ შემთხვევებში, ერთი შეტყობინება მოიცავდა ქმედებას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის მიმართ).

სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მიერ განხორციელებული სავარაუდო დანაშაულის ფაქტზე 2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო 49 სისხლის სამართლის საქმეზე 53 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ.[24]

სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან შემოსული შეტყობინებებისა და გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



სისხლის სამართლის საქმეთა უმეტეს ნაწილზე (39%-ზე) გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით). დეტალური ინფორმაცია მოცემულია გრაფიკში:

[24] ერთ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სავარაუდო მსხვერპლი ვერ ასახელებდა მის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობა განახორციელეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თუ სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებმა. შესაბამისად, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განხილულია როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურის, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულების თავში.

გამოძიების დაწყებისას დანაშაულისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია



პატიმართა გარდაცვალების ფაქტები

ზემოაღნიშნული 49 სისხლის სამართლის საქმიდან 19 მათგანი შეეხებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში ან სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ არსებულ სხვა დაწესებულებაში პატიმარი ბრალდებულის/თავისუფლებააღკვეთილი პირის გარდაცვალებას, ხოლო 30 სისხლის სამართლის საქმე - სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან პატიმარი ბრალდებულის/თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ სავარაუდო ძალადობის ან/და არასათანადო მოპყრობის განხორციელების ფაქტს.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში პენიტენციურ დაწესებულებაში ან სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ არსებულ სხვა დაწესებულებაში პატიმარი ბრალდებულის/თავისუფლებააღკვეთილი პირის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შემოვიდა 19 შეტყობინება 21 წყაროდან/უწყებიდან (რამდენიმე ფაქტზე შეტყობინება შემოვიდა ერთზე მეტი წყაროდან). 11 შეტყობინების ავტორი იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების სამმართველო; შვიდი შეტყობინება შემოვიდა პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებებიდან; თითო-თითო შეტყობინება შემოვიდა სახალხო დამცველის აპარატიდან, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული დანაყოფებიდან.

19 სისხლის სამართლის საქმიდან, რომლებიც შეეხებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში ან სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ არსებულ სხვა დაწესებულებაში 20 პატიმარი ბრალდებულის / თავისუფლებააღკვეთილი პირის გარდაცვალებას:

- 10 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით;

- 7 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში დადგენილი წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 3421 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნით;

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში დადგენილი წესის დარღვევისა და სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტებზე, რამაც ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 3421 მუხლის მე-2 ნაწილით და 243-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით;

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში დადგენილი წესის დარღვევის, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და განზრახ მკვლელობის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342[1] მუხლის მე-2 ნაწილით, 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ზემოთ აღნიშნული 19 სისხლის სამართლის საქმიდან 14 საქმე უკავშირდებოდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირის გარდაცვალებას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, სამ სისხლის სამართლის საქმეზე გარდაცვალების მიზეზი იყო სუიციდი, ერთ სისხლის სამართლის საქმეზე სავარაუდო მსხვერპლი გარდაიცვალა სხვა პატიმრებთან ფიზიკური დაპირისპირების შედეგად მიღებული დაზიანებების გამო, ხოლო ერთ სისხლის სამართლის საქმეზე პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრის შედეგად გარდაიცვალა ორი მსჯავრდებული.

გარდაცვლილი 20 პირიდან 11 იყო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული, ხოლო ცხრა (მათ შორის სუიციდით გარდაცვლილი სამივე პირი) - პატიმარი ბრალდებული, რომელთა მიმართაც სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ ჰქონდა გამოტანილი.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გარდაცვლილი 14 პირიდან, გარდაცვალებისას, ათი მათგანი მკურნალობის მიზნით იმყოფებოდა სამოქალაქო კლინიკაში სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ეფექტური კონტროლის ქვეშ, ორი პირი - №8 პენიტენციურ დაწესებულებაში, ერთი - №2 პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო ერთი - №17 პენიტენციურ დაწესებულებაში. ხანძრის შედეგად გარდაცვლილი ორი და პატიმრებთან ფიზიკური დაპირისპირების შედეგად გარდაცვლილი ერთი პირი იმყოფებოდნენ №17 პენიტენციურ დაწესებულებაში. სუიციდის შედეგად გარდაცვლილი სამი პატიმრიდან ერთი იმყოფებოდა №2 პენიტენციურ დაწესებულებაში, ერთი იმყოფებოდა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიულ დეპარტამენტში, ხოლო ერთი პირი - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“.

პატიმარი ბრალდებულის/თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ სავარაუდო ძალადობის ან/და არასათანადო მოპყრობის განხორციელების ფაქტთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეთა (30 საქმე) უმრავლესობაზე გამოძიება დაიწყო №8 და №3 პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მიმართ. დეტალური ინფორმაცია მოცემულია გრაფიკში.[25]

პატიმართა მიმართ შესაძლო ძალადობა და არასათანადო მოპყრობა



ძალადობასა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებულ საქმეთა რაოდენობა დაწესებულებების მიხედვით

2021 წელს გამოძიებადაწყებული 49 სისხლის სამართლის საქმიდან, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამი თანამშრომლის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ პატიმრის მიერ განხორციელებული სუიციდის ფაქტზე).

[25] ერთ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლის მიმართ.

საქმეთა გამოძიების პროცესში არსებული გამოწვევები

<u>სამართლებრივი აქტები</u>

- საგუშაგო ცვლაში მყოფ ინსპექტორ-კონტროლიორს სამართლებრივი აქტით ევალება დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაცვა, მათ ქცევაზე კონტროლი და ზედამხედველობა, თუმცა სამართლებრივი აქტები არ განსაზღვრავს, რა პერიოდულობით უნდა შეამოწმოს პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელმა პატიმარი საკანში ან/და დაწესებულების სხვა ტერიტორიაზე და რა კონკრეტულ მოქმედებებში უნდა იყოს გამოხატული შემოწმების პროცესი. შესაბამისად, თანამშრომლის მოვალეობების მარეგულირებელი არასრულყოფილი და ბუნდოვანი სამართლებრივი რეგულაცია ართულებს ან/და შეუძლებელს ხდის პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის მხრიდან სამსახურში დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის გამოვლენას, მისი ქმედების სამართლებრივი შეფასებას და ბრალეულობის საკითხის გამოკვეთას;

- იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელი დანაყოფის თანამშრომელი (ინსპექტორი) ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს უფლებამოსილ პირებს იმ შემთხვევაში, თუ სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული პირი ხუთი წუთის განმავლობაში არ გამოჩნდება ხედვის არეში. გარდა აღნიშნულისა, ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით აღჭურვილ საკნებში, შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ხორციელდება ისეთი პატიმრების განთავსებაც, რომლებიც არ არიან ჩართულნი სუიციდის პრევენციის პროგრამაში, თუმცა მომეტებული რისკისა და უსაფრთხოების გამო საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას. თანამდებობრივი ინსტრუქციით, თანამშრომელი (ინსპექტორი) ვალდებულია განახორციელოს, მათ შორის, ამ კატეგორიის პატიმართა მუდმივი მონიტორინგი კამერების ვიდეომეთვალყურეობის გზით. თუმცა, სამართლებრივ აქტებში არ არის დეტალურად მითითებული, მსგავსი კატეგორიის პატიმართა მხრიდან კონკრეტულად რა სახის ქმედებების განხორციელების შემთხვევაში ეკისრება თანამშრომელს (ინსპექტორს) შესაბამისი პირისთვის შეტყობინების ვალდებულება. მაგალითად, ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას დადგინდა, რომ ვიდეომეთვალყურეობას დაქვემდებარებული პატიმარი ხანგრძლივად (37 წუთის განმავლობაში) იყო საპირფარეშო ოთახში და შესაბამისად, გასული იყო კამერების ხედვის არეალიდან, თუმცა ოპერატორს აღნიშნულის შესახებ არ უცნობებია შესაბამისი პირებისთვის. მითითებულმა პატიმარმა საპირფარეშო ოთახში განახორციელა სუიციდი. პატიმართა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია, ასეთი კატეგორიის პატიმრებთან მიმართებით მკაფიოდ განისაზღვროს სპეციალური დანაყოფის თანამშრომლის (ინსპექტორის) მოვალეობები;

- იუსტიციის მინისტრის რამდენიმე სამართლებრივი აქტი არეგულირებს პენიტენციური დაწესებულებიდან პატიმართა გაყვანის წესს, მათ ქცევაზე კონტროლს, მეთვალყურეობას და ზედამხედველობას. ერთ-ერთ გამოწვევად იდენტიფიცირდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განმახორციელებელ დაწესებულებაში პატიმრის გაყვანა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან მისი მონიტორინგის საკითხი. იუსტიციის მინისტრის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი

სამმართველოს თანამშრომლების მოვალეობა, უზრუნველყონ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით პატიმართა უსაფრთხოების დაცვა და მათზე მეთვალყურეობა, რაც გულისხმობს პატიმართა როგორც შიდა, ასევე, გარე პერიმეტრზე მეთვალყურეობას და დაცვას. ამასთან, იუსტიციის მინისტრის სხვა სპეციალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია ამავე დანაყოფის თანამშრომლების მოვალეობა, უზრუნველყონ პატიმართა უშუალო განთავსების ადგილის დაცვა, ამ პატიმართა პალატებისა და მათ შორის არსებული დერეფნების კონტროლის გარეშე. შესაბამისად, მათი მოვალეობა შემოიფარგლება მხოლოდ გარე დაცვით. მაშასადამე, სამართლებრივ აქტებში აღნიშნული დანაყოფის თანამშრომელთა მოვალეობების მარეგულირებელი ნორმები შინაარსობრივად წინააღმდეგობრივია. როგორც ერთ-ერთი საქმის გამოძიების ფარგლებში გამოვლინდა, პრაქტიკაში სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლები არ ახორციელებენ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩამტარებელ დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების უშუალო მონიტორინგს. მათი მოვალეობა შემოიფარგლება მხოლოდ გარე დაცვით. შესაბამისად, პატიმართა ვიზუალური მონიტორინგის საკითხი არ არის დარეგულირებული - არ არის განსაზღვრული ვინ უნდა განახორციელოს პალატებში მოთავსებული იმ პატიმრების შემოწმება/მონიტორინგი, რომელთა მიმართ ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გადაყვანამდე პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარეობდა 24 საათიანი ვიზუალური მონიტორინგი. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამ კატეგორიის პატიმრები წარმოადგენენ მომეტებულ საფრთხეს საკუთარი თავის, ასევე გარშემო მყოფი პირებისათვის, რაც მათ ქცევაზე მაღალი ხარისხით მონიტორინგს საჭიროებს;

- ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სუიციდის პრევენციის პროგრამის ეფექტიანობის ხარისხი. იუსტიციის მინისტრის სამართლებრივი აქტი განსაზღვრავს პატიმართა სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართვის საკითხებს, მათ შორის, პროგრამის მიზანს - სუიციდისკენ მიდრეკილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გამოვლენა და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია დროულად მოხდეს სუიციდის რისკის მატარებელი პირების იდენტიფიცირება და მათი პროგრამაში ჩართვა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი პენიტენციური დაწესებულებების შესახებ დებულებები ითვალისწინებს, პატიმართა მიღებისას, ადგილობრივი კოორდინატორის შეტყობინებისა და აღნიშნულ პატიმართან სუიციდის რისკის შესაფასებლად ფსიქოლოგის შეხვედრის ვალდებულებას. თუმცა, სამართლებრივ აქტებში არ არის განსაზღვრული, დაწესებულებაში მიღების შემდეგ, გარკვეული პერიოდულობით პატიმართა სავალდებულო სპეციალური სკრინინგი სუიციდის რისკების გამოსავლენად და შესაფასებლად, რაც წინააღმდეგობაში მოდის აღნიშნული პროგრამის მიზნებთან და მას არაეფექტურს ხდის. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ პატიმრებში სუიციდისადმი მიდრეკილების რისკი უფრო მაღალია პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, ვიდრე იქ მოთავსებისთანავე. როგორც სუიციდის გზით პატიმართა გარდაცვალების ფაქტებზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, არცერთ შემთხვევაში პატიმარი არ იყო ჩართული სუიციდის პრევენციის პროგრამაში. შესაბამისად, სუიციდის რისკის მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა იდენტიფიცირებისა და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირების მიზნით, მიზანშეწონილია გადაიხედოს სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასებისას ქულების მინიჭების სქემა, რათა არ მოხდეს ისეთი პატიმრებისთვის დაბალი რისკის განსაზღვრა (რაც ნიშნავს პატიმრის დარჩენას სუიციდის პრევენციის პროგრამის მიღმა), რომლებიც ობიექტურად არიან საშუალო და/ან მაღალი რისკის მატარებელნი. როგორც ერთ-ერთი საქმის გამოძიებისას გამოიკვეთა, დაკავებულმა პირმა დროებითი მოთავსების იზოლატორში სცადა სუიციდი, რომლის შესახებ, პატიმრის გადაყვანისთანავე, წერილობით მიეწოდა ინფორმაცია შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებას. ამის მიუხედავად, დაწესებულებაში სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასებისას, ამ პატიმრის მიმართ განისაზღვრა რისკის დაბალი დონე და არ იქნა იგი ჩართული სუიციდის პრევენციის პროგრამაში.

აღნიშნულმა პატიმარმა განახორციელა სუიციდი. ასევე, სამართლებრივი აქტებით არ არის გათვალისწინებული სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართულ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ პირთა მიმართ, პენიტენციური დაწესებულების გარეთ ყოფნისას (მაგ.: სამედიცინო კლინიკაში, საექსპერტო დაწესებულებაში, საკარანტინო სივრცეში...) გასატარებელი ღონისძიებები და სპეციფიკური მიდგომები, მათ შორის, მუდმივი ვიდეომონიტორინგი და/ან უშუალო ვიზუალური მეთვალყურეობა გარკვეული პერიოდულობით. აღნიშნული რისკის ქვეშ აყენებს ამ კატეგორიის პატიმრების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

<u>თანამშრომელთა მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულება</u>

- სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამისი დანაყოფის მიერ, რიგ შემთხვევებში, ვერ სრულდება სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულება სათვალთვალო კამერების გამოყენებით ვიდეომონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით. როგორც ერთ-ერთი საქმის გამოძიების პროცესში გამოვლინდა, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის არაოფიციალური გადაწყვეტილებით, შესაბამისი დანაყოფის ინსპექტორები (ოპერატორები) მონიტორინგს ახორციელებდნენ ვიდეომეთვალყურეობას დაქვემდებარებული არა ყველა პატიმრის, არამედ ამ კატეგორიის პატიმართა მხოლოდ ნაწილის მიმართ. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციით, აღნიშნული განპირობებული იყო კონკრეტულ დანაყოფში ადამიანური რესურსების ნაკლებობით, რის გამოც შეზღუდულად ხორციელდებოდა პატიმრების ვიდეომონიტორინგი. სხვა სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის იმავე დანაყოფის თანამშრომლების იზოლაციაში ყოფნის გამო, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მათ მიერ საერთოდ არ სრულდებოდა დაკისრებული მოვალეობა - სამეთვალყურეო კამერებით აღჭურვილ საკანში განთავსებული საყურადღებო პატიმრების მიმართ ვიზუალური მეთვალყურეობა, რა დროსაც პატიმრების (ორი პატიმარი) მიერ განხორციელდა სუიციდი;

- გამოწვევას წარმოადგენს, პენიტენციური დაწესებულებების მიღმა არსებულ სამოქალაქო პროფილის კლინიკებში და საკარანტინე სივრცეებში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პატიმრების მიმართ, სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულება. იუსტიციის მინისტრის სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია შესაბამისი დანაყოფის თანამშრომელთა მხრიდან პატიმრების მიმართ მეთვალყურეობის განხორციელების წესი/ვალდებულება, მათ შორის, ერთ პატიმართან მიმართებით საგუშაგოს შემადგენლობაში არანაკლებ სამი თანამშრომლის ყოფნის ვალდებულება. მიუხედავად ამისა, ცალკეული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებით გამოიკვეთა, რომ აღნიშნულის რეალიზება პრაქტიკულ საქმიანობაში არ ხორციელდება და თანამშრომლების მიერ ვერ ხდება მუდმივი და უწყვეტი მეთვალყურეობა პატიმრების მიმართ. აღნიშნულს ძირითადად განაპირობებს ის გარემოება, რომ პატიმრების რაოდენობა პროპორციულად აღემატება იმ თანამშრომელთა რაოდენობას, რომლებმაც უწყვეტად უნდა განახორციელონ პატიმრების ვიზუალური მეთვალყურეობა (განსაკუთრებით ისეთ დაწესებულებებში, სადაც საკნებში/პალატებში არ არის განთავსებული ვიდეოკამერები), რაც ზრდის პატიმართა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს;

- ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიების შედეგად გამოვლინდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში სახანძრო უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები: შენობაში არ იყო განთავსებული სამისამართო ტიპის სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა; შენობაში არ იყო მოწყობილი ხანძრის ავტომატური ქრობის სისტემები; პასუხისმგებელი პირის მიერ პერსონალს არ ჩატარებია შენობისთვის სახანძრო უსაფრთხოების ზომებისა და ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისთვის საჭირო ინსტრუქტაჟი; პენიტენციურ დაწესებულებაში ელექტროგაყვანილობა შეერთებული იყო კუსტარულად (გარდამავალი წინაღობა), რაც საფრთხეს უქმნის სახანძრო უსაფრთხოებას და წარმოადგენს ხანძრის გაჩენის მაღალ რისკს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა პენიტენციურ დაწესებულებაში ხანძრის წარმოშობის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების გეგმა, დაწესებულების შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და თანამშრომლების მხრიდან არ იქნა შესრულებული გეგმით გაწერილი ფუნქციები. აღსანიშნავია ისიც, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში სახანძრო უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი გამოწვევების არსებობის მიუხედავად, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სახანძრო უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით შესაბამისი ინსტრუქციებისა და კონსულტაციების მისაღებად, არ მიუმართავს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსთვის.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ არაერთ სისხლის სამართლის საქმეში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ პენიტენციური სამსახურის თანამშრომლები არ ფლობენ ინფორმაციას მათი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ და საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობენ არა სამართლებრივი აქტებით დადგენილი, არამედ სამსახურში დამკვიდებული პრაქტიკის შესაბამისად.

<u>სამედიცინო საკითხები</u>

- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შედეგად გარდაცვალების ფაქტებზე გამოძიება აფასებს ჩატარებული მკურნალობის ხარისხს: როგორ მოხდა დიაგნოსტირება დაწესებულებაში შესახლებისას, შემდგომ მკურნალობა და საჭიროების შემთხვევაში დროული და ადეკვატური სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით დგინდება, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფ პატიმართა გარდაცვალების მიზეზი რიგ შემთხვევებში იყო ისეთი ქრონიკული ან სხვა სახის დაავადებები, რომელთა იდენტიფიცირება სამედიცინო პერსონალის მიერ არ მომხდარა პატიმრის მკურნალობის არცერთ ეტაპზე. აღნიშნული გარემოება კითხვის ნიშანს აჩენს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო პერსონალის მხრიდან ჩატარებული დიაგნოსტირებისა და მკურნალობის ხარისხზე, რაც უნდა დადგინდეს/გამოირიცხოს კომისიური-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების გზით;

- იმ შემთხვევაში, როდესაც პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პატიმარი საჭიროებს სამედიცინო დახმარებას, რომლის მიწოდებაც პატიმრისთვის დაწესებულებაში შეუძლებელია, იუსტიციის მინისტრის სამართლებრივი აქტები ითვალისწინებს პატიმრის გადაყვანას სამოქალაქო პროფილის კლინიკაში შესაბამისი სამედიცინო მანიპულაციებისთვის. ასეთ შემთხვევაში, პატიმრის კლინიკაში გადაყვანის საკითხს განიხილავს იუსტიციის სამინისტროში არსებული ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო რეფერალის საკითხების განმხილველი კომისია, რომელიც განსაზღვრავს ინტერვენციის სახეს. როგორც ერთ-ერთი საქმის გამოძიებისას გამოვლინდა, ექიმის მიერ საჭიროდ იქნა მიჩნეული პატიმრის ინტერვენცია (ქირურგიული ხასიათის) დაჩქარებული წესით, თუმცა კომისიის მიერ საკითხის განხილვა განხორციელდა რამდენიმე თვის დაგვიანებით. შესაბამისად, პატიმრის მიმართ კლინიკაში გადაყვანა და მის მიმართ გადაუდებელი სამედიცინო სერვისის მიწოდება განხორციელდა თვეების დაგვიანებით;

- ცალკეული საქმეების გამოძიებით გამოიკვეთა, რომ პენიტენციური დაწესებულებიდან გამოთხოვილ სამედიცინო ბარათში (ისტორიაში) ყოველთვის არ არის ასახული ინფორმაცია შესაბამისი პატიმრისთვის ჩატარებული ყველა სამედიცინო მანიპულაციის, ასევე, მონაცემები ექიმთან პატიმრის ყველა ვიზიტისა და ჩივილების თაობაზე. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს, ჩატარებული მკურნალობის ხარისხთან დაკავშირებით, ექსპერტის მიერ არასწორი დასკვნის გაცემა.

- პატიმრის გარდაცვალების შემთხვევაში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მიერ ჩატარებული მკურნალობის ხარისხის შესაფასებლად და პატიმრის გარდაცვალებასა და თანამშრომლის ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის დასადგენად, სამსახურის მიერ ინიშნება კომისიური სამედიცინო ექსპერტიზა. აღნიშნული სახის ექსპერტიზის დასკვნის გაცემას სჭირდება ხანგრძლივი დრო (თვეები, წლები), რაც აჭიანურებს გამოძიებას.

11

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულები და მათ გამოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევები

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულები და მათ გამოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევები

11

სტატისტიკური მონაცემები

2021 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ განხორციელებულ სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო დეპარტამენტში შემოვიდა 1 150 შეტყობინება 1 224 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ (რიგ შემთხვევებში, ერთი შეტყობინება მოიცავდა ქმედებას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის მიმართ).

2021 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ განხორციელებული სავარაუდო დანაშაულის ფაქტზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო 316 სისხლის სამართლის საქმეზე 407 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ.[26]

სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობაზე - 74%-ზე - გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით).[27]

[26] აღნიშნულ რაოდენობაში გათვალისწინებული არ არის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან შემოსული ის შეტყობინებები, რომლებიც უკავშირდებოდა დაკავებული პირის მიერ დაკავებამდე მიღებულ დაზიანებებს. აღნიშნული შეტყობინების ფარგლებში დაკავებული პირები არ მიუთითებდნენ სამართალდამცველთა მხრიდან ძალადობის განხორციელებაზე, ასევე, გარემოებათა შესწავლის შედეგად არ გამოიკვეთა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული დანაშაულის ნიშნები.

[27] ერთ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სავარაუდო მსხვერპლი ვერ ასახელებდა მის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობა განახორციელეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თუ სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებმა. შესაბამისად, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განხილულია როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურის, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულების თავში.

გამოძიების დაწყებისას დანაშაულისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია



შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი



407 სავარაუდო მსხვერპლიდან 45%-მა ქმედების განხორციელების ადგილად თბილისზე მიუთითა. ასევე, შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება აჭარაში (16%), იმერეთსა (8%) და ქვემო ქართლში (8%). სავარაუდო მსხვერპლების ყველაზე მცირე რაოდენობამ ქმედების განხორციელების ადგილად რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი (1%) და სამცხე-ჯავახეთი (1%) დაასახელა.

სავარაუდო მსხვერპლთა 47% შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან შესაძლო დანაშაულის განხორციელების ადგილად ასახელებს ქუჩას, 28% - შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობას, 28% - შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ ავტომანქანას, ხოლო, 9% - სახლს (ბინას). სავარაუდო მსხვერპლთა დიდმა ნაწილმა რამდენიმე ადგილზე მიუთითა.[28]

შესაძლო დანაშაულის კონკრეტული ადგილი



[28] ერთი მსხვერპლის მიერ ქმედების განხორციელების რამდენიმე ადგილის დასახელების შემთხვევაში, თითოეული ადგილი ცალ-ცალკე აღირიცხა, შესაბამისად ქმედების განხორციელების ადგილების ჯამი არ ემთხვევა სავარაუდო მსხვერპლების რაოდენობას.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულთა მიმართ მოპყრობა

2021 წლის განმავლობაში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო ორ სისხლის სამართლის საქმეზე, რომლებიც უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი დაკავებულების გარდაცვალებას. აღნიშნულ ფაქტებზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით - სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ზემოაღნიშნული ორი სისხლის სამართლის საქმიდან ერთ მათგანზე მიღებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბრალდებულის გარდაცვალების მიზეზია მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნულია სამედიცინო-კომისიური ექსპერტიზა, რომლის ფარგლებშიც დასმულია კითხვები გარდაცვლილი პირის მიმართ გაწეული მკურნალობის ხარისხთან დაკავშირებით (რაც მოიცავს როგორც დიაგნოსტირებას, ასევე მკურნალობის კურსის განსაზღვრას და პირველად სამედიცინო დახმარებას). მეორე სისხლის სამართლის საქმეზე სამედიცინო ექსპერტიზის პირველადი დასკვნა არ არის მიღებული, შესაბამისად უცნობია დაკავებული პირის გარდაცვალების მიზეზი.

დროებითი მოთავსების იზოლატორში ბრალდებულთა გარდაცვალების შემთხვევებზე ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ პრობლემას წარმოადგენს იზოლატორში ექიმის არამუდმივად ყოფნა. კერძოდ, დროებითი მოთავსების იზოლატორში ექიმები მიდიან მხოლოდ იზოლატორის თანამშრომელთა გამოძახების შემთხვევაში, საჭიროების წარმოშობისას. ერთ შემთხვევაში, დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებული საკანში ნაპოვნი იქნა უგონო მდგომარეობაში, რა დროსაც ექიმი ადგილზე არ იმყოფებოდა და პირველადი სამედიცინო დახმარება დაკავებულს აღმოუჩინეს იზოლატორის თანამშრომლებმა. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, პირის შეუძლოდ გახდომის მომენტისთვის ექიმი ადგილზე იმყოფებოდა შემთხვევით - იგი გამოძახებული იყო იზოლატორში მოსათავსებელი სხვა პირის სამედიცინო შემოწმების მიზნით. ამდენად, პრაქტიკა აჩვენებს, რომ სამედიცინო მუშაკის იზოლატორში მუდმივად ყოფნა, სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფ პირთათვის სათანადო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი გარანტიაა.

რაც შეეხება დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან იზოლატორში მოთავსებული დაკავებულის მიმართ ძალადობის შესაძლო განხორციელების ფაქტებს, 2021 წელს გამოძიება დაიწყო ხუთ სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით.[29]

[29] აღსანიშნავია, რომ 2019-2020 წლებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში, დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლების მხრიდან დაკავებული პირების მიმართ შესაძლო ძალადობის ან დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა.

ზემოაღნიშნული ხუთი სისხლის სამართლის საქმიდან, აღმოსავლეთის სამმართველოს წარმოებაში არსებულ ოთხ სისხლის სამართლის საქმეზე სავარაუდო მსხვერპლთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაძლო დანაშაულის გარემოებებთან დაკავშირებით, ერთმანეთის იდენტურია. კერძოდ, დაკავებულმა პირებმა მიუთითეს, რომ მათ მიმართ ძალადობა განხორციელდა დროებითი მოთავსების იზოლატორის სამედიცინო პერსონალისთვის განკუთვნილ ოთახში, სადაც არ არის განთავსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერები და არ მიმდინარეობს ელექტრონული მონიტორინგი. ხოლო დასავლეთის სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, სავარაუდო მსხვერპლის განმარტებით, იზოლატორის თანამშრომლების მხრიდან ძალადობა განხორციელდა იზოლატორის საგამოძიებო ოთახში, სადაც ასევე არ მიმდინარეობს ვიდეომეთვალყურეობა.

ზემოთ მითითებული ხუთი სისხლის სამართლის საქმიდან, ორ მათგანზე გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა იზოლატორის ექიმის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ცხელ ხაზზე დაფიქსირებული შეტყობინება, იზოლატორის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებული სავარაუდო ძალადობის თაობაზე. დანარჩენ სამ შემთხვევაში დროებითი მოთავსების იზოლატორიდან შემოსული შეტყობინებების თანახმად, დაკავებულები შესახლებულნი იყვნენ იზოლატორში დაზიანებებით, თუმცა დაზიანებების წარმომავლობას არ უკავშირებდნენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა ქმედებებს. აღნიშნულმა სამმა დაკავებულმა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომელთან გასაუბრებისას მიუთითა დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთა მხრიდან ძალადობის განხორციელების შესახებ, რაც გახდა გამოძიების დაწყების საფუძველი. ამასთან, მათ განაცხადეს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში მათზე განხორციელებულ ძალადობაზე ინფორმირებულნი იყვნენ ექიმები.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, სავარაუდო მსხვერპლები მიუთითებენ, რომ მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობას ექიმები არ შესწრებიან. ამასთან, ზემოაღნიშნულ სამ სისხლის სამართლის საქმეზე, (რომლებზეც თავდაპირველ შეტყობინებაში არ იყო მითითებული დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებული ძალადობის თაობაზე), დაკავებული პირების მიერ აღწერილი - მათ მიმართ იზოლატორში განხორციელებული შესაძლო ძალადობის შედეგად მიღებული ახალი დაზიანებები, ექიმების მიერ შედგენილ სამედიცინო დოკუმენტებში არ იყო ასახული. მათ შორის, ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, სავარაუდო მსხვერპლს იზოლატორში მოთავსების დროს სხეულზე აღენიშნებოდა დაკავებამდე მიღებული დაზიანება, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ შედგენილი შესაბამისი დოკუმენტი, თუმცა გამოძიებით დადგინდა, რომ სავარაუდო მსხვერპლმა დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნისას მიიღო სხეულის ახალი დაზიანება, მაგრამ აღნიშნული დაზიანება (რომელიც, სავარაუდო მსხვერპლის განცხადებით, მას მიაყენეს იზოლატორის თანამშრომლებმა), დროებითი მოთავსების იზოლატორიდან პირის გაყვანის დროს შედგენილ სამედიცინო დოკუმენტში არ დაფიქსირებულა და არც რაიმე დოკუმენტი შედგენილა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირის სხეულზე ახალი დაზიანების არსებობასთან დაკავშირებით.

არც ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, ამ ეტაპზე, მიღებული არ არის შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

საქმეთა გამოძიების პროცესში არსებული გამოწვევები

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებული შესაძლო დანაშაულის ფაქტებზე ჩატარებული გამოძიების შედეგებისა და საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა არაერთი გამოწვევა, აღნიშნული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებების მოპოვების თვალსაზრისით.

პოლიციის თანამშრომელთა გამოკითხვა

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ნაწილი, არაერთი შეტყობინების მიუხედავად, არ ცხადდებოდა საგამოძიებო ორგანოში. გამოკითხვაზე გამოუცხადებლობის მიზეზად ისინი ძირითადად მიუთითებენ ხელმძღვანელ პირთა მხრიდან თანხმობის არ არსებობას (აღნიშნული ტენდენცია ძირითადად ვლინდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების საგამოძიებო ორგანოში დაბარების შემთხვევებში). როგორც გამოსაკითხი პირები განმარტავენ, სამინისტროში დამკვიდრებული პრაქტიკით, უშუალო ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში ვერ გამოცხადდებიან. ხელმძღვანელისგან თანხმობის მიღების პროცესი კი, როგორც წესი, გრძელდება რამდენიმე კვირის განმავლობაში. ასევე, პოლიციის თანამშრომლები ზოგჯერ გამოუცხადებლობას ხსნიან გადატვირთული სამუშაო გრაფიკით, გამოკითხვისთვის მათთვის სასურველ დროს ჩატარების შეთავაზების მიუხედავად.

საპროცესო ზედამხედველი პროკურორების წინაშე არაერთხელ დაისვა საკითხი, ასეთ შემთხვევებში მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პოლიციის თანამშრომლის დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის დაყენების შესახებ, თუმცა ასეთი შუამდგომლობა არცერთხელ იქნა დაყენებული იმ საფუძვლით, რომ მოწმე პირდაპირ უარს არ აცხადებდა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობაზე და შესაბამისად, საფუძველს მოკლებული იყო მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მათი დაკითხვის საკითხის დაყენება.

ეფექტური გამოძიების ჩასატარებლად, არსებითად მნიშვნელოვანია, დროულად მოხდეს საქმესთან შემებლობაში მყოფი პირების, მათ შორის - პოლიციის თანამშრომლების გამოკითხვა. ამასთან, სრულყოფილი გამოძიების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული პირებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზით/შეფასებით განისაზღვრება შემხვედრი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარების საჭიროება. აქედან, გამომდინარე აღნიშნული პრაქტიკა არსებითად აზიანებს გამოძიების ინტერესებს.

ფიზიკური ძალის/სპეციალური საშუალებების არამართლზომიერად გამოყენება

2021 წელს, 2020 წლის მსგავსად, ისევ პრობლემურია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულების ღონისძიებების გატარებისას, ფიზიკური ძალის/სპეციალური საშუალებების გამოყენების საკითხი.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებში, 2021 წელსაც, სავარაუდო მსხვერპლები მიუთითებენ სამართალდამცავთა მიერ ხელბორკილის მჭიდროდ, ხანგრძლივად დადებაზე და სიმჭიდროვის მარეგულირებელი მექანიზმის შეგნებულად გამოუყენებლობაზე, მათზე ძალადობის მიზნით. ასევე, ისინი პრეტენზიას გამოთქვამენ ხელბორკილის დადების სტილთან დაკავშირებით. მაგალითად, მიუთითებენ ხელბორკილის სკამის საზურგის უკან ან სკამის ფეხზე მიმაგრებაზე, აგრეთვე, ზურგს უკან იმგვარად დადებაზე, რომ ხელები შებრუნებული ჰქონდათ ერთმანეთის საპირისპირო მხარეს, რაც კონკრეტულ მდგომარეობაში ყოფნისას (მათ შორის, ავტომანქანაში ჯდომისას), იწვევს ძლიერ ტკივილს და დისკომფორტს.
2021 წელს სამსახურის წარმოებაში არსებულ ორ სისხლის სამართლის საქმეზე დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დასაკავებელი პირის მიმართ გამოიყენეს გადაჭარბებული, არაპროპორციული ფიზიკური ძალა, რომლის შედეგად მოქალაქეებმა მიიღეს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება ზედა კიდურებზე მოტეხილობის სახით. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილემ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე დასაბუთებული წინადადებით მიმართა ზედამხედველ პროკურორს, თუმცა ზედამხედველმა პროკურორმა არ გაიზიარა სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილის არც ერთი წინადადება

შინაგან საქმეთა სამინისტროში არ არის შემუშავებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურები პირის დაკავების, აგრეთვე ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებების (მათ შორის, ხელბორკილის) გამოყენებისას სამართალდამცავთა მხრიდან დასაშვები კონკრეტული მოქმედებების შესახებ. ასეთი სახელმძღვანელო დოკუმენტი უზრუნველყოფდა პოლიციის თანამშრომელთა მიერ იძულების ღონისძიების თანაზომიერად გამოყენებას და არაპროპორციული ძალის გამოყენების პრევენციას. მისი არსებობა ასევე მნიშვნელოვანია გამოძიების მიერ პოლიციის თანამშრომლის მხრიდან გამოყენებული ძალის პროპორციულობის შესაფასებლად და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად.

ვიდეოგადაღება და ვიდეოჩანაწერები

სავარაუდო მსხვერპლები მათ მიმართ ძალადობის განხორციელების ადგილად ხშირად ასახელებენ ისეთ სივრცეს (პოლიციის ავტომანქანა, სამართალდამცავი ორგანოს ადმინისტრაციული შენობა), სადაც, როგორც წესი, არ იმყოფებიან ფაქტის შემსწრე ნეიტრალური მოწმეები. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია

პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ მოქალაქის ყოფნის სრული პერიოდის განმავლობაში აუდიო-ვიდეო ჩანაწერების სათანადოდ წარმოება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები მოქალაქეებთან ურთიერთობისას, სამხრე ვიდეოკამერებით უწყვეტ რეჟიმში არ ახორციელებენ აუდიო-ვიდეო ჩაწერას, რადგან აღნიშნულის ვალდებულება არ არის ნორმატიულად განსაზღვრული და ვიდეოგადაღება პატრულ-ინსპექტორის სურვილზეა დამოკიდებული. ასევე, არ ხორციელდება პოლიციის ავტომანქანის შიდა სივრცის ვიდეოგადაღება. შესაბამისად, სავარაუდო მსხვერპლის მიერ შესაძლო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობისას, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი ვერ მოიპოვებს ისეთ მნიშვნელოვან და ობიექტურ მტკიცებულებას, როგორიც არის მოქალაქეებსა და პოლიციის თანამშრომლებს შორის კომუნიკაციის ამსახველი ვიდეოჩანაწერები.

გარდა ამისა, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის მხრიდან ვიდეოგადაღების წარმოებისა და გადაღებული ვიდეოჩანაწერის ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაციას სამსახური იღებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან, ხოლო მიღებული პასუხის (ვიდეოგადაღების წარმოებასთან დაკავშირებით) სისწორის გადამოწმების რაიმე სახის მექანიზმი არ არსებობს. ამასთან, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან ასეთი შინაარსის წერილებზე პასუხები იგზავნება დაგვიანებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წერილზე პასუხის (რომელშიც მითითებულია პატრულ-ინსპექტორის სარგებლობაში არსებული სამხრე ვიდეოკამერის იდენტიფიკატორი ე.წ. ,,სტიკერის'' ნომერი) მიღების შემდგომ არის შესაძლებელი პროკურორის მიერ სასამართლოსთვის ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტების ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრაციულ შენობებში დამონტაჟებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერების, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამხრე ვიდეოკამერებისა და საჯარო სივრცეში (გზებსა და შენობების გარე პერიმეტრზე) განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები ინახება სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ ,,112''-ში. შესაბამისად, სასამართლოს განჩინებები შესასრულებლად იგზავნება სწორედ აღნიშნულ დანაყოფში. ,,112''-ის მიერ, სასამართლო განჩინების საფუძველზე, ვიდეოჩანაწერების სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის გადმოცემა ხორციელდება დღეებისა და ზოგჯერ კვირების დაგვიანებით. ამდენად, შესაძლო დანაშაულის ჩადენის ამსახველი ვიდეოჩანაწერების შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოპოვებას (საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისაგან წერილზე პასუხის მიღებას, შემდგომ პროკურორის მიერ სასამართლოსთვის მიმართვას, სასამართლო განჩინების საფუძველზე ,,112“-დან ვიდეომასალის გადმოცემას) დაახლოებით ერთ თვემდე დრო სჭირდება. შესაბამისად, ისეთი ახალი მტკიცებულებების მოპოვება, რომელთა საჭიროება ჩნდება ,,112''-დან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერების დათვალიერებისა და ანალიზის შედეგად, ხშირად დაგვიანებულია/შეუძლებელია.

ასევე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვილნი არიან მხოლოდ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, რაც შეუძლებელს ხდის სხვა დანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქეებთან კომუნიკაციის ამსახველი ვიდეოჩანაწერების მოპოვებას.

წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდება

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლები, გამოძიების დაწყებისთანავე, სავარაუდო მსხვერპლის მიმართ შესაძლო ძალადობის განმახორციელებელი, დამკავებელი და მათი თანმხლები სამართალდამცველების ვინაობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით წერილობით მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. აღნიშნული ინფორმაცია გამოძიებას მიეწოდება უმეტესად არასრულად და დაგვიანებით, გაგზავნიდან ათ დღეზე მეტი დროის (ზოგჯერ - რამდენიმე კვირის) გასვლის შემდეგ, რაც ხელშემშლელი გარემოებაა გამოძიების დროულად და ეფექტურად ჩატარების თვალსაზრისით. აღნიშნული ინფორმაციის მოწოდების გაჭიანურება, გარდა იმისა რომ აფერხებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, სამართალდამცველებს აძლევს ერთმანეთთან კომუნიკაციისა და პოზიციების შეთანხმების შესაძლებლობას. მითუმეტეს, აღნიშნული პირები ხშირ შემთხვევაში დასაქმებულნი არიან ერთსა და იმავე სტრუქტურულ დანაყოფში და ყოველდღიური მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სავარაუდო მსხვერპლთან შემხებლობაში მყოფ მოხელეთა ვინაობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე წერილი ეგზავნება იმავე სტრუქტურულ დანაყოფს, სადაც მუშაობენ ზემოაღნიშნული მოხელეები. შესაბამისად, მათთვის, გამოძიების დაწყებისთანავე, ცნობილია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში მიმდინარე გამოძიების შესახებ.

გამოძიებისთვის ხელისშემშლელი გარემოებაა ისიც, რომ გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია (სავარაუდო მსხვერპლის დაკავების გარემოებებთან, მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან და სხვა გარემოებებთან დაკავშირებით) ინახება იმავე სტრუქტურულ დანაყოფში, სადაც დასაქმებული არიან შესაძლო დანაშაულის ჩამდენი სამართალდამცველები. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მტკიცებულებების გადმოცემას ითხოვს სწორედ აღნიშნული (გამოძიების შედეგით პირდაპირ დაინტერესებული) დანაყოფისგან, რამაც შესაძლოა გააჩინოს გადმოცემული დოკუმენტების ავთენტურობის ეჭვი.

ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა დიდ ნაწილზე სავარაუდო მსხვერპლები არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირები. ასეთ სისხლის სამართლის საქმეებში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული დაკავების ოქმი, რომელთა წარმოება ხდება ხარვეზებით. კერძოდ, მათში არ მიეთითება სრულყოფილად დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებები, ასევე ინფორმაცია დაკავების ვითარების, წინააღმდეგობის გაწევისა და ძალის გამოყენების შესახებ. ამასთან, სავარაუდო დანაშაულის ჩამდენ პირთა იდენტიფიცირებას ართულებს ისიც, რომ ადმინისტრაციული დაკავების ოქმში დამკავებელ პირებად არ არიან მითითებულნი რეალური დამკავებლები.

ყურადსაღებია დაკავებული პირის პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ ყოფნის ხანგრძლივობის ფაქტთან დაკავშირებით სავარაუდო მსხვერპლთა მიერ მითითებული ინფორმაცია. ადმინისტრაციულად დაკავებული/სახდელდადებული პირები, რომლებიც აცხადებენ სამართალდამცავთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტზე, ძირითადად, დაკავებულები არიან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ორი მუხლით - წვრილმანი ხულიგნობისა (166-ე მუხლი) და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის (173-ე მუხლი). დაკავებული პირები ხშირად უთითებენ, რომ მათი დაკავებიდან დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანამდე, რამდენიმე საათის განმავლობაში, იმყოფებოდნენ პოლიციის განყოფილებაში, სამართალდამცავების ავტომანქანაში ან/და პოლიციის ადმინისტრაციული შენობის ავტოსადგომზე, მაშინ როცა აღნიშნულის საჭიროება არ არსებობდა. ცხადია დაკავებულთა მიმართ ამგვარი მიდგომა, ქმნის დაკავებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკს.

2021 წელს შეინიშნება უარყოფითი ტენდენცია ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირებისთვის, დაკავების საფუძვლებისა და მათი უფლებების შესახებ, სამართალდამცავთა მხრიდან ინფორმირებასთან დაკავშირებით. მით უფრო, როცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2021 წელს შესული ცვლილების თანახმად, ადმინისტრაციული დაკავების ვადა 48 საათამდე გახანგრძლივდა. დაკავებულთა მიერ თავიანთი უფლებების არცოდნა გამორიცხავს ან/და მნიშვნელოვნად უშლის ხელს მათ რეალიზებას, მათ შორის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის დროულად მიმართვას.

სავარაუდო მსხვერპლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია

სავარაუდო მსხვერპლის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლისთვის მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო მტკიცებულებას, რომლის გარშემო უნდა მოხდეს სხვადასხვა ინფორმაციის მოძიება და ფაქტების გადამოწმება. თუმცა, ზოგჯერ, მათი მხრიდან დაგვიანებით, არასრულად ან/და არასწორად მოწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს ხელისშემშლელ გარემოებას სრულყოფილი გამოძიების ჩატარებასა და შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებაში.

ცალკეულ შემთხვევებში, სავარაუდო მსხვერპლები მათ მიმართ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების თაობაზე აცხადებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათთვის არასასურველი შედეგით სრულდება მათი ბრალდების სისხლის სამართლის საქმის განხილვა ან ადმინისტრაციული საქმის წარმოება. შესაბამისად, შეტყობინების შემოსვლის დროისათვის შეუძლებელია ან/და მნიშვნელოვნად გართულებულია ისეთი მტკიცებულებების მოპოვება, როგორიცაა: სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, ვიდეოჩანაწერები, ბიოლოგიური მასალის შემცველი ობიექტები, თვითმხილველ პირთა ჩვენება და სხვ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მტკიცებულებების მოპოვება ზოგჯერ შეუძლებელია ისეთი სისხლის სამართლის საქმეებზეც, რომლებზეც საგამოძიებო ორგანომ დანაშაულის შესახებ ინფორმაცია მიიღო ინციდენტიდან თუნდაც ერთი დღის ან რამდენიმე საათის დაგვიანებით.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც შესაძლო ძალადობა განხორციელდა პირის დაკავებისას, სავარაუდო მსხვერპლთა ნაწილი არასრულად/სახეცვლილად აწვდის ინფორმაციას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელს იმ მიზნით, რომ წინააღმდეგობაში არ მოვიდეს მის მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში დაფიქსირებულ მისთვის ხელსაყრელ პოზიციასთან (აღნიშნული რისკები განსაკუთრებით მაღალია ისეთ ფაქტებზე, როდესაც პირი დაკავებულია სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ან/და მათ მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისთვის). შესაბამისად, გამოძიებისთვის მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებით სავარაუდო მსხვერპლის მიერ მოწოდებული არასრული ან/და მცდარი ინფორმაცია, ხელს უშლის საქმეზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარებას და შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას.

12

დასკვნები

12. დასკვნები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს უკვე აქვს მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ორწლიანი გამოცდილება. ამ ორი წლის განმავლობაში გადადგმული იქნა არაერთი ნაბიჯი ამ კატეგორიის დანაშაულების ეფექტური გამოძიების მიზნით. კერძოდ: საგამოძიებო დეპარტამენტი დაკომპლექტდა პროფესიონალი და კვალიფიციური კადრებით ღია და გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე; დამოუკიდებლობისა და სწრაფი გამოძიების უზრუნველსაყოფად სამსახურში დასაქმდნენ ექსპერტ-კრიმინალისტები; სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი წარმოდგენილი იქნა სამ დიდ ქალაქში - თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში; გამოძიების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა ოპერატიული სამმართველო; შესაძლო დანაშაულებზე სწრაფი რეაგირების მიზნით დაინერგა და ამოქმედდა 24 საათიანი ცხელი ხაზი; საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევების დაძლევის მიზნით, ჩატარდა არაერთი კვლევა, რომლებიც საფუძვლად დაედო სამსახურის მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო წინადადებებსა და შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტებს; არასრულწლოვანზე ორიენტირებული გამოძიების პროცესის უზრუნველსაყოფად, ოფისებში მოეწყო არასრულწლოვანზე მორგებული გარემო: უზრუნველყოფილ იქნა ფსიქოლოგის მონაწილეობა ყველა იმ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებაში, რომლებშიც მონაწილეობენ არასრულწლოვნები; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში გადამზადნენ გამომძიებლები; სამსახურმა პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება საგამოძიებო ფუნქციის ქმედითად განხორციელებისა და სამსახურის დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით; საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნასთან დაკავშირებულ კანონპროექტზე სამსახურმა თავისი ხედვა წარუდგინა საქართველოს მთავრობას და პარლამენტს; ახალი და კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით დაინერგა გამომძიებელთა სტაჟირების სისტემა; სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების წარმოების მიზნით, შემუშავდა სტატისტიკის მეთოდოლოგია და უზრუნველყოფილი იქნა საზოგადოების ინფორმირება და საქართველოს პარლამენტისთვის დეტალური ანგარიშის წარდგენა მოხელეთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების შესახებ; გამომძიებელთა გაძლიერების, პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით შემუშავდა არაერთი შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი, რეკომენდაცია და დაიგეგმა ტრენინგები; ჩატარდა სხვადასხვა საინფორმაციო კამპანია, მათ შორის, რეგიონებში; სამსახურმა დაიწყო თანამშრომლობა სხვა ქვეყნების ანალოგიური ფუნქციის საგამოძიებო უწყებებთან; გამომძიებელთა მაღალი მორალური სტანდარტების უზრუნველსაყოფად, შემუშავდა ეთიკის კოდექსი; საზოგადოების მუდმივი ინფორმირების მიზნით შეიქმნა ვებგვერდი; სამსახურმა ითანამშრომლა სხვა სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო სექტორთან, სახალხო დამცველის აპარატთან.

სამსახურის ძალისხმევის მიუხედავად, მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების პროცესში, კვლავ არაერთი პრაქტიკული და საკანონმდებლო გამოწვევაა, რომელთა დაძლევის გარეშე, ამ კატეგორიის დანაშაულების გამოძიება დიდ სირთულეს (ზოგჯერ შეუძლებელს) წარმოადგენს. შესაბამისად, მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების ეფექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად, უნდა გაგრძელდეს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. კერძოდ:

- **ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაზრდა და სამსახურის ხელმძღვანელის ხელშეუხებლობის მყარი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა** - უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე პასუხისმგებელი უწყების დამოუკიდებლობისა და მისი ხელმძღვანელის ხელშეუხებლობის მყარი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა. 2021 წლის ბოლოს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა (რომლითაც გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და ვადაზე ადრე შეუწყდა უფლებამოსილება მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე პასუხისმგებელი უწყების ხელმძღვანელს) კიდევ ერთხელ ცხადყო მყარი საკანონმდებლო გარანტიების მნიშვნელობა. ფაქტია, რომ მოქმედი კანონმდებლობა სამსახურის პრაქტიკული დამოუკიდებლობის საკმარის გარანტიებს ვერ ქმნის;
- **სამსახურის ქმედითი საკანონმდებლო ბერკეტებით აღჭურვა** - საჭიროა სწრაფი და ქმედითი საკანონმდებლო ნაბიჯების გადადგმა სამსახურის სხვა უწყებებზე დამოკიდებულების შესამცირებლად. უპირველეს ყოვლისა, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციები. საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნის შესახებ ვერ პასუხობს მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე პასუხისმგებელი უწყების წინაშე არსებულ გამოწვევებს (აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებულია ანგარიშის შესაბამის ნაწილში). ასევე, აუცილებელია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ისეთი ქმედითი მექანიზმებით აღჭურვა, რომლებიც შეამცირებს მის დამოკიდებულებას სხვა უწყებათა გადაწყვეტილებებზე და უფრო ეფექტურს გახდის მტკიცებულებათა მოპოვების პროცესს (მაგალითად, პენიტენციურ დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაუბრკოლებლად შესვლა, შესაძლო დანაშაულების შესახებ ინფორმაციის დროულად მოწოდების საკანონმდებლო ვალდებულება, სამსახურის მიერ გაგზავნილი წერილების განხილვისთვის შემჭიდროებული ვადის დადგენა და ა.შ.). სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საქართველოს პარლამენტს 2021 წლის 24 დეკემბერს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც პასუხობს ანგარიშში მოცემულ, დამოუკიდებლობის მიმართულებით არსებული გამოწვევების დიდ ნაწილს;

- **მკაფიოდ გაცხადებული მკაცრი პოლიტიკა დანაშაულის ჩამდენ მოხელეთა მიმართ** - აუცილებელია შესაბამისი სახელმწიფო უწყებების (სამართალდამცავი ორგანოების, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პარლამენტის, სასამართლოს) მკაფიოდ გაცხადებული მკაცრი პოლიტიკა (გამოხატული მათ გადაწყვეტილებებსა და განცხადებებში) იმ მოხელეთა მიმართ, რომლებიც დანაშაულის ჩადენის გზით ხელყოფენ მოქალაქეთა უფლებებს. ასეთი მკაფიო გზავნილები ამ კატეგორიის დანაშაულთა პრევენციის ერთ-ერთი ძლიერი მექანიზმია;

- **სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა საჯარო უწყებების მხრიდან თანამშრომლობის ხარისხის გაზრდა** - საჭიროა, გაიზარდოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა საჯარო უწყებების მხრიდან თანამშრომლობის ხარისხი შესაძლო დანაშაულის შესახებ შეტყობინების დროულად მოწოდების, მოთხოვნილი ინფორმაციის/მტკიცებულებების (აუდიო-ვიდეოჩანაწერების, წერილობითი დოკუმენტების) სრულყოფილად და დროულად გადმოცემის პროცესში (როგორც ანგარიშშია მითითებული, თანამშრომლობის ხარისხი დაბალია);

- **საქართველოს პარლამენტის როლის გაძლიერება** - საჭიროა საქართველოს პარლამენტის როლის გაძლიერება და მისი ჩართულობა, სამსახურის წინაშე არსებული საკანონმდებლო გამოწვევების დაძლევის პროცესში, ასევე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან სხვა უწყებების მხრიდან თანამშრომლობის ხარისხის ზედამხედველობის კუთხით;

- **სამართალდამცავ ორგანოებში აუდიო-ვიდეომონიტორინგის გამართული ფუნქციონირება** - საჭიროა სამართალდამცავ ორგანოებში უზრუნველყოფილი იქნეს აუდიო-ვიდეომონიტორინგის სისტემების გამართული ფუნქციონირება, რაც გამორიცხავს ვიდეოჩანაწერების შემთხვევით ან განზრახ დაზიანებას, განადგურებას;

- **მოხელეთა უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების დახვეწა** - საჭიროა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა, მოხელეთა უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების დახვეწა, რიგ შემთხვევაში, შექმნა. გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც საერთოდ არ არის განსაზღვრული მათი კონკრეტული მოვალეობა (და ისინი მოქმედებენ პრაქტიკაში დანერგილი წესების მიხედვით) ან/და მათი უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი აქტები არის ბუნდოვანი და თითოეული მოხელე თავისებურად განმარტავს მოვალეობის შინაარსს. აღნიშნული საფრთხეს უქმნის მოხელეთა მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ხოლო მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ართულებს ობიექტური ჭეშმარიტებისა და კონკრეტული პირის ბრალეულობის საკითხის გარკვევას;

- **საექსპერტო დაწესებულების გაძლიერება და ექსპერტიზის ჩატარების პროცედურების დახვეწა** - საჭიროა საექსპერტო დაწესებულების გაძლიერება და ექსპერტიზის ჩატარების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, ვინაიდან საექსპერტო დაწესებულებაში არსებული არასაკმარისი ადამიანური რესურსი და კომისიური სამედიცინო ექსპერტიზის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ იძლევა ექსპერტიზის დროულად ჩატარების შესაძლებლობას;

- **სამსახურის რეგიონური ოფისებისა და ადამიანური რესურსების გაზრდა** - საჭიროა მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე პასუხისმგებელი უწყების ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსებით გაძლიერება. ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად სამსახურს უნდა ჰქონდეს ოფისი საქართველოს ყველა რეგიონში. ამასთან, გამომძიებელთა და სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა უნდა იყოს ერთმანეთის შესაბამისი იმგვარად, რომ იძლეოდეს ეფექტიანი (დროული) გამოძიების ჩატარების შესაძლებლობას;

- **საზოგადოების ცნობიერების გაზრდა** - საჭიროა, სამსახურმა გააგრძელოს მუშაობა საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მისი საქმიანობისა და საგამოძიებო ფუნქციების შესახებ. საზოგადოებაში ცნობადობა პირდაპირ კავშირშია სამსახურის დროულ ხელმისაწვდომობასთან, ეფექტიანი გამოძიების ჩატარებასთან და ასევე, განსაზღვრავს სამსახურისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხს.

V. ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი

01

შესავალი

1.შესავალი

პირადი ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. აღნიშნულ უფლებებში ისეთი ინტენსიური ფორმით ჩარევა, როგორიც არის პირის მიმართ ფარული მიყურადება ან/და თვალთვალი, ექვემდებარება განსაკუთრებულ კონტროლს და მისი განხორციელება დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით მკაცრად გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერისი, პროპორციული და უკიდურესი საშუალებაა.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს 24-საათიან რეჟიმში მოეწოდება სასამართლო განჩინებები და პროკურორის დადგენილებები, რომლებიც ნებას რთავს ამა თუ იმ საგამოძიებო ორგანოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჩაატაროს ფარული საგამოძიებო მოქმედება. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ასევე მოეწოდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალების განადგურების ოქმები. ზემოაღნიშნული დოკუმენტების მიღების პარალელურად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლს ახორციელებს ელექტრონული სისტემებით, რომელთა საშუალებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს რეალურ დროში აქვს ხედვა სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მიმდინარე და დასრულებულ პროცესებზე. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიღებული მატერიალური დოკუმენტების (სასამართლოს განჩინებების და პროკურორის დადგენილებების) სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ ელექტრონულ სისტემაში ასახულ მონაცემებთან შედარების საშუალება გააჩნია. ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მონიტორინგის განხორციელების ფარგლებში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში, უფლება აქვს შეაჩეროს მიმდინარე სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა.

ზემოაღნიშნული მუდმივი მონიტორინგის პარალელურად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, როგორც მოქალაქეთა მომართვის, ასევე საკუთარი ინიციატივით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე კონტროლის ფარგლებში, მათ შორის, იმ პირთა ინფორმირების საკითხის შესასწავლად, რომელთა მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება, ახორციელებს საგამოძიებო ორგანოებისა და სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემოწმებას. შემოწმების ფარგლებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური თავად ახდენს რეაგირებას (დამრღვევ პირს აკისრებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას), ხოლო საქმიანობის პროცესში დანაშაულის ნიშნების გამოვლენისას, სამსახური შეტყობინებას უგზავნის უფლებამოსილ საგამოძიებო ორგანოს.

აქვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საზედამხედველო უფლებამოსილება არ ვრცელდება სახელმწიფო უსაფრთხოების, თავდაცვის, სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი საქმიანობების მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია საკანონმდებლო მექანიზმებსა და ბერკეტებს, შეისწავლოს ამ სფეროში საკანონმდებლო მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევით განხორციელებული ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ფაქტები.

02

2021 წელს ფარული ჩანაწერების გასაჯაროება

2. 2021 წელს ფარული ჩანაწერების გასაჯაროება

2021 წელს ადგილი ჰქონდა სხვადასხვა პირთა შორის განხორციელებული სატელეფონო კომუნიკაციისა და სხვა სახის ფარული ჩანაწერების გასაჯაროების ფაქტებს. გავრცელებული მასალა ბადებს კითხვის ნიშნებს სხვადასხვა პირთა მიმართ, უკანონო ფარული მიყურადებისა და თვალთვალის შესახებ. საზოგადოებაში გაჩნდა პირადი სივრცის დაუცველობის განცდა და მასალების გამოქვეყნება აისახა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობაზეც.[30] მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მოკლებულია საკანონმდებლო მექანიზმებსა და ბერკეტებს, აღმოაჩინოს (და შემდგომ გამოიძიოს) სასამართლოს განჩინებისა და პროკურორის დადგენილების გარეშე განხორციელებული ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ფაქტები, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით სამსახურისთვის მინიჭებული უფლებამოსილება (ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი) საზოგადოებაში აჩენს გადაჭარბებულ მოლოდინებს სამსახურის მიმართ. შესაბამისად, გავრცელებულმა მასალამ კითხვის ნიშნები გააჩინა მათ შორის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ეფექტურობის მიმართ.

მასალების გასაჯაროების შემდეგ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილ იქნა 22 პირის მომართვა, რომლებიც აღნიშნავდნენ რომ გასაჯაროებულ მასალაში მოხვედრილი იყო მათი სატელეფონო კომუნიკაციის ამსახველი ჩანაწერები. ისინი ითხოვდნენ სამსახურისგან რეაგირებას და იმ ფაქტის დადასტურებას/უარყოფას, მიმდინარეობდა თუ არა მათ მიმართ ფარული მიყურადება/მოსმენა სასამართლოს განჩინების/პროკურორის დადგენილების საფუძველზე. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაამოწმა სამსახურში შემოსული სასამართლო განჩინებები, პროკურორის დადგენილებები და აღნიშნული დოკუმენტების კონტროლის ელექტრონულ სისტემასა და კონტროლის სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში არსებულ მონაცემებთან შესაბამისობა. ვინაიდან დადგინდა, რომ არც ერთი მათგანის მიმართ არ იყო განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის თაობაზე ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის ინფორმირების ვალდებულება იქნებოდა წარმოშობილი, სამსახურში წარმოდგენილი მომართვები, შემდგომი რეაგირების მიზნით გადაიგზავნა საქართველოს პროკურატურაში.

30 იხილეთ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გავრცელებული განცხადება - https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=2570250059784490&id=295537447255774

2021 წელს, ევროკავშირისა (EU) და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით, მომზადდა კვლევა ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ზედამხედველობის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლება და პერსონალური მონაცემების დაცვა) საერთაშორისო მექანიზმების შესახებ. დოკუმენტში გაანალიზებულია გაეროს, ევროპის საბჭოს და ევროპის კავშირის სამართლებრივი ინსტრუმენტები, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, და მიმოხილულია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების საზედამხედველო სისტემები.

2021 წელს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისისა (OHCHR) და ღია საზოგადოების ფონდი - საქართველოს (OSGF) მხარდაჭერით მომზადდა შედარებითი კვლევა, სადაც შეფასებულია კომუნიკაციის ჩაწერისა და ფარული მიყურადების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ შემუშავებულ სტანდარტებთან.

ჩატარებული კვლევები მიზნად ისახავდა ქართული კანონმდებლობის ანალიზსს, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებას, ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას და მტკიცებულებებზე დაფუძნებით სამსახურის ხედვის განსაზღვრას ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე მონიტორინგის მიმართულებით სამსახურის როლთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც განიხილავს 2017 წლის 1 ივნისის №1231 სარჩელს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან, კომპიუტერულ მონაცემებთან, მონაცემთა ბანკსა და ზედამხედველობასთან დაკავშირებული რამდენიმე ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს, დღემდე არ გამოუტანია გადაწყვეტილება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწას.

03

სტატისტიკური მონაცემები

3. სტატისტიკური მონაცემები

2021 წელს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ სასამართლომ განიხილა 1996 შუამდგომლობა, 2020 წელს - 997, 2019 წელს - 1 037. 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია სასამართლოს მხრიდან შუამდგომლობების სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელი (2019 წელს ეს მაჩვენებელი იყო 84%, 2020 წელს - 92%, ხოლო 2021 წელს - 88%).[31]

სასამართლოს განჩინებები სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ



რაც შეეხება სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელებას, სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე 2021 წელს განიხილა 270 შუამდგომლობა, 2020 წელს - 235, ხოლო 2019 წელს - 325. რაც შეეხება სასამართლოს მხრიდან დაკმაყოფილების მაჩვენებელს, 2021 წელს შემცირებულია ვადის გაგრძელების მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი. (2019 წელს ეს მაჩვენებელი იყო 86%, 2020 წელს - 94%, ხოლო 2021 წელს - 82%).

[31] აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები წარმოადგენს ამ ეტაპისთვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხელთ არსებულ მონაცემებს, რომელიც შესაძლოა მათ მიერ დაკორექტირდეს მცირედით.

სასამართლოს განჩინებები სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების შესახებ



სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შემდგომ, ყველაზე მეტი შუამდგომლობა დაყენებულია ფარული ვიდეოჩანაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების შესახებ. 2021 წელს ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების შესახებ სასამართლომ განიხილა 857 შუამდგომლობა, 2020 წელს - 727, 2019 წელს - 991. რაც შეეხება სასამართლოს მხრიდან დაკმაყოფილების მაჩვენებელს, 2020-2021 წლებში, თითქმის თანაბარია ამ სახის შუამდგომლობების სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელი (2019 წელს ეს მაჩვენებელი იყო 92%, 2020 წელს - 96%, ხოლო 2021 წელს -95%).

სასამართლოს განჩინებები ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების შესახებ



რაც შეეხება ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების ვადის გაგრძელებას, სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე 2021 წელს განიხილა 110 შუამდგომლობა, 2020 წელს - 120, ხოლო 2019 წელს - 144. რაც შეეხება სასამართლოს მხრიდან დაკმაყოფილების მაჩვენებელს, 2021 წელს შემცირებულია ვადის გაგრძელების მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი (2019 წელს ეს მაჩვენებელი იყო 97%, 2020 წელს - 95%, ხოლო 2021 წელს - 92%).

სასამართლოს განჩინებები ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების შესახებ ვადის გაგრძელების შესახებ



ფარული საგამოძიებო მოქმედების - კავშირგაბმულობის არხიდან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის შესახებ 2021 წელს სასამართლოში წარდგენილი იყო 5 შუამდგომლობა, 2020 წელს - 2 შუამდგომლობა, ხოლო 2019 წელს - 8 შუამდგომლობა. სასამართლოს მიერ ყველა მათგანი (სამივე წელს) დაკმაყოფილდა.

რაც შეეხება გადაუდებელი აუცილებლობით ფარულ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შემოსული პროკურორის დადგენილების სტატისტიკას, ყველაზე მეტი დადგენილება წარმოდგენილია ფარული ვიდეოჩაწერის, აუდიოჩაწერის ან/და ფოტოგადაღების შესახებ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შემოსული პროკურორის დადგენილები



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ასევე ხდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების (დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა) ჩატარების შესახებ სასამართლოს მიერ გაცემული განჩინებების წარმოდგენა. 2021 წელს წარმოდგენილ იქნა 10 994 შუამდგომლობა, 2020 წელს - 9 293, 2019 წელს - 8 440. რაც შეეხება სასამართლოს მხრიდან შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელს, მათი მაჩვენებელი ერთ ნიშნულზეა ბოლო სამი წლის განმავლობაში (2019, 2020, 2021 წლებში ეს მაჩვენებელი იყო 98%).

სამსახურში წარმოდგენილი სასამართლოს განჩინებები - დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში, სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს მიერ განხორციელებული აქტივობების კონტროლს ახორციელებს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში 2021 წელს მონაცემები 77, 2020 წელს - 78, ხოლო 2019 წელს - 81 შემთხვევაში დამუშავდა სასამარლოს განჩინების საფუძველზე.
2021 წელს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობათა კონტროლისას რაიმე ხარვეზი ან ინციდენტი არ გამოვლენილა.

04

სამსახურის მიერ შეჩერების მექანიზმის გამოყენება

4. სამსახურის მიერ შეჩერების მექანიზმის გამოყენება

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მიმდინარე სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შეჩერების მექანიზმი (კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით) 2021 წელს გამოიყენა 122, 2020 წელს - 116, ხოლო 2019 წელს - 98 შემთხვევაზე.

სამსახურის მიერ შეჩერების მექანიზმის გამოყენება



მიმდინარე სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შეჩერების საფუძველი უმეტესწილად იყო სასამართლოს განჩინების (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით) დადგენილ ვადებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში წარმოუდგენლობა ან პროკურორის დადგენილებაში ბუნდოვანება-უზუსტობის არსებობა.

სასამართლოს მიერ გაცემულ განჩინებებში არსებულ ბუნდოვანება-უზუსტობაზე სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს (კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით) 2021 წელს ეცნობა 11-ჯერ, 2020 წელს - 11-ჯერ, ხოლო 2019 წელს 20-ჯერ. ყველა შემთხვევაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სასამართლოს განჩინებებში აღმოჩენილი ბუნდოვანება-უზუსტობები აღმოიფხვრა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ვადებში.

სამსახურის მიერ ბუნდოვანება-უზუსტობის შეტყობინების მექანიზმის გამოყენება



სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადება-ჩაწერაზე სასამართლოს მიერ გაცემულ განჩინებებში და პროკურორის დადგენილებებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ბუნდოვანება-უზუსტობები აღმოაჩინა: მიღების თარიღში, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადებში, ფარულ მიყურადება-ჩაწერაზე ნებადართულ სააბონენტო ნომრებში.

05

სამსახურის მიერ შესწავლილი პროცესები

5. სამსახურის მიერ შესწავლილი პროცესები

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კანონიერების კონტროლის მიზნით, 2021 წელს სამსახურის ინიციატივით განხორციელდა სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს, საქართველოს პროკურატურისა და ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიების შემოწმება.

შესწავლილი პროცესების შედეგად სამართალდარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა. თუმცა, მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა შესასრულებლად სავალდებულო ათი დავალება და ერთი რეკომენდაცია.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს დაიწყო აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შემოწმება, რომელიც მოიცავს ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების გზით მოპოვებული მასალების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების შესწავლას (შემოწმება ვერ დასრულდა 2021 წელს, რადგან COVID-19-ით გამოწვეული ვითარების გამო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში შეუძლებელი აღმოჩნდა ადგილზე შემოწმების ჩატარება).

2021 წელს სამსახურმა შეამოწმა:

- სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო - შესწავლა განხორციელდა სამსახურის ინიციატივით. საჭიროდ იქნა მიჩნეული სააგენტოს მიერ ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მიზნით გამოყენებული სისტემების შესწავლა, ვინაიდან ისინი მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი 2017 წლის შემდეგ, ხოლო, მსგავსი მასშტაბის შემოწმება სააგენტოში ბოლოს ჩატარებული იყო 2016 წელს. შემოწმების ფარგლებში სამსახურმა შეისწავლა სააგენტოს მიერ, კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფარული საგამოძიებო მოქმედების - „სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის“ განხორციელებისას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების საკითხი. შემოწმების ფარგლებში შესწავლილი იქნა საიდუმლო დოკუმენტაცია, ქსელისა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები, ასევე, ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების მიზნებისთვის გამოყენებული ტექნიკური შესაძლებლობები. შემოწმების შედეგად სამართალდარღვევის ფაქტი არ დადგინდა. თუმცა გამოვლინდა ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრის მიზნით, სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს მიეცა შესასრულებლად სავალდებულო დავალებები და რეკომენდაცია, რომლებიც შესრულების პროცესშია;

- საქართველოს პროკურატურა - შესწავლა განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლის ეფექტურად განხორციელების მიზნით სამსახურის მიერ ყველა ინფორმაციისა და დოკუმენტის ფლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შემოწმების ფარგლებში შესწავლილ იქნა საქართველოს პროკურატურის, როგორც საგამოძიებო ორგანოს მიერ, 2021 წლის განმავლობაში ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების - სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის, ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების - განხორციელების შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[6] მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების შესახებ ოქმების სამსახურში წარმოდგენის ვალდებულების შესრულება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე ადგენს ოქმს, რომელიც გადაეცემა საგამოძიებო ორგანოს, რომელსაც აქვს ვალდებულება დაუყოვნებლივ წარუდგინოს აღნიშნული დოკუმენტი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. შემოწმების შედეგად სამართალდარღვევის ფაქტი არ დადგინდა. თუმცა გამოვლინდა ნაკლოვანებები, რომლებიც შეეხებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადებში აღნიშნული დოკუმენტის სამსახურში წარმოუდგენლობას. მათი აღმოფხვრის მიზნით გაიცა შესასრულებლად სავალდებულო დავალება, რომელიც შესრულების პროცესშია. ასევე, გამოვლინდა რომ, ორ შემთხვევაში დოკუმენტაცია სამსახურში დაგვიანებით იყო წარმოდგენილი, თუმცა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ მოხდა, ვინაიდან სამართალდარღვევის ჩადენის დროისათვის გასული იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი 2 თვიანი ხანდაზმულობის ვადა;

- ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია - ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიების მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით დადგენილი წესით გადაცემის შესახებ სამსახურში წარმოდგენილი შეტყობინებების დადებითი დინამიკა თვალსაჩინოა. მიუხედავად ამისა, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ეფექტური კონტროლის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, საკუთარი ინიციატივით ჩაატარა ერთ-ერთი ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის შემოწმება. შემოწმების ფარგლებში შესწავლილ იქნა 2021 წლის განმავლობაში აღნიშნული კომპანიის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესახებ სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულების შესრულების საკითხი. შემოწმების ფარგლებში დამუშავდა და გაანალიზდა სასამართლოდან და ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიიდან მიღებული დოკუმენტაცია. მათი შედარებისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიას ორ შემთხვევაში სამსახურში არ ჰქონდა წარმოდგენილი შეტყობინება სამართალდამცავი ორგანოსათვის გაცემული ინფორმაციის თაობაზე. ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიას ვერ დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ვინაიდან სამართალდარღვევათა ჩადენიდან გასული იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ორთვიანი ხანდაზმულობის ვადა.

06

დასკვნები

6. დასკვნები

ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების მონიტორინგის მიმართულებით გაწეული საქმიანობა და შესწავლილი პროცესები ცხადყოფს, რომ ამ სფეროში შემდეგი საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევებია:

- **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მაკონტროლებელი ფუნქციისა და საკანონმდებლო ბერკეტების გადახედვა** - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის კონტროლი არ ვრცელდება კონტრდაზვერვითი მიზნებით განხორციელებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს სისტემის ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას კონტრდაზვერვითი მიზნებით განხორციელებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე. ასევე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანო (მათ შორის, საგამოძიებო ორგანოები) შეამოწმოს წინასწარი გაფრთხილებისა და ინფორმირების გარეშე, დაუგეგმავად. მსგავსი შესაძლებლობა გაზრდიდა კონტროლის ეფექტურობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა გადაიხედოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს, ფუნქციები, როლი და კონტროლის განხორციელების მიზნით მისთვის მინიჭებული საკანონმდებლო და პრაქტიკული მექანიზმები. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის როლი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დროულად მიღება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწას და იქნება გზამკვლევი საკანონმდებლო ორგანოსთვის, მათ შორის, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე მონიტორინგის მიმართულებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის როლისა და ფუნქციების განსაზღვრასთან დაკავშირებით;

- **ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა** - ა) საჭიროა გადაიხედოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-138-ე მუხლებზე ამავე კოდექსის 143^{2}-143^{10} მუხლების (ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი) დებულებების მოქმედების მიზანშეწონილობა, ვინაიდან პრაქტიკაში (მათ შორის, სასამართლოს პრაქტიკაში) ეს საკითხი იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. აღნიშნულით არის განპირობებული ის გარემოება, რომ მოსამართლეთა და პროკურორთა ნაწილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ გაცემულ გაჩინებას/დადგენილებას არ გზავნის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში; ბ) საჭიროა გადაიხედოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^{3} მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილი მუხლები, რომლებზეც დასაშვებია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. აღნიშნული მუხლი, რომელიც მისი ამოქმედების დღიდან (2014 წლიდან) არაერთხელ შეიცვალა, ითვალისწინებს ფართო ჩამონათვალს (სატელეფონო კომუნიკაციის

ფარული მიყურადებასა და ჩაწერას 200-ზე მეტ მუხლზე) და შესაბამისად, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს შეუზღუდავ უფლებამოსილებას ანიჭებს. კიდევ უფრო პრობლემურია „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით სახელმწიფოსთვის მინიჭებული უფლებამოსილება, როგორც დანაშაულებთან, ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადებთან მიმართებით; გ) გადასახედია ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების ვადები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა, რომელსაც სასამართლო ცნობს დაუშვებელ მტკიცებულებად, უნდა განადგურდეს საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან ექვსი თვის შემდეგ. აღნიშნული მასალის ასეთი ხანგრძლივი ვადით შენახვა, რომლის საჭიროება ბუნდოვანია, წარმოშობს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელყოფის რისკებს. კიდევ უფრო ბუნდოვანია „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თვალთვალის შედეგად მიღებული ინფორმაციის დახარისხების, კონფიდენციალურობისა და განადგურების პროცედურების მარეგულირებელი დებულებები; დ) ბუნდოვანია და დაზუსტებას საჭიროებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების საკითხი. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[9] მუხლის თანახმად, გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როდის უნდა ეცნობოს პირს მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და გადაეცეს შესაბამისი განჩინება და მასალა, როგორც სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ, იღებს პროკურორი. თუმცა, კოდექსით მოწესრიგებული არ არის, ვის ეკისრება ინფორმირების ვალდებულება: გადაწყვეტილების მიმღებ პროკურორს თუ იმ საგამოძიებო დანაყოფის წარმომადგენელს, რომლის წარმოებაშიც არსებულ საქმეზე ჩატარდა გამოძიება. აღნიშნული ქმნის მონაცემთა სუბიექტების უფლებების დარღვევის (ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის ან დაგვიანებით მიწოდების) საფრთხეს; ე) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არ არის განსაზღვრული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალების განადგურების დამადასტურებელი ოქმის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენის ვადა (143[8] მუხლის მე-5 ნაწილი), რაც მონაცემთა დამმუშავებლებს აძლევს ქმედების თავისუფლებას და ართულებს მათი კონტროლის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას. გარდა ამისა, არ არის დარეგულირებული, კონკრეტულად ვის ეკისრება სამსახურში ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალების განადგურების შესახებ ოქმის წარმოდგენის ვალდებულება;

- **ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტების ხელმისაწვდომობა** - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემოწმების პროცესში შესწავლილი იქნა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი მონაცემთა სუბიექტებისთვის, რაც ამ პროცესს განუჭვრეტადს ხდის. იმის გათვალისწინებით, რომ შესწავლილი დოკუმენტების დიდი ნაწილი არ შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელთა მონაცემთა სუბიექტის მიერ ცოდნა ფარული საგამოძიებო მოქმედებების აღსრულების პროცესს

დააზიანებს ან/და მის მიმდინარეობას შეუქმნის საფრთხეს, საჭიროა გადაიხედოს მათი/მათი ნაწილის საიდუმლოების საჭიროება. აქტები, რომლებიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს ჩაერიოს ადამიანის პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციის უფლებით ეფექტურ სარგებლობაში, ოფიციალურად უნდა გამოქვეყნდეს და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს;

- **მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება მათ მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ** - პრაქტიკაში მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება, მათ მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, რიგ შემთხვევებში ხდება დაგვიანებით ან/და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების დარღვევით. აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და სასურველია გამკაცრდეს სანქციები ამ მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის;
- **ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული არარელევანტური ინფორმაციის განადგურება** - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოპოვებული ინფორმაცია, თუ მას არ აქვს ღირებულება გამოძიებისათვის, ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს პროკურორის გადაწყვეტილებით. მედია საშუალებებით გავრცელებული სისხლის სამართლის მასალები ცხადყოფს, რომ რიგ შემთხვევებში, ასეთი (არარელევანტური) ინფორმაცია თავსდება სისხლის სამართლის საქმეში და იგი გადაეცემა მხარეებს. საჭიროა მკაფიო შიდა რეგულაციები, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დახარისხებისა და გამოძიებისთვის არაღიარებული მონაცემების (რაც შესაძლოა შეიცავდეს პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციას) განადგურების შეახებ;
- **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან თანამშრომლობის გაძლიერება** - ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიების მიერ, რიგ შემთხვევებში, კანონით დადგენილ 24 საათიან ვადაში, არ ხდება ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის ფაქტების შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის მიწოდება. ამასთან, სამართალდამცავი ორგანოების მიერ არაჯეროვნად ხდება ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებისა და აღნიშნული მოქმედების ფარგლებში მოპოვებული მასალების განადგურების შესახებ ოქმების სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენა.

VI. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სტრუქტურა, ადამიანური რესურსები და ინსტიტუციური განვითარება

01

ორგანიზაციული მოწყობა

1. ორგანიზაციული მოწყობა

2018 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი. მის საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურად გარდაიქმნა. შედეგად, 2019 წლის 1 ნოემბრიდან, სამსახურს არსებული ფუნქციების (პერსონალური მონაცემების დაცვა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების მონიტორინგი) პარალელურად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი ცალკეული დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება დაემატა.

სამსახურის ახლებური ფორმით ჩამოყალიბების შემდეგ, დაკისრებული უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელების მიზნით, დღის წესრიგში დადგა ახალი ორგანიზაციული მოწყობის საჭიროება. შესაბამისად, განვლილი სამი წლის განმავლობაში სამსახურის მიერ მიღებული იქნა არაერთი ორგანიზაციულ განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილება.

ფუნქციების გაფართოების პარალელურად, სამსახურს დაემატა სამი ახალი სტრუქტურული ერთეული: საგამოძიებო დეპარტამენტი, ანალიტიკური დეპარტამენტი და გენერალური ინსპექცია.

სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილების ამოქმედების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა არსებული ორგანიზაციული მოწყობის მოდერნიზებისა და ორგანიზაციის წინაშე მდგარი გამოწვევების საპასუხოდ ცვლილებების განხორციელების საჭიროება. შესაბამისად, 2020 წელს, სამსახურის მიერ მიღებული იქნა რეორგანიზაციისა და ახალი ორგანიზაციული მოწყობის ჩამოყალიბების გადაწყვეტილება. აღნიშნული პროცესის მიზანს - სტრუქტურულ ერთეულებს შორის შესაძლო დუბლირებების თავიდან აცილება, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამარტივება, ბიუროკრატიის შემცირება, მართვის ეფექტიანობისა და მომსახურების ხარისხის გაზრდა წარმოადგენდა.

რეორგანიზაციის შედეგად, დამოუკიდებელ დეპარტამენტებად ჩამოყალიბდა კერძო და საჯარო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტები, რომლის შედეგად, სფეროების შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით მონიტორინგის განხორციელება სამ დეპარტამენტს - სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის, კერძო სექტორზე ზედამხედველობისა და საჯარო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტს დაეკისრათ. პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე მონიტორინგის ასეთი სექტორული მიდგომის მიზანს შესაბამის სფეროებში თანმიმდევრული მიდგომების ჩამოყალიბება, ერთგვაროვანი პრაქტიკის

დამკვიდრება და განსახორციელებელი ღონისძიებების სტრატეგიული დაგეგმვა წარმოადგენდა. ასევე, განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა ოპერატიული სამმართველო, რომლის ძირითად ფუნქციად სამსახურის ქვემდებარე დანაშაულთა ეფექტური გამოძიების ხელშეწყობა განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ რეორგანიზაციის პროცესში, გადაიხედა და ახლებურად ჩამოყალიბდა მთელი რიგი სამართლებრივი აქტები, მათ შორის: სამსახურის დებულება, საშტატო ნუსხა, სამსახურის შინაგანაწესი, სამსახურის თითოეული თანამდებობისთვის აუცილებელი სამუშაო აღწერილობები, დამატებითი და სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტები. ხაზგასასმელია, რომ რეორგანიზაციის შედეგად არ მომხდარა სამსახურის არც ერთი თანამშრომლის გათავისუფლება.

2022 წლიდან სამსახურის საშტატო რიცხოვნობა გაიზარდა. დაგეგმილი იყო ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნა, რომელიც განახორციელებდა თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგს, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის, ასევე საგამოძიებო მიმართულებით. თუმცა, საქართველოს პარლამენტის მიერ 2021 წლის 30 დეკემბერს მიღებული კანონის გათვალისწინებით (რომლითაც გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და მის საფუძველზე შეიქმნა ორი სხვა სამსახური) არსებულ ორგანიზაციულ მოწყობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

02

სამსახურის სტრუქტურა


სახელმწიფო ინსპექტორი
ინსპექტორის პირველი მოადგილე
ინსპექტორის მოადგილე
ინსპექტორის მოადგილე
გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი)
ეკონომიკური დეპარტამენტი
საგამოძიებო დეპარტამენტი
ადმინისტრაციული დეპარტამენტი
საჯარო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტი
იურიდიული დეპარტამენტი
აღმოსავლეთის სამმართველო
ადმინისტრაციულ ი დეპარტამენტი
კერძო სექტორზე ზედამხედველობი ს დეპარტამენტი
დასავლეთის სამმართველო
ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტი
სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტი
მრჩეველი პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებში
აჭარის ა/რ სამმართველო
საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
ოპერატიული სამმართველო
საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

03

ადამიანური რესურსები

3. ადამიანური რესურსები

2019 წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურად გარდაქმნის პარალელურად, თანამშრომელთა რაოდენობა 53 საშტატო ერთეულიდან 116 საშტატო ერთეულამდე გაიზარდა.

2020 წლის მდგომარეობით, სამსახურის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 125 საშტატო ერთეულით, რომელიც უცვლელად იქნა შენარჩუნებული 2021 წლის განმავლობაშიც.

2021 წლის დასასრულს სამსახურში დასაქმებული იყო 110 პირი, რომელთაგან 45 იყო ქალი, ხოლო 65 კაცი. აღსანიშნავია, რომ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული 25 თანამშრომლიდან 13 იყო ქალი, ხოლო 12 - კაცი.

თანამშრომელთა გადანაწილება გენდერულ ჭრილში



2022 წლიდან სამსახურის საშტატო რიცხოვნობა 125 ერთეულიდან 150 ერთეულამდე გაიზარდა, თუმცა საქართველოს პარლამენტის მიერ 2021 წლის 30 დეკემბერს მიღებული კანონის გათვალისწინებით (რომლითაც გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და მის საფუძველზე შეიქმნა ორი სხვა სამსახური) ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსები არ გამოცხადებულა.

ორგანიზაციული განვითარების პარალელურად, სამსახური მუდმივად ივსებოდა კვალიფიციური კადრებით. ამ მიზნით, 2019 წელს, საგამოძიებო ფუნქციის ამოქმედების უზრუნველსაყოფად, სამსახურის მიერ კონკურსი

გამოცხადდა 71 ვაკანტურ თანამდებობაზე, მათ შორის 53 ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი ჩატარდა 2019 წლის 1 ოქტომბრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით. ანალოგიურად, როგორც 2020, ასევე, 2021 წელს კვლავ გამოიკვეთა ახალი საკადრო რესურსის მობილიზების საჭიროება. შესაბამისად, სამსახურმა 2020 წელს 30, ხოლო 2021 წელს 64 ვაკანტურ პოზიციაზე გამოაცხადა კონკურსი.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნის დღიდან სამსახურისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს კვალიფიციური და მაღალი ეთიკური სტანდარტების მქონე კადრების მოზიდვა წარმოადგენდა, რომელთა შერჩევისას დაცული იქნებოდა გამჭვირვალობის პრინციპი. შესაბამისად, სამსახურის მიერ დამკვიდრებულ იქნა კონკურსის ჩატარების მაღალი სტანდარტი, რაც კანდიდატის რამდენიმე ეტაპიანი საკონკურსო პროცედურების საფუძველზე შერჩევას გულისხმობდა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში გადამწყვეტი იყო კანდიდატთა კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება, პროფესიული უნარ-ჩვევები, პიროვნული თვისებები და მოტივაცია. სამსახურის მიერ გამოცხადებული როგორც ღია, ასევე დახურული და შიდა კონკურსების მაქსიმალურად გამჭვირვალედ და ობიექტურად წარმართვის მიზნით კი, საკონკურსო კომისია მუდმივად დაკომპლექტებული იყო სამსახურის წარმომადგენლებისა და გარე მოწვეული წევრებისაგან (მათ შორის, სამოქალაქო სექტორიდან და აკადემიური წრიდან).

სამსახურის მიერ მუდმივად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოქმედი, მაღალკვალიფიციური და მოტივირებული თანამშრომლების კარიერული განვითარების ხელშეწყობას. ამ მიზნით 2019, 2020 და 2021 წლებში სამსახურში გამოცხადდა რამდენიმე შიდა კონკურსი, რომელთა შედეგად, როგორც, პერსონალურ მონაცემთა დაცვის, ასევე, საგამოძიებო და სხვა მიმართულებით 21 თანამშრომელი დაწინაურდა.

ახალი და მოტივირებული კადრების მოზიდვის მიზნით სამსახურის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) მხარდაჭერით, სტაჟირებისა და მენტორობის პროგრამა დაინერგა. აღნიშნული პირველად სამსახურის საგამოძიებო მიმართულებით განხორციელდა, რომლის შედეგად, 2020 წელს, ოთხეტაპიანი ღია კონკურსის საფუძველზე, 245 კანდიდატიდან, ხუთი სტაჟიორ-გამომძიებელი შეირჩა. შერჩეული პირებიდან ოთხმა ერთწლიანი ანაზღაურებადი სტაჟირება საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოში გაიარა, ხოლო ერთ მათგანს პირადი განცხადების საფუძველზე ვადაზე ადრე შეუწყდა სტაჟირება. სტაჟირების წარმატებით დასრულების შემდგომ, ოთხივე სტაჟიორ-გამომძიებელი დაინიშნა გამომძიებლის თანამდებობაზე. სტაჟიორ-გამომძიებელთა შერჩევის მეორე ეტაპი 2021 წელს განხორციელდა, რომლის შედეგად, 215 კანდიდატიდან, ხუთი სტაჟიორ-გამომძიებელი შეირჩა. შერჩეული სტაჟიორ-გამომძიებლები ამჟამად სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთ სამმართველოში გადიან სტაჟირებას. საგულისხმოა, რომ მოტივირებული ახალგაზრდებისთვის მეტი შესაძლებლობის მიცემის მიზნით, 2021 წელს, შემოღებულ იქნა სტაჟიორ-გამომძიებელთა სარეზერვო კანდიდატების შერჩევის შესაძლებლობა. გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, შეირჩა ცხრა სარეზერვო კანდიდატი, რომლებსაც სტაჟიორ-გამომძიებლებისთვის სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ

სხვა შემთხვევებში, დამატებითი კონკურსის გავლის გარეშე, მხოლოდ გასაუბრების საფუძველზე, მიეცემათ საგამოძიებო დეპარტამენტის როგორც თბილისის, ასევე, ბათუმისა და ქუთაისის დანაყოფებში დასაქმების შესაძლებლობა.

სტაჟირებისა და მენტორობის პროგრამა, საგამოძიებო დეპარტამენტის მსგავსად, დაინერგა სამსახურის სხვა სტრუქტურულ ერთეულებშიც. სამსახურის მიერ განხორციელებული ახალგაზრდული პროექტების ათ წარმატებულ და მოტივირებულ მონაწილეს მიეცა სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტში სტაჟირების გავლის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ გარდა შიდა ტიპის სტაჟირებების სისტემებისა, სტუდენტებისთვის დამატებითი შესაძლებლობების მიცემის მიზნით, სამსახური ასევე აქტიურად იყო ჩართული სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში, რომლის საშუალებითაც 2019-2021 წლებში სამსახურში სტაჟირება ცხრა სტუდენტმა გაიარა.

სახელმწიფო ინსპექტორმა 2020-2021 წლების განმავლობაში 40 თანამშრომელი წაახალისა (2020 წელს - 18, ხოლო 2021 წელს - 22), მათ შორის, 29-ს გამოუცხადა მადლობა, ხოლო 11-ს ვადაზე ადრე მიანიჭა სახელმწიფო სპეციალური წოდება. ყველა ეს საკითხი განიხილა საბჭომ (შრომით ურთიერთობებში კანონიერების, სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის, ინტერესთა შეუთავსებლობის დაუშვებლობისა და ნდობის პრინციპების დასამკვიდრებლად, 2020 წელს შექმნილმა თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა განმხილველმა კოლეგიურმა ორგანომ), რომლის სარეკომენდაციო გადაწყვეტილებები სახელმწიფო ინსპექტორმა სრულად გაიზიარა.

რაც შეეხება თანამშრომელთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას, 2020-2021 წლების განმავლობაში, სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებით, დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა სამსახურის სამ თანამშრომელს.

04

ადამიანური რესურსების განვითარება

4. ადამიანური რესურსების განვითარება

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში თანამშრომელთა პროფესიული განვითარება უწყვეტი პროცესია და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას დიდი ყურადღება ექცევა. ახალი გამოწვევების შესაბამისად, სამსახური მუდმივად ზრუნავდა თანამშრომელთა ცოდნის, კომპეტენციის, პროფესიული და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებაზე. სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით:

- 2019 წელს ჩატარდა 14 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 122-მა მსმენელმა;
- 2020 წელს ჩატარდა 33 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 370-ზე მეტმა მსმენელმა;
- 2021 წელს ჩატარდა 46 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 688 მსმენელმა.

2021 წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით, განხორციელდა შემდეგი სასწავლო აქტივობები:

- სამსახურის თანამშრომლებს, საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერითა და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან“ (IDFI) თანამშრომლობით, ჩაუტარდათ ტრეინინგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმისწარმოების თემაზე, რომლის მიზანიც პერსონალურ მონაცემთა შესაძლო კანონდარღვევით დამუშავების ფაქტებზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცედურების განხილვა, სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის პროცესში წამოჭრილი პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა და ამ მიმართულებით სასამართლო პრაქტიკის გაცნობა იყო;
- საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერითა და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან“ (IDFI) თანამშრომლობით, სამსახურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრეინინგი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებული პრეცედენტული გადაწყვეტილებების შესახებ, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც მოიცავდა: პოლიციის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებას, ფარულ მეთვალყურეობას, მასობრივ მიყურადებას, საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებისა და უცხოური დაზვერვის სამსახურებიდან მონაცემების მიღებას, დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის კომუნიკაციის მონიტორინგს, ვიდეომონიტორინგის განხორციელებას;
- თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და არსებული გამოწვევებისათვის მოსამზადებლად, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, თანამშრომელთა გადამზადება განხორციელდა ხელოვნური ინტელექტისა და პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე.

2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, განხორციელდა შემდეგი სასწავლო აქტივობები:

- გამოძიების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და აღნიშნულ პროცესში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიზნით, საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა გადამზადება გაიარეს: ფარული საგამოძიებო მოქმედებების, დანაშაულის ადგილის გამოძიებისა და მართვის, პროფესიული სტანდარტების და გამოკითხვის მიმართულებით. ტრეინინგები უცხოელ პარტნიორებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობით განხორციელდა და სხვა თემებთან ერთად, მათი გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებდა. სასწავლო აქტივობები ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა;
- სამსახურის თანამშრომლები ჩაერთნენ ცეცხლსასროლი იარაღის, ფიზიკური იძულებისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური გადამზადების კურსში, რომლის ფარგლებშიც მათ თეორიულთან ერთად, პრაქტიკული სწავლებაც გაიარეს;
- არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესზე ორიენტირებული გამოძიების ჩასატარებლად, გამომძიებლებმა გაიარეს სპეციალიზაციის კურსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე.

2021 წელს არაერთი სასწავლო აქტივობა დაიგეგმა სამსახურის თანამშრომელთა უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით:

- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, სამსახურის მენეჯერებისთვის განხორციელდა ტრენინგების სერია, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ზოგადი, სტრატეგიული და ცვლილებების მენეჯმენტი, კრიზისებისა და დროის მართვა, გუნდურობა და ორგანიზაციული კულტურა, ასევე, ემოციური ინტელექტი, მოტივაცია და თვითმოტივაცია. სასწავლო აქტივობამ, სამსახურში დასაქმებულ მენეჯერებს საშუალება მისცა გაეღრმავებინათ ცოდნა მართვის თანამედროვე სტანდარტების შესახებ;
- სამსახურის ცნობადობის ზრდისა და საზოგადოების მხრიდან მისი საქმიანობით აქტიური დაინტერესების კვალდაკვალ, სამსახურის წარმომადგენლებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ როგორც დაინტერესებულ პირებთან, ასევე, სხვა კერძო და საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებსა და მედია საშუალებებთან. 2021 წელს, სამსახურის თანამშრომელთა კომუნიკაციის უნარების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, განხორციელდა ტრეინინგების ციკლი - ეფექტური კომუნიკაციის უნარები. ასევე, ორგანიზებული იქნა სატელეფონო მომსახურებასთან დაკავშირებული სასწავლო აქტივობა. მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებისა და საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა ტრეინინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის თემაზე. თანამშრომლები ასევე გადამზადნენ მედიასთან კომუნიკაციის საკითხებზე, რომლის ფარგლებშიც დაიფარა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: ბრიფინგის გამართვა, კომენტარის მიცემა, დებატების ხელოვნება, აზრის ნათლად და მოკლედ გადმოცემა და სხვა;
- ვინაიდან ყოველწლიურად მზარდი იყო ტრენინგის ჩატარების მიზნით სხვადასხვა კერძო თუ საჯარო დაწესებულებების მხრიდან სამსახურში წარმოდგენილი მოთხოვნები, 2020 წლის მნიშვნელოვან წამოწყებას წარმოადგენდა შიდა ტრენერთა გუნდის განვითარება. აღნიშნული მიზნით, სამსახურმა დააიდენტიფიცირა შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე ტრენერობის მსურველი თანამშრომლები. 2021 წელს, სამსახურის ტრენერთა გუნდის გაძლიერების მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)

მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი (TOT), რომლის ფარგლებშიც როგორც თეორიული ისე პრაქტიკული სწავლება სამსახურის 18-მა თანამშრომელმა გაიარა;

- ასევე, სამსახურის თანამშრომლებმა გაირეს ტრეინინგები შემდეგ თემებზე: სექსუალური შევიწროება, საჯარო სამსახურში მართვა და ლიდერობა, მონაცემთა ვიზუალიზაცია, კიბერდანაშაული;
- გადაწყვეტილებებისა თუ სხვა სახის დოკუმენტების შედგენის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამსახურის თანამშრომლები გადამზადდნენ სამართლებრივი მართლწერის საკითხებზე;
- საჯარო სექტორში ახლად დანიშნული თანამშრომლები ასევე ჩაერთნენ საჯარო მოხელეთა პროფესიული გადამზადების პროგრამებში, რომელთა ფარგლებში დაიფარა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა: ეთიკა საჯარო სამსახურში, ადმინისტრაციული წარმოება, პროფესიული კომუნიკაცია და გუნდური მუშაობა, ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვა.

GIORGI
Bezhanishvili

05

ინსტიტუციურ განვითარებაზე მიმართული პროექტები

5. ინსტიტუციურ განვითარებაზე მიმართული პროექტები

სამსახური აქტიურად ზრუნავდა შიდა ორგანიზაციული პროცედურებისა და პრაქტიკის დახვეწაზე. ამ მიზნით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

- ადამიანური რესურსების მართვის მიმართულების ეფექტიანობის ზრდისა და სისტემური მიდგომების დანერგვის მიზნით, 2021 წელს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა და სფეროს ექსპერტის ჩართულობით, განხორციელდა სამსახურში არსებული ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ანალიზი, რომლის შედეგად მომზადდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2022-2024 წლებისთვის. მომზადებული დოკუმენტების საფუძველზე, ერთი მხრივ შესაძლებელი გახდა არსებული სისტემისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირება, ხოლო მეორე მხრივ, სამომავლო მიზნებისა და გეგმების დასახვა ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით;

- შიდა კომუნიკაციის კუთხით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, მათი დაძლევისა და კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმის შექმნის მიზნით, 2021 წელს, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა და სფეროს ექსპერტების ჩართულობით, განხორციელდა ორგანიზაციის შიგნით არსებული საკომუნიკაციო არხებისა და პრაქტიკების შესწავლა. ექსპერტების მიერ მომზადებული იქნა კონკრეტული ხედვა და რეკომენდაციები ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. შემდგომ ეტაპს გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე აღნიშნული სისტემის აწყობა და მისი პრაქტიკული იმპლემენტაცია წარმოადგენდა, რამდენადაც ეფექტური შიდა კომუნიკაციის არსებობას არსებითი გავლენა აქვს ერთიანი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბების, თანამშრომელთა კმაყოფილების, ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად შესრულების თვალსაზრისით;

- სამსახურის საქმიანობაში გენდერული ასპექტების გათვალისწინებისა და გაძლიერების მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით (UN WOMEN), 2021 წელს სამსახურში ჩატარდა თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი (PGA), რომელიც ამ მიმართულებით სერტიფიცირებულმა და კონკურსის საფუძველზე შერჩეულმა ექსპერტებმა განახორციელეს. შესაბამისი ანგარიში მომზადდა ექსპერტების მიერ არსებული დოკუმენტაციისა და სამსახურში დამკვიდრებული პრაქტიკის ანალიზის, ასევე, სამსახურის ხელმძღვანელებთან, შუა რგოლის მენეჯერებთან და სხვა თანამშრომლებთან პირდაპირი ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. დოკუმენტში დეტალურად იქნა განხილული სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობა და საქმიანობა ყველა მიმართულებით გენდერულ ჭრილში. ასევე, წარმოდგენილი იქნა კონკრეტული რეკომენდაციები როგორც კანონმდებლობის დახვეწის, ასევე,

საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის და სხვა მიმართულებით გენდერული ასპექტის გათვალისწინების, ისევე როგორც, თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების ამ მიმართულებით გაძლიერების კუთხით. მომზადებული რეკომენდაციების პრაქტიკული იმპლემენტაციის მიზნით, ანგარიშის შემდგომ ეტაპს შესაბამისი გეგმის შემუშავება და მისი შესრულება წარმოადგენდა;

- 2021 წელს, დისკრიმინაციისგან თავისუფალი და ჯანსაღი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, სამსახურმა გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN WOMEN) თანამშრომლობითა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსთან კოორდინაციით შეიმუშავა და დანერგა სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი. შემუშავებული წესის თანახმად, განისაზღვრა კონკრეტული, კონფიდენციალურ პროცედურებზე ორიენტირებული წესი, რომლის საშუალებითაც სექსუალური შევიწროების მსხვერპლს მიეცა საკუთარი საჩივრის დაფიქსირებისა და სამართლიანი პროცესის საფუძველზე განხილვის შესაძლებლობა. ამასთან, მექანიზმის ფარგლებში, სამსახურში განისაზღვრნენ მაღალი მგრძნობელობისა და შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი კონკრეტული პირები. მათ მოვალეობად ორგანიზაციის შიგნით თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება, სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით სამსახურში დასაქმებული პირისთვის კონსულტაციის გაწევა და მხარდაჭერაზე ზრუნვა განისაზღვრა. მექანიზმის დანერგვის შემდგომ, განხორციელდა სამსახურში დასაქმებული ყველა თანამშრომლის გადამზადება მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

06

ტექნოლოგიური, ინფრასტრუქტურული და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

6. ტექნოლოგიური, ინფრასტრუქტურული და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

2019 წლიდან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინფრასტრუქტურასა და ინფორმაციულ სისტემებში არაერთი ტექნიკური და პროგრამული სიახლე დაინერგა. აღნიშნული სიახლეები და ცვლილებები მიმართული იყო როგორც სამსახურის ფუნქციონირებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულების სამუშაო პროცესების ავტომატიზაციის გაუმჯობესებაზე, ასევე, ახალი საგამოძიებო ფუნქციის ეფექტიან ამოქმედებაზე.

2020 წლიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. ამ წელს, კორონავირუსის გავრცელების მასშტაბმა და მსოფლიოში გამოცხადებულმა პანდემიამ, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის შრომით ურთიერთობებში, მთელი რიგი პრობლემები წარმოშვა. ამ მხრივ, გამონაკლისი არც 2021 წელი იყო. ერთი მხრივ აუცილებელი იყო ქვეყანაში დაწესებული რეგულაციების მკაცრი დაცვა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო სამსახურის თანამშრომლებისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა, ხოლო მეორე მხრივ, დღის წესრიგში იდგა სამსახურის სამუშაო პროცესების ეფექტურად წარმართვისა და სამსახურის ინფრასტრუქტურით სარგებლობის საჭიროება. შესაბამისად თანამშრომელთა სამუშაო პროცესები ჰიბრიდულად - დისტანციურ და ადგილზე სამუშაო რეჟიმებით, წარიმართა. აღნიშნული პროცესების შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, განხორციელდა აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებისა და პლატფორმების დანერგვა.

სამუშაო პროცესის დისტანციურ რეჟიმში შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, განხორციელდა მთელი რიგი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებისა და პლატფორმების დანერგვა, რამაც არსებითად შეუწყო ხელი როგორც შიდა, ასევე გარე კომუნიკაციის შეუფერხებლად წარმოებას. გატარებული ღონისძიებები ასევე მოიცავდა თანამშრომლების დისტანციური სამუშაო პროცესის ტექნიკურ დაგეგმვას, სამსახურის სერვერულ, ქსელურ და უსაფრთხოების სისტემებში შესაბამის ტექნიკურ ცვლილებებს, დისტანციურ რეჟიმზე მყოფი თანამშრომლებისთვის პორტატული კომპიუტერების გამართვასა და ახალი პროცესებისთვის მოსამზადებლად განხორციელებულ სწავლებებს.

ასევე, 2021 წელს, ქალაქ ბათუმში საგამოძიებო დეპარტამენტის ახალი ოფისის ეფექტიანი ამოქმედების მიზნით, დროულად იქნა უზრუნველყოფილი საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურის შეძენა, მონტაჟი, ინსტალაცია და სამუშაო ადგილების მომზადება. აღსანიშნავია, რომ სამსახურის საგამოძიებო მიმართულების სრულად ამუშავების შემდეგ, შესაბამისი მიმართულებისათვის გამოყენებული სერვერული ინფრასტრუქტურული რესურსები მნიშვნელოვნად შეივსო. 2021 წელს, სამსახურის საგამოძიებო მიმართულების სამუშაო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელდა დამატებითი სერვერული ინფრასტრუქტურის შესყიდვა, მონტაჟი და გამართვა.

ასევე, ევროკავშირის ფინანსური და გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) ადმინისტრაციული მხარდაჭერით, ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის ოფისებში არასრუწლოვანთა დაკითხვის ოთახები სრულად აღიჭურვა თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი ტექნიკით.

2020 წლიდან ვიდეო-საკონფერენციო სისტემის დანერგვაზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ტერიტორიულ ოფისებს შორის კომუნიკაციის გამარტივებას, მნიშვნელოვანი ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონის შეხვედრების დაცულ ონლაინ ფორმატში წარმართვას და დისტანციური სწავლების განვითარებას. ევროკავშირის ფინანსური და გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) ადმინისტრაციული მხარდაჭერით, 2022 წლის დასაწყისში განხორციელდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ყველა ოფისისთვის თანამედროვე სტანდარტების სატელეკონფერენციო სისტემების შეძენა.

2021 წელს სამსახურში დაინერგა შემდეგი ელექტრონული პროდუქტები:

- სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტების კომუნიკაციისათვის აუცილებელი სამუშაო პროცესების ეფექტური წარმართვისათვის, შემუშავდა და დაინერგა მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) გაგზავნის ელექტრონული სისტემა;

- გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სამუშაო პროცესების ავტომატიზებისათვის, სამსახურის ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების თანამშრომელთა უშუალო ჩართულობით, შემუშავდა და დაინერგა საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვისა და საგამოძიებო პროცესების სრული სტატისტიკური აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემები, რომელიც განხორციელდა;

- სამსახურის თანამშრომლებს შორის ინფორმაციის გაცვლის ლოკალური ქსელის განვითარებისა და მნიშვნელოვანი დოკუმენტების ერთ სივრცეში, მომხმარებლებისათვის მარტივად ხელმისაწვდომი ფორმით განთავსების მიზნით, შემუშავდა შიდა საინფორმაციო ელექტრონული სისტემის (ინტრანეტის) ტექნიკური ამოცანა, რომლის განხორციელებაც 2022 წლიდან იყო დაგეგმილი საერთაშორისო პარტნიორების ფინასური მხარდაჭერით;

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით ქვეყანაში სტანდარტის ამაღლებისა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სხვადასხვა კერძო, თუ საჯარო ორგანიზაციებისათვის გაცემული დავალებებისა და რეკომენდაციების ეფექტური და დროული მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, შემუშავდა სპეციალური ელექტრონული მოდული. აღსანიშნავია, რომ სამსახურის მიერ გაცემული დავალებების შესრულების პროცესის ავტომატიზება ასევე გათვალისწინებული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, 2019 წელს ჩატარებული, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში. ელექტრონული მოდულის მომზადება განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის მხარდაჭერით.

VII. თანამშრომლობა

01

საჯარო და კერძო დაწესებულებებთან თანამშრომლობა

1. საჯარო და კერძო დაწესებულებებთან თანამშრომლობა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური თანამშრომლობდა საქართველოს პარლამენტთან სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებისა და სამსახურის ეფექტიანობის გაზრდის უზრუნველსაყოფად საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიზნით. კერძოდ:

ა) 2021 წელს საქართველოს პარლამენტში წარდგენილი იქნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის მოცულობითი ანგარიში, რომელშიც სამსახურის მიღწევებთან ერთად საუბარი იყო სამსახურის წინაშე არსებულ საკანონმდებლო და პრაქტიკულ გამოწვევებზე. საქართველოს პარლამენტთან არაერთი კომუნიკაციის მიუხედავად (მათ შორის შედგა სახელმწიფო ინსპექტორის შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეებთან), ანგარიშის განხილვა საქართველოს პარლამენტში არ მომხდარა;

ბ) სამსახურს ჰქონდა აქტიური კოორდინაცია საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან, საქართველოს პარლამენტში სამსახურის ავტორობით მომზადებული და 2019 წელს წარდგენილი ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონპროექტის განხილვის დაჩქარების მიზნით, თუმცა აღნიშნული კანონი ამ დრომდე მიღებული არ არის;

გ) ასევე, 24 დეკემბერს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება (საკანონმდებლო წინადადება მოიცავს ცვლილებებს 14 საკანონმდებლო აქტში, მათ შორის: ,,სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში და „პროკურატურის შესახებ“ ორგანულ კანონში) სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, თუმცა აღნიშნული წინადადების ნაცვლად პარლამენტის მიერ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ჩართულობის გარეშე, განხილული და მიღებული იქნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების გადაწყვეტილება;

დ) სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა ასევე ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებთან, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის პროცესში და წარუდგენდა მის მოსაზრებებს განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით, მისი ინიციატივით ან პარლამენტის მომართვის საფუძველზე.

სამსახური ასევე აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს პრეზიდენტთან. 2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორი ორჯერ შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს. შეხვედრებზე განხილული იქნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევები და სამსახურის გაძლიერების მიზნით გადასადგმელი ნაბიჯები.

სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებთან, როგორც ადამიანის უფლებათა შესაძლო დარღვევების პრევენციის, ასევე, დარღვეულ უფლებებზე რეაგირების პროცესში.

პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების პრევენციის მიზნით, სამსახური ზეპირ/წერილობით კონსულტაციებს უწევდა საჯარო და კერძო დაწესებულებებს, ასევე, მომართვის შემთხვევაში ახორციელებდა შიდა რეგულაციების (ნორმატიული და ინდივიდუალური აქტების) ექსპერტიზას და თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ატარებდა ტრენინგებს.

- 2019 წელს - საჯარო და კერძო სექტორის, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სკოლების, უნივერსიტეტებისა და სამედიცინო დაწესებულებების 600-ზე მეტ წარმომადგენელს მიეცა მონაცემთა დაცვის თემაზე ცოდნის შეძენისა და გაღრმავების შესაძლებლობა;
- 2020 წელს - საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორის 1 000-ზე მეტ წარმომადგენელს მიეცა მონაცემთა დაცვის თემაზე ცოდნის შეძენისა და გაღრმავების შესაძლებლობა;
- 2021 წელს - საჯარო, კერძო სექტორის და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთათვის, ასევე სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის განხორციელდა 50-ზე მეტი აქტივობა, სადაც 1 500-ზე მეტმა

2021 წელს ორგანიზებულ იქნა პირველი სამუშაო შეხვედრა საჯარო უწყებებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე მომუშავე პირებთან და შეიქმნა „საჯარო მოხელეთა ქსელი“. შეხვედრას სხვადასხვა საჯარო უწყების 60-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა და მის მიზანს შემდგომი კოორდინაციის გაძლიერება წარმოადგენდა.

2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის - დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) - თანამშრომლობის ფარგლებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დანერგა დისტანციური სწავლების პლატფორმა, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს, მათ შორის, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებს, საშუალებას აძლევს დისტანციურად, მათთვის მოსახერხებელ დროსა და სივრცეში აიმაღლონ კვალიფიკაცია და პროფესიული სტანდარტი. პირველ ეტაპზე, დისტანციური სწავლების პლატფორმაზე განთავსებულია ჯანდაცვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სასწავლო მოდული, რომელიც მორგებულია ჯანდაცვის სექტორის სპეციფიკაზე და ვრცლად მიმოიხილავს ამ სფეროში მონაცემთა დაცვის საკითხებს. აღნიშნული პლატფორმის საშუალებით სხვა სასწავლო მოდულების შექმნაც იგეგმებოდა. დისტანციური სწავლების პლატფორმა არის უფასო და ხელმისაწვდომი ყველა მსურველისთვის. ასევე, იგი ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებებზე.

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით, მომზადდა მიგრაციის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო და თანმდევი ტრეინინგ მოდული, რომლის მიზანი ამ სფეროში ჩართული უწყებების თანამშრომელთა (საქართველოს შინაგან საქმეთა, საქართველოს საგარეო საქმეთა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები) საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით გადამზადება წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამსახურის მიერ ორგანიზებულ იქნა სასწავლო აქტივობა საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის.

2021 წელს, სამ დიდ ქალაქში: ბათუმში, ზუგდიდსა და ქუთაისში, ევროპის საბჭოს (COE) მხარდაჭერით, ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციის მიზნით, ორგანიზებულ იქნა შეხვედრები საქართველოს ადგილობრივი საჯარო უწყებების, სასამართლო კორპუსისა და სამართალდამცავი ორგანოების 83 წარმომადგენელთან. შეხვედრებზე განხილული იქნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ანგარიშში მოცემული პრობლემური საკითხები და ადგილობრივი გამოწვევები, როგორც საგამოძიებო ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით.

02

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა და ახალგაზრდული პროექტების განვითარება

2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა და ახალგაზრდული პროექტების განვითარება

2021 წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, სამსახურის ინიციატივითა და ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ორგანიზებულ იქნა შეხვედრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. შეხვედრა მიზნად ისახავდა უნივერსიტეტებთან სამსახურის თანამშრომლობის გაძლიერებას, საჯარო და კერძო სექტორისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებში საჭირო ცოდნის მქონე მომავალი თაობის აღზრდას, სტუდენტების სასწავლო პროგრამებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხების სწავლების გაფართოებასა და სტუდენტების საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების პროცესში ჩართვას.

უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში, 2021 წელს ორგანიზებულ იქნა ესეების კონკურსები, საზაფხულო სკოლა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩების“ პროექტი. ასევე, დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი ცნობიერების ამაღლების ღონისძიება, რომლის მიზანსაც სტუდენტების განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენდა.

სამსახურის მიერ 2020 წელს დაწყებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩების“ პროექტი გაგრძელდა 2021 წელსაც. პროექტის მონაწილე სტუდენტებმა, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, გაიარეს გადამზადება, რომლის მიზანი პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე მათი დამატებითი თეორიული მომზადება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება იყო. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩების“ პროექტის მონაწილეებმა 2021 წელს 16 საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრა გამართეს სტუდენტებთან, საქართველოს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან, საზღვრისპირა რეგიონების ახალგაზრდებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, როგორც ონლაინ, ისე პირისპირ. პერსონალური მონაცემების დაცვის ელჩების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში მონაწილეობა 409 მსმენელმა მიიღო.

2021 წელს, პროექტის შემდგომი გაგრძელების მიზნით, სამსახურმა გამოაცხადა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩების მეორე ნაკადის შესარჩევი კონკურსი. კონკურსში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა

100-მდე დაინტერესებულმა პირმა წარმოადგინა განაცხადი. თუმცა, სამსახურის გაუქმების გამო საკონკურსო პროცედურები შეჩერდა.

ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, 2021 წელს სკოლის მოსწავლეებისთვის გამოცხადდა ფოტოკონკურსი - „ჩემი პერსონალური მონაცემები ჩემია“. კონკურსში მონაწილეობა საქართველოში მოქმედი კერძო და საჯარო სკოლის 100-მდე სკოლის მოსწავლემ მიიღო. წარმოდგენილი იქნა არაერთი საინტერესო ნამუშევარი, რომლებიც არასრულწლოვანთა თვალით დანახულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობას ასახავდნენ.

2021 წლის განმავლობაში, სამსახურისა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, ორგანიზებულ იქნა ესეების კონკური პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე. კონკურსში მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 60-მა სტუდენტმა მიიღო, რომელთაგან ორმხრივად დაკომპლექტებული კომისიის მიერ ონლაინ კონფერენციის ფარგლებში გამოვლინდა 15 საუკეთესო ესეს ავტორი. საუკეთესო ესეები გამოიცა ელექტრონული ჟურნალის სახით. აღსანიშნავია, რომ კონკურსის მონაწილეებს ესეების მომზადების პროცესში აქტიურ მხარდაჭერას სამსახურის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩების პროექტის“ მონაწილეები უწევდნენ.

2021 წელს, სამსახურისა და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე ორგანიზებულ იქნა საზაფხულო სკოლა სტუდენტებისთვის. პროექტი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოსა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მხარდაჭერით განხორციელდა. პროექტში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 200-მდე მსურველმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგანაც შერჩეულ იქნა 20 საუკეთესო სტუდენტი. საზაფხულო სკოლის მონაწილეებმა, სამსახურის, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“-სა და სფეროს ექსპერტების ჩართულობით ერთკვირიანი სასწავლო კურსი გაიარეს. საზაფხულო სკოლის მონაწილეებს მიეცათ სამსახურში სტაჟირების გავლის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ სამსახური გეგმავდა მსგავსი ხასიათის ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ ახალგაზრდულ პროექტებს საგამოძიებო მიმართულებითაც. მათ შორის, 2022 წელს იგეგმებოდა იმიტირებული სასამართლო პროცესებისა და დებატების ტურნირების გამართვა.

03

სახალხო დამცველთან თანამშრომლობა

3. სახალხო დამცველთან თანამშრომლობა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, საქმიანობის ფარგლებში, აქტიურად თანამშრომლობდა სახალხო დამცველის აპარატთან. კერძოდ: აპარატს შეუფერხებლად მიეწოდებოდა მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე, იმართებოდა ერთობლივი პერიოდული შეხვედრები ადამიანის უფლებების სფეროში არსებულ გამოწვევებსა და სამსახურის საქმიანობაზე მსჯელობის მიზნით.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სახალხო დამცველის აპარატიდან, ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, შემოვიდა 263 წერილი (2020 წელს შემოსული იყო 124 წერილი). შემოსული წერილების აბსოლუტური უმრავლესობა შეეხებოდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ საგამოძიებო მიმართულებით განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნას (მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსი - დაიწყო თუ არა გამოძიება, როდის და რა მუხლით; მიმდინარეობს თუ არა გამოძიება და რა მუხლით; კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე: რა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები ჩატარდა, დაინიშნა თუ არა ექსპერტიზა, ამოღებულია თუ არა ვიდეოკამერის ჩანაწერები; ცნობილია თუ არა კონკრეტული პირი ბრალდებულად ან დაზარალებულად). ასევე, შემოსული წერილები შეეხებოდა შესაძლო დანაშაულის შესახებ შეტყობინებას, მონაცემთა შესაძლო არაკანონიერი დამუშავების ფაქტებს, სტატისტიკური ინფორმაციის მოთხოვნას, გამომძიებლის მხრიდან შესაძლო გადაცდომას (ერთ შემთხვევაში) და სხვა.

2021 წელს (ისევე როგორც 2020 წელს), სახალხო დამცველის აპარატსა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს შორის ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატში შემავალი საქმიანობის, კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების სამართლებრივი და პრაქტიკული საკითხების და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების შესახებ ისაუბრეს; განიხილეს დაკავების და საპატიმრო ადგილებში არსებულ მდგომარეობასთან და ინდივიდუალურ საჩივრებთან დაკავშირებით ინფორმაციის ეფექტიანი გაცვლის მნიშვნელობა. საუბარი ასევე შეეხო სახალხო დამცველისა და სახელმწიფო ინსპექტორის მიერ პარლამენტისადმი წარდგენილ წლიურ ანგარიშში მოცემულ საკითხებსა და მიგნებებს.

04

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

4. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

საქმიანობის გამჭვირვალედ წარმართვისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, დაარსების დღიდან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს სამოქალაქო სექტორთან.

2019-2021 წლების განმავლობაში სამსახური აქტიურად მართავდა შეხვედრებს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანს მათთვის სამსახურის საქმიანობის ანგარიშის გაცნობა და აქტუალურ საკითხებზე დისკუსიის წახალისება წარმოადგენდა. შეხვედრებზე განიხილებოდა სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობის შედეგები, ძირითადი მიღწევები და მის წინაშე არსებული გამოწვევები.

2020-2021 წლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი თანამშრომლობით რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

2021 წელს ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრთან თანამშრომლობითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „პერსონალურ მონაცემთა მაღალი სტანდარტის დამკვიდრება საქართველოში“. პროექტის ფარგლებში შემუშავდა მეთოდოლოგია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის შესაფასებლად. ამავე პროექტის ფარგლებში წინასწარ შერჩეულ სამ სახელმწიფო უწყებაში დანერგილ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამოდელო სისტემა.

2021 წელს სამსახურის საქმიანობის შესახებ ინფორმირებისა და შემდგომი მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით, სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა 13 არასამთავრობო ორგანიზაციასთან და სათემო საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებთან, რომლებიც რეგიონებში (მათ შორის, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი) აქტიურად მუშაობენ ეთნიკური და ეროვნული უმცირესობების საკითხებზე. შეხვედრის ფარგლებში მათ მიეწოდათ ინფორმაცია სამსახურის საქმიანობის, უფლებამოსილების შესახებ და დასახულ იქნა სამომავლო თანამშრომლობის გზები. ასევე, ეთნიკური უმცირესობების ენებზე, დამზადდა ტრიპლეტები პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით, რომელიც, ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, გადაეცათ რეგიონებში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

2020 წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრის და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) მხარდაჭერით ჩატარდა კვლევა სახელმწიფო ინსპექტორის

სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის თაობაზე. ეს არის პირველი დოკუმენტი, რომელმაც შეაფასა საქართველოში დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მუშაობა და მის წინაშე არსებული გამოწვევები. აღნიშნული კვლევის პრეზენტაცია 2021 წელს, არასამთავრობო სექტორისა და სახელმწიფო უწყებების ჩართულობით გაიმართა.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით და ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „პერსონალური მონაცემების დაცვის მხარდაჭერა საქართველოში“. პროექტის მიზანი იყო სამსახურისა და არასამთავრობო სექტორის ძალთა გაერთიანება პერსონალური მონაცემების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და დაცვის სფეროში. პროექტის ფარგლებში 2021 წელს განხორციელდა არაერთი პროექტი: მომზადდა თემატური რეკომენდაციები და კრებულები, ვიდეორგოლები; დაიბეჭდა საინფორმაციო მასალები, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების ენებზე და შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომი ფორმით; სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა კონკურსები; სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომელთა შესაძლებლობების გასაძლიერებლად ჩატარდა ტრენინგები. აღნიშნულმა პროექტებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და სხვადასხვა სექტორებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სტანდარტის გაზრდას.

გარდა პროექტებისა, არასამთავრობო ორგანიზაციები მომართავდნენ სამსახურს სხვადასხვა მოთხოვნით. 2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს არასამთავრობო ორგანიზაციებმა მომართეს 40 შემთხვევაში (2020 წელს შემოსული იყო 29 წერილი). წერილები შეეხებოდა: პერსონალურ მონაცემთა შესაძლო არაკანონიერი დამუშავების ან/და მოხელეთა მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შემთხვევებს, ინფორმაციის მოთხოვნას სამსახურის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ან საგამოძიებო მიმართულებით განხორციელებული რეაგირებისა და სტატისტიკის შესახებ.

VIII. საერთაშორისო ურთიერთობები

01

საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან თანამშრომლობა

1. საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან თანამშრომლობა

პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და იმ სირთულეების მიუხედავად, რომლებიც ახალი სამსახურის შექმნას ახლავს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებისა და ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით, სამსახური აქტიური იყო საერთაშორისო ასპარეზზე. აღნიშნული მოიცავდა როგორც საერთაშორისო პარტნიორებთან და ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობას, ისე კოლეგა უწყებებთან კავშირების დამყარებას.

2021 წელს სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსისა და მხარდამჭერი პროექტების წარმომადგენლებთან, შედეგად განხორციელდა არაერთი ღონისძიება, რომლებიც სამსახურის ინსტიტუციურ გაძლიერებას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარებას ემსახურებოდა.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირებისა და ინტეგრაციის, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დაახლოების პროცესის მაქსიმალურად ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგითა და სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ სამსახურის მიერ 2019-2021 წლებში ფაქტობრივად ყველა აქტივობა და აღებული ვალდებულება ზედმიწევნით და სრულად შესრულდა. გამონაკლისია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მიღებასთან დაკავშირებული აქტივობები. სამსახურმა ვერ დაიწყო კანონთან და მის მიღებასთან დაკავშირებული თანმდევი აქტივობის განხორციელება, ვინაიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ 2019 წელს ინიცირებული კანონი საქართველოს პარლამენტს დღემდე არ მიუღია. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ევროკავშირი-საქართველოს 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგის პროექტის მომზადების პროცესში.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მესამე ციკლის ფარგლებში ადამიანის უფლებათა შესახებ საქართველოს ეროვნული ანგარიშის განხილვაში. სამსახურმა ინფორმაცია წარადგინა არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის მიზნით განხორციელებული რეფორმების შესახებ. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნა წევრი სახელმწიფოების მხრიდან პოზიტიურად შეფასდა და გაიცა დამატებითი რეკომენდაციები, არასათანადო

მოპყრობასთან ბრძოლის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, სამსახურის შემდგომი ინსტიტუციური და ფუნქციური გაძლიერებისათვის.

2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოების დიპლომატიურ კორპუსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ყოველწლიური შეხვედრების ფორმატი, დონორთა საკოორდინაციო მექანიზმი შექმნა. აღნიშნული მექანიზმის საშუალებით, საერთაშორისო პარტნიორებს წარედგინებოდათ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის შედეგები, მნიშვნელოვანი მიღწევები და პრაქტიკაში გამოვლენილი გამოწვევები საქმიანობის სამივე მიმართულებით, ასევე, სამომავლო გეგმები, პრიორიტეტები და ერთობლივი თანამშრომლობის შესაძლებლობები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მუდმივად მართავდა პირისპირ ინდივიდუალურ შეხვედრებს საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების ადგილობრივ წარმომადგენლობებთან და საქართველოს პარტნიორი ქვეყნების დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებთან.

02

სამსახურის მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებში

2. სამსახურის მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებში

საერთაშორისო ასპარეზზე ეფექტური პოზიციონირება და პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას.

2021 წელს, სამსახური აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ფორმატებში, ორმხრივ, თუ მრავალმხრივ შეხვედრებში და სხვა ქვეყნების კოლეგა უწყებებთან აგრძელებდა კოორდინირებულ საქმიანობას. კერძოდ:

- 2021 წელს, სამსახური წარმოადგენდა საქართველოს „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ 108-ე კონვენციის საფუძველზე შექმნილი კომიტეტის ბიუროსა და პლენარულ სხდომებზე.[31] ამავე წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო კონვენციის კომიტეტის ფარგლებში მონაცემთა დაცვის სტანდარტების შემუშავების პროცესშიც და წარადგინა წერილობითი მოსაზრებები კომიტეტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების პროექტებზე, მათ შორის, „პოლიტიკური კამპანიების წარმოების პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ სახელმძღვანელოს პროექტზე, რომელიც განხილული იქნა 108-ე კონვენციის კომიტეტის 41-ე პლენარულ სხდომაზე და მხედველობაში იქნა მიღებული;
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური წარმოადგენდა საქართველოს სტრასბურგში ევროპის საბჭოს ხელოვნური ინტელექტის საკითხზე მომუშავე სპეციალური კომიტეტის (CAHAI) პლენარულ სხდომებზე.[32] კომიტეტი 2019 წელს შეიქმნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ და მის წევრად საქართველოდან სწორედ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენელი განისაზღვრა. 2021 წელს, კომიტეტმა მოამზადა დოკუმენტი, რომლითაც მიმართა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს და განსაზღვრა, თუ რა აუცილებელ ელემენტებს უნდა შეიცავდეს ხელოვნური ინტელექტის საკითხზე სამომავლოდ შემუშავებული მრავალმხრივი შეთანხმება/კონვენცია;

---

[31] 108-ე კონვენციის კომიტეტი აერთიანებს 108-ე კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს, ასევე, დამკვირვებლებს სხვა სახელმწიფოებიდან და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს. იგი პასუხისმგებელია კონვენციის დებულებების განმარტებისა და მათი იმპლემენტაციის გაუმჯობესებაზე. ამასთან, ინდივიდების პერსონალური მონაცემების ეფექტური დაცვის მიზნით, შეიმუშავებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის გლობალურ სტანდარტებს მრავალმხრივი თანამშრომლობისა და მოსაზრებების ურთიერთგაზიარების გზით.

[32] ხელოვნური ინტელექტის საკითხზე მომუშავე სპეციალური კომიტეტის (CAHAI), მრავალმხრივი კონსულტაციების საფუძველზე, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ევროპის საბჭოს მიერ აღიარებულ სტანდარტებზე დაყრდნობით, აფასებს ხელოვნური ინტელექტის განვითარების, შექმნისა და გამოყენების საერთაშორისო დონეზე რეგულირების საჭიროებას.

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, როგორც ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების საგაზაფხულო კონფერენციის 2019 წლის მასპინძელი უწყება, გასულ წელს შეუერთდა ამავე კონფერენციის სამომავლო საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფს ორგანიზატორის სახით.[33] 2021 წელს, სამსახური აქტიურად მონაწილეობდა საგაზაფხულო კონფერენციის სამუშაო ჯგუფში, აღნიშნული ფორუმის სამომავლო გეგმების შემუშავებაზე და თანაორგანიზატორ უწყებებთან ერთად ჩაატარა გამოკითხვა კონფერენციის ფორმატისა თუ სამომავლო მიმართულებების სასურველ ცვლილებებთან დაკავშირებით. ამას გარდა, სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 2022 წლის საგაზაფხულო კონფერენციის პროგრამის შედგენაშიც;

- 2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საქმისწარმოების ორდღიან ინტენსიურ სამუშაო შეხვედრაში (EUROPEAN CASE HANDLING WORKSHOP), რომლის ფარგლებშიც სამსახურის წარმომადგენლები გაეცნენ ევროპის ქვეყნების კოლეგა საზედამხედველო ორგანოების საქმეების განხილვის ცალკეულ ასპექტებს და უახლეს პრაქტიკას[34]. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის დასაწყისში სამსახურმა წარადგინა განაცხადი მომდევნო ევროპის საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრისმასპინძლობის თაობაზე, რომელიც დაკმაყოფილდა. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არჩეულია როგორც 2022 წლის მასპინძელი უწყება.

სამსახური აქტიურად მონაწილეობდა პირადი ცხოვრების დაცვის გლობალური ასამბლეის (GLOBAL PRIVACY ASSEMBLY)[35] ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიების და ინფორმაციის გაზიარების პროცესში და ჩართული იყო ასამბლეის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. ასამბლეა მოქმედებს მისი ყოველწლიური შეხვედრების მეშვეობით, რომელზე დასწრებაც მნიშვნელოვანია ასამბლეის თითოეული წევრისთვის, ვინაიდან, აქტუალურ საკითხებზე მსჯელობასა და დებატებთან ერთად, შეხვედრებზე ხდება ასევე წევრების მიერ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებების გაზიარებაც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედარებით მწირი პრაქტიკის მქონე, ახლად შექმნილი საზედამხედველო ორგანოებისთვის, როგორიცაა მაგალითად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. საანგარიშო პერიოდში სამსახური წარმოდგენილი იყო პირადი ცხოვრების დაცვის გლობალური ასამბლეის (GLOBAL PRIVACY ASSEMBLY) 43-ე წლიურ კონფერენციაზეც. გარდა ამისა, სამსახური აქტიურად იყო ჩართული ასამბლეის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში და მსოფლიოს წამყვან მონაცემთა დაცვის ორგანოებთან ერთად მუშაობდა მონაცემთა დაცვის კუთხით სხვადასხვა გლობალურ საკითხზე. ამ პროცესში სამსახური ეცნობოდა სხვა ქვეყნებში არსებულ სტანდარტებსა და მიდგომებს და საქართველოში არსებულ პრაქტიკას აცნობდა კოლეგა უწყებებს (მაგალითად, როგორც ფორუმებში და შეხვედრებში მონაწილეობის, ასევე, სხვადასხვა კითხვარების შევსების გზით). მიმდინარე სამუშაო ჯგუფებში აქტიური მონაწილეობის გარდა, საანგარიშო პერიოდში, სამსახური დამატებით გაწევრიანდა საერთაშორისო აღსრულების თანამშრომლობის

[33] ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების საგაზაფხულო კონფერენცია პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში უმაღლესი დონის საერთაშორისო ფორუმია. ყოველწლიური შეხვედრების ფარგლებში, აღნიშნულ ფორუმზე ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები განიხილავენ ამ სფეროში არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევებს, მათი გადაჭრის გზებს და უზიარებენ ერთმანეთს მონაცემთა დაცვის საუკეთესო პრაქტიკას.

[34] ევროპის საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრა (European Case Handling Workshop) უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა მონაცემთა დაცვის სფეროში მომუშავე პირებისთვის, გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება პერსონალური მონაცემების საქმეების განხილვის პროცესში არსებულ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე, ასევე მონაცემთა დამმუშავებელი პირებისთვის მიმართულებების მიცემისა თუ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის აღსრულების საკითხებზე.

[35] პირადი ცხოვრების დაცვის გლობალური ასამბლეა (GPA) წამყვანი საერთაშორისო ფორუმია პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში. იგი აერთიანებს ამ სფეროში მოქმედ 130-ზე მეტ წევრ ორგანოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მათ შორისაა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც ასამბლეის აკრედიტებული წევრია 2015 წლის 26 ოქტომბრიდან.

სამუშაო ჯგუფშიც (IECWG), რომელიც საერთაშორისო საქმეების შესწავლის პროცესში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ჩართვის ახალ შესაძლებლობას ქმნიდა.

პირადი ცხოვრების დაცვის გლობალური ასამბლეის (GPA) რიგით 43-ე სხდომაზე დამტკიცდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანაავტორობით (თანა-სპონსორობით) მომზადებული რეზოლუცია - ბავშვთა ციფრულ უფლებებზე.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის არასრულწლოვანთა უფლებები, განსაკუთრებით მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა, მუდმივად პრიორიტეტულია. სწორედ ამ მიზნით, სამსახურმა გამოიყენა კიდევ ერთი მძლავრი საერთაშორისო პლატფორმა და აქტიურად ჩაერთო პირადი ცხოვრების დაცვის გლობალური ასამბლეის ციფრული განათლების სამუშაო ჯგუფში, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა ზემოაღნიშნული რეზოლუცია.

რეზოლუციაში მოცემულია მნიშვნელოვანი რეკომენდაციები წევრი სახელმწიფოებისთვის ციფრულ გარემოში ბავშვების უფლებებთან და მათ ინფორმირებასთან; მათი ფუნდამენტური უფლებების პატივისცემასთან; პერსონალური მონაცემების დაცვის ჭრილში, კომერციული მიზნებით მონაცემების გამოყენებისას ბავშვების დაცვასთან; ასევე, ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით რეგულაციების და მათთვის გამიზნული მომსახურებების დანერგვის პროცესში ბავშვთა მოსაზრებების ჩართვასთან დაკავშირებით.

03

კოლეგა უწყებებთან თანამშრომლობა

3. კოლეგა უწყებებთან თანამშრომლობა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური საქმიანობის ყველა ეტაპზე დიდ ყურადღებას უთმობდა რეგიონული თანამშრომლობის განვითარებას. რეგიონის ფარგლებში კოლეგა უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და საქართველოს პრაქტიკისა და წარმატებული მაგალითების გაზიარების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ორმხრივი სამუშაო ფორმატები.

2021 წელს, სამსახურმა კავშირი დაამყარა მსოფლიოს წამყვან და ხანგრძლივი ინსტიტუციური გამოცდილების მქონე დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმებთან. კერძოდ, სამსახურმა დისტანციური სამუშაო შეხვედრები გამართა ინგლისისა და უელსის პოლიციის ქცევის დამოუკიდებელ ოფისთან (IOPC) და კანადის პროვინციის ონტარიოს სპეციალურ საგამოძიებო უწყებასთან (SIU). შეხვედრების ფარგლებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლები გაეცნენ კოლეგა უწყებების ფუნქციებს და საგამოძიებო საქმიანობის სპეციფიკას. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის, როგორც ახლად შექმნილი ინსტიტუტისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ საგამოძიებო სამსახურებთან თანამშრომლობას საქართველოში სამოხელეო დანაშაულთა გამოძიების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის, თანამშრომელთა პროფესიული უნარების გაძლიერებისა და საქმიანობის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით.

2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა უმასპინძლა უკრაინის პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომისარს და უკრაინის დელეგაციის წარმომადგენლებს, ხოლო ყაზახეთის ციფრული განვითარების, ინოვაციებისა და საჰაერო-კოსმოსური ინდუსტრიის სამინისტროს ინფორმაციული უსაფრთხოების კომიტეტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის წარმომადგენლებთან დისტანციური სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრების მიზანი კოლეგებისთვის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინსტიტუციური განვითარებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარება, ასევე, საერთო გამოწვევებზე მსჯელობა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა იყო;

ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციების, გაერთიანებებისა თუ კოლეგა უწყებების თხოვნის ფარგლებში - სამსახური უზიარებდა მათ მოთხოვნილ ინფორმაციასა და გამოცდილებას. სამსახური მონაწილეობდა, მათ შორის, არაერთ გამოკითხვაში სხვადასხვა მარეგულირებელი ნორმის, სტანდარტის თუ მიდგომის შემუშავების მიზნით.

გარდა ამისა, ტელეკომუნიკაციების სფეროში მომხმარებლების მიერ პერსონალური მონაცემების წვდომის საკითხებზე - ევროკავშირის დირექტივების იმპლემენტაციის პრაქტიკულ ასპექტებთან დაკავშირებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა წერილობითი კონსულტაცია გაუწია მოლდოვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნულ ცენტრს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამსახურმა მონაცემთა დამმუშავებელი პირების შემოწმების/ ინსპექტირების წესთან დაკავშირებით საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, მიმართა უცხო ქვეყნის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს და საანგარიშო პერიოდში წარმატებით ითანამშრომლა გაერთიანებული სამეფოს საინფორმაციო კომისრის ოფისთან.

04

საერთაშორისო შეთანხმებების ექსპერტიზა

4. საერთაშორისო შეთანხმებების ექსპერტიზა

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გლობალურ ტრანსსასაზღვრო აღსრულების თაობაზე შეთანხმებას (GCBECA) შეუერთდა. აღნიშნული შეთანხმება პირადი ცხოვრების დაცვის გლობალური ასამბლეის ფარგლებში მოქმედებს და მისი მიზანია მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შორის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიმოცვლა და თანამშრომლობის ხელშეწყობა. შეთანხმების მონაწილეები ასევე არიან: კანადის, ავსტრალიის, გერმანიის, გაერთიანებული სამეფოს, ირლანდიის და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში მოქმედი პირადი ცხოვრებისა და მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები.

საქართველოდან სხვა ქვეყნებში პერსონალური მონაცემების გადაცემის პროცესში მაღალი სტანდარტის დასაცავად, 2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სახელით დასადები 21 საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთახმების სამართლებრივი ექსპერტიზა, რომელთაგან 17 შემთხვევაში გაიცა რეკომენდაცია. ექსპერტიზის ფარგლებში, სამსახური შეისწავლის წარმოდგენილი შეთანხმების პროექტს, შეთანხმების მხარე სახელმწიფოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებულ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ მექანიზმებს და აფასებს მონაცემთა დამუშავებისას ადამიანის უფლებათა დარღვევის ზოგად რისკებს, რის საფუძველზეც, გაიცემა შეთანხმების პროექტში ცვლილებების განხორციელების რეკომენდაცია.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, პირველი დღიდან, აქტიურად უჭერს მხარს მოდერნიზებული (108+) კონვენციის[36] ხელმოწერის დაჩქარებას და შედეგად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული სტანდარტის დანერგვას საქართველოში. კერძოდ, 2019 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მოამზადა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც შესაბამისობაშია მოდერნიზებულ კონვენციასთან და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციასთან. ასევე, 2020 წელს, მომზადდა ექსპერტული მოსაზრება აღნიშნული კანონპროექტის 108+ კონვენციასთან შესაბამისობის თაობაზე და ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც დეტალურად იქნა განხილული კანონპროექტი, მის აღსრულებასთან დაკავშირებული გამოწვევები, კანონპროექტის 108+ კონვენციასთან შესაბამისობის საკითხი და კანონის მიღებისა და მისი შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. თუმცა, საქართველოს მოდერნიზებული კონვენციისთვის ხელი დღემდე არ მოუწერია. საქართველოს მიერ მოდერნიზებული 108+ კონვენციის რატიფიცირება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების გაუმჯობესების, ასევე ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის თვალსაზრისით. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური კვლავ იტოვებს იმედს, რომ საქართველო 108+ კონვენციას ახლო მომავალში შეუერთდება.

[36] ევროპის საბჭოს 1981 წლის „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ 108-ე კონვენცია მსოფლიოში პირველი საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტრუმენტია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში. მიღებიდან დღემდე, კონვენციამ გარდამტეხი გავლენა მოახდინა მსოფლიოში სამართლის ამ დარგის განვითარებასა და მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებაში. თუმცა, პერსონალურ მონაცემთა მასშტაბური გადინების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მონაცემთა დამუშავების მეთოდების განვითარების ფონზე, ახალი გამოწვევების საპასუხოდ, 2018 წელს მოხდა მისი მოდერნიზება და გაიხსნა ხელმოსაწერად. მოდერნიზებული კონვენცია (108+) ითვალისწინებს მნიშვნელოვან სიახლეებს, მათ შორის, განამტკიცებს მონაცემთა სუბიექტთა ისეთ უფლებებსა და ახალ პრინციპებს, როგორიცაა ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა; წევრ სახელმწიფოებს აღარ აქვთ შესაძლებლობა, კონვენციის გავრცელება სრულად შეზღუდონ მონაცემთა დამუშავების გარკვეულ შემთხვევებზე (მაგალითად, ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე). ასევე, ძლიერდება კონვენციის კომიტეტის როლი, რომელიც აქამდე მხოლოდ საკონსულტაციო მანდატით იყო აღჭურვილი. ის შეამოწმებს წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობას და მის მიერ კონვენციის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების ეფექტურობას.

05

საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებში/კონფერენციებში მონაწილეობა

5. საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებში/კონფერენციებში მონაწილეობა

საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გაცნობისა და გამოცდილების გაზიარების, ასევე, საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით, სამსახური აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში.

სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და პირადი ცხოვრების დაცვის გლობალური ასამბლეის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში, რომლებიც შეეხებოდა COVID-19-თან ბრძოლის პროცესში მონაცემთა მართვისა და პირადი ცხოვრების დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებს. შეხვედრების ფარგლებში მონაწილეები ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას ამ საკითხებზე.

ასევე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მოხსენებით წარსდგა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის თემაზე გამართულ საერთაშორისო ფორუმზე (IFPDP), რომლის ძირითადი განსახილველი თემა თანამედროვე სამყაროში, მათ შორის, ტექნოლოგიური განვითარების ფონზე მონაცემების დამუშავება, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები, მოქმედი რეგულაციები, ტენდენციები და ქვეყნებს შორის თანამშრომლობა იყო.

სამსახური მონაწილეობდა ხელოვნურ ინტელექტთან და ციფრულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ღონისძიებებშიც. სამსახური პირველად დაესწრო აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ერთ-ერთ წამყვან - გლობალური უსაფრთხოების საერთაშორისო ფორუმს, სადაც სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად, განიხილებოდა ხელოვნური ინტელექტის რეგულირების გაძლიერების, უსაფრთხო ციფრული სივრცისა და ტექნოლოგიების სფეროში მომხმარებელთა დაცვის საკითხები. სამსახური წარმოდგენილი იყო უნგრეთის მთავრობის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით ჩატარებულ კონფერენციაზეც, რომელიც ეხებოდა ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული პოლიტიკის გამოწვევებს და მისი რეგულირების კოორდინირებულ პოლიტიკასა და პრაქტიკას. ამასთან, სამსახურის მოხსენება გაკეთდა საერთაშორისო კონფერენციაზე - „კიბერ და ციფრული უსაფრთხოება“, სადაც საქართველოში მონაცემთა დაცვის კუთხით განხორციელებულ რეფორმებზე და სამსახურის გამოცდილებაზე გაკეთდა აქცენტი.

სამსახური აქტიურად იყო ჩართული მონაცემთა დაცვის რეგიონულ ფორმატებშიც. კერძოდ, მონაწილეობა მიიღო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მონაცემთა დაცვის ორგანოების გაერთიანების (CEEDPA) 21-ე სხდომის პროგრამის შედგენაში და უშუალოდ სხდომაზე მოხსენებებით წარსდგა რამდენიმე სესიაზე. აღნიშნული

საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გაცნობისა და გამოცდილების გაზიარების, ასევე, საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით, სამსახური აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში.

გაერთიანება წარმოადგენს 17 ქვეყნის საზედამხედველო ორგანოების კავშირს და მიზნად ისახავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების ხელშეწყობას, წევრ სახელმწიფოთა გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარებას. საქართველო გაერთიანების წევრი 2014 წელს გახდა. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული 21-ე სხდომის ფარგლებში სამსახური უძღვებოდა სესიას, რომელიც შეეხებოდა COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს. ამასთან, სამსახურის წარმომადგენელმა მოხსენება წარადგინა სესიაზე, რომელიც უკავშირდებოდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებს და მათ იმპლემენტაციას, მათ შორის, ევროკავშირის არა-წევრ ქვეყნებში. სამსახურმა კოლეგა უწყებებს გააცნო საკუთარი განახლებული მანდატის შესახებ, გაუზიარა ბოლოდროინდელი მიღწევები, არსებული გამოწვევები, პრაქტიკა და მოისმინა სხვა ქვეყნებში მსგავსი გამოწვევების გასამკლავებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ.

06

საერთაშორისო ვიზიტები და გამოცდილების გაზიარება

6. საერთაშორისო ვიზიტები და გამოცდილების გაზიარება

2019 წლიდან დღემდე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საერთაშორისო დონეზე სტრატეგიული ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით.

სამსახური ინტენსიურად თანამშრომლობდა ევროპის საბჭოს ფარგლებში არსებულ ორგანოებთან. მათ შორის, 2020 წელს, შეხვედრები გაიმართა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისართან, ევროპის საბჭოს საზოგადოებრივი ინფორმაციისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის დირექტორთან, ხოლო 2021 წელს -წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ევროპული კომიტეტის (CPT) წევრებთან და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელთან. შეხვედრების ფარგლებში, განიხილებოდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები.

2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენელი საქართველოს სახელით დაესწრო გაეროს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიის 30-ე სესიას და წარადგინა მოხსენება დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყებების ეფექტური ფუნქციონირების საკანონმდებლო, ტექნიკურ და პოლიტიკურ ასპექტებზე.

07

საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა

7. საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა

2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა პირველად დაიწყო ყოველთვიური საინფორმაციო დოკუმენტის, „მსოფლიო პრაქტიკის“ გამოქვეყნება. საინფორმაციო დოკუმენტის მიზანს წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მსოფლიოში მიმდინარე აქტუალური მოვლენების, საერთაშორისო პრაქტიკისა და უახლესი ტენდენციების საზოგადოებისთვის გაცნობა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის მარტივად აღქმადი ფორმით მიწოდება. „მსოფლიო პრაქტიკა“ აერთიანებდა მსოფლიოს წამყვანი მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების საინტერესო საქმეებს აღსრულებითი საქმიანობიდან, სტანდარტების დამდგენი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მოკლე მიმოხილვას და წარმოაჩენდა უახლესი ტექნოლოგიების გავლენას პირადი ცხოვრებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებებზე. მოქალაქეებისთვის, საინფორმაციო დოკუმენტი წარმოადგენდა კარგ შესაძლებლობას ქართულ ენაზე ედევნებინათ თვალი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მიმდინარე მსოფლიო ტენდენციებისთვის და უკეთ დაენახათ საქართველოს ადგილი გლობალურ დონეზე.

საგამოძიებო დეპარტამენტის წარმომადგენელთა ცოდნის მუდმივი განახლებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგვის მიზნით, დაიწყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების დაიჯესტების მომზადება. მომზადებული დაიჯესტები შეეხებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მატერიალური და პროცედურული ნაწილების დარღვევას. კერძოდ კი, ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა: სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირების თვითმკვლელობა და თვითდაზიანება; ხელბორკილისა და სხვა შემაკავებელი ზომების გამოყენება; სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან დაკავებული/დაპატიმრებული პირის მკვლელობა, მისთვის ფიზიკური დაზიანების მიყენება; დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა ან წამება. აღსანიშნავია ისიც, რომ შეიქმნა შიდა მოხმარების ელექტრონული პორტალი, რომელზეც ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომია ყველა მათგანი.

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისა და გაღრმავების მიზნით, სამსახურმა შეიმუშავა სახელმძღვანელო დოკუმენტები - საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის სტრატეგია და საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციის სტანდარტი. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის 2022-2024 წლების სტრატეგიის დოკუმენტით განისაზღვრა სამსახურის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნები, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის, ასევე, საგამოძიებო მიმართულებით (მათ შორის, საერთაშორისო დონეზე სამსახურის, როგორც ეფექტური, სანდო, პასუხისმგებლიანი და მონაცემთა დაცვის კუთხით რეგიონულ დონეზე ერთ-ერთი ლიდერი უწყების შესახებ ცნობადობის გაზრდა, საერთაშორისო სტრატეგიულ პარტნიორებთან ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება, თანამშრომლობის ქსელის გაფართოება, სამსახურის მიმართ მხარდაჭერის გაზრდა და ა.შ.). დოკუმენტში ასევე მოცემულია აღნიშნული მიზნების მისაღწევი შესაბამისი ამოცანები და შესასრულებლად საჭირო აქტივობები. საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციის სტანდარტი აყალიბებს კომუნიკაციის პრინციპებს, საშუალებებს, განსაზღვრავს ზოგად წესებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

IX. მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა

IX. მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა

დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული საზედამხედველო ორგანოს ფორმირების, სამსახურის ცნობადობის ზრდისა და საზოგადოების ნდობის მოპოვების მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საზოგადოების ფართო წრეებში ცნობადობის ამაღლება. ამასთან, სამსახურის მიმართ არსებული მაღალი მოლოდინები ზრდიდა მიზნობრივ ჯგუფებთან სწორი კომუნიკაციის მნიშვნელობას. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც 2019 წელს სამსახური ახალი უწყების სახით ჩამოყალიბდა და დაემატა საგამოძიებო მიმართულება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობა პირველი დღიდან დაეფუძნა საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულების, ღიაობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. ამ მიზნით სამსახური პროაქტიულად აქვეყნებდა საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ღიად საუბრობდა მის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, აქტიურად თანამშრომლობდა მედიასთან და მაქსიმალურად პასუხობდა საზოგადოებაში არსებულ კითხვებს; საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, სისტემატურად ავრცელებდა ინფორმაციას მაღალი საჯარო ინტერესის საქმეებზე; პერიოდულად მართავდა ბრიფინგებსა და პრესკონფერენციებს; სახელმწიფო ინსპექტორი და სამსახურის სხვა თანამშრომლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა სატელევიზიო ეთერში, თოქ-შოუებსა და გადაცემებში. გარდა ამისა, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით იმართებოდა შეხვედრები მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც ჟურნალისტებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია სამსახურის განვითარების ეტაპების, ფუნქციების და გაწეული საქმიანობის შედეგების, ძირითადი ტენდენციების, სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევებისა და სამომავლო პრიორიტეტების შესახებ.

2019, 2020 და 2021 წლებში, მედიაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ჯამში 9 886-ჯერ გამოჩნდა. მათ შორის, ტელევიზიაში - 3 876-ჯერ, პრესაში - 999-ჯერ, ინტერნეტით - 4 354-ჯერ და რადიო სივრცეში - 657-ჯერ.[37]

ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფისა და ინტერესის მქონე აუდიტორიისთვის, ინფორმაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მედიასაშუალებების პარალელურად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური აქტიურად იყენებდა ვებგვერდებსა და სოციალურ არხებს.

ამასთან, სამსახური პროაქტიულად აქვეყნებდა საქმიანობის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას: საინფორმაციო ბარათებს, გრაფიკულ ვიდეორგოლებს, კვარტალური და წლიური ანგარიშის დოკუმენტებს. გამოქვეყნებული მასალები მოიცავდა ინფორმაციას სამსახურისთვის მომართვიანობის რაოდენობის, გაცემული კონსულტაციების, ინსპექტირებების, დაწყებული გამოძიებებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

[37] აღნიშნული მონაცემები მოწოდებულია კვლევითი კომპანია ,,აიფიემის'' მიერ.

01

ახალი ბრენდბუქისა და ვებგვერდის შექმნა

1. ახალი ბრენდბუქისა და ვებგვერდის შექმნა

ახალი სამსახურის ფორმირების, სახელწოდების ცვლილებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, სამსახურის როლის გაფართოების პარალელურად - სრულად შეიცვალა და განახლდა სამსახურის ,,ბრენდბუქი", შეიქმნა უწყების ახალი ლოგო და ვებგვერდი.

2019 წლის დასაწყისში, საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და უკეთ ინფორმირების მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით ამოქმედდა განახლებული ვებგვერდი (WWW.PERSONALDATA.GE). 2019 წლის ბოლოს კი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ საგამოძიებო უფლებამოსილების განხორციელების დაწყების პარალელურად, საგამოძიებო მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებზე ინფორმაციის მარტივად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა დამატებითი ვებგვერდი WWW.STATEINSPECTOR.GE. შედეგად, ორივე გვერდი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ერთი მისამართის WWW.SIS.GOV.GE ქვეშ გაერთიანდა. ვებგვერდები ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მომზადდა და შემდგომ ეტაპზე, ასევე ევროკავშირისა (EU) და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით დაიხვეწა. ეს არის თანამედროვე, ინტერაქტიული და მომხმარებელზე ორიენტირებული ციფრული სივრცე, რომელიც სრულად არის ადაპტირებული უსინათლო და მცირე მხედველი მოქალაქეებისათვის. აღნიშნულ ვებგვერდებზე თავსდებოდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ყველა მიმდინარე სიახლე და განცხადება. ამასთან, მათი საშუალებით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, 24 საათის განმავლობაში, ეძლეოდა სამსახურისთვის დისტანციურად მომართვის შესაძლებლობა.

2019 წლის 10 მაისიდან 2021 წლის ბოლომდე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდების ვიზიტორთა რაოდენობა იყო 161 038.

02

აქტივობები სოციალურ მედიაში

2. აქტივობები სოციალურ მედიაში

თანამედროვე სამყაროში სოციალური ქსელები საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. აღნიშნული პლატფორმები შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა ასაკის, ინტერესების, სტატუსის, პროფესიის ადამიანებს მარტივი ფორმით მივაწოდოთ ინფორმაცია. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სამიზნე აუდიტორიას ნებისმიერი მოქალაქე წარმოადგენს, სოციალური ქსელები მათთან კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებაა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ოფიციალურ გვერდსა და FACEBOOK-ზე ინტენსიურად აქვეყნებდა სხვადასხვა მასალებს, მათ შორის: საგანმანათლებლო სტატიებს; საინფორმაციო ბანერებს; ქვიზებსა და ტესტებს; ვიდეოლექციებს; პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც თან ახლდა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, რაც პრევენციულ პოლიტიკას ატარებდა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის დაიჯესტსა და საინტერესო შემთხვევებს მსოფლიო პრაქტიკიდან. ასევე, პერიოდულად მართავდა ფეისბუქ ლაივებს (FACEBOOK LIVE).

სამსახური აქტიურად ეხმაურებოდა მნიშვნელოვან თარიღებს და აქვეყნებდა საგანმანათლებლო ინფორმაციას, თემატურ შეტყობინებებს და სტატიებს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის კალენდარში ყოველწლიურად ეთმობოდა ყურადღება შემდეგ თარიღებს:

- 28 იანვარი - პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო დღე;
- 10 მაისი - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დღე;
- 25 მაისი - GDPR - ის ამოქმედების დღე;
- 7 აპრილი - ჯანმრთელობის მსოფლიო დღე;
- 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე;
- 1 ნოემბერი - საგამოძიებო დეპარტამენტის ამოქმედების დღე;
- 10 დეკემბერი - ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე.
- სკოლებში სასწავლო პროცესის დაწყების დღე
- ქვეყანაში მიმდინარე არჩევნები

თითოეული დღისთვის მიძღვნილი კამპანიები საზოგადოებას აწვდიდა სასარგებლო ინფორმაციას სამსახურის კომპეტენციაში არსებული საკითხების შესახებ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოფიციალური FACEBOOK გვერდის ვიზიტორთა რაოდენობამ 102 753 მომხმარებელი შეადგინა, გვერდის მოწონებების რაოდენობა გაიზარდა 11 669 მომხმარებლით. სამსახურის გვერდის გამომწერების რაოდენობა დღეის მონაცემებით 38 100 მომხმარებელს შეადგენს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის FACEBOOK გვერდზე გამოქვეყნებულ მასალებზე კი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის არსებობის განმავლობაში წვდომა ჰქონდა 981 053 ადამიანს.

03

პანდემიით განპირობებული საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის ცვლილება

3. პანდემიით განპირობებული საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის ცვლილება

კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ საზოგადოებასთან ურთიერთობა სხვა რეალობის წინაშე დააყენა - პირისპირ აქტივობები დისტანციურმა კომუნიკაციამ ჩაანაცვლა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით დაგეგმილმა აქტივობებმა კი ინტერნეტ სივრცეში გადაინაცვლა. ახალი გამოწვევების პარალელურად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა სწრაფად შეცვალა საზოგადოებასთან საკომუნიკაციო არხების გამოყენების სტრატეგია. დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი პროექტი, ღონისძიება და აქტივობა, კომუნიკაციის მრავალფეროვანი და თანამედროვე არხების, ციფრული და მულტიმედია პლატფორმების, საგანმანათლებლო საქმიანობის გამოყენებით:

- სამსახურმა პირველად დაიწყო ვიდეო-ლექციების მომზადება, რომლებიც ინტერნეტ სივრცეში სამსახურის ოფიციალურ გვერდებზე თავსდებოდა. გამოქვეყნდა სამი ვიდეო-ლექცია შემდეგ თემებზე: პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება ინტერნეტ სივრცეში, ჯანდაცვის სექტორში მონაცემთა დამუშავება, ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესები და ამ გზით მოპოვებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის FACEBOOK გვერდზე აღნიშნული ვიდეო ლექციების საერთო მნახველების რაოდენობა იყო 231 000;
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, როგორც პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელმა ორგანომ, მოქალაქეებისა და ორგანიზაციების დახმარების მიზნით, შეიმუშავა რეკომენდაცია პანდემიის დროს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით, შემდეგ აქტუალურ საკითხებზე: ჯანდაცვის დაწესებულებების მიერ მონაცემთა დამუშავება, დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ დასაქმებულთა მონაცემების დამუშავება, პერსონალური მონაცემების დამუშავება დისტანციური სწავლების პროცესში და პერსონალური მონაცემების დაცვა ონლაინ ვაჭრობის პროცესში;
- სამსახურმა შეისწავლა და საზოგადოებას გაუზიარა ინფორმაცია პანდემიის დროს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული აპლიკაციის - TIKTOK-ის ფუნქციების, მისი კონფიდენციალურობის პოლიტიკისა და აღნიშნულ აპლიკაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის მონაცემთა დაცვის წამყვანი ორგანიზაციების რეკომენდაციების შესახებ;
- ინტერაქციის ზრდის მიზნით, სოციალური ქსელის მეშვეობით პერიოდულად აორგანიზებდა პირდაპირ ჩართვებს (FACEBOOK LIVE) საზოგადოებისთვის საინტერესო სხვადასხვა საკითხზე, რომელთა მნახველების საერთო რაოდენობამ 25 000 ადამიანი შეადგინა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახური აქტიურად მონაწილეობდა თემატურ ონლაინ კონფერენციებსა და ღონისძიებებში.

04

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების კვლევა

4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების კვლევა

2021 წლის ნოემბერში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის მხარდაჭერით, ჩატარდა „საზოგადოებრივი ცნობიერების კვლევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. კვლევის მიზანი იყო საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობის, ცოდნის დონისა და განწყობების განსაზღვრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სატელეფონო გამოკითხვის ფარგლებში ინტერვიუ ჩატარდა 18 წელს ზემოთ ასაკის 1 203 მოქალაქესთან.

კვლევის შედეგად განისაზღვრა რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონე და მათი დამოკიდებულებები პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, შენახვასა და გასაჯაროებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (96%) ეთანხმება დებულებას, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა უკავშირდება ადამიანის უფლებებს, მათ შორის, პირადი ცხოვრების დაცვის უფლებას;
- პერსონალური მონაცემების დაცვა მნიშვნელოვანია მოქალაქეთა სრული უმრავლესობისათვის (93%);
- პერსონალური მონაცემების და მათი დაცვის შესახებ სმენია საქართველოს მოსახლეობის 60%-ს. თუმცა საგულისხმოა, რომ შეთავაზების გარეშე პერსონალური მონაცემის ხუთი მაგალითის დასახელებას ახერხებს რესპოდენტების მხოლოდ 2%;
- რესპოდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (98%) მიიჩნევს, რომ საჯარო და კერძო დაწესებულებები ვალდებულნი არიან დაიცვან მათ ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება. თუმცა, აღნიშნულის პარალელურად დაბალი აღმოჩნდა მოქალაქეებში პერსონალურ მონაცემთა არამართლზომიერ (გადაჭარბებულ) დამუშავებასთან დაკავშირებული საფრთხეების ცოდნა;
- ათი გამოკითხულიდან ექვსს მიაჩნია, რომ შეუძლია პერსონალური მონაცემების არამართლზომიერი/გადაჭარბებული გამოყენების საფრთხეების შემცირება, მაგრამ რესპოდენტების ნახევარზე მეტს უჭირს და ვერ ასახელებს კონკრეტულ ქმედებას, რაც მათ დაეხმარება მათივე პერსონალური მონაცემების არამართლზომიერი/გადაჭარბებული გამოყენების საფრთხეების შემცირებაში.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ წლების განმავლობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს მიერ ჩატარებული არაერთი ცნობიერების ამაღლების კამპანიის მიუხედავად, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი პერსონალური მონაცემების, საკუთარი უფლებებისა და მოსალოდნელი რისკების შესახებ მოქალაქეთა სიღრმისეული ინფორმირებისთვის.

X. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ბიუჯეტი და მისი შესრულება

X. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ბიუჯეტი და მისი შესრულება

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, სამსახურის საქმიანობა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საჭირო ასიგნებები განისაზღვრება ცალკე კოდით.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 9 მილიონ ლარს, ხოლო საშტატო რიცხოვნობა - 125 ერთეულს[38].

2021 წელს გაგრძელდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ 2020 წელს დაწყებული მაღალი პრიორიტეტის მქონე პროექტების განხორციელება. ამასთან, კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ინფექციის გავრცელებით ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შენარჩუნდა სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების შემცირების პრაქტიკა. ამავე მიზეზით, 2021 წელს (2020 წლის მსგავსად) შეფერხებით მიმდინარეობდა არსებული ვაკანტური თანამდებობების დაკომპლექტების მიზნით გამოცხადებული კონკურსები. აღნიშნულმა გარემოებებმა, სამსახურს მისცა შესაძლებლობა შრომის ანაზღაურების მუხლში წარმოქმნილი ეკონომია (950 000 ლარის ოდენობით) დამატებით გამოეყენებინა ქ. თბილისში ადმინისტრაციული შენობის მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად, თუმცა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, სამსახურის გაუქმებასთან დაკავშირებით, შესულმა ცვლილებებმა შეაფერხა ამ მიმართულებით სამსახურის გეგმების განხორციელება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2021 წლის ბიუჯეტის საკასო შესრულებამ შეადგინა 7.11 მილიონი ლარი.

№	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება
1	შრომის ანაზღაურება	4 345 000	4 303 102.73
2	საქონელი და მომსახურება	2 040 000	1 786 520.90
3	სოციალური უზრუნველყოფა	101 000	99 081.22
4	სხვა ხარჯები	74 000	54 841.26
5	არაფინანსური აქტივები	2 440 000	867 178.77
ჯამი		**9 000 000**	**7 110 724.88**

[38] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 5 მილიონ ლარს (4.4 მილიონი -საბიუჯეტო ასიგნება, 0.6 მილიონი - მთავრობის სარეზერვო ფონდი), ხოლო საშტატო რიცხოვნობა - 116 ერთეულს, 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 7 მილიონ ლარს, ხოლო საშტატო რიცხოვნობა - 125 ერთეულს.

01

განხორციელებული შესყიდვები

1. განხორციელებული შესყიდვები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების 2021 წლის გეგმა განსაზღვრული იყო 3 118 200 ლარით. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფისთვის განახორციელა მნიშვნელოვანი პროექტები. მათ შორის, დასრულდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ქ. ბათუმი) მდებარე ადმინისტრაციული შენობის მოწყობა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა; ასევე, დაიწყო ქ. თბილისში მდებარე ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ინფექციის გავრცელებამ 2021 წელს მნიშნელოვანი გავლენა იქონია სამსახურის მიერ განსახორციელებელ შესყიდვებზე. გამომდინარე იქიდან, რომ შესყიდვის განხორციელების მნიშნელოვან ეტაპს წარმოადგენს ბაზრის კვლევა, არსებული ან/და მოსალოდნელი საერთაშორისო თუ ადგილობრივი რეგულაციები და მოლოდინები მნიშვნელოვნად აფერხებდა პოტენციურ მომწოდებელთა გამოვლენის, სავარაუდო ღირებულების დადგენისა და მოწოდების ვადების მოძიების პროცესს. შესაბამისად, მიუხედავად სამსახურის მცდელობისა, რიგ შემთხვევებში, ბაზრის სრულყოფილად კვლევა დაკავშირებული იყო დიდ ვადებთან, ხოლო უშუალოდ შესყიდვის პროცედურების მიმდინარეობისას შეცვლილი გარემოებების გამო, გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების ნაწილი არ შედგა ან დასრულდა უარყოფითი შედეგით.[39]

[39] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ყოველწლიურად (კვარტალში ერთხელ), ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებდა დეტალურ ინფორმაციას განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

02

გაცემული სარგო, დანამატები და ფულადი ჯილდოები

2. გაცემული სარგო, დანამატები და ფულადი ჯილდოები

2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებზე (მათ შორის, სახელმწიფო ინსპექტორსა და სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილეებზე) გაიცა თანამდებობრივი სარგო - 3 664 805.02 ლარის ოდენობით, ხოლო წოდებრივი სარგო - 19 901.35 ლარის ოდენობით.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებზე დანამატის სახით გაიცა 383 356.36 ლარი, საიდანაც 232 698.49 ლარი გაიცა სპეციალური წოდების მქონე თანამშრომელთათვის „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სავალდებულო დანამატის ფარგლებში, ხოლო 9 529.87 ლარი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული სავალდებულო დანამატის ფარგლებში, ხოლო 141 128.00 ლარი - დამატებითი ფუნქციებისა და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის. 2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებზე გაიცა ჯილდო 235 040.00 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს, 2021 წელს ცხრა ასეთი თანამშრომლის შრომის ანაზღაურების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 127 599.47 ლარი, მათ შორის, დანამატი დამატებითი ფუნქციებისა და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის - 8 554 ლარი, ჯილდო - 5 600 ლარი.[40]

	თანამდებობრივი სარგო	წოდებრივი სარგო	სავალდებულოდ გასაცემი დანამატი (სპეციალური წოდების მქონე თანამშრომელთა-თვის)	დამატებითი ფუნქციებისა და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის გაცემული დანამატი	ჯილდო	დასაქმებულ პირთა ფაქტობრივი რაოდენობა
2019	1 673 977.33	2 288.04	25 930.80	44 804.00	152 740.00	79
2020	3 104 456.46	15 609.89	180 013.9	63 730.11	0 [41]	102
2021	3 664 805.02	19 901.35	242 228.36	141 128.00	235 040	110

[40] 2019 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული შვიდი თანამშრომლის შრომის ანაზღაურების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა - 59 522.39 ლარი, მათ შორის დანამატი - 0, ჯილდო - 4 752 ლარი, ხოლო 2020 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ექვსი თანამშრომლის შრომის ანაზღაურების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 72 575.46 ლარი, მათ შორის დანამატი - 2 701 ლარი, ჯილდო - 0 ლარი.

[41] 2020 წელს, ჯილდოს გაუცემლობა განპირობებული იყო კორონავირუსით შექმნილი მდგომარეობით. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, მისი ბიუჯეტიდან 1 მილიონი ლარი, დაუბრუნა უკან სახელმწიფო ბიუჯეტს.

03

სატრანსპორტო საშუალებები

3. სატრანსპორტო საშუალებები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ბალანსზე 2021 წლის მდგომარეობით ირიცხებოდა 28 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, რომელთა ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეულმა ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 41 886.00 ლარი, ხოლო საწვავის ხარჯმა - 157 404.41 ლარი.[42]

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საქმიანობს სამი ქალაქიდან - თბილისიდან, ქუთაისიდან და ბათუმიდან, რაც დაკავშირებულია თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ტრანსპორტირებასთან. ვინაიდან არსებული ავტომანქანების არასაკმარისი რაოდენობა აფერხებდა და ზოგჯერ შეუძლებელს ხდიდა ყველა საჭირო ტერიტორიულ ერთეულში გადაადგილებას, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ 2021 წლის დეკემბერში გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები დამატებით 7 ერთეული ოპერატიული დანიშნულების სატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით, თუმცა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, სამსახურის გაუქმებასთან დაკავშირებით, შესული ცვლილებების გამო გამოცხადებული ელექტრონული ტენდერები სამსახურის გადაწყვეტილებით შეწყდა.

[42] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ბალანსზე 2019 წლის მდგომარეობით ირიცხებოდა 16 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეულმა ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 14 995.00 ლარი, ხოლო საწვავის ხარჯმა - 25 112.74 ლარი. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ბალანსზე 2020 წლის მდგომარეობით ირიცხებოდა 16 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, რომელთა ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეულმა ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 16 806.00 ლარი, ხოლო საწვავის ხარჯმა - 76 891.00 ლარი.

04

სამსახურის ბალანსზე
რიცხული უძრავი ქონება

4. სამსახურის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება

2021 წლის მდგომარეობით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ბალანსზე ირიცხებოდა ხუთი ერთეული უძრავი ქონება. სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველო განთავსებულია იჯარით აღებულ კერძო საკუთრებაში.

№	უძრავი ქონების დასახელება, მისამართი	უფლების სახე	მიზანი
1	ქ. თბილისი, ნ. ვაჩნაძის ქ. №7	სახელმწიფო საკუთრება, სარგებლობის უფლებით	ადმინისტრაციული შენობა, სადაც განთავსებულია სამსახურის 7 დეპარტამენტი
2	ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9	კერძო საკუთრება, იჯარა	ადმინისტრაციული შენობა, სადაც განთავსებულია საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველო, ასევე სამსახურის 3 სხვა დეპარტამენტი
3	ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. №22	სახელმწიფო საკუთრება, სარგებლობის უფლებით	ადმინისტრაციული შენობა, სადაც განთავსებულია საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველო
4	ქ. ბათუმი, მაზნიაშვილის ქ. №54	სახელმწიფო საკუთრება, სარგებლობის უფლებით	ადმინისტრაციული შენობა, სადაც განთავსებულია საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველო
5	ქ. თბილისი, კოსტა ხეთაგუროვის ქ.№2/წმინდა ნიკოლოზის ქ. №2	სახელმწიფო საკუთრება, სარგებლობის უფლებით	შენობა-ნაგებობა, სადაც სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდგომ იგეგმება სამსახურის თანამშრომელთა განთავსება
6	ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, გურამიშვილის ქ. №39	სახელმწიფო საკუთრება, სარგებლობის უფლებით	შენობა-ნაგებობა, რომელიც სამსახურს გადმოცემული ჰქონდა საგამოძიებო ფუნქციის ამოქმედების მიზნით, თუმცა იგი საჭიროებს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს

2020 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს სარგებლობაში გადმოეცა ქ. თბილისში, კოსტა ხეთაგუროვის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა, სადაც იგეგმებოდა სამსახურის განთავსება. ვინაიდან, აღნიშნული შენობა საჭიროებს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, 2021 წლის მაისში დაიწყო შესაბამისი სამუშაოები, რომლებიც ამჟამად შეჩერებულია „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, სამსახურის გაუქმებასთან დაკავშირებით, შესული ცვლილებების გამო.

05

სხვა ხარჯები

5. სხვა ხარჯები

2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სატელეკომუნიკაციო (ადგილობრივი და საერთაშორისო სატელეფონო საუბრების) ხარჯებმა შეადგინა 22 573.44 ლარი (2019 წელს აღნიშნულმა ხარჯმა შეადგინა 10 348.92 ლარი, ხოლო 2020 წელს - 18 976.71 ლარი).

2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ რეკლამის განთავსების ხარჯმა შეადგინა 3 675.00 ლარი (2019 წელს აღნიშნულმა ხარჯმა შეადგინა 3 176.31 ლარი, ხოლო 2020 წელს - 1 319.42 ლარი). რეკლამას ექვემდებარებოდა მხოლოდ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.

06

დონორი ორგანიზაციების მიერ განეული ფინანსური დახმარება

6. დონორი ორგანიზაციების მიერ გაწეული ფინანსური დახმარება

დონორი ორგანიზაციები აქტიურად ეხმარებოდნენ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ტექნიკურ აღჭურვასა და ელექტრონული პროდუქტების დანერგვაში.

დონორი ორგანიზაცია	დახმარების ფორმა	დახმარების შინაარსი	ღირებულება	სტატუსი
		2021 წელი		
ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროექტი „ადამიანის უფლებები ყველასათვის, II“, გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისი საქართველოში (EU AND UN JOINT PROJECT “HUMAN RIGHTS FOR ALL, PHASE II”, OHCHR TBILISI)	არამატერიალური აქტივი	სამსახურის ვებ-გვერდზე (STATEINSPECTOR.GE) ახალი ფუნქციონალის დამატება	2 728 ლარი	დასრულებული
გაერთანებული ერების ოფისის პროექტების სერვისი („UNOPS“)	მატერიალური აქტივი	სასერვერო ტექნიკა	296 000 ლარი	დასრულებული
გაერთანებული ერების ოფისის პროექტების სერვისი („UNOPS“)	მატერიალური აქტივი	ტექნიკა არასრულწლოვნებზე ადაპტირებული გამოკითხვის ოთახებისთვის	31 137 ლარი	მიმდინარე
გაერთანებული ერების ოფისის პროექტების სერვისი („UNOPS“)	მატერიალური აქტივი	სატელეკონფერენციო სისტემა	-	მიმდინარე

USAID-**ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა** (GOOD GOVERNANCE INITIATIVE (GGI)) **თანამშრომლობის ფარგლებში**	არამატერიალური აქტივი	დისტანციური სწავლების პლატფორმა	28 646.78 ლარი	დასრულებული

დონორი ორგანიზაცია	**დახმარების ფორმა**	**დახმარების შინაარსი**	**ღირებულება**	**სტატუსი**
2020 წელი				
ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროექტი „ადამიანის უფლებები ყველასათვის, II“, **გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისი საქართველოში** (EU AND UN JOINT PROJECT “HUMAN RIGHTS FOR ALL, PHASE II”, OHCHR TBILISI)	მატერიალური აქტივი	ბიოლოგიური ჩემოდანი	952.94 ლარი	დასრულებული
გაეროს განვითარებ ის პროგრამა (UNDP)	არამატერიალური აქტივი	სტატისტიკის პროგრამა	12 186 ლარი	დასრულებული
გაეროს ერთობლივი პროექტი „ადამიანის უფლებები ყველასათვის, II“, **გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისი საქართველოში** (EU AND UN JOINT PROJECT “HUMAN RIGHTS FOR ALL, PHASE II”, OHCHR TBILISI)	მატერიალური აქტივი	საექსპერტო და კრიმინალისტიკური აღჭურვილობა	26 983.57 ლარი	დასრულებული

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიურო	მატერიალური აქტივი	სტაციონალური რადიოსადგურები და მობილური რაციები	103 685.88 ლარი	დასრულებული

დონორი ორგანიზაცია	**დახმარების ფორმა**	**დახმარების შინაარსი**	**ღირებულება**	**სტატუსი**
2019 წელი				
გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	მომსახურება	ლოგოს და ს/ს საქონლის ბრენდინგი	14 539.58 ლარი	დასრულებული
გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP); **ევროკავშირი**	არამატერიალური აქტივი	ვებგვერდის დიზაინი და დეველოპმენტი	14 621.26 ლარი	დასრულებული

XI. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება

01

მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები

1. მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები

2021 წლის 25 დეკემბერს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის და მისი ყველა თანამშრომლისთვის, მედიის საშუალებით, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების გადაწყვეტილება.

კერძოდ, საქართველოს პარლამენტმა 2021 წლის 22 დეკემბერს დააინიცირა და დაჩქარებული წესით (30 დეკემბერს), ფართო საზოგადოებრივი განხილვის გარეშე, კენჭი უყარა ,,სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებს, რომელთა თანახმად, 2022 წლის 1 მარტიდან:

- უქმდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და მის ნაცვლად იქმნება ორი სამსახური - სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური;
- სახელმწიფო ინსპექტორი (რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული იყო 6 წლის ვადით, 2025 წლის 3 ივლისამდე) და მისი მოადგილეები თავისუფლდებიან თანამდებობიდან;
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სხვა თანამშრომლები ნაწილდებიან სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში (კანონპროექტის თავდაპირველი ვერსიით გათვალისწინებული იყო სამსახურის ყველა თანამშრომლის დათხოვნა, თუმცა აღნიშნული დებულება შემდგომ შეიცვალა).

კანონპროექტების შემუშავების პროცესი იყო სრულიად კონსპირაციული. მისი შემუშავების შესახებ უცნობი იყო როგორც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სფეროს სხვა სპეციალისტებისთვის. კანონპროექტის დაინიცირებისა და მისი დაჩქარებული წესით განხილვის დროდ შერჩეულ იქნა წინასაახალწლო პერიოდი, როდესაც საერთაშორისო და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების აბსოლუტური უმრავლესობა არ იყო საქართველოში.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების არგუმენტად საქართველოს პარლამენტის მიერ დასახელდა ის, რომ სამსახურში ორი ფუნქციის - პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საგამოძიებო ფუნქციის თავმოყრა იწვევდა ინტერესთა კონფლიქტს და საფრთხეს უქმნიდა მონაცემთა დაცვას. გარდა ამისა აღინიშნა, რომ ცვლილებით სრულდებოდა არასამთავრობო სექტორის მიერ 2018 წელს გაცემული რეკომენდაცია, დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის შექმნის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ორ ფუნქციას (პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას) შორის ინტერესთა შეუთავსებლობის პრობლემა საქართველოს პარლამენტმა ვერ დაინახა 2018 წელს (სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნის დროს) და არასამთავრობო ორგანიზაციების ეს რეკომენდაცია მაშინ არ ჩაითვალა წონიან

არგუმენტად. ამასთან, პროექტის ინიცირებამდე საქართველოს პარლამენტს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის არ დაუსვამს არც ერთი კითხვა სამსახურის მუშაობაზე ამ ორი ფუნქციის პირობებში და არ მოისმინა სამსახურის მიერ საქართველოს პარლამენტში 2021 წლის 31 მარტს წარდგენილი ანგარიში, რომელიც სწორედ ამ ორი ფუნქციის თანაარსებობის დროს სამსახურის მუშაობას ასახავდა.

მიღებული კანონები ვერ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტის ამაღლებას და მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების უფრო ეფექტურ გამოძიებას შემდეგ მიზეზთა გამო:

- მიღებული კანონპროექტები არის არსებული კანონების ასლები, COPY PASTE. კანონპროექტებში არსად არის ნახსენები სამსახურის გაძლიერება. კანონპროექტში არაა ასახული არც ერთი რეკომენდაცია, რომელიც გაცემულია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ და არ არის გათვალისწინებული არც ერთი გამოწვევა, რაზეც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მრავლად აქვს მითითებული საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ 2020 წლის ანგარიშში;

- კანონპროექტით საგამოძიებო უწყების ქვემდებარეობას ემატება სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლი, რომელთა უმრავლესობა აცდენილია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის იდეას/არსს და ემსახურება ძირითადი ფუნქციისაგან ყურადღების გადატანის მიზანს. ამასთან, ახალი დამატებული მუხლები არ ვრცელდება პროკურატურის მუშაკებზე, არც სხვა საჯარო მოხელეებზე;
- ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში არც ერთი დებულება არ არის გადმოტანილი საქართველოს პარლამენტში, 2019 წელს წარდგენილი კანონპროექტიდან ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომლის მიზანი საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებაა;
- ახალი კანონები არ შეიცავს ორი ახალი სამსახურის ხელმძღვანელთა ხელშეუხებლობის უკეთეს გარანტიებს. პირიქით, გაუარესებულია მათი არჩევის წესი - ახალი კანონმდებლობა არ შეიცავს ჩანაწერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ მათ არჩევასთან დაკავშირებით (შესაბამისად, შესაძლებელია მათი არჩევა პარლამენტის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით). აღნიშნული ასუსტებს ახალად შექმნილი ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობას, მათ ლეგიტიმაციას, საფრთხეს უქმნის მათ დამოუკიდებლობას და ქმნის ნებისმიერ დროს, საქართველოს პარლამენტის მიერ მათი ხელმძღვანელების თანამდებობიდან გადაყენების საფრთხეს (როგორც ეს მოხდა სახელმწიფო ინსპექტორის შემთხვევაში);

- გაუქმებულია კანონის ის ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს პარლამენტის უფლებას, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნებისმიერ დროს მიეწვია სახელმწიფო ინსპექტორი პარლამენტის სხდომაზე ან/და პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე სახელმწიფო ინსპექტორის მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წარსადგენად. აღნიშნული აკნინებს ახლად შექმნილი ინსტიტუტების როლს, ვინაიდან პარლამენტის ტრიბუნის გამოყენება დამოუკიდებელი ინსტიტუტებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებას გამოეხმაურა სახელმწიფო ინსპექტორი ლონდა თოლორაია, რომელმაც აღნიშნა, რომ: ,,სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არასოდეს იქნება პროგრესული რეფორმის წინააღმდეგი, თუმცა ყველასთვის ცხადია რომ ეს არ არის რეფორმა. ეს არის დამოუკიდებელი ინსტიტუტისა და მისი დამოუკიდებელი თანამშრომლების წინააღმდეგ მიმართული ქმედება. ეს არის სამსახურის დასჯა - დამოუკიდებლობისთვის, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისთვის, კანონმორჩილებისთვის, საჯარო უწყებების წინააღმდეგ გამოტანილი კანონიერი გადაწყვეტილებებისთვის, საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის გამიჯვნის რეფორმაზე დაფიქსირებული განსხვავებული და კრიტიკული პოზიციისთვის, საქართველოს პროკურატურაში გაგზავნილი წინადადებებისთვის, რომლითაც ვითხოვდით მოხელეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას და რომელთაგან არც ერთი იქნა დაკმაყოფილებული, მოხელეთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების ახალი სტანდარტების დანერგვისთვის, ინფორმაციის უსაფრთხოების კანონზე ჩვენი განსხვავებული პოზიციისთვის და სხვა. სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ უკმაყოფილება, პარლამენტის წევრების კომენტარებშიც პირდაპირ და მკაფიოდ არაერთხელ იქნა გამოხატული. ასეთი მეთოდებით არ მომხდარა არც ერთი სამსახურის გარდაქმნა, მით უფრო, დამოუკიდებელი ინსტიტუტებისა და არჩევითი თანამდებობების ვადაზე ადრე გაუქმება. ეს პროცესი საფრთხეს უქმნის ყველა არჩევით თანამდებობაზე მყოფ პირს, აჩენს არასტაბილურობის განცდას და წარმოადგენს ზეწოლას მათ საქმიანობაზე. ასევე, ეს ფაქტი ყველა საჯარო მოხელისთვის არის გზავნილი, რომ კეთილსინდისიერად საქმის კეთებისთვის ერთ დღეს შეიძლება დარჩნენ სამსახურის გარეშე.“

02

საერთაშორისო გამოხმაურებები

2. საერთაშორისო გამოხმაურებები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას მწვავე გამოხმაურებები მოჰყვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს პარტნიორი ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლების მხრიდან. ისინი საქართველოს პარლამენტს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვების შეჩერებისა და ყველა დაინტერესებული პირის პროცესში ჩართვისკენ მოუწოდებდნენ.

ევროკავშირის ელჩი საქართველოში, კარლ ჰარცელი - ,,ჩვენ კვლავ ვერ ვხედავთ გასული წლის დეკემბერში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მოულოდნელად და ნაჩქარევად დაშლის და სახელმწიფო ინსპექტორის მანდატის ვადამდე შეწყვეტის ობიექტურ მიზეზებს.“ მისი თქმით, უსაფრთხოების სექტორზე ეფექტიანი დემოკრატიული ზედამხედველობა და მონაცემთა სათანადო დაცვა საქართველოს ვალდებულებად რჩება.[43]

ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ასუნსიონ სანჩეზ რუიზი - ,,საქართველოს პარლამენტის მიერ მიმდინარე კვირაში დაჩქარებული პროცედურით კანონის მიღების მიზნით დაწყებული პროცესი, რომლითაც უნდა გაუქმდეს არსებული სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, საფრთხეს უქმნის საქართველოს დემოკრატიას“.

,,მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა კანონმდებელს ჰქონდეს მიზეზი, გაუმჯობესოს საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფუნქციები, რომლებიც ამჟამად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს აკისრია, ასეთი ცვლილებები უნდა განხორციელდეს ღია და გამჭვირვალე პროცესის გზით, არსებითი, ფართო განხილვით, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებისა და თავად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ჩართულობით. სახელმწიფო

43 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
HTTPS://WWW.INTERPRESSNEWS.GE/KA/ARTICLE/695896-KARL-HARCE-LI-KVLAV-VER-VXEDAVT-INSPEKTORIS-SAMSAXURIS-MOULODNELAD-DA-NACHKAREVAD-DASHLIS-MIZEZEBS-USAPRTXOEBIS-SEKTORZE-DEMOKRATIULI-ZEDAMXEDVELOBA-DA-MONACEMTA-SATANADO-DACVA-SAKARTVELOS-VALDEBULEBEBAD-RCHEBA

ინსპექტორის სამსახური არის საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი მექანიზმი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამოსაძიებლად და, შესაბამისად, წარმოადგენს საკვანძო ინსტიტუტს კარგად ფუნქციონირებადი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დასაცავად. ევროკავშირი ჩართული იყო ამ სამსახურის შექმნაში და მის განვითარებაში მნიშვნელოვანი ფინანსური და ადამიანური რესურსის ინვესტირება მოახდინა. ამიტომ, ჩვენ იმედგაცრუებულნი ვართ ამ ქმედებების გამო და ვწუხვართ, რომ ევროკავშირის წარმომადგენლებს არ მიეცათ შესაძლებლობა, ჩართულნი ყოფილიყვნენ პარლამენტის მიერ აღნიშნული საკითხის განხილვაში“.[44]

ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ორმხრივი ურთიერთობების განყოფილების უფროსის მოადგილე, დოროტა დლუჩი-სულიგა - ,,შემაშფოთებელია მოვლენათა განვითარება პარლამენტში დაჩქარებული პროცედურის საფუძველზე განხილულ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომლითაც უქმდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. ევროკავშირი ჩართული იყო ამ სამსახურის შექმნაში და მნიშვნელოვანი რესურსი ჩადო მის განვითარებაში“.[45]

ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი - ,,ძალიან შემაშფოთებელია ის, რაც საქართველოში შობის პერიოდში ხდება. მთავრობა ცდილობს ერთ-ერთი ყველაზე პროფესიონალური, კარგად ფუნქციონირებადი სახელმწიფო ინსტიტუტის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებას. ეს არ არის 2022 წლის დამაიმედებელი დასაწყისი დემოკრატიისა და კანონის უზენაესობისთვის“.[46]

44 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: HTTPS://BIT.LY/3LUK3HD

45 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: HTTPS://TWITTER.COM/DOROTADLOUCHY?REF_SRC=TWSRC%5EGOOGLE%7CTWCAMP%5ESERP%7CTWGR%5EAUTHOR&FBCLID=IWAR1WLII2IOD0QFGUXRL_DGT4PF-QIXI7-AMUULR1JWXK4KSIX7PO72AXC18

46 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: HTTPS://TWITTER.COM/VIOLAVONCRAMON/STATUS/1476232894930636804?S=20&FBCLID=IWAR3SFKSH49SKYFNGGWKZ3EH-ET7AOU6M2HSCLBXCBORPBUUSHJXLBZD0QV0

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში - ,,გასულ კვირას მმართველმა პარტიამ ძირი გამოუთხარა მთავრობის ანგარიშვალდებულებას, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებით, რომლის მოვალეობა პოლიციის მხრიდან ძალადობის გამოძიება და მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვაა; ზიანი მიაყენა ცალკეული მოსამართლის დამოუკიდებლობას საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებების განხორციელებით და შეასუსტა ნდობა სასამართლოს მიმართ უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი მოსამართლის დანიშვნით, რაც შერჩევის ხარვეზიანი პროცესით განხორციელდა. საზოგადოებას არ მიეწოდა სარწმუნო არგუმენტები, თუ რატომ გახდა საჭირო ამ ცვლილებების ნაჩქარევად მიღება, სათანადო კონსულტაციების გარეშე.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ამ საკანონმდებლო ცვლილებებზე გამჭვირვალე განხილვისა და ანალიზის ნაკლებობა. განზრახ თუ უნებლიედ, მმართველი პარტიის გზავნილი იყო, რომ ხელისუფლების დამოუკიდებელ ზედამხედველობას ან განსხვავებულ აზრს, კანონით განსაზღვრულსაც კი, პასუხი გაეცემა სამაგიეროს გადახდით, დასჯითა და გათავისუფლებით.

შეერთებული შტატები ყოველ დღე უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და სტაბილურობას ხანგრძლივი უსაფრთხოების თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამების მეშვეობით. ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტები და კანონის უზენაესობისადმი ერთგულება არის საქართველოს საუკეთესო დაცვა რუსული აგრესიისგან. ნაბიჯები, რომლებიც ასუსტებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, როგორიცაა სასამართლო ან დამოუკიდებელი საზედამხედველო უწყებები, აზიანებს საქართველოს მისწრაფებებს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ და ძირს უთხრის ძირითად თავისუფლებებს, რაც ქართული კულტურისა და საზოგადოების საძირკველს წარმოადგენს.“ [47]

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, დუნია მიატოვიჩი - ,,საქართველოს პარლამენტმა უარი უნდა თქვას კანონის მიღებაზე, რომელიც ძირს უთხრის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას. მოვუწოდებ საქართველოს პარლამენტს, თავი შეიკავოს დაჩქარებული წესითა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან სათანადო კონსულტაციის გარეშე კანონპროექტის მიღებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებას. ეს კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო ინსპექტორის და სამსახურის ყველა თანამშრომლის გათავისუფლებას. მიღების შემთხვევაში, კანონპროექტი მხოლოდ შეასუსტებს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმების დამოუკიდებელ ფუნქციონირებას“.[48]

47 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
HTTPS://BIT.LY/3M8RC23

48 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
HTTPS://GEORGIA.UN.ORG/EN/168152-UNITED-NATIONS-CONCERNED-OVER-DECISION-GEORGIAN-AUTHORITIES-ABOLISH-STATE-INSPECTORS-SERVICE?FBCLID=IWAR1J0EMQKLGFR6NOWC55Z3US_2N8JJSGHTFBKLLSDT5BPOSN0W7E5OBUHNY

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - ,,გაერთიანებული ერების ორგანიზაცია UN GEORGIA შეშფოთებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოების ჯგუფი საქართველოში სინანულს გამოთქვამს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესახებ საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილების გამო. 2022 წლის 13 იანვარს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ახალ კანონს, რომლითაც უქმდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და იქმნება ორი ცალკეული ინსტიტუტი: სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.

განსაკუთრებით შეშფოთებულნი ვართ, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე სანდო, დამოუკიდებელი და ავტორიტეტული ინსტიტუტის გაუქმების გადაწყვეტილებით, რომელიც უფლებამოსილია გამოიძიოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევები და უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დაცვის ზედამხედველობა, მიღებულ იქნა დაჩქარებული წესით და ინკლუზიური და გამჭვირვალე დისკუსიების გამართვის გარეშე.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესაბამისი საფუძვლისა და სახელმწიფო ინსპექტორისთვის ექვსწლიანი მანდატის ჩამორთმევის აუცილებლობის დამაჯერებელი დასაბუთების არარსებობა შემაშინებელი გზავნილია ადამიანის უფლებათა დამცველი დამოუკიდებელი ინსტიტუტების მიმართ.
შეშფოთებულნი ვართ, რომ ახლადშექმნილი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატში შემავალი დანაშაულების სიის არსებითი გაფართოება იწვევს უწყების გადატვირთვის სერიოზულ რისკს და მისი გუნდის ყურადღების გადატანას მისი ძირითადი მანდატის შესრულების - დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლისაგან. ვიხსენებთ, საქართველოში მისიის დროს (2015), გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიერ გაცემულ რეკომენდაციას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის შესახებ, რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება, რომ არსებობს რისკი, ზედმეტად ფართო იურისდიქციამ, იქნება ეს ექსკლუზიური თუ დისკრეციული, შესაძლოა [სახელმწიფო ინსპექტორის] ამოცანა მეტისმეტად გაართულოს [თუკი] ... სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩადენილი დანაშაულები, რომლებიც არ შედიან წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის ძირითად ჯგუფში... [მისი მანდატის ფარგლებში შევა]“.

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, გამოითხოვოს შესაბამისი საერთაშორისო ინსტიტუტების მოსაზრება ამ გადაწყვეტილებების საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრის შესახებ.“[49]

49 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
HTTPS://GEORGIA.UN.ORG/EN/168152-UNITED-NATIONS-CONCERNED-OVER-DECISION-GEORGIAN-AUTHORITIES-ABOLISH-STATE-INSPECTORS-SERVICE?FBCLID=IWAR1J0EMQKLGFR6NOWC55Z3US_2N8JJSGHTFBKLLSDT5BPOSN0W7E5OBUHNY

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ჟენევის ოფისი - ,,ღრმა შეშფოთებას გამოვთქვამთ დამოუკიდებელი ინსტიტუტის - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესახებ პარლამენტის კანონპროექტზე. სამსახურს უმნიშვნელოვანესი როლი პრევენციის და პირადი ცხოვრების დაცვის კუთხით. მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს უკან გამოიხმოს აღნიშნული ინიციატივა და უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ეროვნული მექანიზმების დამოუკიდებლობა.“ [50]

ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ჰელენ სანდ ანდრესენი - ,,შეშფოთებული ვარ დაჩქარებული პროცესით, რომლითაც მოხდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაყოფა, თანამშრომლების გათავისუფლება. მოვითხოვ საქართველოს პარლამენტისგან გამოიყენოს ინკლუზიური და გააზრებული მიდგომა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა უნდა შეძლოს თავისი როლის შესრულება, როგორც დამოუკიდებელმა, ადამიანის უფლებათა ინსტიტუტმა, რომელიც არის შენაძენი ქართული დემოკრატიისთვის.“ [50]

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ჰუბერტ ქნირში - „მიძნელდება იმის გაგება, თუ რატომ განიხილება ეს კანონპროექტი დაჩქარებული წესით. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური საქართველოს სამთავრობო სისტემის საჭირო და მნიშვნელოვანი ელემენტია. კარგია, როდესაც ინსტიტუციურ საკითხებში ცვლილებები ყოველთვის მხოლოდ ღრმა განხილვის შემდეგ მიიღება და მხოლოდ იმდენი ცვლილება ხორციელდება, რამდენიც საჭიროა“. [52]

50 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
HTTPS://TWITTER.COM/UNHUMANRIGHTS/STATUS/1475408100458999811?S=20&FBCLID=IWAR3URXN1DCYD7L9K3R6AFAK3NSLEVGDCJIJSTQRA1RD_0MW3URDQ6PWYKVE

51 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
HTTPS://TWITTER.COM/SANDANDRESEN/STATUS/1475768651282362371?S=24&FBCLID=IWAR2RWYALO-OFRTAZMUHAAM-GSBDRXODK0C03AI1LYPWQAMMDXKSFQZHUVVM

52 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
HTTPS://BIT.LY/35FQY6Z

საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, დიეგო კოლასი - „როდესაც ძირითად დემოკრატიული კონტროლისა და ბალანსის მექანიზმთან გვაქვს საქმე, მოგიწოდებთ, რეფორმები გატარდეს სიფრთხილით, ფართო კონსულტაციებით, სათანადო ცვლილებების განხორციელებისა და თანამდებობის პირის მიმართ მსუსხავი ეფექტის თავიდან არიდების გზით.“[53]

დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, კლერ ოლბლესი - ,,ვიმედოვნებ, ნებისმიერ გადაწყვეტილებას დაეთმობა აუცილებელი დრო, ძალისხმევა და ღიაობა, დაინტერესებული პირების მონაწილეობით.“ [54]

ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მაიკე ვან კოლდამი - ,,შეშფოთებული ვარ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტის, დაშლისკენ მიმართული ინიციატივით, რომელიც იწვევს ყველა თანამშრომლის გათავისუფლებას. საჭიროა ღია და გამჭვირვალე პროცესი, მათ შორის, თვით საქართველოს მონაცემთა დაცვის ორგანოსთან კონსულტაციით. ნდობა და დამოუკიდებლობა არსებითია“.[55]

53 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: HTTPS://MOBILE.TWITTER.COM/COLASDIEGO/STATUS/1475851295554736134?S=20&FBCLID=IWAR0U5NZYP7VHJYSW-IB2YDAEL1MMRWIBX3ZSLERFBU_8LXLR6MBMNW13MWU

54 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: HTTPS://TWITTER.COM/CLAREALLBLESS?REF_SRC=TWSRC%5EGOOGLE%7CTWCAMP%5ESERP%7CTWGR%5EAUTHOR&FBCLID=IWAR2CF9-IYEYA8GZBOE7JIBZLQZ5FTBJHDELSJ7CDPWMMSK3ICK7_MCFC3KS

55 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: HTTPS://TWITTER.COM/MAAIKEVANKOLDAM/STATUS/1475841600584658949?S=20&FBCLID=IWAR02VG2PSU4TOODSD4CGBSXENUGJWAROYITGRXOXJVBRX4GRCGMYJQFH0UG

ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, პეტერ მიკისკა - „ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩები და მოადგილეები გუშინ შევხვდით ლონდა თოლორაიას. შემაშფოთებელია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაგეგმილ გაუქმებასთან, ყველა თანამშრომლის გათავისუფლებასთან და ამ დაჩქარებული მოქმედებებისთვის შერჩეულ დროსთან დაკავშირებული გარემოებები, რომელიც არ ემსახურება დემოკრატიული კონტროლისა და ბალანსის სისტემის სათანადო ფუნქციონირებას”. [56]

HUMAN RIGHTS WATCH-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების ასოცირებული დირექტორი, გიორგი გოგია - ,,საკამათო, გაუმჭვირვალე და სავარაუდოდ სადამსჯელო ქმედება არდადეგების პერიოდში. საქართველოს პარლამენტმა დაიწყო რეფორმები 2018 წელს შექმნილი დამოუკიდებელი ორგანოს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დასაშლელად, რომელიც ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოძიების მიზნით შეიქმნა. ეს იქნება აშკარა უკუსვლა.“[57]

56 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
HTTPS://TWITTER.COM/MIKYSKA_PETR/STATUS/1476092568492548101?FBCLID=IWAR1WLII2IOD0QFGUXRL_DGT4PF-QIXI7-AMUULR1JWXK4KSIX7PO72AXC18

57 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
HTTPS://TWITTER.COM/GIORGI_GOGIA?FBCLID=IWAR0LGVJ39Z8HRRWIVGFVYLLQNLESU3VEK2LVEIR_U5MJLSK1-TIBT4B0QJ4

02

www.sis.gov.ge